

10

ოქტომბერი 1962

# ცისკარი

ამ ნომერში დაბეჭდილია
მხატვარ
დიმიტრი ერისთავის
სურათების რეპროდუქციები



ეროვნული ბიბლიოთეკა

დილით ფაბრიკისაკენ



შემოდგომა

6444
1962/5

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

8895

## შინაარსი

მიხეილ ჯინჭველაშვილი — კომუნიზმის მშენებლობის საბრძოლო პროგრამა 3
კარლო კალაძე — დარიალი (ლექსი) 8
ოტია იოსელიანი — ჯარისკაცი დაბრუნდა (მოთხრობა) 10
რევაზ მარგიანი — ლექსების წიგნიდან „ისევ ახალი" 19
ოთარ ჭელიძე — არაიდილია (ლექსი) 23
ოთარ მამფორია — ლექსები 24
ზურაბ რატიანი — უარი (მოთხრობა) 26
შოთა ნიშნიანიძე — ლექსები 30
ეთერ სახვაძე — ხაინგილოს გზაზე (ლექსი) 32
სულხან აბდალაძე — დარაჯის სიკვდილი (ლექსი) 33
გურამ დოჩანაშვილი — მუსიკოსი (მოთხრობა) 34
აკაკი გეწაძე — შვილო, გოგია! (მოთხრობა) 37

10

ოქტომბერი
1962

გამომცემლობა
„საბჭოთა მწერალი"

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი
საქართველოს ალკკ ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ გვერდწითელი — თამაში კი, მაგრამ უკანასკნელი? 78
გურამ ასათიანი — წიგნი ღიმილსა და ცრემლებზე 84
კობა იმედაშვილი — ჩვეულებრივის შესახებ 90
ალექსანდრე კალანდაძე — ილია ჭავჭავაძე და პეტრე ნაკაშიძე 93
ნოდარ ნათაძე — შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე 101
ალექსანდრე ბრეგვაძე — საინტერესო მონოგრაფია 105
გიორგი შაყულაშვილი — მირზა ფათალი ახუნდოვი 108

## ხელოვნება

აკაკი ბაქრაძე — თანამედროვე კინოხელოვნებისათვის 112
თამაზ ჟილაძე — იების გამყიდველი 119

## მეცნიერება და ტექნიკა

როინ მეტრეველი — ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი 121
ვახტანგ მდივანი — მანქანა-ენათმეცნიერი 136
თამაზ კიკნაძე — ოცდათოთხმეტი საათი ბაგრატიონის უფსკრულში 141

## სპორტი

ალა კუშნირი — ნონა გაფრინდაშვილი 148
გურამ ფანჯიკიძე — გასული ჩემპიონატის გაკვეთილები 156

---

რედაქტორი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, მუხრან მაჭავარიანი, როინ მეტრეველი, ჯანსულ ჩარკვიანი (პ/მგ. მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ჭელიძე, ხერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ჟურნალი გააფორმა მხატვარმა გულდა კალაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## მიხეილ ჯინჭველაშვილი

# კომუნიზმის მშენებლობის საბრძოლო პროგრამა

1961 წლის 17-31 ოქტომბერს კრემლის ყრილობათა სასახლეში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული XXII ყრილობა. ეს იყო ლენინური პარტიის რჩეულთა დიდი ფორუმი. ყრილობის მუშაობა პარტიის ერთიანობისა და მონოლითურობის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი მისი ერთგულების, ხალხთა ურღვევი კავშირის მკაფიო და აღმაფრთოვანებელი დემონსტრაცია იყო. ამასთან ყრილობამ ცხადყო მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ურღვევი ერთიანობა.

პარტიის XXII ყრილობამ შეაჯამა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამის შესასრულებლად ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მიერ ტიტანური მუშაობის დიდებული შედეგები, დასახა ჩვენი ქვეყნისა და მთელი კაცობრიობის ნათელი, მშვენიერი პერსპექტივები. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენები და მისი საბოლოო სიტყვა, პარტიის ახალი პროგრამა, ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო მიღებული რეზოლუცია, პარტიის ახალი წესდება და ყრილობის სხვა დოკუმენტები უაღრესად დიდი წვლილია მარქსისტულ-ლენინური თეორიის საგანძურში. მათში მოცემულია უმნიშვნელოვანესი დებულებანი კომუნისტური მშენებლობის ძირეულ საკითხებზე, ახალი დასკვნები, რომელიც ემყარება სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკაში ამ დებულებათა განხორციელების გამოცდილებას.

XXII ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული მოღვაწეობა XX ყრილობიდან გასული დროის მანძილზე, მიიღო პარტიის ახალი პროგრამა — კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამა და დაამტკიცა სკკპ ახალი წესდება, რომელშიც მოცემულია პროგრამაში დასახული მიზნების განხორციელების ტაქტიკური გზები და ორგანიზაციული პრინციპები.

სკკპ ახალ პროგრამაში მოცემულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების ფილოსოფიური, ეკონომიური და პოლიტიკური დასაბუთება, კონკრეტულად განსაზღვრულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბების, ახალი ადამიანის აღზრდის, სოციალისტური დემოკრატიის უფართოესი განვითარების შედეგად კომუნისტური თვითმმართველობის სრული განხორციელებისათვის საზოგადოების მომზადების გზები და საშუალებანი, კონკრეტული ფორმები და მეთოდები.

სკკპ ახალ პროგრამაში ნათლად და უაღრესად მკაფიოდაა ნაჩვენები კომუნიზმის აშენების მთლიანი შესაძლებლობა უკვე ახლანდელი თაობის დროს, რომ საბჭოთა კავშირში ოცი წლის ვადაში (1961 — 1980 წწ) შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვეს მთელი მოსახლეობისათვის, მოხდება თანდათანობით გადასვლა ერთიან საერთო სახალხო საკუთრებაზე, საბჭოთა საზოგადოება უშუალოდ მივა მოთხოვნილებათა მიხედვით განაწილების კომუნისტური პრინციპის განხორციელებასთან, ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აშენდება კომუნისტური საზოგადოება, ხოლო კომუნისტური საზოგადოების მთლიანად აშენება დამთავრდება მომდევნო პერიოდში.

სკკპ XXII ყრილობამ ერთხელ კიდევ დაადასტურა XX ყრილობის პოლიტიკური კურსის სისწორე, რაც გამოიხატა პიროვნების კულტის აშკარა და გაბედულ დაგმობაში, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპების აღდგენასა და შემდგომ განვითარებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა აამაღლა პარტიის ბრძოლისუნარიანობა, ფართო გასაქანი მისცა პარტიისა და ხალხის შემოქმედებითი ძალებისა და ინიციატივის განვითარებას, დააჩქარა ჩვენი ქვეყნის წინსვლა კომუნიზმისკენ, კიდევ უფრო განამტკიცა პარტიის კავშირი მასებთან.

XXII ყრილობამ მოგვცა თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური ვითარების ღრმა ანალიზი. სამი მთავარი შედეგი ახასიათებს თანამედროვე მსოფლიო განვითარებას, მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის დაწყებულ ერას: პირველი ძირითადი შედეგია შექმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემისა, რომელიც სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მსოფლიო განვითარების მსვლელობას, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ინტერესებისათვის. თავისი ისტორიული მნიშვნელობით მსოფლიო განვითარების მეორე შედეგია კოლონიური სისტემის კრახი; მსოფლიო განვითარების მესამე შედეგია კაპიტალიზმის მკვეთრი ყოველმხრივი შესუსტება და ახალი გამწვავება მისი საერთო კრიზისისა, რომელიც მესამე ეტაპში შევიდა.

თანამედროვე პირობებში არსებობს რეალური შესაძლებლობა ახალი ომების თავიდან აცილებისა, რომლებსაც იმპერიალისტური სისტემა წარმოშობს. კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, მთელ საბჭოთა ხალხს თავიანთ ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ ის, რომ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად უზრუნველყონ მთელი სოციალისტური ბანაკის საიმედო დაცვა და უშიშროება, იბრძოლონ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამაში მოცემულია ძირითადი ამოცანების გადაწყვეტა: ეკონომიურ დარგში — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; სოციალურ-პოლიტიკურ დარგში — კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება; იდეოლოგიურ დარგში — ახალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის აღზრდა; საერთაშორისო ურთიერთობის დარგში — სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური

კურსის განუხრელად გატარება და კაცობრიობის ხსნა გამანადგურებელი მსოფლიო ომისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა განხორციელებაა პარტიის ლოზუნგისა: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის ბედნიერებისათვის", ყრილობის მიერ მიღებული დოკუმენტები გამსჭვალულია კომუნიზმის, მშვიდობის, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეებით. ეს დოკუმენტები მოიწონეს მოძმე მარქსისტულ-ლენინურმა პარტიებმა და მაღალი შეფასება მისცეს მათ, ეს იმას ნიშნავდა, რომ საერთაშორისო კომუნისტურმა და მუშათა მოძრაობამ აღიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო როლი მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითს განვითარებაში. ამრიგად, XXII ყრილობის მიერ აღებულ კურსს, ჩვენი პარტიის ამ ლენინურ კურსს მხარი დაუჭირა მთელმა საბჭოთა ხალხმა, მსოფლიო კომუნისტურმა მოძრაობამ და პროგრესულმა კაცობრიობამ.

ერთი წელი შესრულდა XXII ყრილობის მოწვევიდან. რაოდენ მცირე მონაკვეთია ისტორიისათვის, მაგრამ რამდენი რამის მთქმელია ეს ერთი წელი—დიდი შრომისა და გმირობის წელი. წარმატებით სრულდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტური საზოგადოების ურთიერთობის ჩამოყალიბების, ახალი ადამიანის აღზრდის რთული და საპატიო ამოცანა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებები მოიპოვა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების საქმეში. წარმატებით სრულდება ეკონომიკის გადამწყვეტი დარგის — მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის დავალებანი. ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ სსრ კავშირის მრეწველობამ შვიდწლედის მეოთხე წლის ცხრა თვისა და მესამე კვარტალის გეგმა ვადამდე შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამრეწველო წარმოების მოცულობა ცხრა თვეში გადიდდა ცხრანახევარი პროცენტით. სამრეწველო საწარმოებში განხორციელდა ახალი მოწყობილობის დანერგვის, საწარმოო პროცესთა მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მთელი რიგი ღონისძიებანი. შესრულდა სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების 9 თვის გეგმები.

ჩვენი ქვეყნის მრეწველობის საერთო წარმატებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით საქართველოს საწარმოთა კოლექტივებს, რომლებმაც მიმდინარე წლის 9 თვისა და მესამე კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს.

ერთი წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში მწყობრში ჩადგა ახალი ფაბრიკები და ქარხნები, სკოლები და ინტერნატები, კულტურის სახლები და კლუბები, ახალი საცხოვრებელი ბინები, შენდება ახალი ელექტროსადგურები. ჩვენი ქვეყნის ერთერთი უდიდესი მშენებლობაა ენგურჰესი, რომელიც იმდენ ელექტროენერგიას მოგვცემს, რამდენსაც ამჟამად საქართველოს ყველა ელექტროსადგური იძლევა.

კომუნისტურმა პარტიამ მთელი ხალხის აქტიური მხარდაჭერითა და მონაწილეობით დიდი ღონისძიებანი განახორციელა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების აღმავლობისათვის. სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გარდაქმნამ — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოების შექმნამ კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. ახალ ზღუდეებს იღებენ სოფლის მშრომელები.

სსრ კავშირის მშრომელებთან ერთად საქართველოს სს რესპუბლიკის სო-

ფლის მეურნეობის მუშაკები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში, რითაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობის საერთო სახალხო საქმეში. შრომის სა[illegible]რულო ჰიმნად გაისმა ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეთა ბრწყინვალე გამარჯვება. საქართველოს მეჩაიეებმა გაახარეს სამშობლო, პარტია შესანიშნავი წარმატებებით: მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი და საგეგმო დავალებას გადაამეტეს 15 ათასი ტონით. ამით შვიდწლედის ზღუდე აღებულია. საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ამ დიდი გამარჯვების გამო დაიმსახურეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მილოცვა. მეჩაიეებს მხარს უსწორებენ ქართველი მევენახეები და მეხილეები, რომლებიც ისწრაფვიან ვადამდე შეასრულონ ყურძნისა და ხილის დამზადების გეგმები.

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრა მატერიალური დოვლათის წარმოების ზრდასთან ერთად გულისხმობს მშრომელთა კომუნისტური შეგნების ამაღლებას. მთელი იდეოლოგიური მუშაობა მოწოდებულია განავითაროს საბჭოთა ადამიანების ახალი თვისებანი, აღზარდოს ისინი კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის, ახალი საზოგადოების მორალის მაღალი პრინციპების სულისკვეთებით, მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით. რამდენი რამ გაკეთდა იდეოლოგიურ ფრონტზე, მეცნიერებისა და ტექნიკის ფრონტზე ამ მოკლე დროში—ერთი წლის განმავლობაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში უმაგალითო გაქანება მიეცა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებას. მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რომ წელს ისტორიაში პირველად განხორციელდა საბჭოთა კოსმოსური ხომალდების ჯგუფური ხანგრძლივი ფრენა. ამაღლდა მასების შეგნებულობის დონე. მრავალი მილიონი მშრომელი ადამიანი გვიჩვენებს შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესანიშნავ მაგალითებს. ახალი გაქანება ჰპოვა კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობამ, რომელიც ამოცანად ისახავს ჩვენს ყოველდღიურობაში კომუნისტური შრომისა და ცხოვრების დამკვიდრებას. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია პატრიოტული მოძრაობა, რომლის წამომწყებნი არიან სოციალისტური შრომის გმირი უკრაინელი კოლმეურნე ნ. ზაგლადა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ლენინგრადელი მუშა-მღარავი ი. ლეონოვი. მათ თაოსნობას დიდი პოლიტიკური, ჭეშმარიტად სახალხო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. იგი მიზნად ისახავს თვითეულ ადამიანს ჩაუნერგოს კომუნისტური დამოკიდებულება შრომისა და სოციალისტური საკუთრებისადმი, პატივისცემა მინდვრის მშრომელთა ღირსებისადმი, მათი წმიდათაწმიდა ვალდებულების შესრულებისადმი. ნ. ზაგლადასა და ი. ლეონოვის თაოსნობას მხარი დაუჭირეს მილიონობით საბჭოთა ადამიანებმა, რომელთაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი შრომის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ნ. ზაგლადასა და ი. ლეონოვის გამოსვლები, წერილები ჩვენი სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგის მუშაკებს, მაშასადამე, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებსაც შეეხება. ჩვენი მწერლებიც ყოველთვის საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების შუაგულში უნდა ტრიალებდნენ, ამ ცხოვრებით უნდა ცხოვრობდნენ. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები თავიანთი მართალი და მაღალი სიტყვით უნდა ეხმარებოდნენ საბჭოთა ხალხს, პარტიას კომუნიზმისათვის გაჩაღებულ ყოველდღიურ ბრძოლასა და შრომაში.

დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს სახავს მწერლობის წინაშე, თავისი თანამედ-

წეების წინაშე ჩვენი პარტია. საბჭოთა მწერლობის წმიდათაწმიდა მოვალეობაა იყოს კომუნიზმის მშენებელი ხალხის ღირსეული მემატიანე, მისი დიდებული შრომისა და ბრწყინვალე ცხოვრების სრულყოფილად, მართლად და მაღალმხატვრულად ამსახველი.

კომუნისტური პარტია მოითხოვს მაღალ დონეზე დავაყენოთ იდეოლოგიური მუშაობა, დავნერგოთ ადამიანთა შეგნებაში კომუნიზმის მშენებლის მორალურ კოდექსში მოცემული პრინციპები.

კომუნიზმი ასრულებს ისტორიულ მისიას, — ამკვიდრებს დედამიწაზე მშვიდობას, შრომას, თავისუფლებას, ყველა ხალხის თანასწორობას, ძმობასა და ბედნიერებას. კომუნიზმი შენდება მხოლოდ შრომით, მილიონთა შრომით. რაც უფრო ბეჯითად და წარმატებით შრომობს ჩვენი ხალხი, მით უფრო ახლოვდება კომუნიზმი. საბჭოთა ადამიანების გასული ერთი წლის შრომა და ცხოვრება იმის ღრმა რწმენას გვინერგავს, რომ ღირსეულად შესრულდება XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ჩვენს ქვეყანაში ოცი წლის მანძილზე შეიქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის დროს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

# დარიალი

ალ. ტვარდოვსკის

უნდა მეც გავიმეორო:
— თერგი რბის, თერგი ღრიალებს!
ჩანს ხევ-ხევ რკინის ნალეწი —
ჟანგი კლდეს გვისისხლიანებს...

იჩქარის თერგი, სიჩქარით
ზვირთები არივ-დარია,
ვიწროდ გაალო კლდე-კარი,
გზად — ვიწრო დარიალია!

ორბელიანი კი არა
აქ იარალიც არ არი,
წყლის ღრიანცელი გაისმის
და არა ჰარი-ჰარალი!

ასი წლის შემდეგ გზა-გაჭრილ
მთებშუა დავიარები
და მაინც თვალის წარმტაცი
არიან დარიალები.

და მაინც ნახმლევ-ნაჩეხი
მთები მართალნი არიან:
აქაა ლალი სიცოცხლე,
აქ, სადაც დარიალია!

რა იქნებოდა ქვეყანა
უთერგო — უდარიალო, —
თუ გული გულობს — ციცაბო
კლდეებზე უნდა იარო!

ეჰეი, თერგო, ყოველთვის
მარჯვედ გაალე კლდე-კარი,
სტუმარ-მასპინძლის გამოცდა
თუ არის — სწორედ ეგ არი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხედავ? შენს ერთგულ მოხევეს
ძმურად გზა მისცეს ლეკებმა,
ყური დაუგდე სალამურს,
ცხვარს რომ შორს მიერეკება.

დარია გაღმა, გამოღმა,
დარიალშიაც დარია,
აქ, სადაც ჩვენმა მთა-კაცმა
თერგი პირველად დალია.

თერგდალეული მეცა ვარ,
კლდე-კარს მეც ავხსენ საკეტი,
აქ არის დიდი რუსეთის
პირველი გადასახედი!

დღემ ჩემი სტუმრის მიღებაც
აქ მინდა დაათარიღოს, —
ხიდს როგორ გადმოვიდოდა
რომ ძმად-ნაფიცი არ იყოს!

სწორედ აქ, სადაც მედგარი
თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
ვაჟას ქალ-ჩოხა არწივი
ებრძოდა გვირგვინიანებს!

ამ მთებში დემონს რა უნდა,
მთებს ჰკითხე. არი? — არაო! —
რა კარგი დარიალი ხარ,
ტიალო დარიალაო!..

ოთია იოსელიანი

# ჯარისკაცი დაბრუნდა

მოთხრობა



## თავი პირველი

სუფთა ცას სერავდა მაზუთიანი ხის და სამკუთხედებად აწყობილი საელმავლო რკინის ბოძები. სატელეფონო ბოძებზე ექვსი თუ თორმეტი მავთული იყო გაბმული.

ერთგან მავთულზე ყვავი იჯდა.

გარეთ უსათუოდ ძლიერი ქარი უბერავდა.

ტაკა-ტუკ, ტაკა-ტუკ.

ქვედა კენტი მავთული ზედას მიუახლოვდა, მერე შიგ შეერია და ერთი სატელეფონო ბოძის მაგიერ ორი აღიმართა. ელმავალმა დაიბუბუნა და ყველაფერი უცებ აირია.

— დაგა-დუგ-დუგ, დაგა-დუგ!

გასახედი გეომეტრიულმა სწორკუთხედ-სამკუთხედებმა დასერეს. ქვევით დაკლებული მდინარე მიედინებოდა.

—დაგა-დუგ, ტაკ-ტაკ-ტუკ!

მავთულებმა მაღალ წყვილ ბოძს გადაუარა ისევ. მერე კენტი ჩვეულებრივ გამოეყო, ერთი მტკაველით ჩამოინაცვლა.

— რას შვები, შე მიწაგასახეთქო! — მოისმა კუპეში და ტკაცანიც გაისმა.

ფანჯრის მაგიდაზე დახრილ ქალს თავი წამოეყო და დაღლილ თვალებში ბრაზი ენთო. იქვე მის ფეხებთან ჩამომჯდარ თორმეტიოდე წლის ბიჭს მარჯვენა ხელის ზურგი აწითლებოდა და, თავდახრილი, შემპარავად უყურებდა დედას. ტომარას თავსაკრავი ჰქონდა გახსნილი.

— მიწა დაგაყარე, შვილო, ხელებზე, მიწა!

ქალმა გადაიწია და ცალი ხელით ბიჭის ფეხებშუა მოქცეულ ტომარას თავი დაუწრიხა.

— ერთი აქ არ ვიყოთ, მე შენ...

ქალის გვერდით მჯდარმა სქელმა მამაკაცმა, თავი რომ საზურგეზე ჰქონდა მიკრული, გამოიხედა, კუპე მოათვალიერა, სკამებსშუა მოქცეულ ტომარაზე დასკუპულ ხმელ ბიჭს შეხედა და თვალები ისევ მილულა.

—დედა არ უნდა გააჯავრო! — თქვა საჩინოს გვერდით მჯდომმა, წინ წაიხარა და თითქოს გაიცინა, მაგრამ არა, ზედა ტუჩი ბუნებით მოკლე ჰქონდა, ისე მოკლე, კბილები უჩანდა: — შენ უკვე

დიდი ბიჭი ხარ! — დაასრულა მან.

ბიჭმა ახლა ჭკუისდამრიგებელს მოხედა.

ქალმა თავსაფარი ჩამოიწია შუბლზე, რაღაცის თქმა დააპირა, ბოლოს ისევ გაჩუმება არჩია.

სიჩუმე ჩამოვარდებოდა, მაგრამ ახლა ჩათქვირებული ქალი ჩაერია საქმეში. საჩინოს არ შეუნიშნავს, როდის ამოვიდა ეს ქალი; იმ ადგილას წვერმოშვებული კაცი ეგულებოდა.

— მე რომ მკითხოთ, შვილი გამწარების მეტი არაფერია.

— აბა კაია?.. — თქვა ბიჭის დედამ.

საზურგეზე თავმიდებულმა ისევ გამოიხედა, მაგრამ ამჯერად მარტო ჩათქვირებულ დედაკაცს შეხედა და თვალები ისევ მილულა.

— ცხრა თვე მუცლითატარე, ღამე უთიე, არ დაგეწვას, ფეხი არ მოტყდეს, ლუკმა არ მოაკლო და... — ჩათქვირებული ქალი მარცხენა ხელით ზედა საწოლის კიდეს მიწვდა: — ათასი გულისხეთქვა, შიში და მერე, თუ კარგად ამყოფა ღმერთმა, ხომ კარგი, თუ არა და ათასი უბედურება..

საჩინოს დედა დიდი ხანია აღარ ჰყავდა.

— ეჰ,—ამოიხვნეშა ბიჭის დედამ,— უბედურების მეტი რაა.

— რატომ, — თქვა ტუჩმოკლემ და სახე მარცხნივ მჯდომისაკენ მიაბრუნა: — შვილი მაინც შვილია.

— შვილი, ჩემო ძამია, შვილია და დედისათვის რა ცეცხლი და ნავთია, ვინ იცის...

საჩინოს არ ჰყავდა დედა, არც მამა; მამა უფრო ადრე გარდაეცვალა, დედა — ომის წინა წელიწადს...

მატარებელი გაჩერდა. ვაგონის ამოსასვლელიდან ხმაური შემოიჭრა. ვილაცა ვიღაცას ეყაყანებოდა, ვიღაც გზას თხოულობდა. ნელა აიდგა ფეხი სადგურის თეთრმა, სვეტებიანმა შენობამ. ახალშემოსულთა ყაყანიც მიწყდა, ალბათ გზა იშოვეს, ან დასაჯდომიც. სამანევრო ორთქლმავალმა ჩაიგრუხუნა და ნახევრად ღია ფანჯარაში ორთქლის თხელი ნაფლეთი შემოვარდა. საჩინო მიეჩვია ორთქლმავლებს, ელმავლებს, ვაგონებს... საერთოდ სადგურებსა და რკინიგზებს, მაგრამ ახლა ეს ორთქლის შემოსვლა მაინც შენიშნა, ალბათ ადრე ფანჯრებს არ აღებდნენ და ორთქლიც არ შემოდიოდა. აქ ფანჯრები ღიაა, მაგრამ თუ მატარებელი დგას, მაინც ცხელა. გარედან ჭირხლიც კი ედო ფანჯრებს

წითელ სახურავებს ზემოთ გადარბოდა სატელეფონო მავთულები.

— უბედურ დედაჩემს, — ამბობდა ჩათქვირებული ქალი: — არ ერჩია სულ არ ჰყოლოდა?..

ყაბალახიანმა ჯიბეების ქექვა დაიწყო.

— დედაჩემისთვის არ დამთავრებულა ომი. მარტო ჩემი ძმებისთვის დამთავრდა. დედაჩემისთვის ახლა იწყება, ყოველდღე თავიდან იწყება...

— ეჰ, — თქვა ბიჭის დედამ.

— მე რომ მკითხოს კაცმა, — დაიწყო ყაბალახიანმა, სათუთუნე გახსნა და დიდხანს მოუნდა მიჯრით ჩალაგებული წვრილი პაპიროსებიდან ერთი ღერის ამოძრობას.

საზურგეზე თავმიბჯენილი, ეტყობა, ისმენდა საუბარს, რადგან ყაბალახიანის პასუხის დაგვიანებაზე თვალები ვიწროდ გაახილა.

— მე რომ მკითხო, ჩემო შვილო, შვილად მერგები, ჩემო ბიძია...

— კი, ბიძია...

პაპიროსს მოუკიდა, თავი გადააქნია.

— მარა ვინ იცის...—ისევ მოწია, უცებ გადაჭრით იუარა: — არ ვიცი, არა!..

საჩინოს მამა დიდიხანია აღარ ჰყავდა.

— მეტი არაა ჩემი მტერი, — თქვა ბიჭის დედამ.

— რატომ, — საქმეში ჩაერია მოკლეტუჩა: — ვინ იცის..

— ცარიელა იმედია, დედებს თუ ჭირდებათ, იმიტომ რომ დედები არიან.

მატარებელი გვირაბში შეძვრა.

— დუმ-დუმ-დუმ! — და სინათლესთან ერთად საუბარიც შეწყდა.

გვირაბი მოკლე გამოდგა.

საზურგეზე თავმიბჯენილს გამოელ-

ვიძა და ზურგსუკნიდან ბალთიანი ტყავის ხმარებით გალესილი ჩანთა გამოიღო, მერე ზანტად ადგა და წავიდა. არაფერი უთქვამს. მარტო ჩათქვირებულ ქალს შეხედა, — ვინმესთვის ხომ უნდა შეეხედა!

მატარებელმა სვლას უკლო და მერე სულ გაჩერდა.

შემხვედრმა, გრძელმა სახალხო მატარებელმა ჩაიგრიალა ფანჯრებთან და მზეს ჩამოეფარა.

კიდევ ორი გაჩერებაღა იყო დარჩენილი, თუ არაფერი შეცვლილა, თუ სადმე გაჩერება არ დაუმატეს. მაგრამ არა, ომის დროს და მერეც დიდხანს, გაჩერებები არ ემატებათ მატარებლებს.

ჰო, ორი გაჩერებაღა დარჩა.

მატარებელი დიდხანს არ დაძრულა. მერე ძლივს აითრია წელი. ერთი გაჩერება ახლოსაა, აქვე, მეორეს კი კარგა ხანს დააგვიანდება. გრძელი გზა აქვს გასავლელი მთებში, მდინარეებზე და ტყეში. ძველი, გრძელი ტყეა გასასვლელი. არსად მოსახლე კი არაა. სოფელიც კი არ ჩანს არსაიდან. ჰო, ერთგან რკინიგზის ქვის სახლია. სახლს იქით არცთუ ისე შორს, ერთადერთი შარაგზა ჭრის ტყეს. იქ თეთრ-ლურჯი შლაგბაუმებია და დარაჯის წითელი ჯიხური. იქედან მატარებლები სვლას უკლებენ. იქედან მოსახვევებია და მატარებლის თვლები ჭრიალს იწყებენ. მარცხნივ, ქვევით ღარის წისქვილია, მერე მთაა გაჩეხილი და მთის მიღმა გრძელი საყანეები გადაიშლება. ნახევარზე მეტს გაივლის ამ საყანეებს მატარებელი და მარჯვნივ რკინიგზიდან სოფელს დაინახავ მაღლა. მატარებელი შეჩერდება რაღაც ერთი წუთით, დადინჯებით ჩამოსვლას ვერც კი მოასწრებ. ჩამოხვალ და მარცხნივ უნდა იარო. რკინიგზიდან მარჯვნივ რომ მაღლა სოფელს დაინახავ, ის საჩინოს სოფელი არის. იქვე ძველი ბოგირია, უზარმაზარ მუხის დირეებზე გადებული. გადაივლი ამ ბოგირს, გაუყვები გზას, ივლი და ივლი, სანამ არ გაათავებ გრძელ ნაყანევს და შორს მაღლა იქნებ ისევ დაინახო სოფელი. საყანეებიდან არა ჩანს, თორემ ზევით სამ-ოთხი სოფელია. სამანქანო შარაგზა მეორე მხრიდან — რაიონის ცენტრიდან, შედის ამ სოფლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლო გაჩერებაზე დიდხანს იდგა მატარებელი. გვერდით ლიანდაგებზე დატვირთული ღია და დალუქული ვაგონები იდგა. განუწყვეტლივ წიოდა ორთქლმავალი და უსტვენდა ამკრები. სადღაც აქ ქარხანას აშენებენ უთუოდ. ამ პატარა სადგურში ასე არ იყო ომამდე.

მატარებელი უკვე თავაწყვეტილი გარბოდა.

ტაკა-ტუკ, დაგა-დუგ!

— შევარცხვინე მისი ქალობა! — თქვა ვიღაცამ კუპეში.

— თავლაფდასხმული! — ჩაიპუტუნა ბიჭის დედამ.

ტყე დაიწყო. მზე ხის კენწეროებზე გადარბოდა, თითქოს ამ ტყეში უნდოდა ჩავარდნა და ხეებს შორის ვერ ჩატეულიყო.

მარჯვნივ ტყე, მარცხნივ ტყე.

ახლა რომ დედა იყოს ცოცხალი...

დიდი ტყეა, მაგრამ მატარებლისათვის რაა, კაცისათვის ფეხითაა ძნელი გასარები, თორემ მატარებელი... რკინიგზელების თეთრ სახლში მგონი არავინ ცხოვრობს, თუ ახლა არავინაა შიგ. აქ გზის რემონტის დროს ცხოვრობენ მუშები. ყველა ხეზე მეტი ამ ტყეში მუხა ხარობს და მაინც არ ჰქვია მუხნარი.

მერე დედის წლისთავი გადაიხადა და ის იყო ისე უთავბოლოოდ დაქორწინდა. ვერ გაუგეს ერთმანეთს, თუ ვერ მოასწრეს, და ამიტომ ხომ არაა, რომ საჩინო ყოველთვის ჰკუით ფიქრობს ცოლზე.

ვერ მოასწრეს. ერთი მუჭა მარილის შეჭმაც არ მოესწროთ ერთად. ობოლი იყო. მამიდებისა და ბიძის კარზე გაზრდილი. მარტოობა მობეზრებული ჰქონდა, საკუთარ თავს აძულებდა მარტოობა.

ამოდენა ტყე გამოუვლიათ. თუმცა მალეა? მზე ჩასულა უკვე, რაღა აკლია. თეთრ-ლურჯი შლაგბაუმი და წითელი ჯიხური.

დედა რომ იყოს ცოცხალი... დედები ყველაფერს გაპატიებენ... არმოსვლასაც?.. კი. თავის თავს არა, თუ არა შენ — კი.

ალბათ მალე მოსახვევი დაიწყება.

ცოლები? ცოლებისა არ იცოდა საჩინომ. სულ რაღაც ერთი მუჭა მარილის შეჭმაც ვერ მოასწრეს. მანამდე ორჯერ თუ სამჯერ ჰყავდა ნანახი. ერთხელ დასაფლავებაზე, ბუღალტრის სიდედრი მოკვდა საჩინოს სოფელში. მეორედ მათ სოფელში კინო გადიოდა. საჩინოს ძმა-ბიჭებმა აიჩემეს წასვლა. აიჩემეს და მგლოვიარე საჩინოც აიყოლიეს. იქ კიდევ ნახა, რაღაც უთხრა, მგონი ჩვენსკენაც გამოიარეო. რატომ, რისთვისო? — მხრები აიწურა ქალმა. საჩინომ ვერ უთხრა რისთვის. და მესამეჯერ ნიშნობაზე.

ახლა დეპეშაც კი არ გამოგზავნა.

გამოეგზავნა? ვინ იცის. ერთი მუჭა მარილი ცოტაა.

დედა არა ჰყავდა საჩინოს.

ვაგონის თვლები ჭრიალებდა, მატარებელი მოსახვევში მიდიოდა.

რა ხანია ომი გათავდა. საჩინოს დააგვიანდა.

დააგვიანდა... სიმართლე არ დაუკარგეს, მაგრამ დრო დაჭირდა, ბევრი დრო დაჭირდა.

და ახლა გამოეგზავნა დეპეშა? წერილი აღარც მოესწრებოდა.

რა არ ნახა, ცეცხლი და ყინვა, მტრის ტყვია და ზურგი, მავთულხლართების შიგნით ცხოვრება, ასჯერ სიკვდილი და მაინც გადარჩენა. აღარაფერი აღარ უკვირს, არც არაფერი უხარია, მაგრამ ცოლთან მაინც დიდი-დიდი ერთი მუჭა მარილი თუ ექნება შეჭმული.

— მე რომ მკითხოს კაცმა, — თქვა ყაბალახიანმა და სათუთუნეს ცერის ყვითელი ფრჩხილი დაუკაკუნა: — არც ქე იქნება მტყუანი...

თავისუფალ ადგილზე დედაბერი ჩამომჯდარიყო, თავგადაკრული თეთრი კალათი მუხლებზე ედგა. ბიჭი ისევ ტომარაზე იჯდა და უხეშ ქსოვილში ამოჩრილ ნასკვებს წყვეტდა ფრჩხილებით.

მატარებელმა პატარა, ჩხრიალა მდინარეზე გადებულ ხიდს გადაუარა. ქვევით ღარის წისქვილი დაპატარავებული ჩანდა. მატარებელმა ლიანდაგის გაპობილ მთას მიაკივლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა გრძელი საყანეები დაიწყებოდა.

საჩინოს სოფლელ კოლმეურნეებს აქ ჰქონდათ საყანეები. ძირითადი მათი მოსავალი ამ გრძელ და ნოყიერ ჭალებსა და მდინარის პირებზე მოდიოდა. თორემ იქ, მთაში, საბოსტნეებად, ხილის ბაღებად და სავენახედ არ ჰყოფნიდათ მიწა.

დაბამბული ჯუბა და დაჩიტული ჩანთა იღლიაში ამოიჩარა. ბიჭი წაიხარა და ტომარაზე გადაბიჯების საშუალება მისცა.

— სინათლე აანთე! — უძახდა ვიღაც გამცილებელს.

არც პასუხი ისმოდა, არც სინათლე ინთებოდა.

ორთქლმავალმა მუხრუჭებში ჰაერი გაუშვა.

ბაქნიდან ოთხი კაცი და ერთი ქალი წინა ვაგონში ავცვივდნენ. მატარებლის წასვლის შემდეგ ერთი პატარა, გალეული ქალის მეტი ბაქანზე არავინ იყო. ქალმა ზედიზედ შეხედა საჩინოს, მერე უკან-უკან წავიდა და როცა ლიანდაგზე გადავიდა, ისევ მოხედა. საჩინომ წვერზე მოისვა ხელი. ოთხი თუ ექვსი დღის გაუპარსავი იყო. ბაქნის შენობაში შევიდა, ჯუბის გარეთა ჯიბეში ჩაყრილი წეკო და გაზეთის ქაღალდი მოძებნა. შუამდე მოსწია მსხვილად შეხვეული პაპიროსი და გარეთ გამოვიდა.

ბინდი ჩამოწოლილიყო, ნისლგარეული. ბოგირამდე აღარ შეჩერებულა, ბოგირთან მწვანე მოლზე ჩამოჯდა და პაპიროსი ისევ გაახვია.

მდინარე ჩხრიალებდა წყნარად. სადღაც ტრაქტორიც გუგუნებდა.

ყანები ჯერ ახალი აღებული თუ იქნება. დიდი-დიდი ერთი თვის. აქედან, ამ ბოგირიდან სულ მათი საყანეებია. ალ-

ბათ ახლა სხვაგვარად ხნავენ, სხვა დროს.

ნამწვი მდინარეში გადააგდო და ბოგირზე ისე გაიარა, თითქოს ეშინია, არ ჩატყდესო. აქედან მარტო საურმე გზა მიდის მის სოფლამდე. წვიმაში მტრიასას — სწორი, ვაკე ადგილებია, ტალახი დგება გზაზე. მათი საყანეები მარჯვნივაა. მარჯვნივ რაც გაშლილი საყანეებია, სულ მათია, მარცხნივ მეზობელი კოლმეურნეობისაა. იმ სოფლიდანაა სწორედ საჩინოს ცოლი.

იქნებ უნდა გაეგებინებინა. წერილი თუ არა, დეპეშა მაინც უნდა გამოეგზავნა.

ერთი მუჭა მარილი ცოტაა...

საურმე გზის პირს დაბალი ბუჩქნარი მისდევს. ნაწვიმარზე სჯობს ბუჩქნარს გადაღმა, ყანის პირზე იარო, მაგრამ ახლა სულერთია. გზის თავში, სულ თავში, ქაცვის მაღალი ხეებია. იქ ფეხშიშველი გავლა ყოველთვის საშიში იყო. იქ ერთხელ მეზობლის გოგოს ტასოს რეზინის საძირეშიც კი გაატანა ქაცვის გრძელმა ეკალმა. ტასო მერე გაიზარდა და გათხოვდა. შემდეგ დედა გარდაეცვალა საჩინოს.

სადღაც ახლოს ტრაქტორი ახროტინდა, აზრიალდა, ბოლოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ გატკაცუნდა და მიყუჩდა.

რა დროს ხვნაა. იქნებ საშემოდგომო პურის თესვა დაიწყეს. პურს ადრე აქ არ თესდნენ, საერთოდ არ თესდნენ, იქნებ ახლა დაიწყეს, მაგრამ მაინც გვიანაა, ჯეჯილი ახლა ამოსული უნდა იყოს.

ნაყანევში ცეცხლი აბრიალდა. აბრიალდა ერთბაშად. ნავთს ან ბენზინს მოუკიდეს. სინათლეზე ტრაქტორის ლანდი აიჩახჩა. ტრაქტორს მაღალი კაცის ჩრდილმა შემოუარა. ჯერ ჩაიჩოქა, მერე ისევ წამოდგა და ცეცხლისაკენ წამოვიდა. ტრაქტორისტი იქნება.

საჩინო გზიდან ყანის პირზე გადავიდა. ვიწრო ბილიკი იყო დარჩენილი ყანის პირზე. დიდი, ღრმა არხი გაევლო ტრაქტორს.

საცალფეხოდ თავისუფლად კმაროდა ბილიკი.

ამ ჩირგვში საჩინომ (მეზობლის გოგოს — ტასოს რომ ფეხში ეკალი შეესო, მასზე ადრე იყო ეს) ჩიტის ბუდე იპოვა. შიგ ორი ნაცრისფერი კვერცხი იდო და მამამ ხელის ხლების ნე[illegible] ყველაზე უფრო ეს და[illegible] მისაგან.

შეჩერდა. ისევ შეახვია წეკო და არხზე გადაახტა.

ცეცხლის პირას ჩაჩოქილი ტრაქტორისტი რაღაც შავ დეტალს ჩაცივებოდა. ფეხის ხმაზე ხელები ჩამოუცვივდა და არ მიუხედავს, ისე დაიღრინა:

— სად ეგდე ამდენ ხანს!

საჩინომ ცეცხლისკენ გადადგა ნაბიჯი, კარგად დამინახოსო. ტრაქტორისტმა მაინც თქვა:

— უკვე აღარ გელოდი, შინ უნდა წავსულიყავ. ბევრი ეძიე წითელი ტურა?

— გამარჯობათ! — თქვა საჩინომ და ცეცხლის ახლოს გაჩერდა.

ტრაქტორისტმა თვალი ააყოლა.

— ჰო, შენ ვინ ყოფილხარ! არ ვიცოდი, ის წითელი ტურა... გაგიმარჯოს! — მერე ისევ ის შავი დეტალი მიიბჯინა ჭიპთან და უცერო მარჯვენათი წვალება დაუწყო.

სუსტმა ნიავმა შავი ბოლი სახეში უხრჩოლა. საჩინომ ტრაქტორისტისაკენ გადაინაცვლა, ნამწვი ცეცხლში შეაგდო და თქვა:

— ხნავთ?

— ვხნავთ! არა, არ ვხნავთ.

— არხები გაგყავთ?

— არხები. ამის... არაფერი არ გამოდის.

— რა ჭირს?

— ძველია, გამოცვლა უნდა, დაიწვა რკინაა.

— გამოცვლა უნდა?

— უნდა, სადაა, რომ უნდა. ნაშუადღევს აქეთაა ვდგავარ. წითელი ტურა...

— ტრაქტორი კოლექტივისაა?

— მტს-ის... ჯანდაბას, არაფერი გამოვა...

ცეცხლმა იკლო. ტრაქტორისტმა გვერდზე გადაგდებულ გატყლეჭილ ვედროში ჩაიხედა.

— მაინც არაფერი არ გამოვა, — ხმა-

ლები ვედროში ჩაჰყო, გვერდზე გადააფერდა. ნავთი ცოტა იყო ვედროში. დეტალი შიგ ჩატოვა და ხელები შარვალზე გაისვ-გამოისვა. ცერი აკლდა ტრაქტორისტს მარჯვენაზე. ალი მიწის პირზე გაწვა და მოლურჯო ფერი გადაიკრა.

— სადაური ხარ?

ტრაქტორისტმა ასანთს გაჰკრა.

— აქაური?

— აქაური...

ტრაქტორისტი უცებ ვედროს დაწვდა. მიმქრალ ალს მიასხა დარჩენილი ნავთი. აჩქარდა, დეტალიც გადააყოლა, მძიმე შავი დეტალი ცეცხლის პირს დაეცა, ფეხით გამოაგდო და საჩინოს შეხედა:

— შქერისელი ხარ?

საჩინოს შქერისელობა უკვირდა ტრაქტორისტს.

— არა, მე თვითონ არა ვარ, ერთი ფრონტელი მეგობარი მყავდა შქერისელი. ისე მეც აქაური ვარ, მაგრამ შქერისელი არა.

— ჰოო, — პაპიროსი მოსწია ტრაქტორისტმა, — მე უკვე ყველას ვიცნობ შქერისელებს.

— აქაური არა ხარ?

— ახლა აქაური მეთქმის.

საჩინომ ჯუბის გარეთა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო.

— აგერ მოსწიე! — ტრაქტორისტმა სიგარეტის კოლოფი გაუწოდა.

— ეს მირჩევნია.

— ტრაქტორს ასე დატოვებ?

— იყოს რა...

ტრაქტორისტს გაუკვირდა საჩინოს შქერისელობა.

— შქერისში ცხოვრობ?

— ვცხოვრობ, აბა რა ვქნა.

ისევ ახალ არხს გადაუარეს.

ღრუბელი ებრძოდა ქარს. „სანამ არ გააწვიმებს, არ ჩადგება“.

ტრაქტორისტი შქერისში ცხოვრობს.

— ტანკისტი იყავით?

— ტანკისტი.

— ახლა შქერისში დასახლდით?

— ცოლი შევირთე...

— „ჩასიძებულა“. ვისზე ჩაესიძა აწი. ვინ იცის, საჩინოს რაღა ახსოვს, სულ ერთი არაა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შქერისელი არა ხართ, აჰ? — იკითხა ტრაქტორისტმა.

— შქერისელი?

— ჰო, ასე არ თქვი? მე არა, ფრონტელი მეგობარი მყავს იქაურიო.

— ჰო, მეგობარიც მყავს...

აღმართი დაიწყო. საყანეები დალეულა. შქერისი ჯერ არაა ახლოს.

სულ აღმართია აწი შქერისამდე. ტრაქტორისტს საფიქრალი გაუჩნდა. ტრაქტორისტი ახლა ტრაქტორზე ფიქრობდა.

არავინ არ იცოდა საჩინოს დაბრუნება. იქნებ ასეც ჯობდა, ვინ იცის. დედა რომ ჰყოლოდა საჩინოს, მაშინაც ასე აჯობებდა? მაგრამ დედა რა ხანია აღარ იყო. საჩინომ ცოლი დატოვა მარტო ოჯახში და წავიდა. ცოლთან ერთი მუჭა მარილის შეჭმაც ვერ მოასწრო.

„თქვენ თქვენს თავზე იფიქრეთ, — წერდა უკანასკნელ წერილში ცოლი, — აქაურობაზე ნუ იდარდებთ“.

— შენი ფრონტელი მეგობარი... — ტრაქტორისტი საჩინოს მეგობარზე ფიქრობდა, — თუ გადარჩა?

— ბევრი დაიღუპა.

— ბევრი დაიღუპა, ბევრი...

ტრაქტორისტი გადარჩა და შქერისში ჩაესიძა. ტრაქტორისტმა არ იცის, რომ საჩინოც შქერისელია. რა ეცოდინება, იგი ომის შემდეგ დაბრუნდა. საჩინო ომის დროს წავიდა და აგერ მეხუთე წელია ომი გათავდა. ალბათ საჩინო ვინც იცოდა, მანაც დაივიწყა, ტრაქტორისტმა რა იცის, ვინაა საჩინო.

ტრაქტორისტს საფიქრალი გაუჩნდა. ომის შემდეგ ადამიანებს ბევრი საფიქრალი აქვთ.

შქერისამდე სულ ასე აღმართია. ჯერ კიდევ არაა ახლოს შქერისი.

შქერისი პატარა სოფელია, ორმოცი მოსახლე ძლივს იყრიდა თავს ომამდე.

— შქერისში ფრონტელ მეგობართან მიდიხარ?

— მივდივარ...

ტრაქტორისტმა განაგრძო:

— მე გეტყვი შენ, — ტრაქტორისტი შეჩერდა, — თუ დაღუპვის ამბავი მოგაქვს, ნურაფერს ნუ ეტყვი. მე არ ვიცი შენ ვისას მიდიხარ, მაგრამ ნუ ეტყვი. მეოთხე წელია ომი გათავდა. იტირეს, ვინც სატირალი იყო. ახლა პატარა დაწყნარდა ხალხი. ვინც დაიჯერა, რომ დაიღუპა, გამოიტირა — ვინც არა, ელის. ელოდოს, ის იქნებ ამით ცხოვრობს და იცხოვროს, კაცო. რომ დაიჯეროს, მოკვდაო, უარესია, კაცს სიცოცხლე უნდა და ელის, იცოცხლოს და ელოდოს.

ტრაქტორისტი გაჩუმდა და გზის გაგრძელება დააპირა, მაგრამ რაღაც მოაგონდა და მოტრიალდა:

— ჩემთან წამოდი, იმ ოჯახს ნუ მიადგები და ნუ ააწიოკებ სოფელს ამაღამ, მარტო იმ ერთის გასაჭირი რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ ყველა შინმოუსვლელის ოჯახი გამწარდება... შენ რა გინდა, ჩემსას წამოდი... ჩემსას ჰქვია... ახლა მე ვცხოვრობ იმ ოჯახში. იქაც დაღუპულა ჯარისკაცი. მისი ოჯახი იყო. გული მტკივა, რომ გამახსენდება. იქ მას უნდა ეცხოვრა და მე ვცხოვრობ, მაგრამ მეორე მხრივ, მეც მართალი ვარ. ჩვენ, ჯარისკაცებმა ვიცით, ერთს რომ გაუვარდება თოფი ხელიდან, მეორემ უნდა აიღოს. თავშესაფარი სხვისი გათხრილია და შიგ მე არ ჩავწვებიო — ეს ჯერ არც ერთ ჯარისკაცს არ უთქვამს... — ტრაქტორისტმა თავი გაიქნია: — რა მექნა, ოთხი ნეკნი მაქვს ამოღებული, მარცხენა მუხლს ამაზე მეტად ვერა ვხრი. ვინმე ახალგაზრდა, რომ შემერთო, ვერ გამიგებდა, ჩემი ტკივილი არ ეტკინებოდა. ავდექი და ჯარისკაცის ქვრივი შევირთე. ბევრი გაჭირვება უნახავს მარტოხელას, გაჭირვების არ შეეშინდება.

— ქმარი?

— ქმარი დაიღუპა. თუ დასაბრუნებელი იყო, ომი რა ხანია გათავდა. დაიღუპა, დაიღუპა. შენ რავა იტყვი, ამდენ ხანს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ხმას არ მოაწვდენდა? მაგრამ ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი წასულია. ახლა მისი დაღუპვის ამბავიც რომ მოიტანო, არაა საჭირო. ყველაფერს ფერფ[illegible]ლი და არაა საჭირო [illegible] დავუწყოთ ქექვა. ვისაც ფრონტი არ უნახავს, მისთვის ძნელი გასაგებია, შენ კი გაიგებ. არ შეიძლება ერთსაუკუნიანი ერთგულება მოითხოვო, ერთ საუკუნეს არ ძლებს ადამიანი. მთელი სიცოცხლე არ უნდა მოთხოვო ადამიანს. ის მთლად მისი წილია და აქედან ცოტა რამ მასაც უნდა დაუტოვო.

საჩინო დუმდა.

— ვთქვათ, მიუტანე ამბავი, რომ დაიღუპა. საბუთებიც, წერილებიც და რაც გინდა. დაიჯერა, რომ მოკვდა. რა ქნას ახლა, უნდა ადგეს და დაიწყოს თავში ცემა, შენ დადგე და უყურო. ვიცი, შენ შენი ვალი მოიხადე, მკვდარს პატრონი გაუჩინე. მერე და ვის რა არგე? მკვდარს! არ დაიჯერო მაგი, დატირებული და დაუტირებელი მკვდარი ორივე მკვდარია, მარტო ცოცხალს მიუმატე ჭირი. მისთვის ხელახლა დაიწყო ომი და უბედურება, ხელახლა ჩააცვი შავი. შენ როგორ გგონია, სადღაც ყველა დაკარგულის პატრონმა იცის, რომ მისი წასული დაიღუპა, იცის, ომი მეჯლისი არაა, მაგრამ სადღაც არ ჯერა, არ ჯერა კი არა, არ უნდა დაიჯეროს. ჰყოფნის თავისი გასაჭირი, თავისი ყრუ ტკივილი ისედაც კლავს, მაგრამ რომ დაიჯეროს, შენ იცი, საზოგადოება თავისას მოითხოვს, ხალხი ყრუ ტკივილებს ვერ ხედავს, ხალხს თვალისიერი უნდა, ხალხს თავისი კანონი აქვს და ამის დაცვას მოითხოვს. შენ ადექი ამ დროს და საზოგადოებას უმტკიცე, რომ დაიღუპა.

საჩინოს ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ბუნდოვნად ესმოდა ტრაქტორისტის სიტყვები.

— მე, ჩემო ძმაო, მესამე კურსიდან მიკრეს თავი პირდაპირ წინა ხაზზე. ოთხ წელიწადში ერთი ღამე არ გამომივა წყნარად ნაძინები. ჩამოვედი და ერთი და ქე გათხოვილა, არა უშავს. მეორე ვიღაც უბედურს გადაყრია. ცოტაა უბედური?! და თოთო ბავშვით დამიხვდა მამაჩემის ერთ თვალ ოდაში. ჩემი

ძმის ოთხი, თავწაუწეველი ობოლი ხომ იყვნენ და იყვნენ. მამამისი ლენინგრადის ბლოკადაში შიმშილით მოკვდა და მის შვილებს მამაჩემისეულ ერთ ქოხს გავუყოფდი? რა მექნა. შემეძლო ყველაფერი თავიდან დამეწყო მე, დაღლილ კაცს? ვერ დავიწყე. ავდექი, ომში ნასწავლი ხელობა გამოვიყენე, წამოვედი აგერ მეორე რაიონში და ტრაქტორზე მოვეწყვე. აღარც სწავლის თავი მქონდა, აღარც სახლკარის შენების. მერე ავდექი და აღარ დავეძიე, რომ ნაქმარევი იყო, არც ის, რომ მაინც ჩასიძებული კაცი მერქმეოდა. დასვენება მინდა, ძილი მინდა, მყუდროება მინდა, ბავშვი მინდა, უენო ბავშვი, ომის ამბავს რომ არ მკითხავს, აქვანს მინდა დავურწიო და დავისვენო. ოთხ წელიწადს ომი კი არა, ოთხ დღეს დროსტარება მოგწყინდება. დავიღალეთ, დავიღალეთ, მე, ჩემი ცოლი, შენ, ჩემი მეზობლები, მთელი სოფელი და ქვეყანა, და დაგვასვენე, ნუ მოგაქვს ამბავი, არ გვინდა, აღარ შეგვიძლია მეტი! ნუ, ნუ გვეუბნები, ნუ გვახსენებ, ნუ გვისხამ ცეცხლზე მდუღარეს. თუ ვიცით რომ დაიღუპა, რად გვინდა შენი დასტური, თუ არ ვიჯერებთ, რა გინდა შენ, რატომ უნდა წაგვართვა ეს იმედი, გვქონდეს იგი ჩვენ. მოლოდინი მაინც იმედისაა და ცრუ იმედი არ ჯობს ჭეშმარიტ უბედურებას?

ტრაქტორისტი გაჩუმდა და ენაჩავარდნილ საჩინოს დააჩერდა ბნელში.

— აჰ, რას იტყვი, მართალი არა ვარ?

— მართალი ხარ! — საჩინო მიხვდა, რომ უნდა დათანხმებოდა.

— ჰოდა, წამოდი, ჩემთან წამოდი, ვისი დაღუპვის ამბავიც იცი, ნუ იტყვი. ნურც მე მეტყვი. შენც დაივიწყე, რად გინდა ამის ცოდნა. ვიცი, იქნებ მომაკვდავმა დაგაბარა... ვიცი, ვინც კვდება, აბა რა ქნას! მოვიდა, დედამ რძე აწოვა, მამამ თავზე უსვა დახეთქილ-დაბზედებული ხელი, ძლივს მოასწრო თვალის გახელა, იქნებ იმ ქალისთვის არც უთქვამს, რომ ბავშვობიდან გულში ედო, იქნებ სიყვარულის გამხელაც ვერ მოასწრო და აგერ ორმოში ჩაკლეს.

საჩინომ თავი უნებურად [illegible] ტრაქტორისტისაკენ.

— და შენ დაგაბარა დედასთან, ისე როგორც ბავშვს გალახავენ და საჩივლელად მშობლებთან გაიქცევა. იმ შავთვალაზე უნდოდა ეთქვა, მაგრამ ვერ გითხრა, მოერიდა. თქვი, კაცო, რისი გერიდება, შენ მოგკლეს, პირდაპირ შუბლში გკრეს ტყვია და მოგკლეს. შენ გიყვარდა, გიყვარდა და ვერ უთხარი, დედასაც ვერ უთხარი, ვერც ახლა თქვი, შეგრცხვა და დახუჭე თვალები.

„დედას უთხარიო“, გითხრა და დამშვიდდა. დედა გაიგებს, იტირებს დედა, მამა იბღავლებს, და შეიცხადებს, ძმა... და ის... ის გაიგებს და ატირდება, კი, კი ატირდება...

— ხომ ეტყვი? — გეკითხება: — მისწერე, მისამართი იცი და მისწერე.

— კი, მივწერ, — პირდები შენ.

ის მოკვდა.

— შენ?

— მე? — საჩინო შეჩერდა. — მე...

— ვერ მივწერე, — თქვა საჩინომ.

არ იცოდა, მოეწერა თუ არა, არც დეპეშა გამოუგზავნა.

— ჰოდა, კარგად მოიქეცი. როგორ გგონია, რომ მოგეწერა, დედა ყურებს აახევდა მკვლელებს? ახლა უფრო დიდ ბომბებს აკეთებენ და არ ცხვენიათ შავთავსაფრიანი ქალების! რომ მოგეწერა, დედას დარდი მოკლავდა. დაბნეული მამა ახალ ვენახს აღარ ჩაუყრიდა. შავთვალამ იფიქრა, არ ვყვარებივარ, თორემ აქამდე ხმას როგორ ვერ მომაწვდენდაო და გათხოვდა. რომ მოგეწერა, შავთვალა არ გათხოვდებოდა.

ახლა?

ტრაქტორისტი შეჩერდა.

შეჩერდა საჩინოც.

— მივსულვართ, — თქვა ტრაქტორისტმა.

— ჰო...

---

ოტია იოსელიანი, ჭარისკაცი დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩავიდეთ.

— აჰ...

— ჩამოდი!..

სარინომ უკან გადადგა ორიოდ ნაბიჯი და ლობეს მიაწვა.

— ჩამოდი, ორი ჭიქა ღვინო დავლიოთ.

— დაილუპა... — თქვა სარინომ.

— შესანდობარი დავლიოთ.

— დალუპულის...

— ჰო, შესანდობარი...

სარინო ლობეს მოცილდა.

— მიხვალ?

სარინო შებრუნდა და უკან გაუყვა. უკან უკვე დაღმართი იყო.

— ღამე, კაცო, სად მიხვალ!

— ღამეა...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი წიგნიდან „ლირიკა"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ მარგიანი

* * *

ნეტავი ვინ მთვლის სიტყვალარიბად?
ჩქარიც ვარ.
    ჩუმიც,
        დაურიდალიც,
რაც მიყვარს, მხოლოდ ის მეყვარება,
მხოლოდ მისით ვარ ქვეყნად მდიდარი.

ო, ნურვინ მკითხავს, რა გამაჩნია,
ამის თქმა ჩემთვის მეტად ძნელია.
ვაჟას ყვავილს რომ ნამი აჩნია,
იქ ჩემი ერთი წვეთი ცრემლია.

ო, ნურვინ მეტყვის მწარე ღიმილით,
რისთვის ვილვწოდი,
        რისთვის დავშვერი.
მეც მქონდა ჩემი გულისტკივილი
და ჩქარი ვიყავ, როგორც ჩანჩქერი.

მეც ჩემი სიტყვა ვთქვი მორიდებით,
არ დავურლვიე სხვას მყუდროება.
არც ურცხვად სხვისი სიტყვით ვმდიდრდები,
ვემსახურები ამ ჩვენს დროებას.

მე არ გავცვითე ზოგიერთივით
ლექსი ტაშის და ვაშას ალმურში,
და, რაც გამაჩნდა გულში კეთილი,
სანთლად ავანთე ამ ჩემს მამულში.

გავჭალარავდი ორომტრიალში,
მამული არის ჩემი ვარსკვლავი.
არც გოგონების ტაშის გრიალში
არ ვისრისები პეპელასავით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ჩემს მამულში ვინ მთვლის ღარიბად?
ჩქარიც ვარ,
    ჩუმიც,
        დაურიდალიც.
რაც მიყვარს, მხოლოდ ის მეყვარება.
მხოლოდ მისით ვარ ქვეყნად მდიდარი.

*———————

## ადრეა, მაგრამ...

ადრეა, მაგრამ
    ანდერძს ვტოვებ,
        იქნებ, ეგების
დამშვიდებულმა
    გავიარო
        ქვეყნის შარაზე.
რა ვიცი, კიდევ
    რამდენ დილას
        შევეგებები,
რამდენი ღამე
    სიზმრიანი
        ფიქრით ამავსებს.

რა გამაჩნია
    საანდერძო,
        ერთი მითხარი
და ვის მოხიბლავს
    ასე მცირე
        ავლადიდება?..
მომებარება
    საუკუნოდ
        გრძელი სიზმარი
და სული ჩემი
    ნიავივით
        გამიფრინდება!

ისეთ საგანძურს
    რას დავტოვებ,
        არსენასავით,
რომ ქვრივ-ობლები
    დამიპურონ
        გვიანობამდე?
ცაზე რამდენ ხანს
    იციმციმებს
        ჩემი ვარსკვლავი
და შვილებს საგზლად
    თუ გაჰყვებათ
        ჩემი ნობათი?

ვიყავ? რა ვიყავ?
    ბეწვის ხიდი
        გადავიარე,
ქვევით უფსკრული
    ქოთქოთებდა
        ათასწლეული.
მე სათითაოდ
    ვიშუშებდი
        მკერდზე იარებს
და სიმღერაში
    გახვეული
        მქონდა სხეული.

ჰო, სიხარულიც
    ბევრი მახსოვს,
        ქარში, ავდარში.
ბაჯაღლო სიტყვით
    სავსე მქონდა
        თითქოს განჯინაც.
სიკვდილთან ახლოს
    ბევრჯერ ვიყავ,
        მაგრამ გადავრჩი
და მხოლოდ შენმა
    სიყვარულმა
        გადამარჩინა.

ადრეა, მაგრამ
    მომიტევე,
        ანდერძს ვიბარებ.
რა ვქნა, ჭირიმე
    არაფერი მაქვს
        დასამალი
და თუ ოდესმე
    შენი თვალი

გამოიდარებს,
გამოგადგება
ჩემი სიტყვის
ტყვია-წამალი.

ოლონდაც ერთს გთხოვ,
დარჩი ასე
ობილი, ნატიფი,
მიუწვდომელი,
ჩემი დარდი,
ჩემი ოცნება.
ის სიყვარულიც
ელვის ცელით
გადანათიბი,
ჯრძნეულ ჩიტივით
ხელის გულზე
გაგიცოცხლდება!

ვიყავ? რა ვიყავ?
ო, ამაზე
ნუ დაფიქრდები.
გაივლის ბევრი
შემოდგომა,
ზაფხულ-ზამთარი.
რა ვუყოთ, ჩემო:
ბევრს უნახავს
თოვლის ფიფქები
შენი მხურვალე
წამწამების
შუქზე დამდნარი.

ადრეა, ანდერძს
რომ ვიბარებ,
ერთობ ადრეა,
ჯერ ბევრი დამრჩა
გასავლელი
აღმართ-დაღმართი.
მე ერთის გარდა
არაფერი
არ მინატრია:
შენს სიყვარულზე
მოგესმინა
ჩემი ლაღადი!
შენი ჭირიმე,
მხოლოდ ერთს გთხოვ,
ნუ გამაწბილებ,
თუ რამე გქონდეს
სინანული,
გულში დამალე.
აბობოქრებულ
სიჭაბუკეს
და სიყმაწვილეს
ველარ დაიტევს,
გენაცვალე,
ჩემი სამარე!

აილე ჩუმად
ჩემი გული,
შუაღამეში.
მოუსვენარი,
გადაღლილი,
ფერმილეული.
თეთნულდის კალთას
მიაბარე
გლოვის გარეშე,
ლილეოს შუქში
და ლაჟვარდში
გამოხვეული.

რომ უსასრულოდ
გრძელდებოდეს
ჩემი სიზმარი...
გემუდარები,
გენაცვალე,
ცრემლი დამალე.
თეთნულდის კალთა
ჩემს ხელთუქმნელ
ძეგლად იქმარე —
ლილეოს შუქში
გახვეული
ჩემი სამარე.

*

## მე მინდა ვიყო შემოდგომა

მე მინდა ვიყო
შემოდგომა
მსუყე და მწიფე.
დამძიმებული
შავი ყურძნით
როგორც ჭრებალო.
მოდი და მაშინ
ჩემი ლექსის
მტევნები კრიფე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაჯანურივით
მშფოთვარევ და
დაუდეგარო.

მე მინდა ვიყო
შემოდგომა
მზეში მცურავი,
ისეთი, როგორც
ჩვენში იცის
მშობელ მხარეში.
ბარაქიანი,
რომ არ ეთქვას
კაცს სამდურავი,
და ტკბილზე ტკბილი,
დაბინდული
ვით ოჯალეში.

მე მინდა ვიყო
შემოდგომა
ჩემი მაღლარით —
ოქტომბრის ბოლოს
დახუნძლული
ფოთლებყვითელი,

რომ ჩიტებივით
მესეოდნენ
სოფლის ბალღები,
შავ-შავ თვალებში
გავსებული
ჰქონდეთ გიდელი,
ჩემი თვალებით,
უთვალავი
ჩემი თვალებით.

მე მინდა ვიყო
შემოდგომა,
გულს რომ უხარის.
მხოლოდ და მხოლოდ
მშობლიური
მზის ქვეშ დამტკბარი.
ჩემს ქებათ-ქებას
გუზგუზებდეს
სოფლად ბუხარი.
სულ ღიღინებდეს,
გუგუნებდეს
მთელი ზამთარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ომარ ჭილაძე

# არაიდილია

თრთის პროსპექტი ჯარით სავსე
და გავცქერი გაოცებით,
გამოუსხამს მწვანე ტანზე,
დატოტვილი ნაღმტყორცნები.

შავ ცხენებში გარეული
ერთი ქლალფაფარა რაში
როკავს, როგორც ადრეული
გაზაფხული ალპანაში.

მწვანე ტანისამოსიდან
რომ მიცქერენ განაზებით,
ხეებივით ამოზრდილან
საზენიტო ზარბაზნები,

და ჯარს მწვანე სამოსიანს —
გამოუწვრთნელს ცხელ ქურაში
კარგად ჯერ არ ამოსვლია
ბალახივით წვერულვაში,

ხელთ უპყრია ცეცხლზე მწველი,
ცელზე მჭრელი იარაღი
და წინ თითქოს გასაცელი
გადაშლოდეს იალაღი.

მწვანე კოშკებს ამზეურებს
მზე ჯავშანზე ანთებული,
ნედლი თივით სავსე ურმებს
ჰგავს სატანკო ათეული.

მწვანე პროსპექტს ძლევის მარშით
მისდევს სოფლის იდილია,
ნეტავ ახლა ვიყო ბავშვი,
ფოტოგრაფთან ალპანაში
შემკრთალს როცა მიკივლია...
არ ვიცოდე, ზარბაზანში,
როგორც ფოტოაპარატში
ჩიტი ზის თუ სიკვდილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კახეთში

*ჟორა ზამბახიძეს*

ამ ნათელ გზებზე
„ვოლგა“ გავხედნეთ,
მიქრის და მიქრის
თავაწყვეტილი.
ამ ლექსის ბარტყი —
„რთველი კახეთში“,
წინ აგვიფრინდა
უკვე მტრედივით.

ვხედავთ, ზეცამდე
აწვდილ ალავერდს,
და იმის ჩრდილში
დამცხრალ ალაზანს.
თელავს — ერეკლეს
მწუხრის სავანეს,
ნადიკვარს —
ტორზე შემდგარ ავაზას.

გული, ვარდისფერ
ცის ცქერით დადნა.
მიწა ბადაგის
ჩინჩხლებით მღერის,
მივდევთ და გარბის
სილნალი მაღლა,
ქვევით გრუხუნებს
მიწაში გრემი.

ვაზი გვგონია,
ქალი გრძნეული.
ღვინო კი გვახვევს
ოცნების ალში.
კალთას იბერტყავს
ნაფარეული,
და მთვარე წვება
წინანდლის ბაღში...

***

დუმს და კამკამებს შავი ზღვა ახლა,
დაპურებული და მზენასვამი.
მაგრამ უეცრად მომსკდარი ტალღა,
გამოერევა ჰალარასავით.

ქავლად გაჰყვება ის თეთრი ზოლი,
აიქოჩრება ზვირთთა დგაფუნით.
მოდის, მობლავის ხომალდი შორით,
და იკარწახებს მკლავს ნავსადგური...

## ჩვენს უკითხავად...

ასე ყოფილა, ასეც იქნება,
დღე ღამეს შეცვლის ყოველ ცისმარე.
დე, შენი გული ნუ შეიცვლება,
დე, ნუ ახდება ცუდად სიზმარი.

ნუ მიიჩქარი, როგორც ირემი,
დაგეწიე და ვერა გითხარ-რა.
წინ კი მიდიან ჩვენი ჩრდილები,
გაცნობილები ჩვენს უკითხავად...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ რაჭიანი



გაიოზი ზედა საწოლზე იწვა, არ ეძინებოდა, ქვეშაგები არ ჰქონდა. გვიანი იყო. ვაგონში ცხელოდა. გაიოზი სტუმრად იყო გუდაუთაში და ახლა თბილისში ბრუნდებოდა. ხვალ დილით ლექციებზე უნდა წასულიყო.

ვაგონში ბევრი ხალხი იყო. ზოგს ეძინა, ზოგს არა. გაიოზის გვერდით ზედა საწოლი თავისუფალი იყო.

საათზე მეტია გაიოზი თვლემს და ძილი არ ეკიდება. უკვე გვიანია და ვაგონს მხოლოდ სუსტი ნათურები ანათებენ. ბორბლების ერთფეროვანი რაკუნი ძილის მომგვრელია. მაგრამ გაიოზს მაინც არ ეძინება. პიჯაკი თავთან უკიდია. ჯიბეში ცოტაოდენი ფული აქვს და საათი. საათი თვითონვე შეიხსნა, რომ სხვა არ შეწუხებულიყო ამ „სამსახურით". გაიოზი ბევრს ეწეოდა. სარკმელი ოდნავ გაეღო და ცივი ქარი აუჩინარებდა ბოლს.

საღლაც, სოხუმთან გვერდით საწოლსაც გაუჩნდა პატრონი. ტანმორჩილი, ახალგაზრდა ქალი იყო, თავზე შავი შალი ჰქონდა მოხვეული. სადად ეცვა. ვაგონის მკრთალ სინათლეზე ნაზად ჩანდა მისი პირისახე და ზევით აპრეხილი ცხვირი.

ქალმა გაუბედავად შეავლო თვალი გაიოზს და სთხოვა, საწოლი ჩამომიშალეო. მერე ქვეშაგები მოატანინა და გაშალა. თვალი მოავლო მგზავრებს და როცა გაიოზს შეხედა, მაღლა ასვლა გადაიფიქრა. გაიოზი სიბნელეს დააცქერდა სარკმლის იქით. ქალი ავიდა საწოლზე. ფეხებზე ზეწარი წაიფარა და გა-

იზს სთხოვა, სარკმელი მიხურეთო. გაიოზმა მიხურა. ქალი გულაღმა დაწვა და თვალები დახუჭა. ირხეოდა ვაგონი და ვაგონთან ერთად ქალის სავსე მკერდიც ირხეოდა. გაიოზი თვალს არ აცილებდა. ქალმა გაიოზს შეხედა.

— არ მეძინება, — თქვა გაიოზმა.

— არც მე... მცხელა. — უპასუხა ქალმა.

— ჰო, ცხელა და ისედაც არ მეძინება. — გაიმეორა გაიოზმა.

ქალმა გაიოზს ბალიში გაუწოდა. გაიოზი უარზე იყო. მერე მადლობა გადაუხადა და გამოართვა. მაინც ვერ მოისვენა. ისევ ქალს დაუწყო ყურება. ქალმაც გაახილა თვალი.

— კიდევ არ გეძინება? — ჰკითხა ქალმა.

— შენც ხომ არ გეძინება. — უპასუხა გაიოზმა და თვალებში შეხედა.

— ახლა გვიანია, დავიძინოთ. — ქალმა ჩაიღიმა. — აი, ეს შალი დაიგე.

— არ მინდა.

— გამომართვი, ნუ გეხათრება.

გაიოზმა გამოართვა. ახლა ფიცარი ისე მაგარი აღარ იყო. თუმცა ამას გაიოზისათვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

„ნეტა ვინ არის ეს ლამაზი გოგო! — გაიფიქრა გაიოზმა. — შავები კი აცვია, მაგრამ ქვრივს რომ არა ჰგავს?

— ცოტა შევაღოთ სარკმელი, — გაისმა ქალის ხმა.

გაიოზმა გააღო. მერე სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა.

— დაიძინე, რა დროს პაპიროსია. — გაუთამამდა ქალი.

— არ მეძინება. — გაიოზმა ისევ თვალებში შეხედა და გაუღიმა.

ქალი უსიტყვოდ კედლისაკენ შებრუნდა. გაიოზმა თვალი შეავლო მის ლამაზ თეძოებს.

„ნეტავ რას ჩამაცივდა. დაიძინე, დაიძინეო! იქნებ...

და გაიოზი უცებ გამოფხიზლდა. პიჯაკს შეხედა, მერე ქალს. ქალი ისევ ზურგით იწვა მისკენ.

„ან იქნებ მოვეწონე. შეარშიყება?!

გაიოზმა სარკმელი ფართოდ გააღო. ქალი გადმობრუნდა.

— ბოდიში. ცხელა...

— არაფერია ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნეტა რომელი საათია? — გაიოზმა პიჯაკის ჯიბიდან საათი ამოიღო.

— რომელია? — ჰკითხა ქალმა.

— სამის ოცი წუთია. — საათი ისევ ჯიბეში ჩაიდო: — ღამე მაწუხებს ხელზე, — დაუმატა ღიმილით.

— დაიძინე და აღარ შეგაწუხებს...

— ვეცდები. — გაიოზმა თავი მოიმძინარა, თან ხელი ისე ვაშალა, რომ პიჯაკი ახლო ჰქონოდა.

— ეგრე ხელი გეტკინება. — მოულოდნელად უთხრა ქალმა და მაჯაზე ხელი ოდნავ შეახო.

— მაინც არ მეძინება. ეს რა უბედურებაა.

მერე თვითონაც ხელი გადაჰყო და ქალს მკლავზე მოეფერა. ქალმა ალერსითვე უპასუხა.

— ჩავიდეთ დაბლა. — უთხრა გაიოზმა.

— რას ამბობ! დაგვინახავენ...

გაიოზს არ ესიამოვნა ეს უეცარი „დაგვინახავენო“, თუმცა ამ სიტყვამ იგი უფრო გაალიზიანა...

— ჩავიდეთ! მაინც არ გვეძინება...

— არის დაბლა თავისუფალი ადგილი?

— მოვნახავთ!

— ამდენ ხალხში!

გაიოზი გაჩუმდა, ხელი ისევ ქალის მხარზე ედო. ქალიც ჩუმად იყო. მისი სიჩუმე გაიოზს საოცრად აღელვებდა. ისევ მოეფერა ვაჟი განაბულ ქალს... უცებ ხელში რაღაც შეკვრა მოჰყვა. ქალის უბეში რა შეკვრა უნდა ყოფილიყო! უსიამოვნო გრძნობამ თავიდან ფეხამდე დაუარა. უნებურად გაახსენდა ყურმოკრული... „ალბათ ესაა“... — გაიფიქრა, ხელი გაუშვა და ჰკითხა...

— სად მიდიხარ?

— თბილისში, საყიდლებზე. — მიუგო ქალმა.

---

**ზურაბ რატიანი**

**უარი**

— რა გინდა, რომ იყიდო?

— ვიყიდი რამე-რუმეს, რაც ჩვენთან არ იშოვება... ფული ბევრი არა მაქვს, სულ ხუთასი მანეთია, — სთქვა ქალმა და უბეზე ხელი მოიკიდა.

„აი თურმე რა ყოფილა...“ — გაიფიქრა გაიოზმა. — ახალ ფულზე?

— აბა რა! — და ქალმა უბიდან დაკეცილი წითელი თუმნიანები ამოიღო. ნელა, წამლერებით გადათვალა და ისევ უბეში ჩაიდო.

— ვითომ წელან ვერ შეამჩნიე ფული...

„ერიჰაა, ახლა მე მომნათლა ქურდად. — გაიფიქრა გაიოზმა. — მაგრამ ისევ ასე სჯობია.

ქალი კი განაგრძობდა:

— თავიდან ცოტა შევფიქრიანდი, მაგრამ... კეთილი ბიჭი სჩანხარ. თბილისში პირველად მივდივარ. ქალაქს არ ვიცნობ, იყავი ჩემი გიდი. მაჩვენე თქვენი ქალაქი. სასტუმროში ნაცნობი გყავს? კარგი ნომერი მინდა ვიშოვო!..

„ეგლა მაკლია, შენ გდიო თბილისში...“ — გაიფიქრა გაიოზმა.

— მე მყავდა ერთი ბიჭი. ისიც ლამაზი იყო. ის ახლა ზის. ორი წელი დარჩა კიდევ. დავუცდი. მანამდე ბევრ ფულს დავაგროვებ... — ქალი შეჩერდა, თითქოს სწონიდა, ეთქვა თუ არა. ბოლოს სთქვა: — მაგრამ თუ შენისთანა ბიჭი შემხვდა...

ქალმა თმებში ხელი შეუცურა და:

— ციხეში ხომ არ მჯდარხარ, ბიჭო! როგორ გადაგიხოტრია თავი!

„ესეც შენი მოდა!“ — მწარედ გაიფიქრა გაიოზმა.

— არა, ეს ისე მაქვს.

— ჩემი ნუ გეხათრება, მე ხომ ყველაფერი გითხარი.

— ჩავიდეთ დაბლა. ჰო, მართლა, რა გქვია?

— მარინა.

— მე — გაიოზი.

გაიოზი დაბლა ჩავიდა.

— მარინა, ჩამოდი.

გაიოზმა ხელი შეაშველა და მარინა ჩამოვიდა.



— თბილისში სულ ერთად ვიაროთ! კარგი?

ისევ გაკენწლა გულში გაიოზს: „თბილისში კი არა...“ მერე თავის თავზე გაბრაზდა, ქალს ხ[illegible] მიიკრა. ის არ ეწინააღმდეგებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიოზს ისევ ჩაკეცილ თუმნიანებზე მოუხვდა ხელი.

— დიდხანს აგროვებდი?

— რას?! — გაკვირვებით ჰკითხა ქალმა.

— ამას! — და გაიოზმა შეკვრას წკიპურტი წაჰკრა.

ქალს გაეცინა. — რა არიფივით მეკითხები..

გაიოზს არც ის უნდოდა, ქალს ასე გულუბრყვილო კაცი ჰგონებოდა და იმ წამს პირქუშად ჩაჰკითხა:

— არა, ისე მაინც?..

— ერთმა ნათესავმა მოსკოვიდან გერმანული ავეჯი გამომიგზავნა. გავყიდე. თავნი დავუბრუნე და ცოტა მოგება დამრჩა.

— ნათესავმა?!

— ჰო, ჩემი მოკეთეა, დიდ პატივს მცემს ხოლმე, როცა ჩავდივარ. სამაგიეროდ არც მე ვრჩები ვალში, აქედან ათას რამეს ვუგზავნი. — და ქალმა ისევ ჩაიცინა: — შენ, მგონი, მართლა არიფი ხარ..

განთიადისას ორივეს ჩასთვლიმა. ალბათ საათი თუ ეძინათ ან ორი.

— თბილისში შევდივართ. მოემზადეთ! — ჩაიარა გამყოლმა.

„რა ეშმაკად ავიკიდე!. რა მოიშორებს ახლა ამას. არ გავცემ ხმას, მაგრამ ამ კაჭკაჭის გაჩუმება არ გინდა!“

— მაინც ჩაგვეძინა. — ნამძინარევი ხმით უთხრა ქალმა.

— მე არ მძინებია. — უთხრა გაიოზმა თვითონაც არ იცოდა, რატომ ცრუობდა.

— შენი ბრალია. წუხელი ორივე გავწვალდით...

გაიოზმა არაფერი უპასუხა.

არ უნდოდა ქალს ისევ გაება მასლაათი. მაგრამ წუხანდელის შემდეგ უცბად მოშორება უხერხულად მიიჩნია. ვერაფერი ლამაზი, ვაჟკაცური საქცი-

გლი იქნებოდა. მატარებელი კი აგერ-აგერ შევიდოდა თბილისში, უკვე გას-ცდა ავჭალას. ქალს აშკარად თვალს არიდებდა.

ქალი ამასობაში საპირფარეშოსაკენ გაეშურა.

გაიოზმა ტამბურში გასვლა დააპირა, მაგრამ მერე გადაიფიქრა, გაქცევა გა-მოვა, სამარცხვინო, ლაჩრული გაქცე-ვაო.

პირდაბანილი ქალი კოხტად გამოი-ყურებოდა.

გაიოზმა ხმა არ გასცა.

ქალმა თვალებში შეხედა. გაიოზმა თავს ძალა დაატანა და ფანჯრისაკენ მიტრიალდა.

— ჩემოდანი ჩამომიღე. — მიმართა ქალმა. ჩემოდანი მაინც ჩამომიღეო, ისე გაისმა.

გაიოზმა უსიტყვოდ ჩამოუღო.

— გმადლობთ. — თქვა ქალმა, ცა-ვად, გულმოსულად. მერე გაჩუმდა.

გაიოზი სიგარეტს ეწეოდა და სარკ-მელში დაჟინებით იცქირებოდა, თით-ქოს თბილისის სანახებს პირველად ხე-დავდა.

მატარებელი გაჩერდა.

— მოვედით. ნახვამდის. — უთხრა ქალმა გაბზარული ხმით. — ცოტაზე მაინც არ გამაცილებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მშვიდობით. — ძლივს ამოთქვა სი-ტყვა გაიოზმა.

ქალს კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გაიოზი ისევ გარეთ იყურე-ბოდა. ქალმა ჩემოდანი აიღო და კარისაკენ შებრუნდა. უმალვე შემოტ-რიალდა... და გაიოზის ნაღვლიან თვა-ლებს წააწყდა.

— ასეთი რა დაგიშავე!. — ჩუმად უთხრა ქალმა და გატრიალდა... წავიდა.

გაიოზი მატარებლიდან ყველაზე ბო-ლოს ჩავიდა. ნელი ნაბიჯით დაეშვა ქა-ლაქში გასასვლელი გვირაბის კიბეზე. მას არ შეუმჩნევია კიბის კუთხეში მდგარი ქალი. ვერც ქალმა დაინახა გა-იოზი. ქალი ტიროდა. ვიღაცეები შემო-ხვეოდნენ, ამშვიდებდნენ, ეკითხებოდ-ნენ:

— გაგქურდეს? დაჰკარგე რამე? რა მოგივიდა!

— არაფერი... არაფერი! — ტიროდა ქალი და პირისახეს თავშალში მალავდა.

---

ზურაბ რატიანი

უარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შოთა ნიშნიანიძე

***

ვეფხვის ერთი ნახტომი,
ერთი გულისძგერა,
ორბის ერთი კამარა,
ერთი სუფრისხელა,

ერთი დედაშვილობა
ერთი ფიქრი ჩემი,
ერთადერთი ჭრილობა,
ერთადერთი ცრემლი;

მზემ რო ამოსუტა,
ცამ რო გამოკვესა,
ერთი ამოსუნთქვა,
ერთი ამოკვნესა,

ერთადერთი სიტურფე,
ერთადერთი სიბრძნე,
ერთადერთი სიმღერა
ცისარტყელას სიგრძე.

სიცოცხლეს რომ მიადვილებს
თავს წყალობად დამდგარი,
ერთადერთი სინამდვილე,
ერთადერთი ზღაპარი.

ერთადერთი ვენახი
ჟამით აუკაფავი,
ერთადერთი აკვანი,
ერთადერთი საფლავი;

ერთი მზე და ერთი მთვარე
ერთი მუჭა მიწა —
მიმიღია საქართველო
ანდერძად და ფიცად!

ნამგალო და ურმის ფერსო
გზა ნაგზაურს, ფერი ფერსო.

მოგვე კარგი ტაროსი:
რძედ ჩადექი ტაროში.
ტყეს მიეცი ფურცელი
ვენახს მწიფე ყურძენი,
თევზს მიეცი ქვირითი,
მიწას მიეც თესლით,
სადაც კაი ბიჭია
ჩემს ქალს შემოეძლიოს.

***

დაებურე ზამბახად
ქალის მკერდს და კვირისტავს,
ქვებზე იაბრეშუმე
ბალახების გვირისტად.
ზამთარი და ზაფხული
ვარდობა და შინდობა,
ომი ჰქონდეთ ქვევრებსა,
ქვევრის დამცლელს მშვიდობა.

ნამგალო და ურმის ფერსო
გზა ნაგზაურს, ფერი ფერსო.

*

***

ატოტილი,
ირიბი,
რატომ ტირის
ტირიფი?

მთელი წელიწადია
გაღმა გასვლა სწადია.

ასეთივე პატარა,
ასეთივე ირიბი
იქ, მეორე ნაპირზე
სწუხს მეორე ტირიფი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთერ სახვაძე

## საინგილოს გზაზე

რას სჩადი, კატეხისწყალო,
რაღა დროს ეგეებია,
არც მე ვარ ოცი წლის ქალი,
შენც თმები შეგთეთრებია,
რა დროს ხვევნა და კოცნაა,
ქვეყანა მოგვჩერებია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სულხან აბდალაძე

# დარაჯის სიკვდილი

ბალახი ისევ ანთია ცვარად,
მიწის სიმწვანე ასულა ცამდე.
ის წუხელ უცებ გარდაიცვალა,
დალია სული და შეიცხადეს.

მწუხარე ფიქრი შორს გამიტაცებს
პეპელასავით ფრთებს ახლის მინას...
რა დააყუჩებს მეზობლის კაცებს —
ო, რა თბილ გულზე ადებენ ყინვას.

ჩემი ბავშვობაც უცებ გათავდა,
მოხუცს ცრემლივით დაეცა გულზე...
გათავდა, როგორ უცებ გათავდა,
გზაზე მის ფერმკრთალ ნაფეხურს
ვუმზერ...

და წინ იშლება უცნობი სივრცე...
მაგრამ მგონია, ახალ ფრთებს ისხამ...

სკოლაში ზარებს რეკავენ ისევ,
სულ სხვაა,
დარაჯს თან გაჰყვა ის ხმაც.

ვწუხვარ, რომ ველარ გაახვევს თუთუნს,
რომ სამუდამოდ ჩაჰქრა, გამშორდა.....
აღარ ამავსებს ალერსით, ნუთუ
არ გამახსენებს ჩემს ტკბილ ბავშვობას.

აბა ვარამი ვინ დააგუბოს,
თუ გულში მისი არ არის ტევა.
მოწაფეებმა ასწიეს კუბო
და გაუკვირდათ მუხლების ტკენა.

მიაქვთ კუბო და არ გრძნობენ დაღლას,
მარტის მზით არის მიწა დამბალი.
ის მიდის ახლა ყველაზე მაღლა,
წინათ ამ გზაზე სჩანდა დაბალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გურამ დოჩანაშვილი



საღამო სწორედ ისეთი იყო, ჩვენ რომ გვიყვარდა.

დავდიოდით წყნარ ქუჩებში — ვაბიჯებდით ხეებისა და ფოთლების ჩრდილებს. განათებულ ფანჯრებისკენ მზერას ვაპარებდით. სასიამოვნო სიჩუმეში მხოლოდ ჩვენი ნაბიჯების ხმა გვესმოდა. ხმა გვსიამოვნებდა, არ ვიცი რატომ... იქნებ იმიტომ, რომ ის ჩვენი ნაბიჯების ხმა იყო.

სასიამოვნო სიჩუმე იდგა. ჩუმად მივდიოდით, ლაპარაკს რომ არ დაეფარა ნაბიჯების ხმა.

მერე ერთი სახლიდან როიალის ხმა მოგვესმა. ნელა, ძალიან ნელა გავცდით სახლს.

— უცნაურია, — თქვა ნუგზარმა: — მეორედ აქ რომ გამოვივლი, გული დამწყდება, როიალის ხმას თუ ვერ გავიგონებ.

არაფერი ვუთხარი, ან რა უნდა მეთქვა.

— შენ? — მკითხა ნუგზარმა.

— ხო, მეც...

— იცი, მე ზოგიერთ ქუჩაზე ხშირად დავდივარ. ერთ ქუჩაზე ვცხოვრობ, მეორეზე ვსწავლობ, მესამე უბრალოდ მომწონს... და დავდივარ. იმ ქუჩაზეც ხშირად ვარ...

— რომელზე?

— ის რომ ცხოვრობს. იმ ქუჩას კარგად ვიცნობ. მივდივარ — და ყველა ფანჯარა ნაცნობია. მივეჩვიე, ერთ ფანჯრიდან სიმღერა ისმის, მეორეში — ნაცნობი ნახატი ჩანს. მივდივარ ნაცნობ ქუჩაში და ყოველი ფანჯრიდან მოველი იმის მოსმენას ან დანახვას, რასაც მივეჩვიე. ხანდახან მიკვირს, რატომ არ ისმის სიმღერა. ჩემი სახლის წინაც დადიან ალბათ სხვები და ესმით... არა, ის ხმა არავის არ სიამოვნებს. არავის, გარდა თვითონ დამკვრელისა და იმისა, ვინც იცის, რაშია საქმე.

— რაა ეგეთი? — ვკითხე.

— ჩამოვჯდეთ და მოგიყვები.

რომელიღაც სახლის კიბეზე ჩამოვჯექით.

— ის ჩემი მეზობელია, — დაიწყო ნუგზარმა: — გიორგი ჰქვია. მთელი მეზობლები გადაკიდებული ჰყავდა, უფრო სწორად, გაღიზიანებული. ალბათ იმიტომ, რომ იმ საკრავზე უკრავდა.

— რომელზე? — ვკითხე.

— ტუჩის გარმონზე უკრავდა. რა-

ტომლაც ყოველთვის ვბრაზდებოდით, როცა ის უკრავდა. რაღა რატომღაც — წარმოიდგინე ტუჩის გარმონზე გაუთავებელი დაკვრა. ამ საკრავის ხმას მეზობლები სხვადასხვანაირად ვეძახდით — ზოგი წრიპინს, ზოგი — ჩხავილს, ზოგიც — წრუპუნს... უფრო ეს სიტყვა მიგვაჩნდა შესაფერისად — წრუპუნი... რაღაც სხვანაირად უკრავდა. ეს კი იყო, ყოველთვის ნაღვლიან რამეს ირჩევდა.

ეზოში მეორე მუსიკოსიც გვყავდა, ნამდვილი მუსიკოსი, როიალზე უკრავდა. იმაზე კი არავინ ბრაზობდა — ნამდვილი მუსიკოსი იყო. თანაც როიალი... ზოგს მართლა უყვარდა როიალის ხმა, ზოგს არა, მაგრამ ხმამაღლა ვერაფერს ამბობდა, რადგან იცოდა, რომ როიალი აღიარებული საკრავი იყო. ტუჩის გარმონი კი!.. ამიტომ ყველა თამამად დასცინოდა და უჩიოდა გიორგის „გაუთავებელ წრუპუნს“. სიმართლე უნდა ითქვას, იგი დიდხანს არ უკრავდა. როიალის ხმის გაგონებაზე ხომ მაშინვე შესწყვეტდა დაკვრას. როიალი რომ მიჩუმდებოდა, მერე ისევ მორიდებულად ამოიღებდა ხმას ტუჩის გარმონი. მეზობლები ამბობდნენ, გიორგიმ საქმე გააჭირა, ყურები წაიღოო, „საშველი აღარაა, ბატონო“!

ერთხელ ერთმა მეზობელმა, რომელსაც როიალიც სძულდა და საერთოდ დიდი უკმეხი ვიღაც იყო, ეზოში შემოსვლისთანავე გაიგონა ტუჩის გარმონის ხმა. „შენ ეი, მუსიკოსო!“ — დაიღრიალა მან. ფანჯარაში გიორგი გამოჩნდა: — „რა გნებავთ?“ „გააჩერე, ნუ წაიღე ყურები“. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა გიორგის პირში ეუბნებოდნენ საყვედურს. „რას გიშლით“? — ჰკითხა გიორგიმ. „როგორ თუ რას... აღარაა მოსვენება“. მეზობელი ცოტა მთვრალიც იყო. „კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ორ გარმონზე ერთად დაუკრავდი“, — თქვა მეზობელმა და მიმოიხედა — ნახეთ რა ენამოსწრებული ვარო! „ერთი ხელითაც შემიძლია ორი გარმონის დაჭერა“, — სცადა ხუმრობა გიორგიმაც. „კიდევ კარგი, რომ მეორე ხელი არა გაქვს, თორემ ოთხი გარმონით დაუკრავდი“, — დაიყვირა მეზობელმა, ნათქვამი მოეწონა და [illegible] გამოიხედა. პირველად ზოგს [illegible] ხუმრობა, ზოგს არა. ცოტახნის შემდეგ აღარავის მოსწონდა, მთქმელსაც კი. გიორგიმ აღარაფერი თქვა. მიტრიალდა და ფანჯარა მიიხურა.

იმ დღეს მისი საკრავის ხმა არ გაგვიგონია. უცნაურია, მაგრამ მთელი დღე გარმონის ხმას ველოდი. თითქოს რაღაც დანაშაული ჩავიდინე. დახურულ ფანჯარას ვუყურებდი და ვწრიალებდი. მერე არ ვიცი, რამ გადამაწყვეტინა. ავედი და კარზე მორიდებით დავუკაკუნე. კარი გიორგიმ გამიღო. არაფერი მითქვამს, ოთახში შევედი და სკამზე ჩამოვჯექი. ცოტახანს ჩუმად ვიყავით. დუმილი რომ აუტანელი გახდა, ვთხოვე:

— დაუკარით რამე, ძია გიორგი...

ჩემივე ხმა მეუცნაურა.

— არ მეგონა, თუ გაწუხებდით, — თქვა მან.

თხოვნა გავუმეორე.

— ომში წასვლამდე, — თქვა გიორგიმ ჩუმად: — როიალზე ვუკრავდი...

მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. მერე გიორგიმ მკითხა:

— მართლა გინდათ, რომ დავუკრა?

ისე მიყურებდა, ვერაფერი ვუთხარი, თავი დავუქნიე: ჰო-მეთქი..

— რომ არ დავუკრა, არ შემიძლია, — გიორგი თითქოს ბოდიშს იხდიდა: არ შემიძლიაო.

მერე ტუჩის გარმონს გადახედა:

— ეს ერთადერთი საკრავია, რომელზედაც ცალხელა კაცს დაკვრა შეუძლია...

— დაუკარით, — გავიმეორე, რადგან ვიგრძენი, რომ ამ სიტყვის გაგონება უნდოდა.

გიორგიმ საკრავი აიღო და ტუჩთან მიიტანა. გაუბედავად დაიწყო დაკვრა, თან მე მიყურებდა. მერე კისერზე დიდი

ძარღვი დაებერა. სიმღერაც გადიდდა, გადიდდა და გალამაზდა. პირდაღებული ვუსმენდი — ასეთი რამ ჯერ არ გამეგონა. ეს იყო უსიტყვო, ნაღვლიანი სიმღერა, რომელიც ოთახში ველარ ეტეოდა. ავდექი და ფანჯარა გავაღე, თითქოს მინდოდა სიმღერა ქვეყანას გაეგონა.

ნუგზარი ცოტახანს გაჩუმდა, მერე დაუმატა:

— ახლა, როდესაც შინ ვბრუნდები, თითქოს შორიდანვე მესმის, რასაც მოველი და მსიამოვნებს — ტუჩის გარმონის ხმა...

— ახლაც უკრავს, ნუგზარ, [illegible] მე...

—ალბათ. იმ დღეს შინ ვბრუნდებოდი. ნელა მივდიოდი და ვუსტვენდი... არ ვიცოდი, რას ვუსტვენდი, თითქოს ვილაცისაგან გამეგონა. მერე დავაკვირდი და გამახსენდა... ეს იყო მისი უსიტყვო, ნაღვლიანი სიმღერა...

ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გენაძე



ნინომ ეზოს ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და ორღობეში გავიდა. ჭიშკარი გადაურაზავი დატოვა.

ორღობემ თავისი სუნი შემოაგება, ნახირის ნაკვალევისა და სველი მიწისა. ღამის ნიავს ეს მკვეთრი სუნი შეენელებინა, სულ კი ვერ გაექრო. მალე ამ სუნს საიდანღაც პურის სურნელი შემოერია, ვიღაც თონეში აცხობდა.

ნინო ვერც ორღობის სუნმა შეაწუხა, ვერც ახალი პურის სურნელმა დაატკბო — შეჩვეული იყო ორივეს.

შიშველ გორაკზე ავიდა, იქაურობა შემოათვალიერა და გზას თავჩაქინდრული გაუყვა. სოფლის ზემოთ გაჭრილი სამანქანო გზა ისე გადაიარა, არავინ შემოხვედრია. იქნებ შემოხვდა კიდეც? არა, არა! რომ ვინმე შემოხვედროდა, უსალმოდ ხომ არ ჩაუვლიდა? უკან მოიხედა, თითქოს თავის ვარაუდს ამოწმებსო. ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. სდუმდა გზა.

„თანდათან ილევა სოფელი. თორემ წინათ, ისიც ამ დროს, გზას უკაცრიელს ვინ ნახავდა?“

ნინოს გულზე რაღაცამ უჩხვლიტა, მხარზე მოგდებული თალხი შალი გაისწორა, მკერდზე შემოიფინა და მკლავები შიგ შემალა, მერე ისე მოუჩქარა ნაბიჯს, თითქოს სურს ამ ცარიელ გზას რაც შეიძლება მალე გაექცესო.

სოფელს რომ გასცდა, ბატებს დაეწია, ისინი უნიათოდ მიღერღეტობდნენ. ბატებმა ადამიანი შენიშნეს და ფეხს აუჩქარეს. ერთმა ჩანჩალამ ფრთაც კი ასწია, გაფრენა დააპირა, მერე, ეტყობა, მიხვდა, ეს ქალი არას მერჩისო, ფრთა დაკეცა და ბექობის ძირას ამოსულ ბალახს გუნებიერად დაუწყო კირტნა.

გზამ მთას შემოუარა. სოფელი უკან დარჩა. გამოჩნდა ხეობა და რკინის მოაჯირიანი წითელი ხიდი.

ხიდისაკენ მიუხვია თუ არა, მოგუდული ღმუილი შემოეფეთა. ავტომან-

ქანა ეგონა და თავი ასწია. გზა აქაც ცარიელი იყო. ხიდქვეშ მდინარე მორ-გავდა.

მთებიდან კისრისტეხით მომავალი ლუხუნი ვეება შავ ლოდებშია და რუხ კბოდეებს თავს ძალუმად ახლიდა, ზვირთებს მუქარით ისროდა მაღლა, [illegible] სიბრაზის ქაფს იკიდებდა და გაშეშებული ბღაოდა. ეს ხმა კლდეებში ათად მრავლდებოდა, მთების გალავანში ტრიალებდა და რაკი გასაქცევად სხვა გზა ვერ ეპოვნა, ისევ მდინარეს მიჰყვებოდა კვალდაკვალ.

ლუხუნის ხმაური ისე შემოეყარა ნინოს, გეგონებოდათ, მდინარემ მარტოდ მომავალი ქალი რომ დაინახა, მისი შეშინება განიზრახა და ერთბაშად შეჰბღავლაო.

ამ ბღავილში ნინოს ხბოს ზმუილიც შემოესმა, შეჩერდა და მიაყურა. ირგვლივ ყველაფერს ხმა გაეკმინდა, მხოლოდ ლუხუნი დრტვინავდა, ხვნეშოდა და მოსთქვამდა, უბრალოდ კი არა — ვაჟკაცურად გოდებდა.

აქამდე ნინო გონმიუცემლად მიაბიჯებდა, არაფერზე არ ფიქრობდა, მხოლოდ შიშველ ფეხებზე შემოცმულ ძველ ჩუსტებს დასჩერებოდა, ხედავდა მხოლოდ იმ ხრეშმოყრილ გზას, რომელზეც ფეხს ადგამდა; მდინარის ბღავილგოდებამ კი ისე გამოაფხიზლა, თითქოს მძინარეს თოვლის ნაჟური ცივი წყალი გადაასხესო.

„რისთვის წამოვედი, ჰა?“

„ჰო, მართლა! აი, თვითონ ლუხუნმა შემახსენა...“

წუხელ საბალახოდან ხბო არ დაუბრუნდა ნინოს, ჰოდა, გათენებისთანავე საძებნელად გამოსწია.

„ვითომ ეგ არის სულ? მხოლოდ ხბოს დაეძებ?“

გამოღმა, ხიდის ყურესთან, სამანქანო გზას საურმე გზა უერთდება. ეს გზა მინდვრებისაკენ მიდის. ოციოდე ნაბიჯს რომ გაივლი, გზას ბილიკი ეტოტება. გზა ლუხუნის მიხვეულ-მოხვეულ ნაპირს მიჰყვება. ფართოა, ორი ურემი ერთმანეთს ადვილად შეუვლის, ბილიკი კი საცალფეხოა, თანაც სულ დაკლაკნილი.

ნინო საურმე გზისა და საცალფეხო ბილიკის შესაყართან შეჩერდა.

„ხბო თუ წუხელ ნადირს გადაურჩა, მინდორში გავიდოდა საბალახოდ. საურმე გზას უნდა გავყვე“.

ჰო, დაკარგული ხბო ნინოს მინდორში უფრო ეგულება... თუმცა დაკარგულისას ასე ადვილად რას გაიგებ!

საურმე გზაზე ერთი ბიჯიც ვერ გადადგა, გულმა რატომღაც სულ არ გაუწია მინდვრისაკენ. საცალფეხო ბილიკს აადევნა თვალი.

ბილიკი ჯაგნარ ფერდობს თასმასავით ეხვევა და წყდება დიდ კლდესთან, რომელზეც ძველისძველი ციხე დგას, ბარაკონის ციხე. იმ რუხი ციხის მარცხნივ ტყიან-კლდოვანი და მრავალკუზიანი ქედი სულ მაღლა და მაღლა, ცისკენ მიიგრიხება, მაგრამ ამ გზაბოძალიდან ბარაკონის ციხე მაინც იმ ქედზე უფრო მაღალი ჩანს. ცაში აზიდულ-ასვეტილი კოშკების თავზე ნაცრისფერი ღრუბლები დაღერღეტობენ.

წუხელ ნინომ სამჯერ გამოიხედა გარეთ. სამივეჯერ ეს ციხე შეეჩეხა თვალში. ღამით სულ სხვანაირი იყო. ხელებატოტებულ დედაკაცსა ჰგავდა, შავი კაბით შესუდრულს. ისე იდგა, თითქოს ზეცას იდუმლად რაღაცას ევედრებაო. უცნაური ლანდები იცის ღამემ.

თითქმის ერთი თვეა, რაც ნინოს ამ ციხის ახლო აღარ გაუვლია და თავისი ჭირ-ვარამი არ გაუნდვია.

შალი შეისწორა და თვალი ციხეს მიაშტერა.

„მეპატიჟება. უხმოდ დგას და მაინც მესმის ციხის ძახილი. ხელს არ

მიქნევს და მაინც ვხვდები, რაც სწადია. მეპატიჟება, ამოდი და ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი სატკივარი ვუთხრათო. ჰო, ბაასი უსიტყვოდაც შეიძლებაო, ზოგჯერ ეს უფრო საამოც არისო. რაც გულში ძევს, ენა ყველაფერს ვერ ამობღერტავსო...“

ეჰ, რა გაანელებს ნინოს ვარამს, მაგრამ მაინც... ორიოდე ნაბიჯი საცალფეხო ბილიკზე გადადგა, მერე ბილიკი დააგდო, ჯაგს წაეპოტინა და ფერდობს შეება.

ახსოვს ნინოს, კარგად ახსოვს, მისი პატარძლობისას ამ ფერდობზე ულრანი ტყე იყო, ხშირჩრდილიანი და ჩაბინდული. მუხა, წიფელი და რცხილა ერთმანეთსა ხვევდნენ ტოტებს. ყველა მაგრად იდგა, მეზობელი მეზობელს მაინც ხელს აშველებდა: უცებ მიწამ არ ულალატოს და არ წაიქცესო.

ეჰ, რა იციან ხეებმა, რომ მიწა არასოდეს გიღალატებს, თუ თვითონ შენ არ უღალატე მიწას.

ტყეში მაშინ არყა სოკო და ნიყვი ამოდიოდა, ბროლივით წმინდა სამი წყარო მოჩუხჩუხებდა, ფრინველები გალობდნენ, ჭიკჭიკებდნენ, უსტვენდნენ და ჭახჭახებდნენ. აქ ფრინველთა გალობას ნინოც ბევრჯერ გაუტაცნია, გაუხარებია და სევდაც მოუგვრია. აქ სოკო ნინოსაც ბევრჯერ უკრეფია, ის ცინცხალი წყაროებიც ხშირად დაულევია. ზოგჯერ არც სწყურებია, იმ წყაროების ეშხით მაინც დასწაფებია.

იმ ტყის ნაწილი ნინოს მამამთილს ეკუთვნოდა, თედორე ბერიშვილს. იმ ტყეში შესული კაცი ცას ძლივსა ხედავდა. თედორე ხესაც ვაზივით უვლიდა. ყოველ ზაფხულს ცას უხსნიდა, ხმელ ტოტებს აჭრიდა, ტანზე შემოხვეულ სუროსა და ეკალ-ბარდებს აშორებდა.

ერთ მშვენიერ დღეს უთხრეს, ეს ტყე შენი აღარ არისო. ცოტა ხანს მაინც უვლიდა, არავის აკაფვინებდა. მერე თვალი დახუჭა, ამ ტყეში მოჭრილი მუხის კუბოში ჩაწვა და ყველაფერი ღვთის ანაბარა მიატოვა: მთელი ქვეყანა და რაც მზის ქვეშ თავისად ეგულებოდა.

ტყეს გულშემატკივარი მოუკვდა, ბევრი პატრონი გაუჩნდა და ერთმანეთის ჯიბრით თედორეს ნალოლიავები თითო ხე ყველამ წააქცია. გადაიბელა ტყე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ამ მიწა-წყალს სოფელმა თხაც შემოაჩვია, ბევრი ხე, ბებერიცა და ნორჩიც, ძირფესვიანად გახმა და გაჯირკდა. ბოლოს მუშტარი ჯირკსაც გაუჩნდა და ფერდობი აქა-იქ სულ გაშიშვლდა ან ჯაგნარჩირგვნარად იქცა. წიფლარ-მუხნარის ადგილას შავი და წითელი კუნელი წამოიზარდა, ჯაგრცხილამ და მაყვლის ბარდმა გაიდგა ფესვი. აღარც ნიყვი ხარობს, აღარც სხვა სოკო. ორი წყარო სულ დაშრა, ერთი კი, აი იქით, კლდის შავ ლოყაზე ცრემლებად მოწანწკარებს.

თედორეს მოვლილ მუხას, რცხილასა და წიფელას მსხვილი ფესვები მიწაში კლანჭებივით ჰქონდათ ჩასობილი, ზედ ძველისძველი ნეშო და ფოთოლი ეყარათ, ამ ჯაგნარს კი, არც ძველი ფოთოლი უჩანს, არც ფესვები.

ჰო, ასეა, ასე! ხე მიწას ინახავს და მიწა — ხეს. ფერდობი რომ მიწით გაღარიბდება, ზედ ხე ფესვს ვერ იკიდებს და ადამიანი — ფეხს.

ნინო ფუტუროდქცეული ჩირგვის ფესვს მოეკიდა და ისე ავიდა ზევით. გულისცემა გაუხშირდა, მუხლებში წყალი ჩაუდგა, ცოტა შეისვენა, სული მოითქვა და მეორე ჩირგვს წაეპოტინა.

„ეს ჩირგვებიც თუ ამოძირკვა ვინმემ, მერე ჯაგრცხილებიც თუ აკაფეს, აქაურობა სულ გატიტვლდება, ციხის იქითა ფერდობს დაემგვანება. მიწა ჩაირეცხება და კლდეღა დარჩება, კლდე ჩაიღარება და ჩაიშლება, ბარაკონის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზვიად ციხეს ძირი გამოეთხრება, საძირკველი ჩაუტყდება და ფეხზემდგარი შეომარივით წაიქცევა“.

ეჰ, ნინო, ნინო, შენ ახლა სულ სხვა დარდი გაქვს, ციხისა და ტყის ამბავს კი სწუხარ, ამ ფიქრს გინდა გული გადააყოლო.

ბიბლიოთეკა

წუხელ წამოწვიმა. დღეს ეს ხვინჭკანარევი მიწა ცოტა სველია, ქალს ფეხი უსხლტება, ჯაგრცხილას ხორკლიან ტოტებს ებღაუჭება და ისე მიიწევს წინ.

წუხელ წამითაც ვერ წასთვლიმა, უძილობამ ქანცი გაუწყვიტა და არაქათი გამოაცალა, ჯაგებსა და ჩირგვებს მაინც არ ეშვება, ციხისკენ ისე მიეჩქარება, თითქოს იქ ვინმე ელისო.

შალი ადრევე მოიხსნა და მარჯვენა ბეჭზე გადაიკიდა. მძიმედ სუნთქავს, ოფლს თავსაფრის ყურით იწმენდს, ციცაბოზე მიფორთხავს, ბექობს არ ერიდება. ძალა სულ რომ გამოელევა, თავს ასწევს, თვალს ციხეს მიაშტერებს, ორიოდე წუთით გახევდება, ღონეს მოიცემს და უბილიკო აღმართს კვლავ შეუპოვრად უტევს. ეკაწრება ხელ-ფეხი, სისხლი კი არ გამოსდის, თითქოს ძარღვებში შეუდედდაო.

ადრიანი შემოდგომაა და კუნელი ჯერ არ დამწიფებულა. რა დროს კუნელია, რიგიანად შინდიც არ შეთვალულა.

ნინომ შინდის პატარა ტოტი მოიწია და კუნწულა შეაცალა. მჟავე ესიამოვნა. მწიფე შინდს ახლა ეს ერჩია.

რაც უფრო მაღლა მიიწევს ნინო, ქედი მხრებს უფრო ფართოდ შლის, მთები თავსა სწევენ, ციხე კი დაბლდება. ჯერ ციდან ჩამოვიდა, მოპირდაპირე მთას გაუტოლდა, მერე უფრო ძირს დაეშვა. ქედსა და ციხეს შორის ადგილი თანდათან ჩაღრმავდა, ქედი თავის მთებიან-კუზებიანად შორს წაიგრაგნა, ციხე კი განზე დარჩა.

გადაბელილ კოპიტს მსხვილ ტანზე წვრილი ყლორტები აეყარა. ნინომ ამ ყლორტებს კარგა ხანს უყურა, რაღაც მოაგონდა. მკლავი ასწია, ყლორტებს თითები ისე შეახო, იფიქრებდით, მძინარე ჩვილს მოეფერაო და ღრმად ამოიხვნეშა:

— ვაი შენს დედას, შვილო!..

აქედან ციხე უკვე ახლოს იყო.

ნინომ მაღლა გახედა და მოეჩვენა: მთაკაცს მკლავი იდაყვით მუხლზე უდევს, კლდოვან ხელში კი ციხე ცარიელი სასმისივით უჭირავსო.

დიდი ხანია ბარაკონის ციხე ცარიელი იყო. მხოლოდ გოლიათი ცაცხვი ამოზრდილიყო შუაგულში. ხის ფართოდ გაშლილი ტოტები ციხის კოშკებსა და აქა-იქ კბილებშერჩენილ ქონგურებს, თავზე გვირგვინივით ედგა. შემოდგომა ყველაზე ადრე ცაცხვზე იბუდებს. ეს გვირგვინი ახლა ყვითლად ბზინავდა.

ნინოს უცებ ხბოს ზმუილი შემოესმა. მიმოიხედა. ცარიელი იყო ფერდობი.

„ისევ მომეჩვენა, როგორც წელან, ლუხუნთან“.

ძველად რომ ბოჩოლა დაეკარგებოდა, გადააბრუნებდა სამფეხა სკამს, თასმებით ან ლეკვერთხებით შებორკავდა, ზედ პირშეკრულ მაკრატელს მიაბამდა და შეულოცავდა:

ეკენია, ბეკენია, ბეკენს ხატი ასვენია.
მეუფემან შემოსწირა ცხრაკლიტული კლიტისაო.
ნადირს კბილი შეუკარი, მეკობრესა ხელ-მხარიო,
გადააგდე ზღვაშიო, ნუ გაუშვებ გზაშიო.

ეს ლექსი ბებია ალათიმ ასწავლა. ლოცვის გრძნეულებისა მაშინ არაფერი გაეგებოდა და არც სწამდა, სკამის დაბორკვა და იდუმალი ჩურჩული კი სიამოვნებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ასე ბავშვობისას აკეთებდა, ქალიშვილობისას სკამი აღარ შეუბორკავს, გათხოვდა და ამისთვის სულ აღარ ეცალა. ხბოს კისერზე ზანზალაკსა ჰკიდებდა და ისე უშვებდა საბალახოდ.

„ნეტავი ახლაც ჩამება ზანზალაკი, თუმცა…“

ნინომ ხელი ჩაიქნია:

„რასაც დაკარგვა უწერია, ცხრა ზანზალაკიც რომ დაჰკიდო, მაინც დაიკარგება“.

ერთხელ ხბო სწორედ იმ დღეს დაეკარგა, ზანზალაკი რომ შეაბა. სამ დღეს ეძება, ტყე და ღრე შემოატყავა. მეოთხე დღეს ნახა: მგელს შეეჭამა. ზანზალაკი და ორიოდე ძვალიღა დაეტოვებინა. აიღო ზანზალაკი და ხრამში გადაუძახა.

„ეჰ, ზანზალაკი რას უშველის, თუ… ეეჰ!“

ნინომ მუხლიდან ქარი ამოიღო, ღონე მოიცა, აღმართს ერთხელ კიდევ შეუტია, შეივაკა და ციხის ბჭეს მიადგა. ქედისა და ციხის შუა აღარც ბუჩქი ჩანდა, აღარც ბალახი: შიშველქვიანი ადგილი გაცვეთილ უნაგირსა ჰგავდა. ქვევით, აქა-იქ, ძაღლყურძენა მაინც ხარობდა, აქ კი ეს ველური ბალახიც არ ჩანს.

„ეტყობა, ამ კლდეზე მიწა დაილალა სიცოცხლით. ჰო, ალბათ, ზოგჯერ მიწაც იღლება“.

ქედის შიშველი უნაგირიდან ხელისგულივით მოჩანს მთელი მიდამო, იქითაც და აქეთაც, აღმაც და დაღმაც, შორსაც და ახლოსაც.

მზე თოვლიანი მწვერვალიდან წამომდგარა.

მთიდან მონაბერი გრილი სიო თავსაფრის ყურს უფრიალებს ნინოს, შეისწორა თავსაფარი და ნიკაპქვეშ კურდღლის ყურებივით გაინასკვა. შალი ცალკე დაყუნტულ მოზრდილ შავტუხა ლოდზე გააფინა, ოღონდ თვითონ არ ჩამომჯდარა, ქვას უბრალოდ მიეყრდნო და თვალი შიშველ ფერდობს ჩააყოლა. ასე ჩავიდა იქ, საიდანაც ამ დილით წამოვიდა.

სოფელი ჯალაბეთი ორი მდინარის — რიონისა და ლუხუნის შესაყართან არის გაშენებული. ორწყალშუა მოქცეულ სოფელს ზევიდან ეს ციხე გადასცქერის. ციხეს გვერდით პატარა ქალი უდგას. ციხე გაუქმებული სათოფურების თვალებით იყურება, იყურება როგორც ბრმა, შორს, ძალიან შორს, მაგრამ იქ ვერაფერსა ხედავს. ქალის თვალები ნაოჭიან ბუდეებში ღრმად სხედან. იმ თვალებში ერთდროულად ჩასახლებულა ცა, მიწა და ნაღველი.

ნინოს პატარძლობისას ჯალაბეთში ეზო ეზოზე იყო გადაბმული, ოდასახლები ერთმანეთს ისე მისჭიჭკნოდნენ, ბევრს მიჯნად საზიარო საწვეთიღა ჰქონდა. მერე სხვანაირად წამოვიდა წუთისოფელი, სოფელი თანდათან შეთხელდა, დღეისდღეობით კი თხუთმეტიოდე ბუხარიღა აჩუვლებს კვამლს.

სულ განაპირას არქიფო გამყრელიძის ნასახლარია.

ამ ციხის კლდე-ფუძეს ხშირი წვიმების შემდეგ ორი ვეება ლოდი მოეხლიჩა. ერთმა შიშველი ფერდობი გრუხუნით ჩაიარა, არქიფოს ნალია წააქცია და ფეხი პალატის კართან მიასვა.

ბეწვზე გადარჩა სახლი და ტკბილად მძინარე ოჯახი.

კართან მოულოდნელად მოვარდნილი ლოდი და საფრთხე ერთად გაქვავდნენ. წუთით გაქვავდა თავზარდაცემული ჯალაბიც. მერე წარმოიდგინეს: ეს ვეება ლოდი თავზე რომ დაგვცემოდა, ყველას თაგვებივით ამოგვსრესდაო, და ჭეშმარიტი შიში მაშინღა იგრძნეს. უფროსები ავიშვიშდნენ, ბავშვები ატირდნენ და ატყდა ერთი ვაიუშველებელი.

მოჯარდა მთელი სოფელი და ლოდს მიესია. ჩააბეს ჯაჭვები და ცხრაპი-რად დაგრეხილი თოკები, ჩაებნენ, გადაგორება დაუპირეს, გასწიეს და ვერ გასწიეს; ჭაპანწყვეტა, ოფლის ღვრა, ჭიდილი და ომახიანი შეძახილ-შემოძა-ხილი ამაო გამოდგა, ლოდს ძვრა ვერ უყვეს.

— ამას ასე ვერაფერს მოვუხერხებთ, — თქვა თედორემ, — ლალუმებით უნდა დავამტვრიოთ.

— ლალუმი, ჩემო კეთილო მეზობელო, ლოდსაც დაამტვრევს და სახლ-საც სულ დალეწავს! — შეიცხადა არქიფომ.

— სალალუმე ხვრელს თავზე ხვირი დავაფაროთ და ქვებს შორს ველარ გაყრის. აი, ვცადოთ და თუ არ გამოვა...

სცადეს. ამ ამბავს თორმეტიოდე ხვირი შესწირეს. კლდე-ლოდი ლალუ-მებით დახლიჩეს და ლუხუნში გადაყარეს. კარგი დღე არც პალატს დაადგა, დაზიანდა პალატზე შესკუპებული ოდაც. სულ ჩაელეწა კარ-ფანჯარა.

ოჯახს რომ ეგონა, ჭირი მოვიშორეთო, ამ დროს ნიკო ტაბუცაძემ ახალი ამბავი მოიტანა:

— იმე, იმე, ეს ლოდი კი მოვიშორეთ, მარა ციხის ფეხს მეორე, ამაზე დიდი კლდე-ლოდი ბეწვზე ჰკიდია, ერთი აქში რომ შეუძახო, მოწყდება. ახლა საკითხავი ეს არის, იმ უბედურებას რა ვუყოთ?

ავიდნენ ციხის ფეხთან, ბეწვზე დაკიდებულ კლდე-ლოდს ახედეს და დახედეს, არ ეჭაშნიკათ, მხრები აიწურეს და წარბები შუბლზე აჰყარეს. იმ კლდე-ლოდის არც აფეთქება შეიძლებოდა, არც ისე დაგორება. ეშმაკმა უწყის, საით იზამდა თავს და... სოფელს თავი მოძულებული კი არ ჰქონდა.

ყველაზე მეტად ისევ არქიფომ დაკარგა მოსვენება. მოგეხსენებათ შეში-ნებული კაცის ამბავი, გაუტყდა ძილი და გულზე მძიმე ფიქრი მოიკიდა, სულ იმ ლოდისაკენ ეჭირა თვალი:

— ჰო, რა ურჯულოდ ჰკიდია ეს ტიალი! კოკა ყოველთვის კი არ მოი-ტანს წყალს. უნდა გავეცალო, თუ არა...

დღედაღამ შიშის ჭამას ჯალაბეთიდან ოჯახის აყრა ამჯობინა, გაყიდა პალატზე დადგმული ოდა, დიდი ბეღელი, ქვევრებმრავალი მარანი, მუხის ჭიშკარი და სადღაც ზღვის პირას დაეფუძნა.

— ჩვენ სიცოცხლე კი არ მოგვძულებიაო! — აჩოჩქოლდნენ არქიფოს მეზობლები და ისინიც აიყარნენ.

ასე დაცარიელდა ერთი უბანი, დარჩა სხვა უბნები და სოფლის ზემოთ ბეწვზე დაკიდებული კლდე-ლოდი.

— რა ვუყოთ ამ ლოდს, ჰა? — ეკითხება მოედანზე თავშეყრილ მეზობ-ლებს თედორე.

— ყველი არ არის, რომ შევჭამოთ და სხვა რა უნდა ვუყოთ? ვინ არ იცის, ოდესმე რომ სულს უფალს მიაბარებს, მარა სულ იმას ხომ არ იდარ-დებს — მოვკვდებიო? — არხეინად იცინის ბაჭუა ჩიხრაძე და ქვედა ყბა განზე გაურბის.

ისე, კაცმა რომ თქვას, შიშს შეჩვევა სცოდნია. გავიდა სამიოდე წელი და ეს საფრთხე თითქმის ყველას გადაავიწყდა, არქიფოს ამბავსაც იშვიათად იგონებდნენ, ღამე ძილს არ იტეხდნენ და დღისითაც სოფლის გზებზე ისე მიდი-მოდიოდნენ, თითქოს აქ არაფერიაო.

ამ შიშველ ფერდობზე ბევრი ქვა-ლოდი დაგორდა მის მერე, ბეწვზე დაკიდებული უბედურება კი აქამდე არ მომწყდარა. ციხის ფერხთით აყუდე-ბულ შავ კლდეს უზარმაზარი შავი ლოდი დევის მუშტივით უჭირავს და სულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემუქრება ვიღაცას. ეშმაკმა უწყის, იმ შავი ლოდის გულში რა ხიფათი-დაფათერაკი თვლემს, როდის მოწყდება, საით წაგრუხუნდება და ვის დაატყდება რისხვის მეხად! ოღონდ ეს კია, ამის შიში ახლა არავისა აქვს, ბეწვზე დაკიდებული ქვა-ლოდისაკენ ცალი თვალითაც აღარავინ იყურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ეჰ, ზოგჯერ რა თავშეუდებელი ხარ, ჯალაბეთო! არვარგა ასეთი გულგრილობა, არა! თუმცა ეს მარტო შენი ბრალი ხომ არ არის? ამ წუთისოფელში კაცს იმდენი საფრთხე და უბედურება ელოდება, ყველას რომ ყური უგდოს, შიშით გული ადრევე გაუსკდება. ამიტომ ვერ გისაყვედურებ, ვერა!“

ნინომ ახლა სხვა მხარეს გაიხედა.

აი ის, მთის კალთაზე რომ ნასახლარი ჩანს, ხახულა ყავლაშვილისაა, უშვილძიროდ გადაშენდა საწყალი. თუ თავისი არ ეყოლა, ეშვილებინა მაინც.

ხახულას ნასახლართან ბაგრატა ბერიშვილის ოდა დგას, ოღონდ თვითონ ბაგრატა აღარ ცხოვრობს შიგ. ერთადერთი ქალიშვილი ჰყავდა, დედისერთა ვაჟს მიათხოვა, ეზო და კარყურე დაუცარიელდა, აქ მარტოხელა კაცმა დიდხანს ველარ გასძლო და სიძესთან გადაბარგდა. მის ფუძეზე კი სხვა დაემკვიდრა, აბრამა მკალავი.

ბერიკაცები ამბობდნენ, არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ჯალაბეთში მხოლოდ ბერიშვილები ესახლნენო, ერთი ფესვ-ჯილაგის შვილნიო, სოფელსაც ეს სახელი იმიტომ ერქვაო. ახლა კი ჯალაბეთს ბერიშვილები კანტიკუნტადღა შემორჩნენ: ერთი ცხრა მთას იქით წავიდა საშოვარზე, ხელი მოითბო, აქაურობა მიყიდ-მოყიდა და ცოლ-შვილიც ცხრა მთას იქით წაიყვანა. მეორემ ალთას ქნა თავი, მესამემ — ბალთას. მეოთხემ აქაურ კლდე-ღრეს ზღვისპირი ამჯობინა, მეხუთემ ამ მთებს — ვაკე მინდორი. ზოგმაც, რაკი ერთხელვე გაუგო ქალაქს გემო, სოფლისაკენ აღარ იბრუნა პირი და მის ბუხარში ჩასულმა წვიმამ ლადარი სამუდამოდ გააცია და ყვერბის ქვაზე დამცხვარი ნაცარი გააქავა.

„ეჰ, უბედურებას რა გამოლევს ქვეყანაზე!“

ყველაზე სასტიკად ჯალაბეთის ომმა დარია ხელი: ზოგს ქმარი წაართვა, ზოგს — შვილი, ზოგსაც — ორივე ერთად. კერას ქალილა შერჩა...

ჯალაბეთის გაღმა ეკლესია მოსჩანს. ეკლესიის გვერდზე სასაფლაოა, სასაფლაოსთან — პატარა მინდორი, ჯერჯერობით გაუთხრელი. იქ ახლა არც ხეები ჩანს, არც საფლავის ლოდები.

მინდორს აქედან რიონი ჰყავს, იქიდან — სიკვდილი ღრღნის. სასაფლაო თანდათან ამ მინდორზე მოიწევს, თითქოს მდინარესა და სიკვდილს ერთმანეთთან შეხვედრა სურთო. ალბათ ოდესმე რიონი ამ მინდორს ლუკმა-ლუკმა გამოხრავს, მერე საფლავებსაც მიადგება და არც იმათ დაინდობს, ბოლოს, შეიძლება, ეკლესიაც წაიღოს, თუ მანამდე ის ეკლესია თვითონ არ წაიქცა, მტვრად არ იქცა და რიონს თავზე ფერფლივით არ გადაეყარა.

ასე ძნელია დიდი მდინარის ახლო დგომა!

ნინომ ლოდზე დაფენილი შალი ერთხელ კიდევ გადაიკეცა და ზედ ჩამოჯდა, ფეხები ძირს ჩამოჰკიდა, ხელები გულზე დაიკრიბა და თვალი დახუჭა. ამ თვალში დატეული მთელი ქვეყნიერება დაბნელდა და რაღაც უფერულ წყვდიადში გაეხვია.

— რას შვები, ნინო?

— არაფერს, ისე...

— სულ ხუჭავ თვალს? მე ეგ ხომ არ მითქვამს?

— ნუ გეშინია, ჯერ არ ვეშვიდობები ამ ცისეს, არა. თვალი თუ არ დავხუჭე, ისე საკუთარ გულში როგორ ჩავიხედო? აი, მე ახლა სულ მარტო

დავრჩი ამ სამყაროში, სულ მარტო და... თვალშებრუნებული ჭეშმარიტად ვხედავ ყველაფერს... ვაი ჩემს მოსწრებას!

ეს ხმა ამ ძველ ციხესთან არავის გაუგონია, ამიტომ ეხოც არ გამოუცდია, ნინოს გულში ჩაბრუნდა, ერთხანს მორევში მოხვედრილი ნაფოტივით იტრიალა და იქვე ჩაიძირა.

ბრუნავს ფიქრის მორევი,
ბრუნავს ფიქრის ბორბალი,
ბრუნავს და ახალ-ახალ ფიქრს იხვევს.

ამ უკიდეგანო მორევში არც მიწა ჩანს, არც ზეცა. შიგ მხოლოდ ღრუბელი და ნისლი ცვივა, ერთმანეთში ირევა და წალმა-უკულმა ტრიალებს. მერე თითქოს ღრუბლებიდან ვარსკვლავებმა გამოიხედესო, მორევიდან ციცინათელები ამოციმციმდნენ, ნისლ-ღრუბელი აქა-იქ დასწვეს თუ გაფანტეს და მორევში შუქი ჩადგა, უფერული შუქი...

სადღაც დამბაჩა გავარდა.

ქალი მოგვყავს ლამაზიო,
დაგვიცალეთ დარბაზიო...

ისმის შორიდან მაყრიონის სიმღერა, თვითონ მაყრიონი კი ჯერ არ ჩანს. არა, არ ბნელა, გათენებულია უკვე, შემოდგომის ღრუბლიანი დილაა. სოფელი მაყრიონს უმაშხალებოდ ეგებება. ქალი და კაცი შარაგზაზე გამოფენილა. ბავშვებსაც კი უთენია გაუღვიძნიათ, ლობეებზე აფორთხებულან და ძილმოუშუშებელნი თვალებს იფშვნეტენ.

არქიფო გამყრელიძის ნაბოლარა ძმას, ბიძინას, ზემოური ქალი მოჰყავს.

ყველას უნდა დედოფალს ამ დილითვე მოჰკრას თვალი. სოფლის ახალი პატარძლები ერთად შეყრილან. იმ პატარძლებში ურევია ნინოც. ჯერ საპატარძლო კაბა არ გასცვეთია, დღესაც ის აცვია. სოფელი დედოფალს ელის, ნინო კი — ქმარს. მაყრიონს მისი გიორგიც ამშვენებს, მოხდენილი ვაჟკაცი, კარგი მოსიმღერე და სუფრის ეშხი.

სიმღერა მოახლოვდა და დილის ღრუბლიანი ცა კვლავ შეარხია დამბაჩის ხმამ.

მოსახვევში თეთრჩოხიანი მხედარი გამოჩნდა. ნინომ მაშინვე იცნო ქმარი. გაუხარდა: სიძეს მახარობლობა მაგისთვის მიუნდვიათ. პირზე თავშეკავებული ღიმილი გადაეფინა.

გიორგიმ ცხენი შარაზე დაათოხა. უცებ, სად იყო და სად არა, ბაჭუა ჩიხრაძის ცეროდენა ბიჭი გამოტყვრა და გზის გადაჭრა დააპირა. ცხენოსანმა თავისუფლად მიშვებული ალვირი უმალვე თავისკენ მიიგდო და ცხენი ყალყზე შეაყენა. ბავშვმა ატოტებულ ფლოქვებქვეშ გაირბინა. მხედარი შექეიფიანებული იყო, თავი ველარ შეიკავა, ნინოს მახლობლად მოწყვეტით დაენარცხა და კეფა ქვას დაჰკრა, შავი ქოჩორი და თეთრი ჩოხა სისხლით შეეღება.

დამფრთხალი ცხენი განზე გახტა და უმხედროდ გაჭირითება დააპირა, ძირს ჩამოვარდნილმა ალვირმა წინა ფეხები შეუბორკა და შორს არ გაუშვა, ერთი ბრაზიანად შეიჭიხვინა, ალვირს პირში ღრჭიალი მოადენინა და გაჩერდა.

ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა. ხალხმა შეკივლების მეტი ვერაფერი მოასწრო, ნინომ, მგონი, ვერც დაიკივლა, ერთხანს ღიმილი შეეყინა ტუჩებზე და ასე დარჩა, გაოგნებული და გაქვავებული. მერე ერთი დაიძა-

ხა „ვაიო“, ქმრის თავთან მოწყვეტით ჲაეცა და დადუმდა. გაუცვეთელი სა-პატარძლო კაბა სისხლით დაეთხვარა.

ხალხი ერთბაშად მოჯარდა და შემცბარი გაქვავდა.

გიორგიმ თვალი ძლივსძლივობით გაახილა:

— ნინო, შენა ხარ?

— მე ვარ, მე, გიორგი...

— კარგი ქალი ხარ... აბა, შენ იცი... — და თვალი ისევ დახუჭა.

— რა?!. რა ვიცი?!.

გიორგიმ წამწამი ოდნავ ასწია, ნინოს მიაშტერა და ნელ-ნელა გაეყინა თვალი.

ნინომ მსხვილი ნაწნავები გაიშალა და ჩამოძენძილი თმა ქმარს მკერდზე ბღუჯა-ბჯულა დააყარა. ვიდრე ხმა სულ არ ჩაეხლიჩა, ქორწილში დაქვრივე-ბული ქალი გულის ვარამს ცას შეჰბღაოდა. ლხინის მომლოდინე დილამ სა-პატარძლო კაბა გახადა და თალხი კაბა ჩააცვა...

ბრუნავს ფიქრის ბორბალი და ახალ-ახალ ფიქრს იხვევს. ასე დიდდება ხოლმე თოვლიან ფერდობზე დაგორებული გუნდა.

ორი კვირის თავზე ნინო კვლავ ქმრის საფლავთან იჩოქებს, ისევ იწეწავს თმებს და ცრემლგამშრალი მოსთქვამს. რაც კუბოში მწოლარეს ვერ უთხრა, ახლა მიწაში ჩასძახის.

სასაფლაოზე უამრავი ხალხი ირევა. ერთი ტირის, მეორე არხეინად და-სეირნობს, თითქოს სხვათა სეირის საყურებლად მოსულაო.

ნინოს ახლოს ორი ქალი დგას. ერთი გულქანაა, ნიკო ტაბუცაძის მეუღ-ლე, მეორე კი — ბაჭუა ჩიხრაძის და უნდა იყოს, სამჯერ განათხოვარი სიდო-ნია. ჰო, ის არის სწორედ. გულქანა კაფანდარა ქალია, პირმრგვალი, გადა-ტკეცილი შუბლი და ციმციმა თვალები აქვს. სიდონია გულქანაზე მაღალი და მსუქანია, ოღონდ ძალიან კი არა. გრძელი სახე და წინ წამოგდებული ნიკაპი აქვს. დიდ თვალებს ხარბად ატრიალებს, წითელი კაბა აცვია, თეთრზოლე-ბიანი. გაძაგრული ძუძუები ისე ადი-ჩამოდიან, თითქოს კაბის გამოგლეჯა სწადიათო.

— ქალო, ეს ფეხმძიმე ქალი სასაფლაოზე რამ წამოგიყვანა? — უწყრება სიდონია გულქანას. — შინ დამშლელი არავინ გყავს? ვერ გითხრეს, არ ვარ-გაო? თუ არ დაუჯერე?

სიდონია შოქშოქა ქალია, სულ ისე ლაპარაკობს, თითქოს გამოღმიდან გაღმა ვიღაცას ედავებაო, გულქანა კი წყნარი მოსაუბრეა. ნინომ მის ბოლო სიტყვებს მოჰკრა ყური:

— იჰ, ბეჩა სიდონია, მე რა მომივა, სულ ფეხზე ვდგავარ. თუ ეგრე შეგტკივა გული, მოისხი მადლი და ეგერ ნინოს მიხედე, მე არ მიჯერებს, ეგებ შენ დაგიგდოს ყური! ამდენი ტირილი ვის გაუგონია, მოსწყდება საწყალს მუცელი!

სიდონიამ გულქანას ვითომ გადაუჩურჩულა, მაგრამ ეს ჩურჩული ნინოს ყურს მაინც მისწვდა:

— მე შენზე ვამბობ, თორემ ნინოს რა უშავს. მუცელი თუ მოეშლება, ახლა მაგისთვის უკეთესიც იქნება, ზედმეტ ბარგს მოიშორებს და ბედს უფ-რო ადვილად ეწევა, აპა!

— იიჰ, რას ამბობ, სიდონია?!

— ამისთანა ქალი უღელს ცალად დიდხანს ვერ გასწევს; ვიდრე ყმაწ-ვილქალობის იერს დაკარგავდეს, უნდა გათხოვდეს, აბა რა? შვილიანი ქალი კი, მოგეხსენებათ...

სიდონიამ ეს მარტო გულქანას როდი უთხრა. ნინოს გასაგონად უფრო ამოიშოქმოქა და ნინომაც გაიგონა...

ნინოს ქმრის საფლავზე ჯერ ბალახიც არ ამოწვერილა, ეს [illegible] ლი კი უკვე ქვრივის გათხოვების თადარიგს იჭერს: შვილიანს, [illegible] უშვილოს კი მუშტარი მალე გამოუჩნდებაო. ჰო, რაღაც ამდაგვარად თქვა. ეს რომ კაცს წამოსცდენოდა, ეპატიებოდა, ქალმა კი ამის თქმა როგორ გაბედა? ქვა გული გქონია, სიდონია! ჭირისუფლის ქალობას ხედავ და ქდედობას ვერა?

ნინოს ჯერ შვილი არა ჰყავს, არა. მის შეუბუმბლავ ბარტყს ახლა მშვიდად სძინავს ბუდეში და ამ ქვეყნისა არა გაეგება რა, მაგრამ ნინო დედაა უკვე, დედა, გესმით!

ამ ბარტყს უბედობად ისიც ეყოფა, ბუდეშივე რომ დაობლდა, სიდონიას კი მისთვის თურმე მზეც ენანება! თქვენ ხომ არ წაართმევთ მზეს, ამ ცისქვეშ ამანაც გაიაროს, რა გენაღვლებათ?

ჭირისუფალს ათასი თვალი აქვს, ყველაფერს ამჩნევს და იმახსოვრებს. სიდონიამ გიორგის დაღუპვა ალალად იგლოვა, ცერისსისხო კურცხლებსა ყრიდა, გულდათუთქული ტიროდა. ალბათ, ბევრი სიკეთე ახსოვდა ცხონებულისაგან. აი, უსუსური ბავშვი კი, ეტყობა, სულაც არ ენანება.

აბა ერთი ახლა ნინოს გულშიც ჩაიხედოს! სწორედ ეს შვილია, ნაღველს ცოტა მაინც რომ უმსუბუქებს, ამ ქვეყანაზე უხილავი ჯაჭვით რომ აბამს, თორემ ნინოს ისე უყვარდა გიორგი, უიმისოდ სიცოცხლეს არ აპირებდა, ფიქრობდა თან გადავყვებიო, ქმართან ერთად დავიმარხებიო. შენ კი, შენ... ეჰ, რა უგულო ყოფილხარ, სიდონია!

ნინომ თავი ასწია და შოქმოქა ქალს ისე შეუბღვირა, იგრძნო სიდონიამ, რაღაც გადავამლაშეო, შეცბუნდა და იქაურობას უკანმოუხედავად გაშორდა.

იმ დღეს ქვრივმა ქმრის საფლავთან ფიცივით ჩაითქვა: ამ ავყია ქალს სიტყვას არ გავუმართლებო. საფლავთან დადებული ფიცი კი ყველა ფიცზე უმტკიცესია.

ბრუნავს ახალი ფიქრის მორევი.

ვაჟი დაიბადა, მამის სახელი დაარქვეს. ასე ისურვა დედამაც და ბაბუამაც.

ნინო სასაფლაოზე სასიარულოდ ველარ იცლის: შვილის აკვანმა დააეიწყა ქმრის საფლავი. ღამეს ხშირად თეთრად ტეხავს, ჰინჰყლობს პატარა გოგია.

ჩვილმა ქმარიც დაავიწყა და გუნებიერი ძილიც.

ტირის თუ არ ტირის ბავშვი, ნინოს სულ ტირილი ელანდება, ამიტომ თვალის დახუჭვას ერიდება. ყოველ ღამეს ორი რამ ესმის — გიორგის ჭყავილი და რიონის დუდუნი. მდინარის ხმას აკვნის რწევას აყოლებს.

ჩვილმა სოხანეს დაადგა თუ არა შიშველი ფეხი, ჰინჰყლობა მოიშალა. თითქოს აქამდე მიწა ენატრებოდა და ეს ატირებდაო.

გაიოლდა ნინოს წუთისოფელი.

გიორგი სოხანეზე პერანგისამარა დატანტალებს და თედორე ბაბუას ახარბებს:

— აი მე ჭიპი!

— ოჰო! ეს რა გქონია, კაცო?!

— შენ გაქ?

— შენხელა რომ ვიყავი, მაშინ მქონდა, მერმე ცუგრიამ მომაჭამა.

— ჩვენმა პატარა ცუგრიამ?

— არა. მაშინ სხვა ცუგრია გვყავდა, უფრო ავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე სახლიდან გააგდე?

— აპა, მოვუთმენდი?

— ამ ცუგრიამაც იცის ქიპის მოქმა?

— თუ გააჯავრებ...

გიორგი ცუგრიას აღარ აჯავრებს. წამოჩიტული ბავშვი ბაბუას წისქვილში დაჰყვება, ნესტორა მეწისქვილესთან.

ბრუნავს და ბრუნავს დოლაბი. გიორგის უხარია, თბილ ფქვილში ხელს რომ ურევს და ბაბუა არ უშლის, არც ნესტორა.

დილაა. ნინომ ხელ-პირი დაიბანა, თეთრი პირსახოცით სახეს იმშრალებს. გიორგიმ ფუნთუშა ხელები თვალებზე მიიფარა:

— დედიკო, ქიტაა!

დედა ყურადღებას არ აქცევს, პირს გულმოდგინედ იმშრალებს. შვილი კი ისევ თვალებზე იფარებს ხელს:

— დედიკო, ქიტაა!

დედამ პირსახოცი შვილის რქაზე ჩამოჰკიდა. გიორგი დედის კალთას ებლაუჭება, თვალში შესციცინებს და ემუდარება:

— დედიკო, კიდევ მეთამაშე, რა!

— რა გეთამაშო? — უკვირს ნინოს.

— რა და, თვალხუჭობანა. წეღან რომ მეთამაშებოდი.

ნინოს ეცინება:

— ხვალ დილით, შვილო, ხვალ დილით.

გიორგი მეორე დილით ჩვეულებრივზე ადრე დგება. დედა პირს იმშრალებს, შვილი გახარებული იძახის: ქიტაო.

ნინოს მაზლი პავლია და შილი ბაბილა გაკვირვებული მისჩერებიან:

— რას აკეთებთ?!

— არაფერს, ისე... პირს ვიმშრალებ, ბიჭს კი ჰგონია, კუკუმალობანას ვეთამაშები...

ერთდროულად ბრუნავს წისქვილის, ფიქრისა და წუთისოფლის დოლაბი.

ბაბილას შვილი გაუჩნდა. ახლა გიორგის რომ დაინახავს, მისი აღარც ტიტინი ახარებს და აღარც ცელქობა, სულ წარბშეკრული უცქერის.

ნინომ კარგად იცის, ეს წარბისშეკვრა რასაც ნიშნავს. ბაბილას ჰგონია, გოგია თავის ბიძაშვილს ლუკმას გაუყოფს, ბიძის ოფლით იცხოვრებს.

არა, ნინო ისეთი ქალი არ არის, შილს ათქმევინოს: შვილს ჩემი ქმრის წვითა და დაგვით ზრდისო. საამისო ნინოს რა სჭირს! არც ბარსა თაკილობს, არც თოხსა და არც ნაჯახს. რა აქვს სხვისი დასამადლებელი! თუ ამას დაინახავენ, ხომ კარგი! არა და, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ!

უქმე დღეა. პავლიამ დუქნიდან შაქარყინული მოიტანა. ბაბილამ ნამალევად გამოართვა და ჭრელ ზანდუკში ჩამალა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი... ნინო ამჩნევს: ბაბილა ამ შაქარყინულს თავის ბიჭს უზოგავს, ჩუმ-ჩუმად აჭმევს, როცა გიორგის გარეთ გასულს დაიგულებს.

ნინომ შილს ბევრი სულმდაბლობა აპატია, ბევრი შეურაცხყოფა უხმოდ ჩაყლაპა, ამ პატარა ამბავმა კი მოთმინების ფიალა აუვსო. გონება აემღვრა და ისიც კი გაიფიქრა, საკადრისს მივუზღავო. მერე მიხვდა, ამით თავის თავსაც შეურაცხყოფდა და უცბათ მოჭენებული ავი ზრახვა დაიოკა. ეზოდან გავიდა და კარის ვენახს მიაშურა, ლობის ძირში ჩაეფეხვა და ატირდა.

საიდ იყო, სად არა, ნინოს მამამთილი წაადგა თავს:

— რა ამბავია, რძალო, რა გატირებს?

— არაფერია, მამა, გულში ცრემლი დამიგუბდა და... ქალის ამბავი ხომ იცი, კურცხალი უნებურად მომერია.

— აპა, ერთი თვალი გამისწორე! ჰო, ეგრე! შენ ტყუილი რომ არ გიყვარდა, შვილო, ახლა ისწავლე? რაღაც გაწუხებს და არ მიმხელ, ვიცი შენი ამბავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცალკე უნდა გავიდე, მამა.

— გაწყენინა ვინმემ?

— არა, მაგრამ...

— რა, მაგრამ?.. მარტო აპირებ ცხოვრებას, თუ?..

— ჰო, მარტო.

— ძნელია, შვილო, მარტო ცხოვრება. ახლა ისეთი დროა, ვაჟკაცებს ძლივს გააქვთ თავი...

— აი, მეც მაგას ვჩივი. ზოგს ჰგონია, სხვის კისერზე ვზივართ მე და ჩემი შვილი და...

— ვის ჰგონია?

— ვინც არის... სულ სხვას ხომ არ ვუყურებ თვალ-წარბში, რა ეწყინება და რა გაეხარდება?

მამამთილმა ქვრივ რძალს სიტყვა ვერ გადაათქმევინა, თავისი გაიტანა ნინომ, ცალკე დასახლდა. პატარა ვენახი, პატარა ოდა, ერთი დიდი კაკლის ხე და პატარა ეზო ერგო.

ნინოს ქმრისეული მხოლოდ შავი ნაბადი შემორჩა, ხშირბეწვიანი. აქამდე იმ ნაბადს იღლეში ინახავდა. რომ არ გაფუჭებულიყო, ნიორს აყრიდა, არც ჩრჩილს აკარებდა, არც სხვის ხელს. შვილს უნახავდა.

ახალ ოდაში რომ გადავიდა, ნაბადი სკივრში ჩადო. სკივრს თავი რომ დაახურა, ისე შეკრთა, თითქოს იმ სიბნელეში ნაბადი კი არა, ცოცხალი კაცი ჩაეგდოს. ნაბადი მაშინვე ამოიღო და ტახტის წინა კედელზე ჩამოკიდა.

ამიერიდან ამ ოჯახს გიორგის სახელი ერქვა, ეს კი მისთვის ყველაფერი იყო. ახლა ერთი საზრუნავილა ჰქონდა, მტერი არ გაეხარებინა. ფიქრებს თავი ძლივს წაართვა და გვიან დაიძინა. რაც ეძინა, ეძინა მშვიდად, ოღონდ უთენია კი გაეღვიძა. გაღვიძებისთანავე ნაბადს მოჰკრა თვალი, მოჰკრა თვალი და გაშტერდა. იქ ნაბადმოსხმული გიორგი იდგა, აი ისეთი, როგორიც ნინოს პირველად შეხვდა.

უცებ დახუჭა თვალი, მოჩვენება არ გამექცესო. კარგა ხანს იყო გარინდებული. ნაბდიანი კაცი კვლავ იდგა და იღიმებოდა, ეტყობოდა, რაღაც უხაროდა.

ნინომ უყურა და უყურა გაღიმებულ გიორგის, ვიდრე მისი ღიმილით გული არ იჯერა. ფიქრი მზესავით გაუნათდა და კაშკაშა ფიქრი იმედით აევსო: როცა მე და ჩემს შვილს გვეძინა, გიორგი აქვე იყო და გვდარაჯობდაო. ამიერიდან მარტო არასოდეს მიგვატოვებსო.

ასე ირწმუნა პირველსავე დღეს და ნაბადი მისთვის სიცოცხლეზე ძვირფასი გახდა, ოჯახის მფარველ ანგელოზად იქცა, იმედად და ნუგეშად.

გავიდა ორიოდე კვირა. ნინო სოფლის შუკაში მიდიოდა. ნიკოს ეზოდან ორი ნაცნობი ქალის ხმა მოესმა. კვლავ სიდონია და გულქანა კამათობდნენ. უნდოდა ყურადღება არ მიექცია, მაგრამ ქალმა თავის სახელს მოჰკრა ყური და რა გული ძოუთმენდა, რომ არ გაჩერებულიყო?

— ქალი ერთი ღლაპის შემხედვარე ხომ არ დარჩება? გათხოვება მოუნდა, მამამთილის შეეხათრა და ცალკე დაიდგა კიდეც სახლი. აბა, რა ექნა? არა, ჩემო გულქანა, ნინოს მე სულაც არ ვამტყუნებ, ქვეყანაზე ადამიანი ორჯერ კი არ მოდის... სანამ ყმაწვილქალობის იერი შერჩენია, მანამ თუ იფიქრებს რამეს, თორემ მერე მობერდება და ვინღა შეხედავს? — შოქშოქებს სიდონია.

— გათხოვება რომ სდომებოდა, მამამთილის ოჯახიდან აქამდე აიკრავდა გუდა-ნაბადს. მარა ნინო სხვა ქალია, სხვა ქალი! — ექომაგება ქვრივს გულქანა.

უსმენს ნინო ორივეს. გულში სწყევლის შოქმოქა სიდონიას და ლოცავს ხმატკბილ გულქანას.

სიდონიასა და გულქანას კამათი ეზოდან ეზოში გადადის. მთელ სოფელს, ნინოს ამბავი აკერია პირზე. ზოგი სიდონიას ემხრობა, ზოგი გულქანას, სოფელს დიდი პირი აქვს, ვერ აუკრავ, ვერც აუკერავ, რაც უნდა ისა[illegible] მთავარია, ადამიანი თავის თავთან იყოს მართალი.

ვიდრე ნინოს გიორგის ნაბადი ტახტის წინ, კაჩაზე უკიდია, შიში არაფრისა აქვს, სულ არაფრის. იფხანონ ენა ჭორიკანებმა. იქაქანებენ, ილაყბებენ, მერე შოქმოქ-ლაშლაში მოსწყინდებათ და გაჩუმდებიან.

ნინოს დღეისდღეობით მხოლოდ იმის ჯავრი აქვს, ახალ ბუხარს მოუვლის თუ ვერა? შერცხვება, მტერს გაახარებს, თუ?.. აქამდე ამირანი იყო, ცალკე რომ დაესახლა, ამირანთ-ამირანი გახდა.

ნინოს ეზოშიც ყივის მამალი. ამ ორიოდე ნაბდისგაშლა ეზოსაც ეფინება ღრუბლის ჩრდილი. აქაც მოდის წვიმა და თოვლი, ამოდის და ჩადის მზე, ივსება და ილევა მთვარე. ნინომ ამ ეზოს მესერი შემოავლო. ოდის უკან ბოსტანი გაიკეთა, ლეღვი და ქლიავი მოაჯიშა. ცალთვალა ოდას მეორე თვალიც მიუმატა.

— ჰაი, დედასა! ერთი წამოახედა მაინც გიორგის! მერე საფლავში უფრო მშვიდად მოისვენებდა! გოგიას ახლა არც შაქარყინული აკლია და არც სხვა რამე! ლუკმას ვერავინ დაამადლის, ვერავინ!

თავაწეული დადის გულგაკაჟებული ნინო. ოღონდ მართლა უძლეველი ვინმე კი ხუ გგონიათ, ჩვეულებრივი ქალია ისიც და ჭირს ყოველთვის კი ვერ გაექცევა.

გულქანას მთაში ქერი ჰქონდა მოსამკალი. ნადი მოიხმარა. ნინოც წაჰყვა. პატარა გიორგი მონადირე ფირანას უფროს გოგოს დაუტოვა.

ნადი მთიდან გვიან წამოვიდა. შუა გზაზე იყვნენ, როცა ახალი ფრჩხილა მთვარე მთას იქით ჩაცურდა.

ნინომ დაბრუნებისთანავე შვილი მოიკითხა და ელდა ეცა: გოგია არც შინ დახვდა, არც ფირანას ოჯახში.

ნამგალი ხელიდან გაუვარდა.

გოგონა ამბობდა: ჩემს ძმას გაეკიდა სამწყესურშიო. მწყემსი ბიჭი გაიძახოდა: ლუხუნის ხიდს რომ გავცდით, უკან ჩამომრჩა, მეგონა, შინ დაბრუნდაო.

— ვაი შენს დედას, შვილო!

ფეხზე დადგა მთელი უბანი. გამოიტანეს ფარნები, ზოგმაც კვარის ყონდღილები... ქალი და კაცი ტყე-ღრეს შეესია. ატყდა ციხის გარშემო ყვირილი, გნიასი და ყიჟინი.

პავლიამ ციხის ქონგურზე ფიჩხი აიტანა და ისეთი კოცონი გააჩაღა, ცეცხლი ჩირაღდანივით ანათებდა ცას.

— ამ ცეცხლის დამნახავი ნადირი აქაურობას ახლოს ვერ მოეკარებაო! — იმედოვნებდა პავლია და კოცონს ფიჩხს უმატებდა.

ზაფხულის ცაზე კი ვარსკვლავები მშვიდად ციმციმებდნენ.

ნიკო ტაბუცაძეს მთელი ღამე ყელი არ მოუსვენებია, ხან კლდეზე შედგებოდა, ხან ქედს აღმა აუყვებოდა და საღლაც შორს გასძახოდა:

— ვერა ნახე, თედორე?

— ვერა, ვერააა! — ხან ქვევიდან და ხან ზევიდან ისმოდა თედორეს სასოწარკვეთილი ხავილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბიჭო გოგია! ბიჭო გოგია! — მოლაღურივით ეძებდა დაკარგულ ბიჭს გულქანა.

ქვრივი ციხის კედელს აეკრა და დამუნჯებული გაქვავდა [illegible] მთელი ღამე. ვერც ხმის ამოღება შესძლო, ვერც ცრემლის გა[illegible]

გიორგი ალიონზე იპოვეს, ციხის ქვემოთ, მუხნარის ტევრში. თურმე ნეშოყრილზე იწვა. თოფის სროლისა და ხმაურის არაფერი გაუგია. დილის სიგრილეს გაუღვიძებია და იმას აუცახცახებია. კიდევ კარგი, შიშისა მაშინ ბევრი არაფერი იცოდა, თორემ ჭკუაზე შეიშლებოდა ბიჭი.

დედამ შვილი უვნებელი რომ დაინახა, მაშინღა მოეკვეთა მუხლი და ჩაიკეცა. გულქანამ ძლივს მოასულიერა. გიორგიც მხოლოდ დედის ამბავმა შეაშინა და ალრიალდა.

ტყეში ღამეგათეული ბიჭი უცნაურად გამოიყურებოდა. თმები აბურძგვნოდა და გადმოკაკლული თვალები აცაბაცა გაურბოდა. ალბათ, უკვირდა: ამ ტყეში ამ დროს რა მინდა, ან ამდენი ხალხი რატომ მახვევიაო.

ყველაზე გვიან თედორე ბაბუა მოვიდა. მოვიდა კი არა, ტყის კაცივით მოშლიგინდა. შვილიშვილი რომ დაინახა, გადაირია, ნადირივით ეცა და გულში ჩაიკრა...

ეჰ, მაშინ მთელი უბანი აქ ქვრივის ბავშვს ეძებდა, დღეს კი ნინო სულ მარტო წამოვიდა და ხბოს ეძებს, ურქო ხბოს...

„მოგიკვდეს, შვილო, დედა! სად დამეკარგე, სად? მე დავბერდი, რაღაც იმედი კი არ მიბერდება! ასე მგონია, კვლავ გიპოვნი, გიპოვნი უვნებელს და ამდენი ვაება ლხინად შემეცვლება...“

ნინომ გულზე დაკრეფილი მკლავები ულონოდ ჩამოყარა, თვალი უნიათოდ გაახილა, ერთიც გადახედა სოფელს და თავი ხელისგულებში ჩარგო.

ისევ აბრუნდა ფიქრისა თუ მოგონების ბორბალი.

ქვრივის კარმიდამო აქედან ხელისგულივით ჩანს. ეზოს კიდეში დიდი კაკლის ხე დგას. რიონმა ამ კაკალს აქა-იქ უკვე ფესვები გამოუჩინა.

შემოდგომით მდინარე იკლებს, უკან იხევს და რიყეს ფართოდ ტოვებს. დაბერტყვისას კაკალი წყალში მაინც ცვივა.

— კიდევ კარგი, რიონი შემოდგომით მაინც იკლებს, თორემ იქეთა ტოტების კაკალს ერთიანად წაიღებდა წყალი, — თქვა ერთხელ რიყესთან მდგარმა თედორემ.

თითქოს ბერიკაცის ნათქვამი მდინარემ უკულმა გაიგონაო, იმ წელიწადს დიდხანს არ დაიკლო.

ბერიკაცი გულმოსული გასცქეროდა რიონს: სულ დაკარგე სინდის-ნამუსიო. ყალიონის ტარსა ღრღნის და ისეთი ცეცხლი უკიდია, ეს ტიალი მდინარე სულმოუთქმელად რომ დალიოს, გულს მაინც ვერ გაიგრილებს.

კაკალი სულ დაიჩურჩა და ქარი პატარა ფრთასაც რომ გაჰკრავს, თავისით ცვივა. ერთი რომ ეზოში ვარდება, ორს წყალი მიატივტივებს.

— რა ვქნათ, ჰა? ასე ვუყუროთ სეირს? ქვრივის სარჩო-საბადებელი ლუკმა წყალს გავატანოთ? — შესჩივლა თედორემ შვილს.

— შენი არ მიკვირს, მამა?! აბა, ამ კაკლის გულისთვის რიონს ხომ ვერ დავაშრობთ? — არხეინად მიუგო პავლიამ.

— მოვიფიქროთ რამე, შე კაცო!

ჰოდა, მოიფიქრეს.

ნიკო ტაბუცაძეს ერთი უშველებელი ბრეზენტი ჰქონდა. გაშლილ კალოზე ავდარი რომ მოუსწრებდა, დაავლებდა არნადს ხელს, კალოს შეახვავებდა, იმ ბრეზენტს დააფარებდა და იყო არხეინად. ხანდახან ბეღლის დარხევის დროსაც ხმარობდა: ბრეზენტს ოთხი კაცი დაავლებდა ხელს, ფართოდ გაჭი-

მავლა და მიწაზე ერთი კაკალი ბუოლაც არ ვარდებოდა. ქათმები და ბატები ხახამშრალნი რჩებოდნენ.

მივიდნენ ნიკოსთან და თავისი გასაჭირი უთხრეს. ბრეზენტს პატრონიც გამოჰყვა. თედორე და ნინო რიყეზე დადგნენ, ნიკო და პავლია ცივ წყალში წელამდე შევიდნენ. ბრეზენტი მდინარის თავზე ფართოდ გაიშალა. [illegible] მონადირემ კაკალზე გრძელი ხოლი აიტანა და კაკალი ისე ჩამობერტყა, რიონს ნახევარი ბათმანიც არ გაატანა.

გოგია ეზოში ხბოსავით დაკუნტრუშებდა.

დიასახლისს მეზობლები შინ არ შეჰყვნენ. მასპინძელმა პატარა ტაბლა ეზოში გამოიტანა. ადღეგრძელეს აქეთური, იქითური და ბოლოს ჯერი ამ ძველისძველ კაკალზე მიდგა.

— ნამუსგარეცხილ რიონს ეგონა, ქვრივს დავიბრიყვებ და ლუკმას წავართმევო, მარა ვერ მიართვეს! — ისე წაიტრაბახა პავლიამ, თითქოს ამ საქმის მოთავე თვითონ ყოფილიყოს.

— ძველები მიწას გოდრებით, გუდებითა და კალათებით აგროვებდნენ, კლდეებზე აყრიდნენ და ყანა-ვენახს ისე იკეთებდნენ. მამა-პაპას ჩვენც ვბაძავდით, აი, შვილები კი მიწას ისე ველარ აფასებთ, ნამეტანი გულგრილად უყურებთ. თუ ასე გაგრძელდა, ეს ამბავი კარგ დღეს არ დაგვაყრის! — ეს სიტყვები სადღაც სუფრის იქით გადააგდო ბერიკაცმა და შვილს შემოუბრუნდა: — აი, შენ გიყვარს მიწა?

— მიყვარს, რატომაც არ მიყვარს!

— სტყუი, შვილო! ჩემი გაჭედილი ხატის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის! არ გიყვარს შენ მიწა!

მართალი გამოდგა ბერიკაცი. პავლიამ იმ შემოდგომის მიწურულშივე ქალაქს მიაშურა, ორიოდე გროშს ვიშოვიო, და მის მერე სოფელს აღარც დაუბრუნდა, ცოლ-შვილიც იქ წაიყვანა. გაქალაქებულმა მოხუცი მამა ღვთისანაბარად მიატოვა.

თედორეს თანამეცხედრე დიდი ხანია აღარა ჰყავდა, მარტოხელა ცხოვრება გაუჭირდა და ქვრივ რძალს შეეკედლა.

აცხონოს უფალმა, ტკბილი მოხუცი იყო, ნინოს ძალიან უყვარდა, ბევრი კარგი ისწავლა მისგან.

რაც თედორე ქვრივის ოჯახში გადმოვიდა, გოგიას დედასთან აღარ დაუძინია. ბავშვი უიმისოდ ვერც დღე სძლებდა, ვერც ღამე.

— ბაბუ, პატარა თოხი გამიკეთე, რა! — ამბობს გოგია.

თედორე იმ დღესვე გარბის მჭედელთან, საღამოზე პატარა თოხი მოაქვს და თხილის ტარს უგებს.

— მაკოცე!

გოგია სპეტაკ წვერს უკოცნის ბაბუას და დილაუთენია ყანაში მიჰყვება.

— ბაბუა, მეც მინდა ნაჯახი!

— მაგის ჯავრი გაქ?

გოგიას ვიწრო ქამარში მოკლეტარიანი პატარა ნაჯახი გაუჩრია და ტყისკენ მიმავალი ბაბუას წინ მიკუნტრუშებს.

ერთ დილას თედორე რიონის ნაპირს მიადგა, ცერად გახედა, ალმა აუყვა და კაკალს ასიოდე ნაბიჯით რომ გასცდა, ჩოხის კალთები ქამარში შეიკეცა და რიყის ქვის შეგროვებას შეუდგა.

— რას შვები, მამა?! — გაიკვირვა ნინომ. — რად გინდა ეს სიპი ლოდები, ტყუილუბრალოდ წელს რაზე იწყვეტ?

— ტყუილუბრალოდ? ჩემხელა კაცი ტყუილუბრალოდ სიტყვასაც არ იტყვის. ჯებირი უნდა გავაკეთო, შვილო, ჯებირი. ამ წყალს ცოტა განზე გააგ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებს, თუ არა ნამეტანი შემოუტია კაკალს. რიონს თუ არაფერი ვუხამშეროთ, წაგვიქცევს კაკალს და აქედან აგვყრის.

ბევრი უშალა ნინომ, მაგის ჯან-ღონე სადღა გაქვსო, არ დაიშალა ბერიკაცმა.

— მეზობლებს მაინც გააგებინე, — ურჩია ნინომ, — მოგეხმარებიან; რიონი იმათ ეზოებსაც ემტერება.

— ეეჰ, ჩემო კარგო, ძველებს მიწა და ეზო სხვანაირად უყვარდათ, არც სხვისთვის ემეტებოდათ, არც წყლისთვის, ახლა კი სადღაა ისეთი ხალხი? — თედორემ თავი გაიქნია. — ვუთხარი, ყური არ მათხოვეს: რიონს თუ ჩვენი ეზოების წაღება უნდა, მაინც წაიღებს, ასი ჯებირიც რომ აუშენოო. ნამეტანი თავშეუდებელი გახდა სოფელი. არ არის კარგი ამბავი, არა. უუ, ჰუ, ჰუ, ჰუ! უუხ!

ბერიკაცის ხველანარევი ხმა რიონმა წაიღო.

თედორემ ბევრი იწვალ-იჯახირა, ჯებირი მაინც გააკეთა. ამ ჯებირის გამო იყო თუ სხვა რამისა, რიონმა მართლაც უკან დაიხია.

— აი, ხომ ვამბობდი! — ყველას ეუბნებოდა გახარებული ბერიკაცი.

სხვა საქმის გაკეთება აღარც დასცალდა, სამი თვის მერე სული დალია ცხონებულმა.

გოგიას არ უტირია, ოღონდ იმ დღეებში სულ გაოგნებული დადიოდა, ხმას არავისა სცემდა, არც არავის ეთამაშებოდა.

ჯებირმა კარგა ხანს გასძლო, მერე ღობე გაუცვდა, გოდრებში ჩაყრილი ლოდები რიყეს შეერია და მდინარემ გამოღმეთს ისევ შემოუტია.

რიონი ყველაზე მეტად ქვრივის კაკალს გადაემტერა. ძირს უთხრიდა და წაქცევას უპირებდა. ამის დანახვას ცხრა თვალი კი არ სჭირდებოდა, ყველა ჩინებულად ამჩნევდა.

— ქალო, კარმიდამოს პატრონი გაუჩინე! — ჩასჩიჩინებდნენ დღენიადაგ შორეული და ახლობელი მეზობლები.

— აბა მე ვინ ვარ?! — მეზობლების სიტყვას ბანზე აგდებდა ნინო.

— ასეთ კარმიდამოს ვაჟკაცის ხელი სჭირდება, — ურჩევდნენ მეზობლები.

— ენაცვალოს დედა, აგერ გოგია წამომეზრდება და ყველაფერს მოუვლის, ვაზსაც გასხლავს და რიონზე ჯებირსაც გააკეთებს, — სხვას პასუხს აძლევდა და თავს ინუგეშებდა ქვრივი.

ზოგმა ისიც კვლავ გააგონა: ერთი შვილის იმედით ცხოვრება არ შეიძლებაო. ნინოს გული მოსდიოდა: ამდენმა თავქარიანმა და ავყია ხალხმა საქმე გამიჭირაო. მერე ეს საყვედური გულქანას პირითაც გაიგონა და ცოტა მოლბა. თითქოს თავს იმართლებსო, მეგობარს ცრემლნარევი ხმით უთხრა:

— გულქანა, შენც სიდონიას სასწორზე შედექი? დედა ენაცვალოს გოგიას, ჩემ ხელში ბავშვი ობლობას არ გრძნობს, რომ გავთხოვდე, ეშმაკმა იცის, რა კაცი შემხვდება...

— კარგად გამოიკითხე, შე ქალო!

— ზოგს ცოლის თხოვამდე ანგელოზის ფრთები ასხია, მერე კი როკაპი ხდება... ესეც რომ არ იყოს, არ მინდა ბიჭს ბედი გამოვუცვალო... შვილი რომ გერად ვაქციო, ვაი თუ სიცოცხლე გაუმწარდეს. თუ ქალი ხარ, გათხოვება მეორედ აღარ მიხსენო! ძალიან მაწყენინებ, ღმერთმანი.

ქვრივის ეს ხასიათი რომ გაიგეს, ვისაც ნინოს ცოლობა გულში ედო, ყველამ შორს დაიჭირა თავი. მაჭანკლის მოგზავნა მხოლოდ ერთმა გაბედა, ზემოურმა კაცმა. იმასაც გიორგი ერქვა. მიწაში ამოდებულ გიორგის ვაჟკა-

ცობით არ ჩამოუვარდებოდა. თითქოს ნინოს ელოდაო, აქამდე უცოლოდ უვლო. ხასიათსაც უქებდნენ, ჩამომავლობასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვისი ქება რად უნდოდა, იმ ზემოურ გიორგის ნინო ადრევე იცნობდა ქალიშვილობისას. მოსწონდა კიდეც. შავნაბდიანი ჯალაბეთელი გიორგი რომ არ შეხვედროდა, ვინ იცის, ეგებ სწორედ იმ ზემოურ გიორგის გაჰყოლოდა...

შეჰოჰმანდა ნინო და მაჰანკალს გადაწყვეტილად ვერც ჰო უთხრა, ვერც — არა: ორიოდე დღე მადროვე, დავფიქრდებიო.

ქვრივი მთელ დღეს გულაფორიაქებული დაჰქოთქოთებდა კოხტად დაგვილ და მილაგ-მოლაგებულ ეზოს. ბიჭის დანახვა ფიქრს უმღვრევდა, პატარა კალათა შეაჩეჩა ხელში და გაღმა ვენახში ატმის მოსატანად გაგზავნა.

მარტოდ დარჩენილი ქვრივი კაკლის ფესვზე ჩამოჯდა და მღვრიე რიონს გადააჩერდა. ცოტა ზემოთ მდინარეს ცხვირწაშვერილი პატარა კლდე უხვდებოდა და მორევს უჩენდა. მორევში რამდენიმე ნაფოტი ტრიალებდა. ნინოს მზერა იმ ნაფოტებს დასდევდა.

მიდუდუნებდა მდინარე და ფიქრმოხვეულ ქალს ხან აშინებდა, ხან გულს უფონავდა, ხან აგრილებდა, ხან სისხლს უხელებდა, ტანში საამო ჟრუანტელად უვლიდა და აქეზებდა. ზოგჯერ ემუქრებოდა კიდეც: კარმიდამოს მოგტაცებ და შენც წაგიღებო. მდინარის მუქარამ ქვრივი სულ აღაგზნო: თავს არ დაგაბრიყვებინებო, შეედავა. ჰო, მდინარეს ჯიბრში ჩაუდგა და გადასწყვიტა: მაჰანკალს თანხმობას ვეტყვიო.

ნინომ მორევს გაუშტერა თვალი, მორევს კი არა, თავის ფიქრს, მერე ეზოს მოხედა. თითქოს ქალის გულისთქმას გაეპასუხაო, ნიავმა სწორედ ახლა ჩაიდგა სული, ფრთა გაშალა და ირგვლივ საამოდ ააშრიალა ყველაფერი: წყალში თმებჩაკიდებული მტირალა ტირიფი, ცაში აზიდული კაკლის ხე, ტანაშოლტილი აკაციები და თავგადაბარდნილი ლეღვი. ეს შრიალი ნინომ მიწის დასტურად ჩათვალა: ფიქრი მომიწონაო.

იმ საღამოს გოგიას თბილი წყლით ფეხები დაბანა და ადრე დააძინა. შვილს თვითონაც მალე მიუწვა, რატომღაც სურდა მალე დასძინებოდა. რული ვერ მიაკარა თვალს. წინ სულ ნაფოტებიანი მორევი ეხატებოდა. ხვალინდელი დღეც თითქოს ამ მორევსა ჰგავდა. მერე ნინოს ფიქრის მორევი მდინარის მორევში ჩაიძირა და ქალს გული კვლავ გაუნათდა. ისევ ამ აზრზე მოდგა: მაჰანკალს თანხმობას ვეტყვიო. რაკი ფიქრის სასწორი აქეთ შეაგდო, ცაში ფრენა დაიწყო. ვარსკვლავები ულიმოდნენ და ღამის ლაჟვარდში უცებ ამობრდღვიალებული მზე სისხლს თბილად უჩქროლებდა.

ამ სანეტარო ფიქრში გაატარა ნახევარი ღამე. როცა ეგონა, ახლა კი დავიძინებო, სადღაც მეხი გავარდა, ხეობამ დაიგმინა და ცამ ყრუდ გადაიხარხარა. შეკრთა ნინო. ეს ხმა სიდონიას მოგუდულ სიცილად მოესმა. მალე შოქშოქა ქალის როხროხი უფრო ახლოს, თავის ოდასთანვე გაიგონა და ცახცახმა აიტანა.

„მიწა დამეთანხმა, დასტური მომცა მიწამ, ფიქრი გამიგო და მითანაგრძნო, აი ცამ კი...“

ნინოს ისე შეამცივნა, თითქოს ძარღვებში გამდნარი ყინული ჩაასხესო. სისხლგაყინულმა და ათრთოლებულმა ტკბილად მძინარე შვილს მკლავები შემოხვია და გულში სასოებით ჩაიკრა. თბილი იყო გოგია, ძალიან თბილი... დედა მაინც ვერ გაათბო.

ფანჯრიდან ელვა შემოიჭრა და ოთახში გამეფებული თვალგაუვალი სიბნელე დაარბია. ელვა-შუქი ტახტის წინ დაკიდებულ შავ ნაბადს დაეცა და მაშინვე გაქრა.

კვლავ გაცოცხლდა შავი ნაბადი, გიორგის მოეხურა ფართო მხარბეჭზე.

თავზარი დაეცა ნინოს, ლოგინიდან შეშლილივით წამოვარდა, მუხლებზე დაეცა, ხელები აატატა, ნაბდამდე ფორთხვით მივიდა და თავის მფარველ ანგელოზს პატიება სთხოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინოს ყმაწვილქალობისას ყველაზე უფრო წიგნი უყვარდა. [illegible]ლებელი ჰყავდა და ამ სიკეთეს შვილს როგორ მოაკლებდა?

გოგიასაც წიგნი ძალიან უყვარს, თუმცა ტოლებს სხვა რამეშიც არ უდებს ცალს: თუ ბიჭები ჭიდაობენ, ყველა თავის ფალავნად გოგიას ირჩევს, იცის, არ გააწბილებს, მეტოქეს ან ღონით მოერევა, ან ხერხით. ლახტაობისას ქამარს სხვაზე მარჯვედ იქნევს, ლაჯიც სხვაზე დიდი აქვს. რიკს თუნდაც ასჯერ აკენჭნის, ხოლო ტაფელას ლუხუნის გამოლმა რომ გაჰკრავს, გაღმა რიყეს გააცილებს.

ყველაზე მაღალი ოჩოფეხებით დაალაჯებს. ცურვაში ბადალი არ ჰყავს. ლუხუნში იხვივით გადი-გამოდის, ახლა კი რიონსაც ეძალება, არც ეს დიდი წყალი აშინებს.

დედა შვილს შორიდან უთვალთვალებს, სითამამეს არ უშლის, არც აქეზებს. თითქოს თავის ნებაზე ჰყავს მიშვებული, თვალი კი სულ მისკენ უჭირავს, ცუდი არაფერი გააკეთოსო.

ასე გარბიან დღენი, მიდუდუნებს რიონი და თავისი გზით მიდის წუთისოფელი.

ნიკოსა და ფირანას საზიარო ჭა აქვთ. გულქანას შიგ სპილენძის კარდალა ჩაუვარდა. ჩაუშვა ჩანგლიანი თოკი, ურია და ურია. ვერ მოსდო კარდალას და თავი მიანება.

გულქანას გოგომ, გოგიას კბილა მაყვალამ, ეს ამბავი თავისუბნელ ბიჭებს გაანდო. ბიჭები ჭასთან შეიყარნენ. ვინმე უნდა ჩაეშვას შიგ. იხედებიან ჭაში და მხრებს იწურავენ. ღრმაა, თითქოს ფსკერი ქვესკნელში აქვსო. მრგვალკედლიანია, რიყის ქვითაა ამოშენებული, აქა-იქ მწვანე ხავსი დასდებია. ასეთ ქვებზე ფეხის მოკიდება ძნელია, აცურება კი — ადვილი, სლიპია ძალიან. ეს იციან ბიჭებმა და ჩასვლას ვერავინ ბედავს.

ცმუკავს მაყვალა, ყველა ბიჭს ცალცალკე აკვირდება: რომელი ხართ მამაციო.

— ეჰ, რა კურდღლები ვართ! — თითქმის გულმოსვლით წამოიძახა გოგიამ, სანდლები გაიძრო და ჭის თავქვაზე გადაბობღება დააპირა.

— ნუ ჩქარობ, გოგი, — ხელი მოჰკიდა მაყვალამ. — ასე მიხვალ? თოკი ჩაიბი!

— ყელში? — გაიცინა ბიჭმა.

— ყელში კი არა, ის არ გინდა... მარყუჟად გასკვენი და იღლიებში ამოიდე. თოკს ჩვენ დავიჭერთ.

— არ მინდა თოკი, ხელს შემიშლის, — ითაკილა ბიჭმა, — ისე ჩავალ.

ნინო ამას შორიდან ხედავს, ახლო კი არ მიდის. აშინებს შვილის გამბედაობა, ძალიანაც აშინებს, მაგრამ ჭაში ჩასვლას მაინც არ დაუშლის. ბავშვი ყველაფერს უნდა მიეჩვიოს, თორემ ცხოვრება დაჩაგრავსო, ასე სწამს ნინოს.

თავისდაუნებლიედ ცოტა წინ მაინც წამოდგა, საფარიდან გამოვიდა. მაყვალამ შეამჩნია:

— დეიდა ნინო, გოგია არ მიჯერებს, ჭაში უთოკოდ აპირებს ჩასვლას! შვილმა დედას მოხედა, შეცბა და თავი დამნაშავესავით ჩაჰკიდა.

— თუ უთოკოდ უფრო ადვილია ჩასვლა, რა უშავს, — უთხრა ნინომ მაყვალას და შვილს ჩაჰკითხა: — გაქვს თავის იმედი?

— ბაჭუას ჭაში ჩავედი შარშან, — თავი ასწია გოგიამ. ჭის თავქვას ისე

გადააჭდა, თითქოს უბელო ცხენს მოახტაო, თანატოლებს ღიმილით გადმოხედა, მეორე ფეხიც შიგ გადადო და ჭაში ფრთხილად ჩაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინომ ჭას ჩახედა. გოგიას ხელ-ფეხი გაებარჯღა და ჯვარცმულს დამსგავსებოდა. ხელ-ფეხს ჯვარედინად ინაცვლებდა და ისე ეშვებოდა. ტანს ხელმოსაჭიდსა და ფეხის დასადგმელ ქვას ფრთხილად ამოწმებდა. ტიტხანს სინჯავდა და ვიდრე არ დაინამდვილებდა, კედლის ბუდეში მაგრად ზისო, არ ენდობოდა. მხოლოდ ერთმა პატარა ქვამ უმტყუნა, ფეხქვეშ გამოეცალა და ჭაში მოადინა ტყაპანი, მაგრამ ბიჭს ფეხი უსაყრდენოდ მაინც არ დაურჩა.

— ფრთხილად, შვილო!

— ნუ გეშინია, დედი, მაგარი კედელია!

— თოკი ჩამოუშვით! — ცოტა ხნის მერე კვლავ ამოიძახა ჭამ.

მაყვალამ თოკი ჩაუშვა, თოკს კარდალა ამოჰყვა.

გოგიამაც მალე ამოჰყო თავი. ეტყობა, ამოსვლა უფრო გაუადვილდა...

მოგონებას მოგონება მისდევს...

გოგიამ სკოლიდან გაცვეთილი გლობუსი მოიტანა და თავის ოთახში დადო. მეორეს დღეს დედა ხედავს, გოგიას ბაბუამისის ნაქონი ხანჯალი დაუჭერია ხელში და გლობუსს შუაზე ფატრავს.

— რას შვები, ბიჭო? — გაიოცა დედამ.

— დამაცა, ახლავე გაჩვენებ! — გოგიამ გლობუსი შუა გაჭრა და ნახევარი ქუდად დაიხურა: — მშვენის?

— ნუ ხარ უცნაური!

— ნახევარი მსოფლიო მახურავს თავზე. მფარავს სამი ხმელეთი: ამერიკა, აზია და ევროპა. მფარავს სამი ოკეანე: ატლანტიკის, წყნარი და ყინულოვანი!

— ნუ ხარ უცნაური!

— ამისთანა მუზარადი ქვეყნიერების ზურგზე ჯერ არც ერთ გმირს არ ჰქონია. მე ვარ უძლეველი რაინდი! შემერკინოს ვისაც უნდა, ვინ დამაკლებს რამეს?

— ისევ ომობანა უნდა ითამაშოთ?

— დღეს ბარაკონის ციხე გვაქვს ასაღები.

— მუზარადად ნახევარი მსოფლიო კი გახურავს, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, ბიჭო!

გოგიამ ფიცრის ფარი ჩაბღუჯა, ყავრის ხმალი შემართა და ეზოდან გაიჭრა...

ერთი კვირის თავზე ნინომ ნახა, გლობუსის მეორე ნახევარი გოგიას მაგიდაზე აღარ იდო, არც გოგია იყო შინ.

„ისევ ბარაკონის ციხის დასარბევად წავიდოდნენ“, გაიფიქრა ქვრივმა. მხარზე შალი მოიგდო და ეზოდან გავიდა. ორღობეში ნაბიჯს მოუჩქარა. გულამოვარდნილი ფერდობს შეასკდებოდა, შვილი ორღობეშივე რომ არ შემოხვედროდა.

გიორგი დაღლილ-დაქანცული მოდიოდა.

— დედი, ციხეში დიდი კოშკი რომ არის, იმაში შევედი და მარჯვენა კედელზე იცი რა ვნახე? ხელის უშველებელი ანაბეჭდი. აი, ისეთნაირი, შენ რომ ჭადზე ხელს ურტყამ ხოლმე. თურმე ბარაკონის ციხეს რომ აშენებდნენ, საძირკველი ენგრეოდა და ერისთავს კედელში ჭაბუკის ჩაკირვა უბრძანებია.

— ყველა ციხის აშენებაზე მაგ ამბავს ამბობენ, — გაიხსენა დედამ.

— ალბათ ყველგან ასე იქცეოდნენ და იმიტომ, — გაეპასუხა შვილი. — ჰოდა, მოუყვანიათ მსხვერპლი, ერთი ალალი ვაჟკაცი — მინდა მინდელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა





ჩაუსვამთ კედელში და დაუწყიათ ჩაკირვა. ჭაბუკს კედლისთვის ხელი შემოურტყამს, კედელი ვერ დაუნგრევია, ხელის ანაბეჭდი კი დაუტოვებია ზედ. ეს ამბავი მართალი იქნება, დედი.

— რა ვიცი, შვილო...

— ბარაკონის ციხეს მინდას ციხესაც ხომ ეძახიან?

— კი, ეძახიან. ძველები მარტო მაგ სახელს ეძახდნენ.

— ჰოდა, მართალი იქნება. ვისი სისხლ-ხორციც იმ ციხეშია ჩაქცეული, მისი სახელი ერქმევა, აბა რა!

— ვინ იცის, ის ანაბეჭდი ციხეში დატანებული ჭაბუკის ხელი სულაც არ იყოს, — შვილს ეჭვი შეაპარა დედამ, — შეიძლება ციხის მშენებელმა წერა არ იცოდა, ქვაზე თავისი გვარსახელი ვერ ამოკვეთა და სამახსოვროდ ბათქაშზე ხელის ანაბეჭდი დატოვა. შეიძლება ის ოსტატი იმ ციხესთან დაეცა და იქვე დაიმარხა. ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი: ვინც ციხეს აშენებდა, ის იმ ციხეს სიცოცხლესაც სწირავდა. ჰო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, ასე იყო. მერე კი იმ ხელის ამბავი ლეგენდად აქციეს, აქაოდა ციხეში ჩაკირული ჭაბუკი ისეთი და ასეთი დევგმირი იყოო.

გიორგი დედის ნათქვამს ჩაუფიქრდა და თავი გაიქნია, ეტყობოდა, ვერ ირწმუნა, ამ ხელის პატრონი ციხეში ჩაკირული ჭაბუკი რომ არ იყო. [illegible]ბელს მაინც არ შეჰკამათებია, მხოლოდ ეს უთხრა:

— დედი, იცი, იმ ხელის მტევანს ჩემი დავატოლე. კელაპტარივით მსხვილ ნათითარებში ჩემი თითები წინდის ჩხირებივით წვრილები გამოჩნდა, იმ ხელმა ჩემი ხელი სულ ჩაყლაპა. ასე მომეჩვენა, იმ უცნობმა გოლიათმა ხელი ჩამომართვა-მეთქი.

— ხელი ჩამოგართვა?!—ნინო გაშტერდა, იმ ჭაბუკისა და თავისი შვილის გადაჭდობილი ხელები წარმოესახა და ძარღვებში ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

ამოდის და ჩადის მზე. ივსება და ილევა მთვარე.

მოშხუის ლუხუნი და მიდუდუნებს რიონი.

გოგია კაკლის ხეს ეტოლება და დამსკდარ ქერქზე ჭდეებს აკეთებს. ის ნაჭდევები კაკალს ახლაც ამჩნევია. ბოლო ხაზი თექვსმეტი წლის გიორგისაა. მერე ბავშვობას თავი დაანება.

— დედი, შალაშინი თუ გვაქვს? — ჰკითხა გიორგიმ ნინოს.

— კი, შვილო. ბაბუაშენისეული შალაშინი ბეღელში მაქვს შენახული. რად გინდა?

— ისე.

— მაინც?

— ისე. ლადომ მთხოვა.

მეორე დღეს ნინო ხედავს: გიორგის თანაკლასელი ლადო მერკვილაძე ჭირკზე დასკუპებულ მის ვაჟკაცს თავზე ადგას და შალაშინის შიშველ პირს ლოყებზე უსვამს.

ბიჭები გინგლს იფხეკდნენ. ეგებ წვერ-ულვაში მალე ამოგვივიდესო.

გიორგის მართლაც მალე აუჯეჯილდა ულვაში. თანდათან მამის ხატი გახდა. დედას ხელიდან თოხი და ბარი გამოსტაცა: შენ ქალის საქმეც გეყოფაო.

ქვრივის კარმიდამოს ვაჟკაცის ხელი დაეტყო, აუმაღლდა ბუხრის კვამლი. ოჯახს სტუმარი გაუხშირდა.

ქვრივს პირზე ვარდი აუყვავდა: ამიერიდან ტკბილ-მწარე წუთისოფლის კალოს დედა-შვილი ერთად გავლეწავთო.

გულგახალვათებული ნინო ცაში ფრინავდა, ხვალის დღე სულ გაღიმებული ესახებოდა, გზა — ია-ვარდით მოფენილი. ვეღარც წვიმა აშინებდა, ვეღარც თოვლი; ბედნიერი დედის ღიმილი ადნობდა ცაში ღრუბელსა და მიწაზე — თოვლს. აქამდე მზეს ტკბილ-მწარე გემო ჰქონდა, ბოლო დროს კი სულ გაგემრიელდა.

ჰო, ასე ეჩვენებოდა მაშინ ნინოს. ერთი შვილის შემყურეს მთელი ქვეყნიერება თავისი ეგონა.

— დედი, ხვალისთვის საგზალი მომიმზადე, გეოლოგებს მივყვები მთაში! — ეუბნება ზაფხულის ერთ საღამოს შვილი.

— ვინ გეოლოგებს, ბიჭო?

— ბარიტს ეძებენ.

— გეოლოგებთან სასიარულოდ გცალია ახლა შენ?

— რატომაც არა. აბა, სულ სახლში ხომ არ მოვკრუხდები?

დედამ შეახსენა: საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა რომ გაქვს ახალები, რატომ აქამდე არ მიაკითხავო.

— გუშინ ავიღე, დედი, — მშვიდად მიუგო გიორგიმ.

— მერე?

— რა მერე? შევინახე...

— როგორ თუ შეინახე?! მეტი სწავლა აღარ გინდა?

— მოვესწრები. ორიოდე წელიწადს კოლმეურნეობაში ვიმუშავებ და წაგეხმარები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რას ამბობ, ბიჭო?

— ცოდო ხარ, დედი, ცოტა შენც ხომ უნდა დაისვენო?

დედის ფიქრი ორად გაიყო. თვითონ შიმშილითაც რომ მომკვდარიყო, შვილს უმაღლესში უსწავლელს მაინც არ დატოვებდა, მაგრამ ერთი სხვა გუმანიც უტრიალებდა თავში: ჯერ დავაქორწილებ, ოჯახში რძალს დავისვამ, კალთაში შვილიშვილს ჩავიგორებ და გიორგის ქალაქში სასწავლებლად მერე გავუშვებო.

ნინო თავის თავსაც არ უტყდებოდა, რომ სადღაც გულის კუნჭულში შიში ედო: ვაითუ უცოლშვილო ვაჟკაცი ცთუნებას აჰყვეს და ქალაქში ხელს გადაჰყვესო. გიორგისათვის ცუდი ზნე არასოდეს შეუმჩნევია, მაგრამ მაინც... ფრთხილობდა დედის გული. ესეც რომ არ ყოფილიყო, ნინოს ოჯახში ხმისგამცემი ენატრებოდა.

დედამ ორივე ფიქრი სასწორზე შეაგდო და ბოლოს შვილს ეს უთხრა: როგორც გულმა გიკარნახოს, ისე მოიქეციო.

ულვაშაჯეჯილებულ ვაჟკაცს დედა უფრო სხვა თვალითაც აკვირდებოდა და ბევრ რამეს ახალს ამჩნევდა.

ადრე გიორგი გოგოებს ყურადღებას არ აქცევდა. ამ გაზაფხულზე კი შეიცვალა ბიჭი. შინ გული არ უჩერდებოდა, იქით გარბოდა, სადაც მაყვალა ეგულებოდა. ღღეობებშიაც თვალი სულ მაყვალასაკენ ეჭირა. ჭაბუკს სიყვარულის ასაკი უცებ დაუდგა, ვიღაც უნდა შეჰყვარებოდა, ჰოდა, თვალში მაყვალა მოუვიდა, ეტყობა, გულმაც ის ურჩია.

ბავშვობისას გიორგი ხშირად აწვალებდა მაყვალას, ხან ბაფთებს მოაძრობდა, ხან ნაწნავს გაუჩეჩავდა, ხან ნახერხით გატიკნილ დედოფალას წაართმევდა, ამ ბოლო დროს კი ქალიშვილთან შეხვედრისას სულ ენა ებმებოდა, წითლდებოდა და თვალები სად წაეღო, არ იცოდა.

შეღერებულ ჭაბუკს არც მაყვალა უყურებდა გულგრილად. ნინო ამას კარგად გრძნობდა. თავადაც მოსწონდა ქალიშვილი. ჰოდა, ერთხელ შვილს ჩაუარაკა კიდეც:

— ამ ნიკოს გოგოს დამიხედეთ, რა უცებ აიყარა ტანი! ღმერთმანი, მოიტაცებს ვიღაცა.

გიორგი გაფითრდა, თავი ჩაჰკიდა და მიწას კრიჭაშეკრული ჩააჩერდა.

— რა დაგემართა, ბიჭო? — ჩაჰკითხა დედამ.

შვილმა კრინტი ვერ დასძრა.

— თითქოს რაღაცამ შეგაშინაო...

— შემაშინა კი არა... — გიორგი იქვე დაგდებულ ნაჯახს დასწვდა და დედას ისე გაშორდა, თავი არ აუღია.

შვილი რომ თვალს მიეფარა, ნინო კაკალთან მივიდა და ზურგაზნექილ მსხვილ ფესვზე ჩამოჯდა. ახლა დედამ ჩაჰკიდა თავი, თვალი მოხუჭა და ფიქრი ორად გაეყო. გაეყო და შორს კი არ გაექცა, ორივე ერთად ისევ მის გულში შემობრუნდა, ერთმანეთს ჩაეხვია და ჩაეწნა. ერთი სიხარულისა იყო, მეორეს იდუმალი იერი დაჰკრავდა, სევდას ჰგავდა, მაგრამ სევდა არ ერქვა. რაღაც იყო, უსახელო.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ ამ ქვეყნად არ არსებობს უნაღვლო სიხარული? რატომ დასდევს ყველაფერს თავისი ჩრდილი, რატომ? ყოველგვარ სიხარულს რაღაც დარდი ტყუპისცალივით რად დაჰყვება? ნუთუ არ შეიძლება ადა-

მიანმა ერთი წუთით მაინც მთელი გული სიხარულს დაუთმოს?“

ნინო თავისი დღე და მოსწრება იმას ნატრობდა, გიორგის ცოლს როდის ველირსებიო. აი, შვილს საამისო ჟამი დაუდგა და უცებ დედას ფიქრი ორად გაეყო: ერთმა გული გაუნათა, მეორემ — დაუჩრდილა.

აქამდე გიორგის გული სულ დედისა იყო, ამიერიდან კი ამ გულს ვიღაც სხვასაც გაუყოფდა, ნინოს შვილის გულის მოზიარე გაუჩნდებოდა. მერე კი, ეშმაკმა უწყის, ის მოზიარე ამ გულს იქნებ მთლიანადაც დაჰპატრონებოდა. ასეთი რამ ცოტა კი არ ახსოვს სოფელს.

ეგებ ერთი ძუძუ თაფლისა გვაქვს და მორე — სამსალასი? აი, ახლაც ერთდროულად გულში რატომ მიტრიალებს ორი ფიქრი: რძე-ფიქრი და ფიქრ-სამსალა? საერთოდ კი, კაცმა რომ თქვას, რას ვბოდიალობ ნეტავი?“

ნინომ ბაგეს კბილები მაგრა დააჭირა. იმ გაორებულ ფიქრს ნაცარ-ფერფლი მიაყარა. შუქ-ფიქრიღა დაიტოვა და გული ამით გაინათა, ხოლო გულგანათებულმა ფიქრ-იმედი გამოძებნა:

„ეჰ, შე თავკერძა, რამ შეგაშინა? ის ვიღაცა შვილს თუ წაგართმევს, სამაგიეროდ შვილიშვილს გაჩუქებს“.

ამით დაიმედებულ ნინოს ახალი საზრუნავი გაუჩნდა. დაბაში ჩაირბინა, მაღაზიაში სასაბნისპირედ წითელი ატლასი იყიდა, მერე ბაჭუას მეუღლე ინახულა, სევდია, ხუთი კილო თეთრი მატყლი გამოართვა, რიონში გარეცხა, ორ დღეს მზის გულზე ეფინა, მესამე დღეს აივანზე ფარდაგი დააფინა და საბნის კერვას შეუდგა. რომ ალიანდაგებდა, გულქანა დაადგა თავს:

— დედა, რა ლამაზია, ბოშო! მატყლის საბანს ვის უკერავ, ქალო?!

— სულ სხვისთვის კი არ ვკერავ...

— სამზითვოს ჰგავს, ღმერთმანი... შენ ორი კაცის საბანი რად გინდა? თავის დროზე არ გათხოვდი და ახლა...

— გულქანა, გენაცვალე, გარბის წუთისოფელი... ჩემი გიორგი ღლაპი კი აღარ არის! რძალს შიშველი ტახტი დავახვედრო?

— ჰოო! ნაზრუნევი ქალი ხარ, ნაზრუნევი!

ნინოს გულქანაც მიეხმარა. სადედამთილო ქალმა ატლასის დიდი საბანი ზეწარში შეახვია და სასტუმრო საწოლზე დადო.

გეოლოგებს გაყოლილი გიორგი შინ ორი კვირის თავზე დაბრუნდა. დედას სახეგარუჯული შვილი უფრო დავაჟკაცებული ეჩვენა.

გიორგიმ ზურგჩანთიდან ვარსკვლავდაყრილი მწვანე საკაბე და ჩითის იისფერი თავსაფარი ამოიღო, თეთრკოპლებიანი, თითქოს ღამის ცაზე ერთდროულად უამრავი მთვარე ამოსულაო.

ნინოს თვალი გაუფართოვდა და სახე გაებადრა.

„თავსაფარი კარგად შეურჩევია, სწორედ რომ საჩემოა, საკაბე კი არ გამომადგება, შავგვრემანებს მწვანე კაბა არ უხდებათ, თუმცა... რატომ გგონია, რომ მაინცდამაინც შენთვის იყიდა? იქნებ...“

სახეზე ღიმილი შეაშრა და უგემურად იკითხა:

— ეს რა არის, შვილო?

— ნახევარი თვის ჯამაგირი მომცეს...

— მერე?

— სულ იმას ვნატრობდი, პირველი ჯამაგირით დედას ვარსკვლავებიან კაბას ვუყიდი-მეთქი.

— ეს მე მიყიდე!?

გიორგიმ თავსაფარი დედას თავზე მოახვია და საკაბე მკერდზე მიაფარა:

— აბა, ერთი სარკეში ჩაიხედე, ნახე თუ გშვენის!

— მშვენის, შვილო, მშვენის! უსარკოდაც ვხედავ, ძალიან მოხდენ[illegible] — ნინოს თვალი მოუწყლიანდა და გიორგის მისი ცრემლი რომ არ შეენიშნა, მეორე ოთახში გავიდა და სკივრისკენ გაეშურა. მაგრამ ქალურმა [illegible] მოყვარეობამ მაინც სძლია და ფეხებმა თავისთავად სარკის წინ [illegible] თავსაფარი და საკაბე ერთად ნამდვილად უხდებოდა. ალბათ, მწვანე საკაბეს ვარსკვლავები რომ ეყარა უხვად, ის აძლევდა სხვა იერს.

„კოხტად შევიკერავ და მერე უფრო მომიხდება“,— გაიფიქრა და სარკის წინ საკაბემოხვეული შეტრიალ-შემოტრიალდა. თავი ტკბილ სიზმარში ეგონა.

„ნეტავი ვის ვეპრანჭები?“

სარკეს რომ მოშორდა, თავის თავზე მოუვიდა გული: სხვა ქალებსა სძრახავდა, ძალიან ეჭვიანები არიანო, და ახლა დარწმუნდა, თვითონაც ისეთი ყოფილა, თავისი გაჭედილი ხატი სალოცავად მხოლოდ თვითონ სდომებია.

„ეჰ, რა გულმავიწყები ვართ ზოგჯერ!.. არა, მე არ შევიკერავ ამ საკაბეს, რძალს შევუნახავ“.

ახლა უკვე თავისთვის ველარ გაიმეტა ეს საჩუქარი, შვილის პირველი საჩუქარი. რომ დაუფიქრდა, ამ ამბავმაც გააკვირვა:

„რატომ ხდება ასე, რატომ? საკაბე რომ შვილის ხელში დავინახე, სარძლოსთვის ვერ გავიმეტე, მე მაჩუქეს და ჩემთვის აღარ მემეტება. რა ხარ, ადამიანო, რა?!“

ოთახში გიორგი შემოვიდა:

— დედი, გაისინჯე საკაბე?

— კი, შვილო, ძალიან მშვენის.

— მერე?

— რა მერე? აგერ შევინახე სკივრში.

— სკივრში დასაგდებად მოგიტანე? როდის შეიკერავ?

— რა მეჩქარება?

— მაინც?

— ჯერ არ მცალია და...

— ერთხელ მაინც მოიცალე შენთვის... იმ კვირას გეოლოგები მინდა დავპატიჟო. იცოდე, ამ კაბით უნდა დახვდე!— სიტყვა დაუგდო გიორგიმ და გავიდა.

მარტოდ დარჩენილმა ნინომ კვლავ სკივრს ჩახედა. თითქოს კვლავ საკაბის გასინჯვას აპირებდა, მაგრამ ხელი სკივრის კუნჭულისკენ გაექცა და თავისი ნიშნობის ბეჭედი ამოიღო. კარგა ხანს ატრიალა ხელში, მიეალერსა კიდეც და საკაბესთან ჩადო...

იმ ღამით სულ ლამაზ სიზმრებსა ხედავდა, ბოლოს კი უცნაური რაღაც ნახა. ვითომ ოდის ფანჯრიდან მზის შუქი ცისარტყელასავით შემოსრიალდა, ნინოს წელზე მოეხვია, აიტაცა და გარეთ გააფრინა. ეზოში გასულმა ლურჯად მოხასხასე ცა დაინახა. მზე ისე დაბლა დაშვებულიყო, ნინო ფეხისწვერებზე შედგა და, თითქოს ლოყაწითელა ვაშლს შეეპოტინაო, ხელით მისწვდა. ამ მზეს საოცრად სასიამოვნო სითბო ჰქონდა.

— დედა, დედი! — ჩაესმა მძინარეს და თვალი მძიმედ გაახილა.

— ჰა?!..

საბნიდან გადაგდებული ნინოს მკლავი გიორგის ეჭირა და დედას მორიდებულად აღვიძებდა:

— ადე, დედი, ადე!

— რა ამბავია, ბიჭო? ამ კვირადღეს ასე ადრე რამ აგაყენა?

— რაღა ადრეა, მზემ მთები მოირბინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მიხვალ სადმე?

— რიყეზე მინდა ჩავიდე, ქვას მოვაგროვებ.

— ქვა რად გინდა, ბიჭო? პალატი ხომ არ გინდა ააშენო?

— აქ ქვითკირის სახლს ვერც დადგამ, ეზო წყალს მიაქვს. ბაბუ[illegible] ჯებირი უნდა აღვადგინო, თორემ რიონი ძალიან მოიწევს აქეთ. კაკლის ფესვები როდემდე გვიშველის, ამდენს კი ველარ გაუძლებს!

ეს იყო პირველი დილა, შვილმა დედას ადგომა რომ დაასწრო.

ნინო მაშინვე წამოხტა, გიორგი ასაუზმა და რიყეზე გაუშვა, თვითონ შვილის ძველი შარვალი აიღო, კაკლის ქვეშ გავიდა, იქ კუნძზე ჩამოჯდა და შარვალს მუხლისთავზე მრგვალი საკერავი დაადო.

ოდა-სახლის აივანზე მერცხლებს რამდენიმე ბუდე ჰქონდათ. ბუდეებით იყო სავსე ბოსტნის ახლოს მდგარი სამი აკაციაც. ახლა ჩიტებს დილის გალობა მოეთავებინათ და ბუდეებში განაბულიყვნენ. ირგვლივ დიდი დუმილი სუფევდა, რიონსაც კი ხმა გაეკმინდა: თითქოს მდინარესაც ერიდება, ქვეყნიერებას სიმშვიდე არ დავურღვიოო.

ჰო, ასეთი იყო იმ შავი დღის დილა ჯალაბეთში.

ეჰ, სად არის ქვეყანა ულრუბლო, სად არის უდარდო გული!

როცა ნინოს ეგონა, ამიერიდან რაღა მიშავს, საწადელს ვეწიეო, ყველაზე დიდი თავზარი სწორედ მაშინ დაატყდა.

უცებ, თითქოს სოფელში მგლის ხროვა შემოიჭრაო, აფორიაქდა და აგანგაშდა მთელი უბანი. ხალხი შუკაში გამოცვივდა, ქალები წივილით გამორბოდნენ, კაცები ალარავის ერიდებოდნენ, ვილაცას უშვერად აგინებდნენ მკვდარსა და ცოცხალს.

ჩოჩქოლი რომ მოესმა, ნინომ შარვალი კაკლის ფესვზე მიაგდო და ჭიშკარში დაფეთებული გაიჭრა:

— რა მოხდა, რა უბედურებაა, მეზობლებო?

— ომი დაიწყო, ნინო, ომი! — მიუგო ჭრელი ხილაბანდით თავწაკრულმა ნიკომ, ხელში ფართოპირიანი თოხი ეჭირა.

— ომი?! რა ომი?!

— გერმანია დაგვესხა! — ამოიხვნეშა ნიკომ.

— გერმანია?! — გაშრა ნინო, მესერს მიესვენა და გახევდა.

მოულოდნელად მოვარდნილი განგაში მოულოდნელადვე შეწყდა, ერთად შეჯარული ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და უცებ რატომღაც ყველა გაჩუმდა. ნინო ახლა უხმო წუხილსა და სასოწარკვეთილ სახეებსღა ხედავდა, მზე შუკას ირიბად უცქერდა. ყველა ადამიანს უცნაური ჩრდილი ახლდა თან, გზაზე გართხმული. სადაც ნიკო, ფირანა, ბაჭუა და ორიოდე სხვა კაცი იდგნენ, ჩრდილები ერთმანეთს ისე ჩახლართვოდნენ, ძნელად თუ ვინმე გაარჩევდა, რომელი რომლისა იყო.

— ვაი შენს დედას, შვილო! — უნებლიეთ აღმოხდა ნინოს, ჭიშკრისაკენ გადაინაცვლა და იქ კვლავ გაქვავდა, თითქოს ომი აგერ მოადგა ჭიშკარს და ეს ქალი წინ გადაეღობა, თავის ეზოში რომ არ შეუშვასო.

— ვინ მოიგონა ეს ტიალი ომი, ვინ? — მოთქმით ამოიძახა გულქანამ და ჯოხეთის ქვაბში ჩაყარა ამ უბედურების წამომწყები.

იმ დღეს მზე როგორ ამოვიდა, ნინოს არ დაუნახავს, ჩასვლისას კი სისხლშეკრული და გაწამებული ეჩვენა, თითქოს სისხლი სდიოდა და ეს სისხლი ქვეყნიერებას ეღვრებოდა. ცის კაბადონზე წითელი ღრუბლები იწვნენ. ასეთი ღრუბლები ნინოს ბევრჯერ ენახა, გულზე კი მხოლოდ იმდღევანდელი სურათი დაებეჭდა. შემაძრწუნებელი იყო ყველაფერი.

იმ ღამეს არც ქვრივსა სძინებია და არც ჯალაბეთს.

ფართო ეზოში უამრავი ხალხი ირეოდა. ჯარში წამსვლელები ნაძალადევად იცინოდნენ, გამცილებელნი ჩუმ-ჩუმად იცრემლებოდნენ. მოედანზე ცეკვა-თამაში იყო გახურებული. მთვრალი ბიჭები დაბანდალებდნენ და ჰიტლერს მკვდარსა და ცოცხალს უგინებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეზოს მესერთან სახელდახელო სადალაქო იყო გამართული, სამი დალაქი მუშაობდა, უსარკოდ და უსამართებლოდ. მხოლოდ თმის საკრეჭ მანქანებს ახრჭიალებდნენ და ფეხქვეშ თმის ბულულებს აფენდნენ.

გიორგისთან ლადო მოვიდა და შემოსჩივლა:

— არ შეიძლება, აქ რომ არ გადავიღიჭნოთ თავი?

— რა ვიცი... სულ ერთი არ არის?

— ქოჩორსა სწუხარ, ბიჭო? — ნაღვლიანად გაეცინა მაყვალას, რომელიც ამ დროს მათთან მოვიდა.

თავგადახოტრილი ბიჭები ერთ დიდძარიან მანქანაში ჩასვეს.

აქამდე ჩუმი მოთქმა-ტირილი და იმედიანი სიტყვა ისმოდა, ახლა უცებ დადუმდა ყველა.

— ბიჭებო, რას ჩამოგიყრიათ ყური! — წამოდგა შუაში ჩამჯდარი გიორგი. — აბა, ლადო, ერთი დასჭექე შენებურად!

— რა დროს სიმღერაა!

გიორგიმ ლადოს რაღაც ჩაუჩურჩულა და დაბლა გადმოახედა, გამცილებლებისაკენ. იქ ხალხი უხმოდ და უცრემლოდ ტიროდა. რატომღაც მანქანას არავინ მისჩერებოდა, თითქოს რაღაცის ეშინიათო.

— ჰა, ნუ ჯანჯლობ, დაიწყე! — გიორგის შეეშველა ორიოდე სხვა ბიჭიც.

რომელიღაც მთვრალმა რაღაც ამოიხავლა, ალბათ, სიმღერა სცადა, არ გამოუვიდა, უხეირო მომღერალს ადარავინ შეაშველა ხმა და ისიც გაჩუმდა.

— ლაშქარს წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, — წამოიწყო ლადომ, აჰყვა გიორგი, გიორგის სხვებმა აუბეს მხარი...

კიდევ კარგი, იმ ხანად სოფელს ბევრი სადავიდარაბო გაუჩნდა და ნინო რიჟრაჟიდან დაბინდებამდე ყანა-ვენახში ტრიალებდა, თორემ გული საქმისთვის რომ არ გადაეყოლებინა, სულ შეიშლებოდა მარტოხელა ქალი. რაკი შვილი შინ არ ეგულებოდა, სახლის კარის შეღება ეზარებოდა.

ერთხელ მთაში წავიდა სიმინდის ასაჭრელად. სოფელში გვიან დაბრუნდა. გზაზე მეზობლებს მოჰყვებოდა. უმთვარო ღამე იყო. ხალხი სდუმდა. მაგრამ ფეხის ხმა რომ ესმოდა, სიმარტოვეს არ გრძნობდა. მარტოობა არც ეზოში უგრძვნია. იქ ვარსკვლავიანი ცა დასცქეროდა, რიონი მიდუდუნებდა და იდუმალ ხვაშიადს შესჩიოდა ვიღაცას. ნინო ეზოში შეჩერდა. კარგა ხანს იდგა გარინდებული.

შინ შესვლისთანავე სახლის კარი მიხურა და უცებ კუნაპეტი ღამის სამარისებურ სიჩუმეში აღმოჩნდა. შეეშინდა ამ ღამისაც და ამ სიჩუმისაც. ამ ქვეყანაზე მარტო დარჩა, სულ მარტო. ეს პირველად იგრძნო თავის სიცოცხლეში.

„რა მოგდის, ნინო? ვითომ აქამდე არასოდეს გაგითევია ღამე მარტო? ეგებ ასეთი წყვდიადი და თვალგაუვალ სიბნელეში შესუდრული სიჩუმე არასოდეს გინახავს და ამან შეგაშინა?“

„არ ვიცი, არა! ოღონდ ამ წყვდიადსა და სიჩუმეს უნდა გავექცე“.

„სად? სად უნდა გაექცე?“

„აი, თუნდაც ლოგინში! ჰო, ლოგინში დავემალები, დავწვები და ამ საშინელ გრძნობასაც მოვიშორებ“.

არც ბუხარი აუნთია, არც სანათი, ტახტისაკენ წალასლასდა, ჩუსტები

ტახტქვეშ შეყარა და კაბის გახდა რომ დააპირა, აწეული მკლავი გაუშეშდა. საწოლზე მოწყვეტით დაემხო. მთელი დღის ნაგვემ-ნატანჯი ძილში გაეხვა.

გიორგის წერილების წერა უყვარს, მუდამ იმედიან ბარათსა გზავნის, ეს ყველას ახარებს, ვისაც ჯარში ვინმე ჰყავს, ახლა კი ჯარში ყველას ჰყავს ვინმე, ან შინაური, ან ნათესავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარდიონი ამ ბოლო დროს სოფლის შუკაში იშვიათად ჩნდება. ფოსტიდან პირდაპირ ყანა-ვენახებისკენ მიჩანჩალებს, რაკი მთელი სოფელი იქ ეგულება. ნინოს რომ დაინახავს, თუ ბანჯგვლიან წარბებს ნაოჭიან შუბლზე აყრის, ეს იმის ნიშანია ჩანთაში გიორგის წერილი მიდევსო. ნინო მხოლოდ ამ დროს ილიმება.

— რაო, ქალო რას გწერს ბიჭი? — პირველი გულქანა ეკითხება.

— მტერი ისეთი ძალგულოვანი ველარ არის, შარშან რომ იყოო.

— რა ვიცი, ეს ტიალი, წინ კი მოშლიგინებს და...

— ჩაამწარებენ მაგ შლიგინს! — განგებ იმაღლებს ხმას მაყვალა, ნინოს თავს ახსენებს: აქ ვარ და ჩემთვისაც ხომ არ გაიმეტებ რამესო.

— ჰო, მართლა! გიორგი მოკითხვასაც გითვლის და საყვედურსაც: წერილი რომ გამომიგზავნოს, ბრავალძლის ხატი კი არ შერისხავსო.

— მისწერე, გოგო! წერილს ამადლი? — ახლა დედა საყვედურობს თავის ქალიშვილს.

— მივწერ, აპა, არა! მოვიცლი ცოტას და მივწერ.

— ლადოს ამბავს კითხულობს კიდევ, რაც დამშორდა, მისი ასავალ-დასავალი აღარ გამიგიაო.

— ლადოს ამბავსაც მივწერ.

ნინო წერილს რომ მიიღებს, ცაში დაფრინავს. მაყვალაც იმ დღეს სულ ნინოს წინ ტრიალებს. ვერ ისვენებს, ვიდრე თავისი თვალით არ ნახავს. გიორგი მოკითხვას რომ უთვლის.

შვილის სამკუთხა ბარათებს დედა ერთად ინახავს, ზანდუკის ცალკე უჯრაში. ესაა მისი იმედიცა და სიცოცხლეც.

ხვითქი ასკდება დღეებს და ნელა მიზოზინებს წუთისოფელი, თითქოს ამდენი ჯაფით ისიც დაიღალაო.

ღამღამობით ჯალაბეთშიც ესმით უკვე, მთების გადაღმა ზარბაზნებს რომ ისვრიან.

ორმოცდაორი წელია, ზაფხულის მიწურული.

ქალები სოფლის კალოზე წითელ ლობიოსა ცეხვავენ. ქალებს ნიკო და ბაჭუა ეხმარებიან.

ოფლში გაწურული სარდიონა ლობეს მოადგა:

— ნინო!

ნინო შეკრთა. მერე ფოსტალიონს წარბებზე შეავლო თვალი და მხიარულად მიეგება.

— რაო, რას იწერება ბიჭი? — ჰკითხა ნიკომ.

ნინო წერილს კითხულობდა და შეკითხვა ვერ გაიგონა. წერილი მეორედ ჩაიკითხა. უცნაურად მოეჩვენა: აქამდე გამოგზავნილ ბარათებს არა ჰგავდა. ტყეში ჩვენს ნებაზე ვცხოვრობთო, სულ ახლოს მდინარე ახტუბა ჩამოგვიდისო. დილიდან საღამომდე შიგ იხვებივით ვცურავთ. ხელყუმბარებით თევზს ვაყრუებთ, რიყეზევე ვწვავთ და შევექცევითო. ჩვენებური თევზის გემო არა აქვს, მაგრამ მაინც არა უშავს რაო. ამდენი თევზი ჩემ სიცოცხლეში არ მიჭამიაო.

„ღმერთმა შეგარგოს, ალალი იყოს, ალალი, ჭამე, შვილო, ოღონდ არ გაწყინოს და... გამიგია, ნედლმა თევზმა წყენა იცისო“.

ეს ფიქრი ხმამაღლა წამოსცდა ნინოს. ისე ჩაილაპარაკა, თითქოს შვილი წინ უდგას და ჭკუას არიგებსო.

„დღესვე გავუგზავნი წერილს. მივწერ, ნუღარ თევზს მიეროდე-მეთქი, წყალშიც დიდხანს ნუ გაჩერდები, უცხო მდინარემ არ დაგცდეს-მეთქი —
გაიფიქრა ნინომ და ნაფიქრი მაშინვე უარყო: — „თუმცა ჩემს წერილს
მიიღებს, ვინ იცის, სად იქნება. ახლა ჯარი, ალბათ, ძალიან ხშირად იცვლის ადგილს... არა, არ ღირს ამის მიწერა. ნეტავი სად არის ის ახტუბაა თუ რაღაცა?.. ისეთი სიმშვიდე იქ რატომ არის? ისე იწერება, თითქოს ომი დაუმთავრდათ. ფრონტიდან შორს ხომ არსად გაგზავნეს? ეგებ მტრის ზურგშიც, ჰა?“

— რაო, რას გითვლის ბიჭი? — ხელმეორედ ჩაჰკითხა ნიკომ.

ნინომ უამბო, რაც წერილში ეწერა. მერე მაყვალას მიუბრუნდა და ჰკითხა: — შენ ხომ არ იცი, ახტუბა სად არის?

— ქალაქი?

— არა, მდინარე.

— ახტუბა... ახტუბა... — მაყვალამ თვალი მოჭუტა, ქვედა ტუჩზე ორი თითი წაივლო და წინ ისე წამოსწია, გეგონებოდათ, მოგლეჯას უპირებსო. — ახტუბა... ახტუბა... გამიგია, ოღონდ აღარ მახსოვს სად არის. საღამოზე გეტყვი, დეიდა ნინო.

ნინო ბუხრის შუქზე ბარათს მეოთხედ კითხულობდა, მაყვალამ რომ კარი შეაღო:

— ახტუბა თითქმის რიონისხელა მდინარეა. ვოლგას ერთვის.

— ვოლგას ერთვის?! მერე, გერმანელები ხომ დღესდღეობით სწორედ მანდ უტევენ?

— ჰო, ასე სწერენ გაზეთში.

— მაშინ გიორგი ასეთ მშვიდ წერილს რატომ იწერება?

— ამ წერილის წერისას სიწყნარე იქნებოდა, ალბათ... ესეც რომ არ იყოს, ფრონტის ყველა უბანზე ჯოჯოხეთი კი არ ტრიალებს სულ.

— აბა, ერთი, შენს გახარებას, კიდევ წამიკითხე! — ნინომ ბარათი მაყვალას მიაწოდა.

ქალიშვილმა გიორგის წერილი ხმამაღლა ჩაიბულბულა. ეს ისე ესიამოვნა ნინოს, იმ დღიდან შვილის წერილს ერთხელ თვითონ რომ წაიკითხავდა, სამჯერ მაყვალას აკითხებდა. ქალიშვილი რომ კითხულობდა, ბარათის სიმართლისა უფრო სჯეროდა. სიამოვნებდა კიდეც, შვილი მაყვალას პირით რომ ესაუბრებოდა. ამან ქალიშვილი ნინოს კიდევ უფრო შეაყვარა.

გიორგის წერილების კითხვა მაყვალასაც გულზე ეფონებოდა, ამას ატყობდა ნინო და თავისებურად ბედნიერი იყო.

ორმოცდაოთხი წლის შემოდგომაზე წერილები შეწყდა. სარდიონა ნინოს ჭიშკართან გავლას ერიდებოდა. არც იქ ჩნდებოდა, სადაც ნინოს დალანდავდა. ამას ხვდებოდა ნინო და გული ულამდებოდა.

მაყვალამ ორიოდეჯერ ჰკითხა ნინოს, ამბავი ხომ არ მოგსვლიაო. ნინომ უხმოდ გაუქნია თავი. ქალიშვილმა იგრძნო, ასეთი თანაგრძნობა ერთადერთი შვილის დედას სულს უფრო უფორიაქებსო და დუმილი ამჯობინა.

გავიდა კიდევ დრო. იმედი თანდათან გაცვდა და მთვარესავით მიილია. ნინო თავის კარმიდამოში აჩრდილივით დაბორიალობდა.

იმ ღამეს წვიმდა. ნინო დილით ადრე ადგა და ეზოში გავიდა. საწვეთთან ერთი ორმო იყო. შიგ წვიმის წყალი ჩაგუბებულიყო, მერე დაეწმინდა და ახლა ისე ჩანდა, თითქოს ვიღაცას აქ მოზრდილი სარკე დაუგდიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინოს ოთახში სარკე კი ეკიდა, ოღონდ შიგ არასოდეს იყურებოდა. აქ კი თავის სახეს თვალი უნებლიედ მოჰკრა და შეცბუნდა:

„ეს მე ვარ თუ... ჯოჯოხეთიდან გამოქცეული ვინმე?!“

ამ რამდენიმე თვეში სულ გამოცვლილიყო ქალი, თვალის ბუდეებთან ნაოჭები ეყარა და ლოყები ლეღვის ჩირს მიუგავდა.

დამფრთხალი გაშორდა გუბეს.

ამ ყოფაში ჩავარდნილს ნუგეშად შვილის ბოლო ბარათიღა შემორჩა. სულ თან ატარებდა იმ წერილს. როგორც კი დროს იხელთებდა, გაშლიდა, ჩაიკითხავდა და გაუკვირდებოდა, ყოველ სიტყვას მეასედ წონიდა.

ხელზე რომელი თითიც უნდა მოშჭრა, ერთნაირად მეტკინებაო, ასე ამბობს ყველა. აი, ლადოს დედას ოთხი ვაჟი ჰყავს ომში გაგზავნილი. მარტო ორის ამბავი მოსდის. სწუხს მზეხა, ძალიან სწუხს. იმასთან შედარებით ნინოს წუხილი მაინც სხვა არის.

ჰო, ახლა დარწმუნდა ნინო, რომ ბევრშვილიან დედას ბევრი დარდი ჰქონია, მაგრამ იმაზე საცოდავი დედისერთას მშობელი ყოფილა. ერთი შვილი ჰყავს კერპად, გულზე კი ცხრაჯერ იმაზე მეტი შიში და დარდი აწევს, ვიდრე ცხრა შვილის მშობელს.

ერთი შვილის იმედით მხოლოდ ღვთიშობელი მარიამი ცხოვრობდაო. ვინ გააგონა ეს სიტყვები ნინოს? ალბათ, სიდონიამ. ჰო, ის იტყოდა, ის... თუმცა, შეიძლება სხვამაც თქვა... მართალი ყოფილა და... ყველა იტყოდა, ყველა! ვაი დედას უბედურს!

კარგა ხანია ომი დამთავრდა. გიორგის ბაიბურიც არსაიდან ისმის.

ნიკომ იმედიანი სიტყვა გამოჩხრიკა:

— ნუ გეშინია, ნინო, ნუ! შვილი მოულოდნელად დაგიბრუნდება და ერთბაშად გაგახარებს.

— ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს!

ნინოს სულ გზისკენ უჭირავს თვალი. ფარაჯიანს რომ ვინმეს დაინახავს, გული გადაუქანდება.

არც გიორგის ამბავი მოაქვს ვინმეს, არც თვითონ მოდის.

ნინო შვილის წერილებსღა ელოლიავება. ერთხელ აიღო და მთელი დასტა თავიდან ბოლომდე გადაიკითხა. ამან ისეთი შვება აგრძნობინა, თითქოს შვილს ესაუბრაო. მის მერე წერილებს ხშირად ფურცლავდა, მაგრამ იშვიათად კითხულობდა. წაკითხვა რაღად უნდოდა, თითქმის ზეპირად იცოდა. ფურცლებს აშრიალებდა და ეს შრიალი შვილის ხმით ეჩურჩულებოდა. წერილებს რომ შეინახავდა, თვალს შვილის რომელიმე სურათს გაუშტერებდა და ახლა თვითონ გაუბამდა უხმო ბაასს.

კედლიდან სამი ერთიდაიგივე გიორგი უცქერდა: ბავშვი, ჭაბუკი და ჯარისკაცი.

ნინო აკვანში მწოლარე გოგიას გაიხსენებდა და მის ამბებს ჯარში გაცილების დღემდე კვალწმინდად გამოჰყვებოდა. იგონებდა ყველაფერს.

ზოგჯერ ელანდება, ვიღაც ჭიშკარს აღებსო. გავა გარეთ — სამარისებური სიჩუმეა, მხოლოდ რიონი მიდუდუნებს და კაკალი შრიალებს.

ბევრი რამ ეჩვენება ნინოს, ერთი კი ნამდვილად გაიგონა: თითქოს ერთად ცხრა მეხი გავარდაო, ციხის ფერდობზე რაღაცამ ჩამოიგრუხუნა. მისი ხივილის ეხო ხეობას კარგა ხანს ახმაურებდა.

„ციხის ფეხს რომ შავი კლდე-ლოდი ეკიდა, ალბათ, ის მოწყდა. ვაი! ნეტავი ვისი ოჯახი გააუბედურა?..“

ფანჯრიდან უკვე რიჟრაჟი იყურებოდა. ნინო გარეთ გავიდა. სოფელს

მშვიდად ეძინა. ფერდობს ახედა და დააკვირდა: შავი ლოდი ისევ ეკრა ციხის ფეხს.

მეორე და მესამე ღამესაც ასე გამეორდა. ბოლოს მიხვდა: თვითონ ციხე ინგრეოდა, ინგრეოდა უწყალოდ და შეუბრალებლად. უხილავი [illegible] ანგრევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვითომ მხოლოდ ახლა დაიწყო ნგრევა? რატომ აქამდე ვერ შევამჩნიე?" თუმცა როდის შეამჩნევდა? წინათაც ასე თვალღია კი არ ათენებდა ღამეებს, ასე ხშირად როდი უტყდებოდა ძილი.

საქმეს ძველებურად ველარ უდებდა გულს ნინო: თუ ჩემს შვილს ვერ ვარგებ, რა ოხრად მინდა რამეო.

ახლაღა იგრძნო: უშვილოდ მთელი ქვეყნიერება დედისთვის სულ ცარიელი ყოფილა.

ცხოვრებასა და სიცოცხლეზე ხელჩაქნეულ მეზობელს ნიკომ კარზე დიდი ურემი შეშა მოაყენა.

იუარა ნინომ:

— სხვის სამადლოდ აქამდე არ მიცხოვრია და ახლა დავგლახაკდე?

— იმე, იმე! ეგეთი ლაპარაკი არ იყოს, თორემ... რა მოხდა, შე ქალო, ჩემი მაყვალა სულ შენი შეკერილი კაბებით არ მყავს გაზრდილი? დღეს თუ მე შეშა მოგიტანე, ხვალ საქალო საქმეზე შენ მომეხმარები და ქვითითქვითს ვიქნებით, ვალი გასტუმრებული გექნება. გამიღე ჭიშკარი!

ურემი დაცალეს.

ნინომ ტაბლა ოდის აივანზე დადგა. პატარა დოქით ღვინოც მოიტანა.

— ნუ გეშინია, ნინო, ნუ! ლიხეთში შვიდი წლის დაკარგული სალდათი დაბრუნებულა. მარტო კი არა, ცოლ-შვილიც მოუყვანია.

— იქ გაუჩენია?

— იმე, იმე!

— ეჰ!

— იქნებ გიორგიც ცოლ-შვილით მოგადგეს კარს.

— ოღონდ დამიბრუნდეს და ალარაფერს ვჩივი.

— ნუ გეშინია, ნუ!

— რაღა ნუ მეშინია, აგერ სამი წელიწადია არც კარგი მესმის, არც ავი.

— რა ვუყოთ მერე, იცის ომმა ასე. ხან ისე ხდება, ხან ასე. ის ურაველი სალდათი უცებ მოსულა, ამბის შეუტყობინებლად.

— ურაველიო? წელან ლიხეთელი არ თქვი?!..

— ჰო, ლიხეთელი, ლიხეთელი!.. თუმცა, რაღა ლიხეთელი კაცის ამბავს გიყვები, აგერ მე პირველ ომში უფრო უცნაური რამ გადამხდა. ჩვენებს შავი ქაღალდი მიუღიათ, ნიკო ტაბუცაძე გმირულად დაიღუპაო. ცხონებულმა დედაჩემმა თურმე ეს ამბავი ნათესავ-მოყვრებს შეატყობინა, მეზობლის ქალები შეყარა, წინ ჩემი საქორწილო ჩოხა-ახალუხი დაიდო და დაიტირა. მარა, დღეს აგერ ვარ, არც ხელი მაკლია, არც ფეხი და პატარა ოჯახიც მაქვს. ნუ გეშინია, ნუ! ღვთისმიერი ქალი ხარ, შენი ეზო რომ დაცარიელდეს, ცასა და მიწას ეწყინება. აფსუსია, შენი ფესვი ქვეყანაზე რომ არ დარჩეს.

— გმადლობ, ჩემო ნიკო, ოჯახის ცეცხლის შემნახავი და სახელის გამგრძელებელი დამბრუნებოდეს, თორემ მიწას გულზე მეზობლებიც კარგად მიმაყრით. დაუმარხავი სოფელში ვინ დარჩენილა, მე რომ დავრჩე?

— იიჰ, რანაირი სიტყვა იცი ხოლმე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვტყუი თუ? ეგეთია ცხოვრება და მე რა ვქნა? — ნინომ ცარიელი ჭიქა გაავსო და ნიკოს წინ დადგა: — ერთიც დაილოცე!

— მალე ამ ეზოს მდელო შენს შვილიშვილს გაეთელოს!

— კაი შენ! გმადლობ! იცოცხლე!

იმ ღამეს ნინომ სიზმარი ნახა: თითქოს გიორგი ჩვილი ჰყავდა. დილით სიზმარი გულქანას უამბო და დასძინა:

— გამიგია, სიზმარში ჩვილის ნახვა არ ვარგა, ავადმყოფობა იცისო.

— ასეთი მორწმუნე როდის გახდი, ქალო?

— წყალი რომ წაგიღებს, რაც ხელში მოგხვდება, იმას უნდა მოეკიდო. რაღაცას ხომ უნდა წაეპოტინო ან ცაში, ან მიწაზე, ან გულში, ან გულს იქით. ნუგეშდაკარგული კაცი იმედის დასაბრუნებლად განგების ძალასაც იწამებს და სიზმარსაც.

— ნუ გეშინია, კურდღლისა არ იყოს, ახლა შენ რაც გელანდება, ის გესიზმრება. დაგიბრუნდება ბიჭი და ეს მისი მეორედ დაბადება იქნება, აბა რა?

— ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს!

ადამიანს სასიამოვნო სიტყვა ადვილად სჯერა. ნინომ გულქანას ვარაუდი მაშინვე დაიჯერა, რადგან ეს იმედი ცოტათი მაინც ამშვიდებდა. დამშვიდება კი სიცოცხლეზე მეტად სჭირდებოდა.

მიდუდუნებს რიონი, ამოდის და ჩადის მზე, ივსება და ილევა მთვარე.

უცებ მოტყდა და დაბერდა ნინო, იმედი კი, რაღაც იმედი, თითქოს არც დაუბერდა, არც დაუძველდა. კვლავ შვილის მოლოდინით სულდგმულობს.

მიილია ჭორებიც.

„ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ უყო პირი? შვილის ამბავს არც ისე მიმხელს ვინმე, არც — ასე. შეიძლება მთელმა სოფელმა იცის და გულში ინახავს? ცუდი ამბის მაცნეობას ყველა ერიდება, ყველა... დავიჯერო, ომმა შემიჭამა შვილი? ტყვიისთვის ვზრდიდი, ტყვიისთვის?“

ნინოს ჩვილი არ დასიზმრებია, ავად კი გახდა. ლოგინად ჩავარდნილს მაყვალა უვლის.

ახლა შვილი სიზმარშიც კი აღარ ნახულობს დედას, ნინოს მეუღლე შემოეჩვია და სულ ის ეცხადება. შავ ცხენს დააგელვებს თეთრჩოხიანი.

„ნუ მიხმობ, ჩემო კაცო, ნუ! ეგებ ცოცხალია ჩვენი გიორგი და... ჯერ პატრონი უნდა. თუ შენთან არის, მაცნე ბარემ და მაშინ დაუპატიჟებლად წამოგყვები, ჩემი ფეხით... ჯერ კი ნუ წამიყვან, ნუ!“

მაყვალა თავსასთუმალთან უზის. ნინოს მისი დანახვა წამალზე უფრო უხდება. ასე ეჩვენება, გოგიას მაყვალაც ელოდებაო და შვილის დაბრუნება სჯერა...

ღამით მაყვალა რომ იძინებს, ბუხარიც თვალსა ხუჭავს. ნინო შავი ლამის მეტს ვერაფერს ხედავს და მარტო დარჩენა აშინებს.

— მაყვალა! ჰაუ, მაყვალა!

— ჰა? ჰაა?

— გძინავს?

— ავდგე?

— შენს გახარებას, ლამპა აანთე!

— გინდა რამე?

— არა, ისე აანთე! აი, გოგია ეგებ ღამით მოვიდეს და შუქს რომ დაინახავს, გაეხარდება. ადექი? სკამს არ წამოედო! ასანთი ფიტონზეა. ჰო, ასე. ღმერთმა ნათელი ნუ მოგიშალოს. ფიტონზე ნუ დგამ, იქითა ფანჯრის რაფაზე სჯობს.

— იქითაზე რატომ?!

— ხომ გახსოვს, სკოლიდან მომავალს შორი გზის მოვლა უზარებოდა და ლუხუნში გამოსტოპავდა ხოლმე.

— როგორ არ მახსოვს, მეც ასე გამოვყავდი ხოლმე.

— ეგებ ახლაც ასე ქნას. ცოტა დაუწიე, თორემ შუშას [illegible], ეგრე, დაწექი ახლა, არ შეგცივდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამპის მკრთალ შუქზე მიფშუტული ბუხარი ჩანს. ვიდრე მაყვალა შინ ჰყავს, იმედოვნებს: კერა სულ არ ჩამიქრებაო.

ავადმყოფი მომჯობინდა და ფეხზე წამოდგა.

ღამის მაინც ეშინია ნინოს.

ფანჯრის რაფაზე შუშის ლამპა ციმციმებს.

მაყვალა ახლაც არ ივიწყებს ნინოს ოდას, ხშირად ღამეს აქ ათევს.

ქვრივი და გასათხოვარი ქალიშვილი იდუმლად სწუხან, ერთმანეთს კი წუხილს არ უმხელენ, სულ კარგ ამბებსა ჰყვებიან.

ნინოს გულის ერთ კუნჭულში უხარია, მაყვალა გაუთხოვარი რომ დადის, მეორე კუნჭულში სწორედ ეს სიხარული სწყინს.

მოდის გაზაფხული, მოაქვს ყვავილები და მწვანე ბალახი. ზაფხული აჭკნობს და თიბავს.

თითქოს შემოდგომა ზამთარს თავის ამბებს ატყობინებსო, კაკალი ყვითელ ფართო ფოთლებს ბარათებივით აბნევს ეზოში. ქარი უბერავს და ბარათებს რიონი მიატივტივებს.

იმ შემოდგომაზე ნინომ ორლობეში მომავალი ფარაჯიანი კაცი დალანდა და სვეტივით გახევდა.

— გამარჯობა, დეიდა ნინო!

— შენ ლადო არა ხარ, ბიჭო?

— ჰო, ლადო ვარ.

— ძლივს გიცანი.

— ბევრმა სულ ვერ მიცნო. რვა წელიწადია... ისე, ხომ კარგად ბრძანდებით?

—რა მიშავს, შვილო, დავდივარ ჯერჯერობით თვალგახელილი.

ეს იყო და ეს. ლადომ თავი ჩაქინდრა და ნინოს გაშორდა. თავისი მეგობრის ამბავიც კი არ ჰკითხა. ეგებ ასე სჯობდა? რომ ეკითხა, რა უნდა ეთქვა ნინოს? ტირილი დაეწყო?.. გიორგის ამბავს სხვებიც ხომ ეტყოდნენ, მაინცდამაინც ნინოსთვის რატომ უნდა ეკითხა?

ლადოს დანახვამ გული აუფორიაქა, თითქოს მისი დაბრუნება ეწყინა კიდეცო... ეს რა? ლადოს დედის ბედი შეშურდა, თუ?..

„ეჰ, რა ხარ, ადამიანო! აქამდე ვერ გაიგე, ქვეყნიერება ყველას საამოდ და გასახარად რომ არ არის მოწყობილი? წუთისოფელი ზოგს ლხინსა სთხოვს და ზოგს — ცრემლს. ჰო, ასეა, ასე“.

გავიდა ერთი თვე. ნინო ძროხას დაეძებს. ლადო და მაყვალა ციხის ბილიკზე წყვილად მიდიან. ლადო, ეტყობა, რაღაც მხიარულ ამბავსა ჰყვება, მაყვალა კისკისებს.

ამ კისკისმა ნინოს რაღაც ამოგლიჯა გულიდან და იმ რაღაცას სისხლხორციც ამოაყოლა. სოფელში მობრუნებულმა გაიგო, ლადომ მაყვალა დანიშნა და ქორწილიც მალე ექნებათო.

რაკი ქალ-ვაჟი მთის ბილიკზე წყვილად დაინახა, თავადაც მიხვდა, ამ ამბავს ქორწილის სუნი უდისო, მაგრამ ეს სხვისი პირითაც რომ გაიგონა, უფრო დაინამდვილა და სულ ჩაუკვდა გული.

„აი, თურმე ამ ბოლო დროს მაყვალა ჩემთან რატომ აღარ მოდიოდა! ვაი შენს დედას, შვილო!..“

ქორწილის წინა დღეს ნიკო თვითონ ეწვია მეზობლებს და დაპ[illegible] არა, ის არ უთქვამს, საქორწილოდ ვემზადები და ხელი შემაშველეთო, [illegible] ნოდ დაიპატიჟა.

ნინო კაკლის ფესვზე ჩამოჯდა და აკაციებს მიაჩერდა. ტოტებზე ქარს ყვითელი ფოთლები აქა-იქლა შეეტოვებინა. შიშველ ხეებზე ცარიელი ბუდეები ჩანდა. ბუდეები ქარს ჯერ ვერ ჩამოეყარა.

შემოდგომის დაღლილი მზე მაღალი აკაციის წვეროზე იჯდა. ქვეყანას ანათებდა, ოღონდ არ ათბობდა. ნიავმა შემოუბერა, ნაპირა აკაციას უკანასკნელი ფოთლები შეაწყვიტა, წამოაფარფატა და ცარიელ ბუდეებში ჩაყარა.

ნინო შემოდგომის ულიმღამო მზესაც ვერ ელევა, ნიავმა შეამცივნა, შინ მაინც არ შევიდა.

„ეტყობა მაყვალამ გადაიწყვიტა, სულ გადაიწყვიტა გიორგის დაბრუნების იმედი და... აბა, რას იზამდა?..“

აქამდე გიორგის ორნი ელოდნენ, ლოდინის ჭირ-ვარამს ერთად იზიარებდნენ. ამიერიდან კი დედას შვილის დაბრუნების იმედი უნახევრდებოდა. ნინო კვლავ მარტო რჩებოდა, სულ მარტო... ამისი კი რა ხანია ეშინოდა.

ნინომ ცარიელ ბუდეებს თვალი მოსწყვიტა და წინ ატუზულ მაყვალას ლანდს თავისი სატკივარი შესჩივლა:

„შენ რა გაგამტყუნო, ახლა მეც კი გული მეთანაღრება, მეორედ რომ არ გავთხოვდი, რამდენიმე შვილი რომ არ ვიყოლიე, ერთს რომ შევალიე მთელი ჩემი სიცოცხლე, წუთისოფელი ქვრივობაში რომ დავილამე. სულ ერთს შევჩერებოდი, ერთს... კენტად ვზრდიდი. იმასთან ერთად იმედიც მეზრდებოდა, დღეს კი... აი, დღეს ტირილსაც ვერ ვბედავ... ეგებ სადმე ცოცხალი დადის და... გათხოვდი და გამრავლდი, შვილო... ვერ გისაყვედურებ, ვერა!.. შენი რა ბრალია თუ... გათხოვდი და გამრავლდი, შვილო... ერთი შვილისამარა ნუ დარჩები, ნუ! თუ ერთი შვილი იმედს ბოლომდე გაგიმართლებს, რა უშავს, მაგრამ თუ არ გაგიმართლებს, მაშინ რას აპირებ, რას? ჩემს დღეში უნდა ჩავარდე?“

თვალზე ცრემლი არ ეკიდა, სული კი ქვითინებდა.

ეს იყო აღსარება, რომელიც ნინომ მაყვალას ლანდსა და საკუთარ თავს პირველად გაანდო, მერე უცებ შეკრთა:

„ჰა?! ღმერთო ჩემო, რა ვთქვი?.. თუმცა ტყუილი ხომ არ მითქვამს?.. რაღაა დასამალი, თურმე აქამდე თავსაც ვიტყუებდი და სხვასაც ვუხვევდი თვალს... ყველა და ყველაფერი იმიტომ მიყვარდა, გიორგი მზისქვეშ რომ მეგულებოდა, ამ ქვეყნის სიავკარგესთან მხოლოდ შვილი მაკავშირებდა... ამას ახლაღა მივხვდი, ახლაღა, როცა გიორგი აღარსად მიჩანს...“

„მამაზეციერო, ნუ მიწყენ ამ ფიქრს!.. მარტო ყოფნამ, მგონი, სულ გამომაჩერჩეტა, რას ვბოდიალობ, თვითონაც არ ვიცი...“

ნინომ საორჭოფო ფიქრი სასწორზე შეაგდო: ხან დიდ სისულელედ მოეჩვენა, ხან დიდ სიბრძნედ. ბოლოს ისევ მაყვალას ქორწილის ამბავს დაუბრუნდა. ესეც სასწორზე შეაგდო და დარწმუნდა: ქორწილში რომ არ წავიდე, უარესი დამემართება, გულს შევასკდები და ფიქრი გამაგიჟებსო.

შინ შევიდა და სასტუმრო საწოლს რომ წაადგა, გახევდა: აქ რამ მომიყვანაო.

„ჰო, მართლა! ქორწილში ხელცარიელი ხომ ვერ წავალ და...“

წითელი ატლასის საბანი დაახვია, იღლიაში ამოიჩარა და ნიკო ტაბუცა-

ძის სახლისკენ გაეშურა. წინ ბაჭუას ცოლი შემოხვდა:

— ბეჩა, ეს საბანი სად მიგაქ?

— სად უნდა წავიღო?!.. აგერ, მეზობელს ქორწილი აქვს, და...

— რავა, მაყვალას შენ ამზითვებ თუ?! — თვალები შუბ[illegible] სევდიას.

— რა გამზითვებაა ეს?.. თავგადასაგდები ხომ უნდა რაღაც...

გაკვირვებული გაშორდა ნინოს ქალი. იქვე, ჭიშკარში გამომდგარ ფირანას ცოლთან მივიდა და ხმამაღლა უთხრა:

— ერთი შეხედე, გვანცა, შეხედე! გაგიჟებულა საწყალი!.. გოგო რძლად უნდოდა და ახლა თვითონ ამზითვებს... სრულ ჭკუაზეა ახლა ეგ?

„ეჰ, გიჟადაც მომნათლეს! რას იზამ! ყველას კი არ შეუძლია სხვის გულში ჩახედვა. ვაი შენს დედას, შვილო!.. რომ დამბრუნებოდი, ჩემთვისაც კარგი იქნებოდა და მაყვალასთვისაც... ახლა მაგან მაინც იბედნიეროს! გამხნევდი, ნინო, და ისე შედი ოჯახში! ცრემლი არავის დაანახო, თორემ...“

პირგალიმებულმა ნინომ საბანი გულქანას მიუტანა:

— კეთილად მოახმაროს შენს გოგოს! იხაროს და იმრავლოს!

— ნინო?!

— ჩემო გულქანა, თქვენგან მე იმდენი სიკეთე მახსოვს... მაყვალა შვილში არ მერჩეოდა... არაფერი მითხრა შენი ჭირიმე! ეს საბანი არავის ხურებია, ისე ვინახავდი.

მეგობარმა საბანი გამოართვა და ქალიშვილის მზითევს მიუმატა.

ნინო მაყვალასთან მივიდა და სადედოფლო ქალიშვილი უხმოდ გადაკოცნა. ჰო, უხმოდ. კრინტი ვერც თვითონ დასძრა, ვერც მაყვალამ. კარგა ხანს იყვნენ ერთმანეთზე მიხუტებულნი და თავჩაქინდრულნი, თითქოს რაღაცის ეშინოდა ორივეს.

ნინოს მაყვალას ცარიელი თითები მოხვდა თვალში.

— ეს რაა? ქმარმა არაფერი მოგიტანა? — ჰკითხა თითქოს ხუმრობით.

მიხვდა მაყვალა, რასაც ეკითხებოდნენ:

— ომიდან ორი ჭრილობა ჩამოიტანა, ოქროული კი არა... რა სავალდებულოა ახლავე...

— ჰო, ომიდან პატიოსანმა კაცმა რა უნდა ჩამოიტანოს კარგი სახელის მეტი!.. — თავისთვის ჩაილაპარაკა ნინომ. საპატარძლოს მაშინვე გამოშორდა და შინისკენ კი არ წამოვიდა, გამოიქცა.

არ ახსოვს, სასტუმრო ოთახის კარი როდის შეაღო ან სკივრს როდის წაადგა. ოღონდ სკივრს რომ დახედა, წინანდებურად გახევდა:

„რა მინდა ამ სკივრთან?“

— გახსოვს, შვილის პირველი საჩუქრები ამ სკივრში რომ ჩაალაგე, გულში რა ჩაითქვი?

— რაც შვილს მაგონებს, ყველაფერი მახსოვს, ყველაფერი! ამ თავსაფარს გიორგის ქორწილში დავიხურავ, საკაბეს კი მაყვალას ვაჩუქებ-მეთქი.

— ვინ იცის, იქნებ გიორგისაც ეგ ედო გულში და მაშინ დედის შეეხათრა?

— ეს მხოლოდ გულთამხილავმა უწყის.

— მაშინ მაყვალა შენი სარძლო გეგონა და ისე იმიტომ ჩაითქვი გულში, ახლა კი... ახლა რას ფიქრობ?

— რა ვიცი... მირჩიე რამე, გულთამხილავო!

კოპლებიანი თავსაფარი შვილის ქორწილის იმედად ისევ სკივრში შეინახა, ვარსკვლავდაყრილი მწვანე საკაბე კი ამოიღო და ქაღალდში ფრთხილად გაახვია, ორიოდე ნაბიჯი რომ გადადგა, შეჩერდა, შეტრიალდა და ისევ ახადა



ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი სკივრს. თითქოს იპარავსო, კუნჭულში შენახულ ნივთს დაავლო ხელი და საკაბეში შემალა.

ალარც ის ახსოვს, ორლობე როგორ გაიარა.

მაყვალას ეს საკაბე ნანახი ჰქონდა. ნინოსგან ერთხელ ისიც კი გაიგონა, საქორწილოსთვის ვინახავო. საჩუქარმა შეაკრთო:

— დეიდა ნინო, ეს რა არის ვითომ?!

— შენს სახელზე მქონდა შენახული, შვილო... ალალი იყოს, სიხარულში მოიხმარე! ამაზე უკეთესი ათასი გაგვეცვითოს!

მაყვალას მკერდი შეუტოკდა, საკაბეს აკანკალებული ხელი შეავლო და თითქოს საჩუქარმა თითები დასწვაო, მკლავი გამოსწია უკან. ნინო ახლა იმ მკლავს წაეტანა, მაყვალას მარჯვენა ხელი სასოებით მიიკრა მკერდზე და მუათითზე ოქროს ბეჭედი გაუკეთა:

— ბედნიერად მოიხმარე, შვილო!.. ესეც შენს სახელზე მქონდა შენახული!

მაყვალა შეტრიალდა და სანთიობო ოთახში შევარდა. ცოტა ხნის მერე იქიდან გამოსულ ქალიშვილს ქვრივმა შეატყო: ნამტირალევი თვალები ჰქონდა.

„ეჰ, ჩემო მაყვალა, შინმოუსვლელი ბიჭის დედამ იკითხოს, თორემ შენ რა გიშავს, ცხოვრება წინ გიძევს, თავისას მოგთხოვს და ეგ ცრემლი მალე დაგავიწყდება“.

მაყვალას კურცხალი ნინოს გულს დამშანთველ ნაკვერცხლადაც დაედო და კეთილ მალამოდაც. ბოლოს ნაკვერცხალს მაინც მალამომ აჯობა. საპატარძლოსათვის იმ საჩუქრების მიტანა ქვრივს საამოდ დაურჩა.

ქორწილიდან მობრუნებული ნინო თითქოს შვილს აიმედებსო, ხმამაღლა ფიქრობდა:

— არ იდარდო, შვილო, გოგია! ოღონდ დამიბრუნდი და საცოლეს ისეთს გამოგიძებნი, რომ... ომმა იმდენი გაუთხოვარი ქალიშვილი დატოვა, არჩევანს ვერ აუხვალ... ოღონდ მალე მოდი, ბიჭო, და მაგის ჯავრი გაქვს?!..

მიდუდუნებს მდინარე. ამოდის და ჩადის მზე. ინგრევა ბარაკონის ციხე. ციხის ფეხს კი შავი ლოდი ისევ ბეწვზე ჰკიდია.

ივსება და ილევა მთვარე. ივსება და არ ილევა დედის ვარამი.

ამ ზაფხულის მიწურულს ნინომ ყური მოჰკრა: ვიღაც ქალს სამხედრო კომისარიატში წერილი გამოუგზავნია და გიორგის ამბავი უკითხავსო.

კომისარიატში ამბის საკითხავად წასვლას ნინო საერთოდ ვერ ბედავს, არც ახლა წავიდა.

„ეგებ იქ ისეთი რამ მითხრან, იმედზე სულ ცივი წყალი გადამისხან და... სჯობს, ასე ველოდო!..“

ეზოში შევიდა, აივნის კიბეზე ჩამოჯდა და თვალი მიწას გაუშტერა... მიწას კი არა, თავის ფიქრს. ფიქრში კი ის ვიღაც უცნობი ქალი წარმოუდგა.

„ქალიო?! ვინ ქალია ნეტავ? გიორგის ამბავი ვიღაც ქალმა რატომ უნდა იკითხოს? ეგებ ესეც ჭორია? კი, ჭორი იქნება, ჭორი!“

ნინომ აბეზარი ფიქრი მოიშორა და აივნის ჭერს ახედა. ისევ მოეშხამა გუნება.

შარშანდლამდე ამ აივანზე მერცხლებს ხუთი ბუდე ჰქონდათ, ადრე გაზაფხულზე მოფრინდებოდნენ, ბუდეებს შეაკეთებდნენ, ბარტყებს დაჩეკავდნენ, გადმოაფრენდნენ და იყვნენ ერთ ამბავში. მათი ჭიკჭიკი აღვიძებდა ეზოს.

ამ გაზაფხულზე აღარ მოფრინდნენ. დადუმდა აივანი.

მერცხლებიც კი გაექცნენ ნინოს ოდა-სახლს, ჰო, გაექცნენ, აბა, ყველა ერთად ხომ არ დაიღუპებოდა გზაში? ამბობენ, მერცხლებს ისეთ ადგილას ცხოვრება არ უყვართ, სადაც ადამიანი არ არისო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერედა ნინო ადამიანი არ არის თუ?..

ეგებ ნაოჭიანი სახე არ უყვართ, ან მარტოხელა ქალს ერიდებიან? ჰო, ალბათ ასეა, ასე. თორემ ნინო მერცხლებს ერთხელაც არ გასწყრომია. ეგებ სწორედ ის ეწყინათ, ხმას რომ არავინ სცემდათ? ნინოს ნაოჭიანი შუბლი რა შუაშია, მერცხლები დადუმებულ ოდას გაექცნენ, მხოლოდ დადუმებულ ოდას.

უცებ მოლაღურის ხმა გაიგონა. ღელვზე შემომჯდარი ჩიტი „ბიჭო, გოგიას“ გაიძახოდა.

ეს ერთი კვირაა, მოლაღური ნინოს ღელვს შემოეჩვია და სულ ასე მოსთქვამს, დაკარგულ შვილს ეძებს. ნინო მოლაღურად ქცევას ნატრობს: წავალ, ქვეყნიერებას დავივლი და ჩემს გოგიას მოვძებნიო. თუ ცოცხალს ვერ ვიპოვი, საფლავს მაინც მივაგნებ და შვილის მკერდზე დავლევ სულსო.

მოლაღურის ხმა ისე შეუყვარდა, რა დღესაც ამ ხმას ვერ გაიგონებდა, არაფრად ულირდა. მაყვალას გათხოვების მერე მოლაღური გაუჩნდა ნუგეშად და ჭირისმოზიარედ.

მალე ეს ნუგეშიც გაუფრინდა.

ღრუბლებში ყვინთავენ ვარსკვლავები.
ნისლებში დაცურავს იმედი.
ძროხას ხბო გაუჩნდა.

„შვილის ბედისა იყოს, — ჩაუთქვა ნინომ, — თუ ღმერთმა გიორგის ქორწილი მაღირსა, იმ ქორწილზე დავკლავ, მანამდე ხელს არ ვახლებ“.

ხბოს უფრო ხშირად ციხისკენ მიერეკება. ხბო თავისთვის ბალახობს და დაკუნტრუშობს, ნინო კი ციხისკენ მიაბოტებს, ერთხელავე შეჩვეულ ლოდზე ჯდება და თვალდახუჭული უხმოდ ესაუბრება თავის გულს, ცასა და ქვეყანას.

ნინომ ქუთუთოები მძიმედ ასწია. მის თვალში ჩატეული ქვეყნიერება ისევ გაცოცხლდა.

ახლა მაინც უფრო ცოტას ხედავს. ფიქრი თვალზე უფრო დიდი ყოფილა, თვალზე კი არა — მთელ სამყაროზეც. ამ ქვეყნად მხოლოდ ფიქრის თვალი ყოფილა უფსკერო, უკიდეგანო და ბორკილდაუდებელი. კაცის ყველაზე დიდი ბედნიერებაც ეს არის.

„ფიქრია, ყველგან რომ დაგვატარებს, უკან რომ გვაბრუნებს... ათას რამეს რომ გვახსენებს... ცხოვრება სავსეა ფიქრებითა და მოგონებებით. წუთისოფელს ეს მარილი რომ აკლდეს, ძალიან უგემური იქნებოდა, კიდევ კარგი, ადამიანი მოგონებებით მაინც ხედავს ბევრ რამეს... ეს რომ არ ჰქონდეს, ზოგს რა აცოცხლებდა?...“

ნინომ ციხეს ახედ-დახედა.

ციხე ნაციხარზეა აშენებული. დგას ფალავანივით და დრო-ჟამს ეჭიდება. თავს ჯერაც არავის უხრის.

„მაინც რა დულაბის კეთება სცოდნიათ ჩვენს წინაპრებს! ქვიტკირში კვერცხის გულს ურევდნენო. ვითომ მარტო ეს ადუღაბებდა?“

ციხის ლოდებს აქა-იქ მოწითალო ხავსი ადევს.

„ეგებ ჟანგია? ქვამ ჟანგი რომ არ იცის?“

ხავსმორეული კედლები სუროს ტევრს დაულაშქრავს. მწყემსობისას ამ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ტევრში ხშირად იმალებოდნენ გიორგის ტოლი ბიჭები, როცა ომობანას თამაშობდნენ. ზოგჯერ ბიჭებს მწყემსი გოგონებიც ახლდნენ, მაშინ კუკუმალობანას აჩაღებდნენ. ნინომ ერთხელ თავისი თვალით დაინახა, გოგიამ სუროში შეფუთვნილი მაყვალა ფეხით გამოათრია.

ჯალაბეთში რომ ვინმე მოკვდება, სუროს გვირგვინს უკეთებენ. სუროსთვის შორს არ მიდიან: ამოირბენენ ბარაკონის ციხესთან და გლეჯენ. ამ სუროს გვირგვინი გაუკეთეს ნინოს მეუღლესაც.

„გახსოვს, ამ ციხესთან ღამე რომ გავათენე? აი, იმ ღამეს ხალხს ჩემი გოგია რომ არ გადაერჩინა... მაშინ ეგებ გამებედა მეორედ გათხოვება, ბევრი შვილი გამეჩინა და... ამ დღეშიც აღარ ჩავვარდნილიყავი...“

„ვაი შენს მოსწრებას, ნინო! ეს რა წამოგცდა, რა?! — ქვრივმა ბაგე მოიკვნიტა, მკლავები მაღლა აჰყარა და საცრისტოლად გადმოვარდნილი თვალები ღრუბლიან ცაში ალაპყრო.

კარგა ხანს იყო ასე — ცაში ხელებატოტებული, ბოლოს, თითქოს მოსჰრესო, მკლავები უცებ ჩამოყარა ძირს, თავი ჩაჰკიდა, წელში მოიხარა და ლოდზე დადებულ ლოდს დაემგვანა.

— ნანობ, ერთი შვილის ამარა რომ დარჩი?

— ერთხელ ხომ გითხარი, ვნანობ-მეთქი!.. აღარ დამანებებ თავს?!

— ეგ შენი სინანული სხვასაც გააგონე!

— ვინ სხვას?

გადარეცხილ კლდეზე ბილიკი თითქმის აღარ ამჩნევია. ნინო კლდეზე ხორკლებად ამოზრდილ ლოდებს მოებღაუჭა, ბილიკზე ფრთხილად გავიდა და ციხის კედელში დატოვებულ შესასვლელს ახედა.

ციხეს კარი რა ხანია აღარა აქვს, ნაკარალი კი ძალიან მაღლა უჩანს.

ნინომ ჩუსტები ნაბილიკარზე დაყარა, კლდეზე აფორთხდა და ციხის კედელს მიადგა. ერთ ცხვირწამოშვერილ ქვას ხელი ჩაავლო, მარჯვენა ფეხის წვერი ორ ლოდსშუა შეყო, აიწია, მეორე ხელი სხვა ქვას ჩასჭიდა და შესასვლელის მაღალ კედელს ჯვარცმულივით აეკრა. ფეხი მოინაცვლა, ცოტა კიდევ აიწია ზევით და ზღურბლის ხავსიან ლოდს მოეჭიდა. აქ ღონე აღარ ეყო, ტანს ვერ მოერია და შეისვენა. შესვენებამ დაღლა უფრო აგრძნობინა. ცალი ფეხის წვერითა და ცალი ხელითღა ეკიდა. გაუჭირდა ასე დგომა, თითქოს ფერდობიდან დევი ექაჩება და ციხიდან ჩაგდებას უპირებსო. ლოდს ხელი მაინც არ უშვა, თითები უფრო მოუჭირა, ზედ შეეზარდა.

რუხ კედელზე საიდანღაც მწვანე ხვლიკი გამოსრიალდა, ნინო დაინახა, თავი ასწია და მონუსხულივით გაქვავდა. კედელზე აკრულ ქალს პირისპირ დაუდგა. ნინოს თითქოს სიდონიას თვალები შემოაჩერდნენ — დიდი თვალები, ბუდეში დაუტევარი. ხვლიკი მალე დაფრთხა, აყელყელავებული გაიქცა, თავი გაბზარულ კედელში შერგო, კუდი მოიქნია და გაუჩინარდა.

ნინოს თითები გაუთეთრდა, მერე ზედ ლურჯმა ფერმაც გადაჰკრა, ლოდს ხელი მაინც არ შეუშვა. არა, ძირს ჩამოვარდნისა და დამტვრევის სულაც არ ეშინოდა, ამ ხავსიან ლოდს ვერ ელეოდა.

თავს ძალა დაატანა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, სული მოითქვა და შესასვლელის ზღურბლს მეორე ხელიც ჩასჭიდა, ტანი მძიმედ აზიდა და ზღურბლის კიდეს მკერდით გადააწვა, ფეხები ააფხარკალა, როგორც იქნა, საიმედო დასაყრდენი იპოვა, ტანი ერთხელ კიდევ აიქნია და ციხის ქვა-კიბეს უკანმოუხედავად აუყვა.

კიბეზე დიდი ხანია არავის გაევლო. ხავსიან საფეხურზე ნინოს ფეხი მოუცურდა, გადაფორხილდა და ჩაიჩოქა. არაფერი სტკენია, ფრთხილად წამოდგა და ციხეში მუხლგამართული შევიდა.

უმალ თვალში მოხვდა მუქმწვანედ შედედებული სურო, ხშირი, ძირიან ხშირი, მიწაზე გართხმული და კედლებზე აკრული. თითქოს, რაც ციხეს ირგვლივ ტყეები შემოეძარცვა, იქ მობინადრე მთელი სურო უტყეობას გამოქცევია, შიშველი ფერდობი ღვთის ამარა დაუგდია და თავი [illegible] ციხისთვის შემოუფარებიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარედან მომდგარი სუროც კედელს ხარბად იმიტომ ეპოტინება, დაგვიანებული მგზავრივით თავშესაფარს ეძებს.

ციხის შუაგულში ქვევრია ჩადგმული. თავღიაა. აქა-იქ სუროც კი ჩაკიდებულა. შიგ წყალი დგას, წყალს ნაპირ-ნაპირ, თითქოს ღვინის ბკეაო, ხავსი მოჰკიდებია. ქვევრისთავისხელაზე კი, სადაც შუქი იყურება, სუფთაა. ამ წყალში ჩანს თავდაყირა ჩაკიდებული ყვითელი ცაცხვი, ცაცხვის ტოტებში გაჩხერილი ღრუბლიანი ცა და მხარჩამობალთული კოშკი.

ქვევრის გარშემო ყრია სუროს ბაწრით გაბორკილი ხავსიანი ლოდები.

ცადაზიდული ბებერი ცაცხვი სარდალივით დგას, ირგვლივ მდუმარე თხილნარი ახვევია. ყველაფერი ეს აქაურობას აბნელებს, კედლებს კი პირქუშსა ხდის.

„სად არიან ის ბიჭები, აქ რომ იბრძოდნენ? ან მათი ყიჟინა სადღაა?“

ციხის ქონგურზე ასულ გიორგის მაშინ ვერ გაუბედია შეძახება, ვაი თუ ამ უეცარმა დაძახილმა შეაკრთოს, დაბლა გადმოახედოს და თვალამღვრეული გადმოაგდოსო.

ახლა რატომღაც მოესურვა, შვილს დავუძახებო. მარტო შვილს კი არა, მთელ იმ ყიჟინას, აქ რომ გაისმოდა ხოლმე. ამ ჩუმად მდგარი ცარიელი ციხის კვლავ ახმაურება მოსწყურდა. კრინტის დაძვრა კი ვერ შესძლო.

„გიორგის ხმა თუ აქ არის დარჩენილი, ვაითუ ჩემმა შეხმიანებამ დააფრთხოს და გააქციოს, ჰა?.. ეს რა უცნაური ფიქრი მომდის, ღმერთო ჩემო!“

ბოლოს, როგორც იქნა ამოიჩურჩულა:

— გოგია! გიორგი! სადა ხარ, ბიჭო?

რაკი ერთხელ გაბედა, ხმას აუწია:

— გიორგიი! ჰაუუუ! ჰა, ჰა, ჰაუუ!

ხმა კედლებს შეენარცხა, მიტრიალ-მოტრიალდა და ციხემ გაბმით ამოიძახა:

— ხვა! ყუა! ყვაა!

ნინოს გული მოუვიდა და უფრო ომახიანად გასძახა:

— გიორგიიი! ჰა, ჰა, ჰაუუ!

— ჰი, ჰი, ჰი! ხა, ხა, ხა! — დაიხავლა ციხემ. ამ ხმამ შეაკრთო ნინო და მესამედ დაძახება ველარ გაბედა.

„ნეტავ რას დამდევს ეს შოქმოქა ქალი? რა უნდა ჩემგან, რა?“

ამ ამბავმა ისე გააბრუა, კინაღამ დაავიწყდა, აქ რისთვისაც ამოვიდა.

„ღმერთო, მომაგონე! ჰოო...“

დიდი კოშკისაკენ წალასლასდა.

კოშკის შესასვლელი ქვა-მიწით ისე იყო ამოტენილი, შიგ გაძრომაც კი აღარ შეიძლებოდა. დედას შვილის ნაამბობი მოაგონდა: კოშკის კარი ისეა ჩახერგილი, შიგ მოკუნტული ძლივს შევდივარო.

ლოდები გადმოაგორა, მიწა გამოჩხრიკა და რაკი თავის გაყოფა მოახერხა, გაფორთხდა.

ხელის ბეჭედი ვერსად დალანდა.

— დედი, კოშკში რომ შეხვალ, მარცხნივ შებრუნდი, იქ არის მინდელის ხელი! — მოესმა შვილის ხმა. არა, არ შემცდარა ნინო, ეს ნამდვილად შვილის ხმა იყო.

„ამ ციხის კედლებში სადღაც ხომ არის შენახული გიორგის ხმა? კიდევ მითხარი, შვილო, რამე! ჰო, კიდევ დამელაპარაკე, შენ შემოგევლე!“

ნინო დაფერდებულ ქვა-მიწაზე დაეფეხვა, შიშველი ფეხები კალთისქვეშ მოიქცია და სახე ხელისგულებში ჩარგო. ასე იყო გარინდებული კარგა ხანს. შვილის ხმა ველარ გაიგონა.

აითრია ფეხი, წამოიჩოქა და გაიხედა იქით, სადაც უცნობი ჭაბუკის ხელი ეგულებოდა. კარგად დააკვირდა: ბათქაშიან კედელს არაფერი ემჩნეოდა.

კედელთან მიგდებულ ქვას მოეჭიდა, ადვილად მოისროლა განზე, მეორეს მოშორება გაუჭირდა, ჩაჭედილი იყო. სხვა ლოდები უფრო გაუჯიუტდნენ. არ მოეშვა და მალე ცერა თითის ანაბეჭდი შენიშნა. ცოტაც და...

უხილავმა ჭაბუკმა კედლისპირა მიწიდან ხელი ამოუწოდა.

შეკრთა ნინო, უკან დაიხია.

სული რომ მოითქვა, თვალი კვლავ იქით გააპარა.

ცოცხლად დამარხული ჭაბუკი შველას უხმოდ ითხოვდა, აკლდამა-საფლავიდან ამომიყვანეთო.

ნინო ფრთხილად მიუახლოვდა კედელს და ჩაიჩოქა. თითები მინდელის ნათითარებში ჩააწყო, ქვის ხელს ხელი ჩამოართვა. უცებ მოეჩვენა: ამ ნათითარებში გიორგის თითებიც ძევსო. ხელი ორივეს ერთად ჩამოართვა — უცნობ ჭაბუკსაც და თავის შვილსაც. სამი ხელი ერთმანეთს ერთდროულად გადაეჭდო. მალე გიორგი გაქრა და ნინოს ხელს შერჩა მხოლოდ მინდელის თითები, უფრო სწორად, მსხვილი ნათითარები.

ნინომ თვალი დახუჭა და მკლავი ისე მოსწია, თითქოს ცოცხლად დამარხული ვაჟკაცის მაჯას მოეჭიდა და მიწიდან ეზიდებაო. კედელს ღონემიხდილი მიესვენა და თავი ჩაჰკიდა.

ვერ გაიგო, ეძინა თუ ელვიძა. ეს იცის, რომ არაფერი დასიზმრებია, არცარა უფიქრია. უცებ საშინელი გრუხუნი მოესმა, თითქოს ცა ჩამოტყდაო, და თვალი დაფეთებულმა გამოახილა.

მარჯვენა ფეხი დაბუჟებული ჰქონდა, მთელი სხეული სტკიოდა. მოქურუშებული ცა მიწას დამხობოდა. ციხეში თვალგაუვალი წყვდიადი გამეფებულიყო. ირგვლივ შავი სიჩუმე იდგა.

იელვა და ცამ დაიგრუხუნა.

ცოტა წამოწინწკლა კიდეც.

„იელვოს და იგრუხუნოს, ოღონდ ეს კუპრისფერი სიჩუმე დაირღვეს“.

წყვდიადში ფერმკრთალი რაღაც ელანდა, მიხვდა, ციხის გასასვლელიაო და იქით წაბარბაცდა. გასასვლელთან შეჩერდა და დაბლა გადაიხედა.

სოფელში აქა-იქ ენთო სინათლე. თავისი ოდისაკენ გადაიხედა. იქ შუქის ციაგიც არ ჩანდა. ოდა-სახლი უსინათლო იყო, თვალდაშრეტილი და დაბრმავებული. სიბნელის ახლაღა შეეშინდა. ლოდს მოეჭიდა და ფეხები დაბლა ჩაჰკიდა, მიაგნო ერთ დასაყრდენს, მეორეს, მესამეს და ელვამ რომ მონათა, უკვე კლდეზე იდგა. ქვევით ფორთხვით ჩავიდა და ნაბილიკარს ხელის ფათურით გაუყვა.

აღარც ციხის ფეხთან დაყრილი ჩუსტები გახსენებია, აღარც ლოდზე დაფენილი შალი, ფერდობზე ფხაწაფხუწით დაეშვა.

ბნელში ბრმასავით მიდიოდა. აქაური ბილიკები გაცვეთილი ჰქონდა, გზას ადვილად აგნებდა.

ორიოდეჯერ ისევ იელვა და მგზავრს გზა-ბილიკი გაუნათა. მგზავრი ამ ელვას უმადური დაურჩა. უეცარმა შუქმა თვალი მოსჭრა. ელვის მერე სიბნელე უფრო შედედდა და გეზი დააკარგვინა. შეჩვეული სიბნელე ერჩია.

ფართო გზაზე გასულმა პატარა შვება იგრძნო, მალე სინათლეს დაინახა, ეს ლადოს ახალ ოდაში ენთო. ბავშვიან სახლში მუდამ ანთია შუქი. გეზი იმ სინათლისაკენ აიღო. ოდის სინათლეს ცოტა ხნით ხე ჩამოეფარა, მერე კიდევ ორიოდე სხვა შუქიც აციმციმდა.

ფეხი შინ შედგა თუ არა, მუხლი მოეკვეთა. შიშველ ტახტზე მოწყვეტით დაემხო. იგრძნო ღონემიხდილმა, ლამპისა და ბუხრის ანთების თავი აღარ ჰქონდა, წამოდგომა არც უცდია.

ფეხისგულებზე ცეცხლი ეკიდა, სხეული უთრთოდა და აკრჟოლებდა.

„მაშინ რომ ავად გავხდი, მაყვალამ მიპატრონა, ახლა სამი ბავშვი ჰკიდია კალთაზე და ჩემთვის სადა სცალია... სამი შვილი... სამი შვილი... ორი ვაჟი, ერთი გოგო... კიდევ გაიჩენს... ჩემთვის აღარა სცალია... მე ვინღა მომივლის, ვინ?.. სამი შვილი... სამი შვილი...“

— ნინო, ჰაუ, ნინო! გამოიხედე, ქალო! — ესმის მწოლარეს და თვალს მძიმედ ახელს. თავის წამოწევა სურს და არაქათგამოცლილს საამისო ძალაც აღარ აქვს.

ჭრიალებს ოდა-სახლის კარი, მერე კარის ადგილას ნისლი დგება და იმ ნისლში გულქანა ჩნდება.

— უი, მომიკვდეს თავი! ავად ხარ, ქალო?

ნინო ბურანში ხედავს, გულქანას ხელში ფინჯანი უჭირავს და მის ბაგესთან მოაქვს. ნინო ფინჯანს ხარბად ეწაფება. ემწარება და მაინც სვამს. წყალია, ჰო, წყალია.

— უი, მომიკვდეს თავი, თაკარა სიცხე გაქვს!..

ნინო კრინტს ვერ სძრავს: ტუჩ-ბაგე ერთმანეთს მიჰკვრია.

გულქანა შუბლზე ცივ ტილოსადებს.

— კაბა ვერ გაიხადე და ლოგინში ვერ ჩაწექი, ქალო? ამის თავიც აღარ გქონდა?!

— ნინო, ხბო მოგიდენა ჩემმა კაცმა.

— ჰაა?... ხბოო?!.

გაახსენდა, ბოჩოლა რომ დაკარგა.

ნინოს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მთელი ოთახი უფერული ნისლით აივსო და გულქანა ამ ნისლში დაეკარგა. ხელები გაასავსავა, ეგებ ნისლი გავფანტოო. ნისლი ამოძრავდა, დიდ ღრუბლად იქცა და ნინო უკუნეთ სიბნელეში გაეხვია...

ამ წყვდიადში რამდენ ხანს იყო, ვერ გაიგო. გონს რომ მოეგო, ხელი დალანდა, გაქვავებული კი არა, ჩვეულებრივი თეთრი ხელი. ამ ხელმა შავი ღრუბელი მიფანტ-მოფანტა და ნინოს თვალს შუქი მისწვდა.

ოთახში მეზობლები შემოსულან. მთელ უბანს აქ მოუყრია თავი.

მაყვალას ნინოს ნაჩუქარი საკაბე შეუკერია.

„ქმარშვილის სიხარულში გაცვითე! შენ მაინც იყავი ბედნიერი!“

მაყვალას თვალი მოაშორა და მის გვერდით მდგომ სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილ კაცს შეხედა. იცნო ლადო.

კაცს სამი შვილი ჰყავს უკვე, ეს ხაკისფერი ხალათი კი აქამდე არ გაუცვდა? ან არ მოსწყინდა? ახლა სხვანაირი ჩაიცვას... ნინოს არ უყვარს ეს ხალათი, არა! — თვალი მოარიდა ლადოს.

ყველაფერი ისევ ნისლ-ღრუბელში ჩაიძირა. მერე იმ ღრუბლებიდან ხალხის მაგივრად ბარაკონის ციხე ამოტივტივდა.

ინგრევა ბარაკონის ციხე. ქვები ფერდობზე მორიხინებს და ამ რიხინს სიდონიას სიცილი მოჰყვება. მოჰყვება კი არა, შოქშოქა ქალის სიცილი დაგორებული ქვის რიხინს გადაბმია და ორივე ერთად მოგორავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე ახლა სწორედ ნინოს ეზოს უმიზნებს ლოდებს.

მოხვდა მოზრდილი ლოდი ოდას. ოდა შეირყა და აივანზე შერჩენილი ცარიელი ბუდეები ძირს ჩამოყარა.

მოხვდა ლელვს. ლელვი შეირხა და ნაყოფი შავი ცრემლებივით დ[illegible] და, თითქოს აქ ეს ცრემლები მოლაღურს დარჩაო.

ქვა-ლოდი ცვივა ბოსტანში, ცვივა ცარიელ ქვევრებში.

ყველაზე დიდი ლოდები კი კაკალსა ხვდება. დაჩურჩული კაკალი თითქმის სულ წყალში იყრება. კაკალი კი არა, მსხვილი ვარსკვლავები ცვივა.

ახლა ციხემ ქვა-ლოდი თვითონ ნინოს წამოუშინა.

უცებ თვალწინ უამრავი ვარსკვლავი აუბრჭყვიალდა. რაც თავის სიცოცხლეში ცასა და მიწაზე ვარსკვლავი ენახა, ყველამ აქ მოიყარა თავი... გამოჩნდა დიდმთვარიანი ბრაველძლის ცა, ხეობაში, შავ ხავერდზე მუჭა-მუჭა დაყრილი მარგალიტები, იმ მარგალიტებს მაყვალას კაბის ვარსკვლავები შეუერთდნენ, კაბის ვარსკვლავებს კაკალ-ვარსკვლავებიც შეერივნენ... მერე ციცინათელებიც ვარსკვლავებად იქცნენ და ვარსკვლავებით აივსო მთელი სამყარო...

„სამყარო, თუ?!.. ასე რამ გაანათა ბრაველძლის საყდარი? ღმერთო ჩემო, რამდენი ვარსკვლავ-სანთელია!?..“

თვალი მოსჭრა და დაბრმავებას უპირებს. ნინოს ძალიან უნდა გაჩახჩახებულ სინათლეს პირდაპირ უყუროს... ვერ ახერხებს...

უეცრად თეთრჩოხიანმა ჩამოუქროლა ნინოს, ხელი დასტაცა და უნაგირზე შემოიგდო, შავი ნაბადი მოახურა და უვარსკვლავო ცაში გააქროლა.

ტკივილთან ერთად ყველაფერი გაჰქრა.

## ეპილოგი

ჯალაბეთში ხშირად დავდივარ. ამ გაზაფხულზეც ვეწვიე. კვირადილით ბარაკონის ციხეზე ავედი და დიდ ლოდზე ჩამოვჯექი.

იმ დღეს ციხე ფიქრმორეულ კაცსა ჰგავდა.

ბუხრებიდან ცისფერი კვამლი ამოდიოდა.

ციხეს ცაცხვის მწვანე გვირგვინი ამშვენებდა. ცაცხვის ყვავილს უამრავი ფუტკარი ეხვია.

— შვილო, გოგია! მოგვიცადე! — მომესმა ქალის ხმა. მივიხედე. ქედის უნაგირზე თორმეტიოდე წლის ყმაწვილი ამორბოდა. შავ ქოჩორს ნიავი ურხევდა. ჭრელი პიჯაკი გაეხადა, ხელი საყელოში ჩაევლო და მხარზე გადაეგდო. ყმაწვილს ფეხდაფეხ გოგონა მოსდევდა. ცისფერი კაბა ეცვა. გოგონას ქალი მოჰყვებოდა. მაშინვე ვიცანი, მაყვალა იყო.

მაყვალას წინ მომავალი გოგონა დედასა ჰგავდა, ვაჟი — მამას.

მთელი ის დღე ბარაკონის ციხესთან გავატარეთ. ბავშვები ციხეში შევიდნენ და ისეთი ჟრიამული ასტეხეს, მეგონა, ქვები ამღერდნენ-მეთქი. უცებ გაცოცხლდა დადუმებული ციხე.

შინ მხიარული დავბრუნდი. მთელ ღამეს ციხის სიმღერა მესმოდა და ლამაზ სიზმრებსა ვხედავდი.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# თამაში კი, მაგრამ უკანასკნელი?

„ჩვენი უკანასკნელი თამაში“ როსტომ ბექანიშვილის ახალი რომანია, რომელიც წელს დაიბეჭდა „ცისკრის“ ფურცლებზე. როსტომ ბექანიშვილი ყველაზე ნაყოფიერ პროზაიკოსად უნდა მივიჩნიოთ ახალგაზრდა თაობიდან. მართლაც, არცერთ მის თანატოლ და ბევრ მასზე უფროს ქართველ მწერალს არ გამოუქვეყნებია ასე, ზედიზედ რომანები და მოთხრობები. თუკი კრიტიკოსს არითმეტიკული დაანგარიშება ეპატიება, იმ შემთხვევაში ვიტყვით, რომ უკანასკნელ ხანს როსტომ ბექანიშვილი საშუალოდ ყოველწლიურად თითო რომანს, ან უკიდურეს შემთხვევაში ვრცელ მოთხრობას მაინც აქვეყნებს. თავისთავად ასეთი ნაყოფიერება ცუდი როდია, თუ იგი, რა თქმა უნდა, ზიანს არ აყენებს მწერლის შემოქმედების მხატვრულ ღირსებებს.

იქნებ ზოგიერთს ნაადრევი ეჩვენოს ასეთი მკაცრი მსჯელობა, რადგან ჯერ რომანის მხოლოდ პირველი წიგნია დაბეჭდილი და უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას გაგრძელება ექნება. ჩვენის აზრით, მწერალს თავიდანვე უნდა ვუთხრათ ჩვენი პირუთვნელი მოსაზრება, რომ მან, თუკი ეს მოსაზრება საგულისხმო იქნება, ყურად იღოს და გაითვალისწინოს. ამასთანავე, რაკი ავტორმა პირველი წიგნი ცალკე გამოაქვეყნა, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მას დასრულებულ ნაწილად მიაჩნია (თუმცა ჩვენ ამის ვერავითარი ნიშანი ვერ ვიპოვეთ მასში). მთავარი კი მაინც ისაა, რომ ჩვენი ასეთი სიმკაცრე მარტო ამ უკანასკნელი რომანით არ არის განსაზღვრული.

როსტომ ბექანიშვილის ამას წინათ გამოქვეყნებულ რომანს „სამამულე რქა“ ჩვენ სპეციალური წერილი მივუძღვენით, სადაც აღვნიშნეთ მთელი რიგი საინტერესო მომენტები, მწერლის ოსტატობის ცალკეულ მხარეებსაც შევეხეთ, რომ ამით ერთგვარად წაგვეხალისებინა ავტორი. ამასთანავე მოურიდებლად და გულწრფელად მივუთითეთ იმ სერიოზულ ხარვეზებზე, რომლებიც მის რომანს მრავლად გააჩნდა. მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა და ჩვენ არავინ შემოგვკამათებია ამ შენიშვნების გამო, პირიქით, ზოგიერთმა კრიტიკოსმა კიდეც გაიზიარა ეს შენიშვნები. უმთავრესი, რასაც ჩვენ ვსაყვედურობდით ავტორს, ეს იყო მრავალსიტყვაობა და ნიშნები ეპიგონობისა, რაც აშკარად შეიმჩნეოდა რომანში. მაგრამ ამასთანავე მთელი რიგი ოსტატურად დახატული კოლორიტული სცენები, გამართული მეტყველება, ზოგიერთი ხასიათის რელიეფურობა უფლებას გვაძლევდა დაგვენახა და გვეთქვა, რომ როსტომ ბექანიშვილი შემოქმედებითი დაოსტატების გზაზე იდგა და ამით ავტორისთვისაც და ჩვენი თავისთვისაც

იმედი მიგვეცა, რომ ეს გზა შემოქმედებით წარმატებებამდე მიიყვანდა მწერალს. უკვე „სამამულე რქის“ ახალმა, გაუარესებულმა ვარიანტმა, რომელიც რუსულად გამოსცა ავტორმა სათაურით **„Побеги грядущего“** ერთგვარად შეგვირყია ეს რწმენა, ხოლო რომანმა „ჩვენი უკანასკნელი თამაში“ საბოლოოდ დაგვარწმუნა იმაში, რომ დოსტატების გზა თურმე აღმავალიც შეიძლება იყოს და დაღმავალიც.

როსტომ ბექანიშვილი აქამდე გაურბოდა იმ სიახლეს, რაც უთუოდ დამახასიათებელია ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსების ერთი ჯგუფისათვის. ის უფრო „ტრადიციულ“ ხაზს მისდევდა და ამ მხრივ აშკარად გამოირჩეოდა თავისი თაობის მწერლებიდან. სიუჟეტური გართულებები, ან პირიქით, სწრაფვა უსიუჟეტობისაკენ, სიახლენი კომპოზიციური აგების მხრივ, ლაკონიური, სადა, მაგრამ ღრმააზროვანი მეტყველება, კონტრასტების სიუხვე თუ ბევრი სხვა ნიშნები უცხო იყო ბექანიშვილის შემოქმედებითი სამყაროსათვის, ალარაფერს ვამბობთ უფრო ღრმა და ნიშანდობლივ მხარეებზე, რაც ცხოვრების ხილვის ახალი თვალთახედვიდან მოდის. როსტომ ბექანიშვილი თავისი ადრინდელი ნაწარმოებებისათვის თემებს დიდ სოციალურ მოვლენებში ეძებდა და მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ამბის სადა, შეიძლება ითქვას, მარტივ თხრობას ირჩევდა.

როსტომ ბექანიშვილს, როგორც ჩანს, ეცოტავა ეს და ახალ რომანში „ჩვენი უკანასკნელი თამაში“ ერთგვარად უღალატა წერის ადრინდელ მანერას. ჩვენის აზრით, ეს ღალატი მას ძვირად დაუჯდა, რადგან ორიგინალურობის ამ ძალად აკვიატებულმა სურვილმა მწერალი შემოქმედებით მარცხამდე მიიყვანა. ისევე როგორც ყველა შემოქმედს, როსტომ ბექანიშვილსაც აქვს ძიების უფლება, მაგრამ ყოველი ექსპერიმენტი საჯაროდ როდი უნდა გამოიტანოს ავტორმა. საერთოდ მწერლობა, რაგინდ საკვირველიც არ უნდა იყოს ეს ზოგიერთთათვის, მეტად მძიმე პროფესიაა, რომელიც შემოქმედს უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს. სწორედ ამ პასუხისმგებლობის გამო ძნელად გადასაწყვეტი უნდა იყოს ნაწარმოების დაბეჭდვის საკითხი და აქ აჩქარება არას არგებს მწერალს. სამწუხაროდ, ეს უბრალო ჭეშმარიტება ძნელი გასაგები გამხდარა ბევრი ახალგაზრდა, განსაკუთრებით დამწყები მწერლისათვის. ამაში როსტომ ბექანიშვილის ახალმა რომანმაც დაგვარწმუნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩვეულო კომპოზიციური აგებულება, სიუჟეტის თავისებური, უფრო ზუსტად, წყვეტილი და თავდაყირა დაყენებული განვითარება, ეს არის ავტორის გულუბრყვილო პოზა, და არა ნაწარმოების შინაარსის ორგანული ფორმა, რომელიც ხელს შეუწყობდა მხატვრული აზრის სრულად, მაქსიმალური სიმკვეთრით გამოკვეთას. რომანში ერთმანეთს ენაცვლება გმირის მშობლების წერილები და მისი საკუთარი მოგონებები. ამასთან, წერილები ისეთი თანამიმდევრობითაა დალაგებული, რომ ისინი თანდათან უფრო გვცილდებიან ჩვენ დროის თვალსაზრისით. იწყება 60-იანი წლების წერილებით და მიდის 30-იან წლებში დაწერილ წერილებამდე. იმ დროს, როდესაც გმირის მოგონებები ძირითადად წლების ნორმალურ მსვლელობასა და განვითარებას მისდევს, თუმცა აქაც ხშირად გვაქვს საქმე ქრონოლოგიურ აღრევასთან. ყოველივე ამის გარდა, მოქმედება თანამედროვე პირობებშიც ვითარდება. ყველაფერმა ამან, როგორც ჩანს, პირველ რიგში თვითონ მწერალი დააბნია, ხოლო შემდეგ კი მასთან ერთად მკითხველიც. მაგრამ ბნელი ამ ამორფული ნაწარმოებიდან მაინც უნდა ვეცადოთ ჩვენ რაღაც მთავარი მხატვრული აზრი გამოვკვეთოთ და მისი ავკარგიანობა გავარკვიოთ. აი სწორედ აქ გადაეყრება მკითხველი მთავარ სიძნელეს. არც თუ ისე

იოლი მისაგნებია, თუ მთელი ამ პირველი წიგნის მანძილზე რისი თქმა უნდა ავტორს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა მწერლები საკმაოდ ხშირად ეტანებიან ყრმობის მოგონებებს. ეს უსათუოდ გამოწვეულია ცხოვრების შთაბეჭდილებების სიღარიბით. იმის ნაცვლად, რომ ახალგაზრდა, ღრმად ცნობისმოყვარე მწერალი, სავსე ენერგიითა და მონდომებით, თუ გნებავთ ფანტაზიითაც, ეძებდეს ცხოვრების რთულ სარბიელს თავისი ნიჭისა და მოქალაქეობრივი გრძნობის გამოსაცდელად, ზოგიერთი მათგანი იწყებს ყრმობის წლების მოგონებას, ეს მაშინ, როცა თვითონ ჯერ ხეირიანად არც კი გამოსულა ამ ასაკიდან. დაახლოვებით ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე როსტომ ბექანიშვილის რომანშიც „ჩვენი უკანასკნელი თამაში". როგორც ჩანს, მწერალს ბევრი არაფერი აქვს სათქმელი და ვერც იმაში გარკვეულა, თუ მაინც რა იყო მთავარი და საინტერესო მისი ბავშვობის ხანაში, რადგან რომანის დიდი ნაწილი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს უბრალოდ გვერდების შესავსებადაა მოტანილი, ყოველ შემთხვევაში რაიმე აზრობრივი დატვირთვის ან მხატვრული ფუნქციის შემჩნევა მათში ძნელდება.

ზოგიერთი მწერლის მანერა, ყოფით დეტალებში გახსნას დიდი ცხოვრებისეული მოვლენები, ახლა ერთგვარ მოდად იქცა და როგორც ასეთ შემთხვევებში მოსალოდნელია, მოდას აყოლილთა ხელში გაყალბდა და დაწვრილმანდა. ამ უკანასკნელთ ის ველარ დაინახეს, თუ ამ ყოფით დეტალებში ჭეშმარიტი ოსტატები მხატვრული სიტყვისა რა დიდ აზრსა და გრძნობას აქსოვდნენ, ისინი ზერელე შთაბეჭდილებას აყვნენ და ასე გონიათ, თუ კი ყოფითი წვრილმანებით აავსებენ ნაწარმოებს, ეს მას მოდერნისტულ იერს მისცემს. როსტომ ბექანიშვილის რომანშიც უამრავ ასეთ ზედმეტ, თავისთავადსა და უსარგებლო დეტალს წააწყდება მკითხველი. მხოლოდ ერთ გვერდზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო არც წინა და არც მომდევნო გვერდებთან, მკითხველი ამოიკითხავს, რომ „ჭრელი მეეზოვე გულმოდგინედ [illegible]გალეულ ცოცხს", „სადგური[illegible] დინჯად და სერიოზულად დგას სადგურის რესტორნის წინ და ელოდება მიპატიჟებას. წითელ ცხვირს ვაცივით აცმაცუნებს", „წყლის გამყიდველი ჭუჭყიან ჭიქებს რეცხავს, სიროპს იპარავს და მის ნაცვლად ლიმონათს ამატებს". „სოიუზპეჩატის" კიოსკში ძველ გაზეთებს ჰყიდიან", „კედლის გაზეთი ობლად მიყუჟულა" და ბოლოს, ყველაფერ ამას აგვირგვინებს ვილაც მოხელის ვულგარული ტირადა. განა რაიმე საჭიროება არის ყოველივე ამის წარმოსახვისა თუ წარმოდგენისა რომანში? არავითარი, გარდა იმისა, რომ ამათ თურმე უნდა გააცოცხლონ და შეამკონ რომანი.

აგრეთვე მოდად იქცა ეროტიული გრძნობების გაშიშვლებული წარმოდგენა ნაწარმოებებში. არც ეს გამორჩენია როსტომ ბექანიშვილს მხედველობიდან. ამაში ჯერ კიდევ „სამამულო რქამ" დაგვარწმუნა, ახალმა რომანმა კი კიდევ უფრო გაგვიმტკიცა რწმენა იმისა, რომ ავტორი გრძნობს ყოველ „სიახლეს" მწერლობაში. ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, თითქოს ეროტიული გრძნობების ჩვენება ნაწარმოებში საერთოდ მიუღებელი და დასაძრახისი იყოს (ჩვენ ხომ საბავშვო ლიტერატურაზე არ გვაქვს საუბარი), მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი და ფუნქცია უნდა გააჩნდეს. ისე ტყუილუბრალოდ, მკითხველის (თუ პირველ რიგში საკუთარი თავის) გასართობად და გასაღიზიანებლად ჩამატებული ეროტიული სცენები ბევრ ღირსებას არ უნდა მატებდეს ნაწარმოებს.

როსტომ ბექანიშვილი დიდი მონდომებით გვიყვება თავისი გმირის ბოლაზუნის ისტორიას მექისე ჰასანას (ესეც ეგზოტიკა) ქალიშვილთან ხანუმასთან, არ იშურებს საღებავებს, რომ რაც შეიძლება ცოცხლად წარმოგვიდგინოს ეს სცენა. ბოლოს კი მოგონებებში წასული გმირი ასეთ დიდმნიშვნე-

ლოვან დასკვნამდე მიდის: „დაღლილი და დალილავებული იატაკზე დავჯექი და საღამომდე მწარედ ვტიროდი. ალბათ აქ დაიმსხვრა ჩემი ყველაზე სპეტაკი ოცნება“. სისპეტაკისა რა მოგახსენოთ და რომანის მანძილზე ამდაგვარი ხასიათის ოცნება ბევრჯერ დაემსხვრევა ბიძინა სანებლიძეს, თუნდაც იმავე ქანასთან. რომელთან ურთიერთობასაც ასევე დიდი სიზუსტით, „ნიუანსებში“ გადმოგვცემს მწერალი. აი, ასეთი ხერხებითა და საშუალებებით ცდილობს ავტორი გაათანამედროვოს თავისი რომანი. მაგრამ ჩვენის აზრით ესაა მეტად გაცვეთილი, ძველი პროვინციული საშუალება, რომელიც ბევრს ვერ შეიყვანს შეცდომაში.

„შემოქმედს, ჩემი აზრით, დიდი ბიოგრაფია უნდა ჰქონდეს“ — პათეტიურად აცხადებს ერთერთი გმირი რომანში. თავისთავად ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, და როგორც ჩანს, იგი არ დავიწყებია მწერალს. ჩვენ არ ვიცით, რა დიდი ბიოგრაფიის პატრონია თვითონ როსტომ ბექანიშვილი, და თუ არის, ეს აბსოლუტურად არა ჩანს მის ახალ რომანში. მწერალს რომ ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება არ ღალატობდეს, მას რომ სათქმელი ჰქონდეს, იგი არ ეცდებოდა როგორმე და რითიმე შეევსო მთელი გვერდები. მას იმდენად გაუჭირდა, რომ რამდენიმე ფურცელი დაუთმო ვიღაც მედოლე გეურქას რეპერტუარს და იეთიმ გურჯისა თუ სხვა აშუღების უამრავი ლექსი მოიტანა, კინაღამ ვარიანტებიც დაურთო. ახალგაზრდა მწერლის ასეთი ზერელე დამოკიდებულება ლიტერატურული შრომისადმი უთუოდ საწყენია და ეს მხოლოდ და მხოლოდ ლიტერატურული საზოგადოებრიობის მხრივ მისი უსაფუძვლო განებივრებით აიხსნება.

საინტერესოა მეორე მოსაზრებაც, რომელსაც კვლავ ერთერთი გმირი რომანისა გამოთქვამს: „ისე არსად არ არის ადვილი ყალბი აღმოჩნდე, როგორც წერილში“. თუ გმირს ესმის ეს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ავტორსაც უნდა ესმოდეს. და მაინც, მიუხედავად ამისა, მთელი რომანი ამ სიყალბით, არაბუნე-ბრივი ტექსტით სავსე წერილებზეა აგე-ბული. ეს გაუთავებელი მიწერ-მოწერა არჩილსა და ნინოს შორის კიდევ [illegible]ნი იქნებოდა, რადგან მკითხ[illegible]დება იმ აზრს, რომ სხვა გზა აღარ არის და თავს იმით ინუგეშებს, რომ ბიძინას, ნატოს და სხვა ახალგაზრდების ისტორიას მაინც მოქმედებაში დაინახავს და გაეცნობა, ნაგრამ მოულოდნელად იწყება ნატოს დღიურები. ასე, წერილებისა და დღიურების კითხვით იგებს მკითხველი გმირების ისტორიას და სწვდება ავტორისეულ აზრს. აქ კი მივადექით მთავარ საკითხს. ესე იგი, რალაცა აზრის თუ იდეის მატარებელი ყოფილა რომანი. ჩვენ არ ვიცით რამდენად სწორად მივუხვდით ავტორს, მაგრამ გვგონია, რომ რომანში თაობათა დაპირისპირების პრობლემა უნდა აწუხებდეს მას. თუ ეს მართლაც ასეა, ავტორს მეტად დიდი და რთული პრობლემის მხატვრული გადაწყვეტისათვის მოუკიდია ხელი, მაგრამ, სამწუხაროდ, ველარ გადაუწყვეტია მართებულად.

თაობების დაპირისპირება ყოველ ეპოქაში ხდებოდა და არც ახლა უნდა გვეჩვენოს იგი უჩვეულოდ, თუმცა ამ დაპირისპირებას ყოველთვის სხვადასხვა საფუძველი და ხასიათი გააჩნდა. ახლაც უთუოდ შეიმჩნევა ეს დაპირისპირება თაობებისა, რომელიც არა ქიშპობისა და ბრძოლის, არამედ უფრო შეჯიბრის ხასიათს ატარებს. ბუნებრივია, რომ ყოველ თაობას თავისი თავისებურებები ახასიათებს, რომელიც ძნელი გასაგებია წინა და მომდევნო თაობებისთვის, მაგრამ ჩვენი ცხოვრების თანამედროვე პირობებში ეს თავისებურებები მსოფლმხედველობრივი ან სხვა რაიმე პრინციპული განსხვავებიდან როდი იღებს სათავეს. ამიტომაც ჩვენ ხელოვნურად გვეჩვენება გაზვიადებული დაპირისპირება თაობებისა ჩვენს დროში. ასეთი რამ კი უთუოდ შეიმჩნევა რომანში.

---

გურამ გვერდწითელი

## თამაში კი, მაგრამ უკანასკნელი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანში „ჩვენი უკანასკნელი თამაში“ ერთმანეთს უპირისპირდებიან ძირითადად არჩილ და ნანა სანებლიძეები, ერთის მხრივ, და მათი ვაჟიშვილები და ქალები, მეორეს მხრივ, ავტორი არჩილისა და ნანას ცხოვრების ისტორიას, მათ ხასიათს, განცდებს, მიზნებს, მისწრაფებებს მხოლოდ წერილებში გვიხსნის. როგორც ირკვევა, ამ ცოლ-ქმარს დალხენილი და უდარდელი ცხოვრება არა ჰქონია. არჩილი მშენებელია და მთელი თავისი სიცოცხლე ამ საქმისათვის შეუწირავს. ამიტომაც ოჯახს თითქმის მუდამ დაშორებულია მშვიდობიან დროსაც და, რაღა თქმა უნდა, ომის წლებშიც. ნანა ნამდვილი მეოჯახე ქალია, რომელიც კიდეც მსახურობს და ოჯახის ჭაპანსაც ეწევა. ნანას კარგად ესმის მისი ქმრისა და საერთოდ მთელი იმ თაობის მძიმე ხვედრი, ამიტომაც არ ემდურის ბედს, შრომობს ისე, როგორც ყველა, და ამ შრომაში ეძიებს სიმშვიდეს. მართალია, მცირე გართულებები, როგორც წერილებიდან ჩანს, ამ ოჯახსაც გადაუტანია. მაგრამ ეს მაინც წმინდა და პატიოსნურ საფუძვლებზე აგებული ოჯახია. განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდება ნანასა და არჩილის წრფელი და ფაქიზი გრძნობა ხანში შესვლის შემდეგ. ნანაცა და არჩილიც განიცდიან შვილების ბედს და მათ მართლაც ბევრი აქვთ თავსატეხი და საზრუნავი. შვილები სრულიად განირჩევიან მშობლებისაგან თავიანთი ინდიფერენტულობითა და რაც მთავარია მორალური საფუძვლების რღვევით. ოთარიცა და ბიძინაც ადრე იწყებენ მეძავეებთან სიარულს, არყის სმას და მათი ინტერესების სფერო ბავშვობაში სწორედ ამით შემოიფარგლება. გაკვრითაა ნახსენები ბიძინას გატაცება მხატვრობით. შემდეგ ოთარი მეზღვაური ხდება და როგორც თვითონ იუწყება, თურმე ყოველ პორტში ცოლი ჰყავს. ბიძინა თავის მოწოდებას არ უღალატებს და მხატვარი გამოვა, მაგრამ ამას ჩვენ თითქმის შემთხვევით ვიგებთ. მთავარი მის ხასიათსა და ცხოვრებაში მაინც ეროტიული ქვენა გრძნობებია. იგი ცოლს ითხოვს, ყანასთან ცხოვრობს და რაც მთავარია ასეთ აღსარებას გვანდობს: „ვატყობდი ჩემს თავს, ბოლოხანს უცნაური ყინიანობა დამჩემდა. მე ისეთ [illegible]-ბებს ვუყენებდი ქალებს, [illegible] ბაც მათ არ შეეძლოთ. თავდავიწყებით ვეძებდი სიახლეს და ჯერ განუცდელ ნეტარებას, მაგრამ ყოველი ცდა უნაყოფო იყო. ცეცხლს ყინული მოსდევდა. გატაცებას — გულგრილობა, სიყვარულს — ზიზღი. რამდენიმე შეხვედრის მერე ჩემთვის უკვე აღარ იყო საინტერესო“. აქ ისლა დაგვრჩენია, რომ მადლობა გადავუხადოთ ავტორს იმისათვის, რომ ფრჩხილებს არ ხსნის და არ გაგვიმარტავს, თუ რაში გამოიხატებოდა უცნაურობა იმ მოთხოვნილებებისა, რომლებსაც ბიძინა სანებლიძე ასე ამაოდ უყენებდა ქალებს.

უპირატესად გმირის ასეთი განცდების მოწამეა მკითხველი რომანში, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ბიძინა ხანდახან ჩაფიქრდება და ღრმად ჩაფიქრდება ხოლმე, რის შემდეგაც ჩვენ მისი აზრების თანაზიარი ვხდებით. აი ერთერთი ასეთი იშვიათი მომენტი, როდესაც ბიძინა ჩაფიქრებულია: „გარინდებული მივჩერებოდი ამღვრეულ წყალს და სულში უცნაური გრძნობები მიფართქალებდა. აშკარად ვგრძნობდი ჩემს არარაობას. ადამიანი პატარა, უჩინარი წერტილია აი ამ ზღვასთან და, მით უმეტეს, მარადისობასთან შედარებით“. აი, ჭეშმარიტად ღრმა პროვინციული მსჯელობა. ყოველივე ამის შემდეგ მართლაც გასაკვირია, თუ რატომ აქვს გმირს პრეტენზია იყოს ახალი თაობის ფიქრების, აზრებისა და განწყობილებების გამომხატველი, მწერალს კი რატომღაც ჰგონია, რომ ყოველი მისი ფრაზა, რაგინდ დაუფიქრებელიც არ იყოს იგი, უნდა იკითხოს და ითმინოს მკითხველმა.

მთელ ამ გალერეას რომანის გმირებისას ამშვენებენ თათია და ღორა, მიხრწნილი შინაბერები, რომელნიც საკვირველნი არიან არა მარტო თავისი გარეგნობითა თუ სულიერი წყობით, არამედ იმითაც, რომ სრულიად გაუგებარი ფუნ-

ქციის მატარებელნი არიან. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პორტრეტებზე მუშაობისას მწერალი იმ მისთვის ნაცნობ აზრს მისდევდა, რომ ასე თუ ისე რომანს სოლიდურობისათვის გვერდების სიმრავლე სჭირდება, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს, რომ რომანი ასეთი ფრაზებით შეიძლება შეივსოს: „ოთახში კვლავ სიჩუმეა და თვლემა. დგას ნაფტალინის სუნი. ცეცხლმოკიდებული გული იწვის, მაგრამ ვერ დამწვარა და ეს მოურჩენლობის, დაუმთავრებლობის გრძნობა სულს აშფოთებს. არ არსებულ ბედნიერებაში დაუსრულებელ მენუეტს ცეკვავს ორი შინაბერას გატეხილი ლანდი". იქნებ ვინმეს ფორმალისტურ სახედ მოეჩვენოს ეს ფრაზა რაღაც დაუსრულებელი მენუეტისა და გატეხილი ლანდების შესახებ და ამაში ავტორის მოდერნისტული სულისკვეთება იგრძნოს, ეს უთუოდ შეცდომა იქნება, და პირველ რიგში ეს შეცდომა ვგონებ თვით ავტორს მოუვიდა. სინამდვილეში ეს არის უბრალოდ გაუმართავი ფრაზა, რაც არცთუ ისე იშვიათი შემთხვევაა ამ რომანში.

ერთი სიტყვით, ამ რომანში თაობათა დაპირისპირება მოკლებულია რაიმე სერიოზულ ხასიათს. ავტორი უთუოდ ალარიბებს ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა თაობის სულიერ სამყაროს, წარმოგვიდგენს მას დაცლილს მაღალი იდეალებისაგან, და რა საფუძველით აკეთებს ამას, ეს მხოლოდ მან იცის ალბათ, ან, ვფიქრობთ, არც მან იცის, რადგან ასეთი საფუძველი ობიექტურად არ არსებობს.

ამიტომ ჩვენ გულწრფელად უნდა ვუსურვოთ და ვურჩიოთ ავტორს, რომ ეს მართლაც უკანასკნელი თამაში იყოს მისთვის, და ამასთანავე გავახსენოთ, რომ ასეთი თამაშით ჯერ ჭეშმარიტი ლიტერატურული ნაწარმოები არ შექმნილა. თუ როსტომ ბექანიშვილს ნამდვილად სურს თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში თავისი თუნდაც მცირე წვლილი შეიტანოს, მან ბევრი უნდა იმუშაოს და ცოტა წეროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

გურამ გვერდწითელი

თამაში კი, მაგრამ უკანასკნელი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ასათიანი

# წიგნი ღიმილსა და ცრემლებზე

ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა, ლმობიერება — ეს ერთ დროს თითქოს ჩამოსაწერად გამეტებული სიტყვები დღეს სულ უფრო ხშირად ისმის ჩვენს ლიტერატურულ წრეებში.

როგორც ცნობილია, ჰუმანისტურ მოძრაობას თავისი ისტორია აქვს. ჰუმანისტები იყვნენ ის დიდი მხატვრები და მოაზროვნენი, რომელნიც თავის დროზე შეეცადნენ გაეთავისუფლებინათ კაცობრიობის შეგნება შუასაუკუნეობრივი ცრურწმენებისაგან. ადამიანი, ცოცხალი, ჩვეულებრივი, მიწიერი ადამიანი მათ დააყენეს ყოველგვარ კერპებზე მაღლა, მათ უმღერეს ნამდვილი სადიდებელი თავისუფალ ადამიანს, მის გონებასა და ნიჭს, და როგორც ფილოსოფიას, ისე ხელოვნებასაც მისი ინტერესების სამსახური დააკისრეს.

არაერთგზის თქმულა წინათაც, რომ საბჭოთა ხალხი ჭეშმარიტი მემკვიდრეა ყველა იმ ნამდვილად მაღალი და წმინდა სულიერი მონაპოვრისა, რაც კი კაცობრიობას თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე დაუგროვებია. მაგრამ, როგორც ვიცით, უკანასკნელ დრომდე ჩვენს საზოგადოებაში ადგილი ჰქონდა ისეთ მახინჯ მოვლენას, რამაც საგრძნობლად შებღალა ჩვენი შეხედულებები პიროვნების ღირსებასა და თავისუფლებაზე. ცხადია, ამ ვითარებას უკვალოდ არ ჩაუვლია ჩვენს მწერლობაშიც. შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ძალიან ბევრი მელანი დაიხარჯა არა რეალურად არსებული თანამედროვე საბჭოთა ადამიანის ასასახავად, არამედ სწორედ დოგმად ქცეული სიყალბისა და ცოცხალი ფეტიშების განსადიდებლად.

ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში, კერძოდ პროზაში, შეიქმნა მთელი გალერეა, ერთგვარი პრივილეგირებული კასტა ე. წ. დადებითი გმირებისა, რომლებიც არსებითად უზომოდ იდეალიზებულ პატარ-პატარა კერპებს წარმოადგენდნენ, რადგან მათს არც ფსიქოლოგიასა და არც მოქმედებას თითქმის არაფერი ჰქონდა საერთო ჩვეულებრივი, ნორმალური ადამიანის ბუნებასთან. ამ უსისხლხორცო პერსონაჟებს, რომლებიც ბევრი რამით ძალზე წააგავდნენ შუასაუკუნოებრივი ლიტერატურის მიერ შექმნილ წმიდანთა სახეებს, მართალია ჰქონდათ დადებითი თვისებები, მაგრამ აკლდათ მთავარი, ის, რაც ყველაზე მეტად ძვირფასი და მომხიბლავია ადამიანში — ადამიანურობა.

რასაკვირველია, ეს არ ეხება მთელ საბჭოთა ლიტერატურას. კერძოდ, ქართულმა მწერლობამ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შექმნა არაერთი ნამდვილად დიდი ადამიანური ფიქრითა და განცდით გამსჭვალული შესანიშნავი ნაწარმოები როგორც პროზაში, ისე პოეზიაშიც. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ

ყოველ პარალელს კლასიკურ მემკვიდრეობასთან შეფარდებითი ხასიათი აქვს და, ცხადია, აქაც მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შემოქმედებითი მასშტაბების თავისთავად ნაგულისხმევი სხვაობა. ჩვენ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ნოდარ დუმბაძის იუმორს აქვს თავისი, გარკვეული თვალსაზრისით სწორედ ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ გმირი მხიარული, მიმნდობი, ხალისიანი სიცილით ეგებება მის თვალწინ აღმოცენებულ ახალ სამყაროს, რომელიც სავსეა სიცოცხლის ძალებით, მრავალი უაღრესად საინტერესო, ჭკვიანი და ახირებული ადამიანებით და რომელიც მას ხიბლავს და აღელვებს არა მხოლოდ თავისი სიკეთით, არამედ ათასი მოულოდნელი წინააღმდეგობითა და სასაცილო გაუგებრობით.

ნოდარ დუმბაძისათვის უცხო არ არის გამქირდავი სატირა. მაგრამ მისი სიცილი არსებითად მაინც მოკლებულია უშუალო უარყოფის ტენდენციას. ნ. დუმბაძის პერსონაჟები სასაცილონი არიან თავისი გულუბრყვილობით, თავისი უშუალო, ალალი და მიამიტი ფსიქოლოგიით. ისინი იცინიან ხალისიან, ნათელ, ჯანმრთელ სიცილს, რადგან მართლა ცოცხლობენ, რადგან მათთვის უცხო არ არის არაფერი ნამდვილად ადამიანური, რადგან, მიუხედავად ათასგვარი გაჭირვებისა, მათ სიცოცხლე სწამთ და ესმით როგორც სიხარული, სიკეთე და სიცილი.

მისი გმირები უპირისპირდებიან ყოველივეს, მწუხარებისა და ტანჯვის მომგვრელს, ყოველივეს რაც მხოლოდ ლამაზად შეფერადებული უსიცოცხლო ნიღაბია და სინამდვილეში წვრილმანი ანგარების, ფარისევლობის ან ფანატიკური სისასტიკის დასაფარავადაა გამოგონილი.

„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ არაა მსუბუქი ჟანრის ნაწარმოები. დაკვირვებული მკითხველი აქ უთუოდ იგრძნობს და დაინახავს საკმაოდ ნათელ ეთიკურ კონცეფციას და სოციალურ სიმპათიებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ რომანში არის ცალკეულ[illegible]ები, რომლებიც იაფფასია[illegible] [illegible]ზიო იუმორესკის დონეს ვერ ს[illegible]ბა. აღსანიშნავია, რომ ა[illegible]რი ასეთ შემთხვევაში [illegible]ურ ელფერს იძენს და საგრძნობლად ჰკარგავს თავის მთავარ ღირსებას — ნამდვილ იუმორისტულ სიმახვილეს და ფსიქოლოგიურ გამართლებას (გავიხსენოთ, მაგალითად, მატარებელში მიმდინარე სცენის ზოგიერთი დეტალი და სხვ.).

ნოდარ დუმბაძის მეორე, ახლახან გამოქვეყნებულ რომანში — „მე ვხედავ მზეს“ არის ერთი კარგი ტენდენცია. ავტორი აქ თითქოს უფრო მწვავედაა დაინტერესებული თავისი გმირების ბედილბლით, უფრო ღრმად ცდილობს ჩაიხედოს მათს სულში, უფრო მკვეთრად გამოაჩინოს ცხოვრების ავ-კარგი, ჩრდილი და სინათლე. ნაწარმოების სიუჟეტი უფრო დრამატულია და აქ სინამდვილეში ცოტა რამღა რჩება იმ უღრუბლო, იდილიური განწყობილებებიდან, რომლებიც თითქმის ყველა ვითარებაში თან სდევდა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მთავარ პერსონაჟს.

რომანში არის ადგილები, რომლებიც შეუკავებელ მხიარულებას იწვევს; ომში წასვლის, კოლმეურნეობის კრების, სამხედრო მეცადინეობის სცენები გონებამახვილობის ნამდვილი ფეიერვერკებით არის გაჩირაღდნებული. მაგრამ ძნელია იმის თქმა, რა უფრო მეტია ამ ნაწარმოებში — ღიმილი თუ ცრემლი, ტკივილი თუ იუმორის გრძნობა. ნოდარ დუმბაძის გმირები აქ უფრო ღრმად, უფრო რთულად, შეიძლება ითქვას, ნაკლები მიამიტობით განიცდიან სინამდვილეს. მათთვის უცხო აღარ არის სულიერი წინააღმდეგობები, მწუხარება და თვით სიძულვილიც. ცხოვრებას ჩამოხსნილი აქვს ის მსუბუქი პირბადე, რომელიც ყველაფერს ვარდისფრად და მომხიბლავად აჩენდა.

მეორე მსოფლიო ომის თემა რამდენიმე ლიტერატურული თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში აისახა. ბუნებრივია, რომ ყველაზე მნიშვნელო-

ვანი ნაწარმოებები ამ თემაზე ომში უშუალოდ მონაწილე მწერლებმა შექმნეს. მაგრამ ომი მხოლოდ სანგრებში არ ყოფილა.

ავტორი რომანისა — „მე ვხედავ მზეს“ იმ თაობას ეკუთვნის, რომლის ყველაზე ნაზი ასაკი ომის წლებს დაემთხვა. ამ რომანში ომი, ომისდროინდელი სოფელი დანახულია ბავშვის თვალით. როგორც ოკეანემ მიქცევისას, ისე წაილო ომმა ამ სოფლიდან სიხარული, ახალგაზრდების ყიჟინა, შეჩვეული, მშვიდობიანი ცხოვრების რიტმი. სოფელში შემოვიდა შიმშილი. მეზობელთა აივნებზე გაჩნდა შავი არშიები. ადამიანთა თვალებში ჩადგა შიში, მწუხარება და მოლოდინი.

უფროსი კლასის მოწაფეებს ახალი მასწავლებელი შაშხანის ხმარებას და ხელჩართული ბრძოლის წესებს ასწავლის...

პატარა ობოლი ბიჭი და უსინათლო გოგონა მიჰყვებიან უცნობ გზას ერთი ტომარა ფქვილის საშოვნელად...

ამას წინათ რუსულ ენაზე გამოქვეყნდა გერმანელი მწერლის დიტერ ნოლის რომანი „ვერნერ ჰოლტის თავგადასავალი“. ამ რომანის პირველ თავებში აღწერილია ომისდროინდელი გერმანიის ერთ-ერთი პროვინციის ცხოვრება. 14-15 წლის ბიჭებს ომისათვის ამზადებენ. ავტორი გვიჩვენებს, თუ როგორ თანდათან ეჩვევიან ბავშვები სისასტიკეს, უხეში ძალის პატივისცემას, ფანატიკურ გულცივობას. ისინი სინამდვილეში სრულიად მარტონი არიან ომის წინაშე, რომელიც დაუნდობლად ძარცვავს, აშრობს და ფიტავს მათ სულს. და როგორც პატარა ცხოველები, ისინი გაბოროტებით ულრენენ ყველას, მუქარით აჩენენ თავიანთ პატარა, სუსტ კბილებს.

ნოდარ დუმბაძის მცირეწლოვანმა გმირებმაც ადრე იგრძნეს ომის სუსხი. მათ ნაადრევად მოუხდათ სათამაშოების მიტოვება და ნამდვილი, მძიმე ცხოვრების დაწყება.

პატარა ობოლი ბიჭი და უსინათლო გოგონა პირველად ტოვებენ თავიანთ სოფელს. მათ წინ უცნობი და გრძელი გზაა, რომლის გავლა აუცილებელია ერთი ტომარა სიმინდის ფქვილის საშოვნელად.. ლამის სიბნელეში შედიან ისინი უცხო სოფელში. მაღალ ღობეებს გადაღმა, თავიანთ სახლებში სძინავთ უცხო ადამიანებს, რომელთაც საკუთარი საზრუნავი, საკუთარი მწუხარება და სიზმრები აწუხებენ.

და აი, სწორედ ამ მყუდრო, მთვარიანი ღამით პატარა ადამიანები იღებენ ცხოვრების პირველ დიდ გაკვეთილს: სამყარო დასახლებულია ადამიანებით, ხალხით. „მე გხედავ შენ, ხალხო!“ — ამბობს რომანის დასასრულს მისი მთავარი გმირი, ობოლი სოფლელი ბიჭი სოსოია.

ომმა წაილო სიხარული, სამუდამოდ წაიყვანა შვილები, ძმები, მამები, ომმა ჩააგუბა სევდა გურული გლეხი ქალების თვალებში. მაგრამ ადამიანები გადაურჩნენ ომს, რადგან ისინი დარჩნენ ადამიანებად, რადგან მათ ორ პატარა ბავშვს გადაურჩინეს ბავშვობა, გადაურჩინეს ადამიანის რწმენა.

არის მომენტები, როდესაც ნამდვილი ჰუმანურობა უფრო მჭევრმეტყველურად მჟღავნდება ადამიანის მკაცრ, უყოყმანო მოქმედებაში, ვიდრე ეს შეიძლება გამოიხატოს სიტყვით, დაყვავებით, ალერსიანი გულისხმიერებით. მაგრამ ერთ დროს ჩვენს ლიტერატურაში მეტისმეტად გაძვირდა ტკბილი სიტყვა. ჩვენ ძალზე შევეჩვიეთ ადამიანზე ამაყად და მაღალფარდოვნად ლაპარაკს, და ზოგჯერ გვავიწყდება, რომ ჰუმანიზმი გულისხმობს ისეთ ელემენტარულ ცნებებსაც, როგორიცაა ადამიანისადმი თანაგრძნობა, ლმობიერება და სიკეთის სურვილი.

გამოჩენილმა საბჭოთა პოეტმა ქალმა ოლგა ბერგჰოლცმა ამას წინათ სამართლიანი აღშფოთებით გაილაშქრა იმ ლიტერატორთა წინააღმდეგ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ „ადამიანი ჩვენ გვიყვარს არა როგორც ასეთი (ე. ი. არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც საზოგადოდ ადამიანი), არამედ როგორც გარკვეული სოციალური ხარისხის ფენომენი“.

პირადად მე გასაგებად და გამართლებულად მიმაჩნია, როდესაც ნ. დუმბაძე თავისი ყოველი გმირის მოქმედებაში, ყოველ სიტყვაში, ყოველ სულიერ მოძრაობაში, ყველგან და ყველაფერში უპირველეს ყოვლისა ეძებს ადამიანურობის გამოვლინებას. მე მგონია, ავტორი არ ცდება, როდესაც თავისი ნაწარმოების ერთადერთ უარყოფით პერსონაჟს — პირუტყვული შიშით დაბრმავებულ და სოფლის მიერ წყევლილ მოღალატეს უტოვებს რაღაც გზას, რაღაც იმედს მის მიერვე ჩატეხილი ხიდის აღსადგენად.

შეიძლება ნოდარ დუმბაძისათვის გვერჩია მეტი თავშეკავება, მეტი ზომიერება იქ, სადაც იგი ალბათ შეგნებულად მიდის უკიდურესობამდე და აშკარად სენტიმენტალურ ხერხებს მიმართავს.

მართლაც, რომანში ზოგიერთი ეპიზოდი თითქოს ზედმეტად „დამაქროულია“, ზედმეტად ხაზგასმულია ის, რაც სჯობდა სტრიქონებს შორის ამოგვეკითხა. ამ ტენდენციას აქვს თავისი გასაგები მიზეზი. ჯერ ერთი, იგი გამოწვეულია ხასიათისა და ტემპერამენტის ინდივიდუალური თავისებურებით (არა მხოლოდ ავტორის, არამედ მისი გმირების ტემპერამენტითაც), არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ „მე, ვხედავ მზეს“, ისევე როგორც ნოდარ დუმბაძის პირველი მოთხრობა, პოლემიკური ხასიათის ნაწარმოებია, და ამ მხრივ ზოგიერთი უკიდურესობა აქ ავტორის ლიტერატურული პოზიციითაც არის განპირობებული.

„მე ვხედავ მზეს“ ავტორს მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება ბევრ სხვა რამეშიაც შევედავოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ რომანში იგრძნობა ავტორის სურვილი სინამდვილის უფრო სერიოზული, უფრო ღრმა გააზრებისა, რაც თავისთავად უთუოდ მისასალმებელია. მწერალმა თითქოს იგრძნო ერთგვარი „სიმსუბუქის“ საფრთხე და ეყო შემოქმედებითი ინტუიცია და ნებისყოფა. მან გაუძლია თავისებური ცდუნებას: არ გადაჰყოლოდა იაფფასიანი წარმატებას, რომელისკენაც იგი შეიძლებოდა გარკვეული კატეგორიის მკითხველთა სიმპათიებს წაეყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედებითი ჩანაფიქრის მეტი სიმწიფე ნოდარ დუმბაძის ახალ რომანში მხატვრულად უფრო მკაფიოდ გამოკვეთილ სიუჟეტურ მონახაზებშია განხორციელებული. ამ ნაწარმოებში შეტანილია მეტი სიმძაფრე, მეტი დინამიურობა და დრამატიზმის ელემენტები.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მხატვრული თვალსაზრისით ამ რომანშიც ჯერჯერობით ბევრად უფრო ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს ყოფა-ცხოვრებითი ჩანახატები, სახასიათო სცენები, კოლორიტული დეტალები და, განსაკუთრებით, შესანიშნავი გონებამახვილობით შესრულებული დიალოგები.

სარეცენზიო წიგნსაც ისევე, როგორც ნოდარ დუმბაძის პირველ მოთხრობას, საგრძნობლად აკლია მხატვრული განზოგადების ძალა, ის, რაც ადგილობრივს, კოლორიტულს, კერძოს უფრო ფართოდ და მნიშვნელოვან ხასიათს ანიჭებს.

მართალია, თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში მწერალი აშკარად ცდილობს სწორედ ამ მიმართულებით წარმართოს თხრობა, მოქმედებისა და ხასიათების განვითარება, უფრო ინტენსიური საღებავებით გამოავლინოს მათი სოციალურ-ეთიკური არსი, მაგრამ აქ ავტორმა დაუშვა ერთი მნიშვნელოვანი შეცდომაც. დარღვეულია პროპორციები, გარკვეული ურთიერთშეფარდება იმისა, რისი თქმის უფლებაც თვით ავტორს აქვს, და რასაც მკითხველი უნდა მიხვდეს მწერლის დაუხმარებლადაც. სათქმელი, ე. ი. ავტორის კონცეფცია გადამეტებით გაშიშვლებულია როგორც მთავარი გმირის აღსარებასა და დიალოგებში, ისე ზედმეტად გამჭირვალე სიუჟეტურ კოლიზიებშიც. იგი ხელშესახებად არ გამომდინარეობს თვით ხა-

სიათების შინაგანი ლოგიკიდან, სათანადო სიღრმითა და სისრულით არ არის გახსნილი ფსიქოლოგიურ პლანში და ამის გამო ჯერ კიდევ ვერ შეუძენია მხატვრულად ორგანული ხასიათი.

ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ ამ ნაწარმოების ზოგიერთი, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ადგილი (მაგალითად, დათიკო ბრიგადირის მიერ ბეყანას მოკვლა) თითქოს ამოვარდნილია რომანის საერთო მხატვრული კონტექსტიდან და, გარდა ამისა, მოულოდნელი მელოდრამატიზმის ელფერი დაჰკრავს.

აქ, ჩვენი აზრით, აუცილებელია ერთი საგულისხმო გარემოების აღნიშვნაც: ნოდარ დუმბაძე, როგორც იუმორისტი, არ საჭიროებს ზედმეტ ქათინაურებს. იგი ბრწყინვალედ ფლობს სიცილის ოსტატობის საიდუმლოებას, მაგრამ მას ზოგჯერ თითქოს ეჭვი ეპარება ამ მხატვრული ხერხის შინაგან შესაძლებლობებში და იქ, სადაც სურს გამოხატოს თავისი „სერიოზული“ დამოკიდებულება სინამდვილისადმი, სხვა, მისთვის ნაკლებად ორგანულ მხატვრულ საშუალებებს მიმართავს.

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის სიცილის ფასი. სიცილით შეიძლება არა მხოლოდ დრამატულის, არამედ ტრაგიკულის გამოხატვაც. სიცილს შეუძლია ყველაზე მწვავე ტკივილების გადმოცემა, ყველაზე დიდი სიყვარულის გამხელა და მრისხანე სიძულვილის აღძვრა.

უნდა ითქვას, რომ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებში სიცილი, როგორც სინამდვილის ასახვისა და გააზრების თავისებური ფორმა, გამოყენებული არაა მთელი თავისი მრავალმხრივი, ნაირფეროვანი შესაძლებლობებით. აქ იგი თითქოს მხოლოდ თავის „უშუალო“, შედარებით მეორეხარისხოვან ფუნქციას ასრულებს, ხოლო ე. წ. კულმინაციურ მომენტებში სხვა ხასიათის მხატვრულ საშუალებებს უთმობს ადგილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწერალი, რომელიც ასე უხვად არის დაჯილდოვებული ამ უაღრესად თავისებური და იშვიათი ნიჭით, უფრო გაბედულად, უფრო მეტი შემოქმედებითი სიღრმით უნდა ცდილობდეს მის მხატვრულ რეალიზაციას.

ნოდარ დუმბაძის ორივე ნაწარმოები ავტობიოგრაფიული რომანის ჟანრს ეკუთვნის. მათში მომხიბლავი სიმართლითა და უშუალობითაა მოთხრობილი პირადად ნანახი და განცდილი.

შეიძლება ითქვას, რომ მწერლის შემოქმედებაში ამ ნაწარმოებებმა გარკვეული თვალსაზრისით ამოწურეს ავტორის ბიოგრაფიის გარკვეული მონაკვეთი. ზურიკელასა და სოსოია ბიჭის ბავშვობა უკვე დასრულდა, დარსულდა მათი თამაში, მათი ბავშვური გატაცებები, „კლასი“, „ომობანა“, სიზმრები და ოცნებები! ისინი უკვე შეუდგნენ ნამდვილი ცხოვრების დიდ აღმართს, ისინი გამოვიდნენ ამ გზაზე ნათელი რწმენით, ხალისით და იმედიანად. ნოდარ დუმბაძის ვალია ფეხდაფეხ მიყვეს მის გმირებს და მისთვის ჩვეული ნიჭიერებითა და სიყვარულით მოგვითხროს მათი რთული და საინტერესო ცხოვრების ამბავი.

---

გურამ ასათიანი
წიგნი ღიმილსა და ცრემლებზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კობა იმედაშვილი

## ჩვეულებრივის შესახებ

ახალი. „უსიუჟეტო მოთხრობა“ ქართულ მწერლობაში თანდათან უფრო მეტ ადგილს იკავებს. იქნებ აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ სინამდვილეში ეს მოთხრობა არც ახალია და არც უსიუჟეტო, მაგრამ ტერმინი ტერმინია და მის უზუსტობას უნდა შევეგუოთ. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ „უსიუჟეტო“ ნაწილობრივ გადმოსცემს ამ მოთხრობის ბუნებას. მასში სიუჟეტის, უფრო ზუსტად, ამბის როლი გარკვეულად ნაკლებია, ვიდრე განწყობისა. „უსიუჟეტო მოთხრობა“ ამა თუ იმ განწყობის შექმნით ახდენს ზემოქმედებას მკითხველზე და არა ხასიათებითა თუ ამბით.

ამ ორი-სამი წლის წინათ ქართულ მწერლობაში სხვა ახალგაზრდებთან ერთად მოვიდა სოლომონ დემურხანაშვილიც. იგი მოვიდა უხმაუროდ და უპრეტენზიოდ, მაგრამ პირველივე მოთხრობებით გვაგრძნობინა ნიჭი და საგნების თავისებური ხედვის უნარი, რაც იძლეოდა გარკვეულ იმედს — ახალი გვარი შეიძლებოდა ახალ ავტორად ქცეულიყო. შემდეგ ჩვენს პრესაში ქვეყნდებოდა მისი მოთხრობები, რომლებიც ახლა ერთ კრებულად შეიკრა და „ჩვეულებრივი დღე“ ქვია. კარგად შერჩეული სათაურია: „უსიუჟეტო მოთხრობის“ ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება სწორედ ეს ჩვეულებრივობაა — უბრალო ადამიანი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ გარემოში. მაგრამ ეს ჩვეულებრივობა ახალი მოთხრობის მხოლოდ მოჩვენებითია. ასეთ მოთხრობაში არც ამბავია მთავარი და არც ხასიათი. მასში განწყობაა წამყვანი და სწორედ ეს განწყობა ხდის მას „არაჩვეულებრივად“. ხელოვანის თვალი ყოველთვის არაჩვეულებრივზე ჩერდება, იგი მოვლენათა მონოტონური მწკრივიდან ყოველთვის დისონანსს იჭერს და მას აღწერს. პარადოქსია, მაგრამ ეს „არაჩვეულებრივი“ ბევრად უფრო სრულად გადმოსცემს უამრავი ჩვეულებრივის ბუნებას. და როცა ამგვარ მოთხრობაში დაკარგულია ის, რაც მთავარია მასში, ე. ი. განწყობა, მაშინ ამგვარი მოთხრობა მწერლის უბრალო დღიურს, ჩანაწერს უფრო ემსგავსება, ვიდრე სრულფასოვან მხატვრულ ნაწარმოებს. სამწუხაროდ, სარეცენზიო კრებულში გვხვდება ასეთი ჩანაწერებიც. მაგალითად, „ბერიკაცი“, იგი მხოლოდ მასალაა მოთხრობისათვის, იქნებ კარგი მასალაც, მაგრამ მას ჯერ კიდევ დამუშავება სჭირდება. კრებულში არის აგრეთვე ერთი ნაწარმოებიც, „თეთრი ქალიშვილები“, რომელსაც მხატვრულ ლიტერატურასთან მხოლოდ ძალიან შორეული კავშირი შეიძლება ჰქონდეს. ხასიათებსა და განწყობაზე ლაპარაკი აქ საერთოდ ზედმეტია. მასში არის მხოლოდ ამბავი იმაზე, თუ ამა და ამ რაიონის ამა და ამ ქალიშვილმა რამდენი ტონა ჩაი

ფოთოლი მოკრიფა და რამდენის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილი. და ეს ყველაფერი სტერეოტიპული ფრაზების გამეორებით ხდება.

„ეთერმა 1959 წელს დაამთავრა საშუალო სასწავლებელი“.

„ეთერ ლომჯარიამ 3.800 კილოგრამი ჩაი მოკრიფა“.

„თუ შარშან 3. 800 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, წელს ეთერს 5 ტონა ჩაის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილიო“..

„სულიკო ლომჯარიამ 1958 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა“.

„წლევანდელი წელიწადი სულიკოს შრომითს საქმიანობაში ყველაზე ნაყოფიერი წელია. წელს სულიკოს 5 ტონა ჩაის მოკრეფა აქვს გადაწყვეტილი“.

„ნუნუმ 1959 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა“.

„მან შარშან 3. 500 კილოგრამი ჩაი მოკრიფა, წელს კი 400 კილოგრამი ჩაის მოკრეფა გადაუწყვეტია“.

„დალის 1958 წელს დაუმთავრებია სკოლა“.

რა საჭირო იყო „თეთრი ქალიშვილების“ შეტანა კრებულში, ან რა საჭირო იყო საერთოდ მისი დაბეჭდვა?

მაგრამ ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ კრებულის დანარჩენი ცამეტი მოთხრობა ამ ორის დონეზე დგას. წიგნში არის მოთხრობები, რომლებშიაც მიღწეულია ამა თუ იმ განწყობის მთლიანობა. ეს მოთხრობები („როცა დადგება ქამი“, „მატარებელში“, „განგაში“, „გაზაფხული და უცხო ქალიშვილი“) ინტერესით იკითხება და სწორედ მათში ვლინდება ავტორის ხელწერა. იგი ცდილობს ამოიცნოს ადამიანთა ჩვეულებრივ სიტყვებსა და საქციელს მიღმა მდებარე აზრი. მონახოს ცხოვრების ყოველდღიურ ერთფეროვნებაში პოეტური — მწერალს ეჭარჯვება ქალაქისა და მის მკვიდრთა სულის ამოცნობა და დახატვა. მისი გმირები დღევანდელი დღით ცხოვრობენ, ჩვენი თანამედროვე ადამიანები არიან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახალ მოთხრობაში მთავარია განწყობა, რომელსაც მწერალი სხვადასხვა მხატვრულ კომპონენტებთან ერთად ენობრივი ქსოვილის ზუსტი და მრავალმხრივი გამოყენებით აღწევს (რიტმი, პაუზა, მახვილი, სიტყვის „ფერი“ და სხ[illegible] მაც იქ, სადაც მწერალი სცოდავს ენობრივი თვალსაზრისით, ზედმეტია ლაპარაკი ნაწარმოების მხატვრულ ღირსებებზე. ამ მხრივ კი კრებულში ყველაფერი რიგზე ვერაა. ფაქიზ ნიუანსებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უბრალოდ სირცხვილია, როცა ახალგაზრდა მწერლის მოთხრობაში გრამატიკული უზუსტობანი გვხვდება. აქ უკვე ენის გრძნობაზე ლაპარაკი ზედმეტია, ეს ენის არცოდნაა, ავტორისათვის არაა გარკვეული რიცხვში შეთანხმება. კრებულში ასეთი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ფორმები გვხვდება:

1. — „თეატრიდან ქალ-ვაჟი გამოვიდა“ (გვ. 58).
„ქალ-ვაჟი ჩემს გვერდით იდგნენ (გვ. 58).

2. — „წყვდიადში იძირება გორები, ჩანან მარტო სინათლეები“ (გვ. 93).

3. — „მიწაზე დამრეცით მიცოცავდნენ წვეთები“ (გვ. 7). „ვუყურებდი, მანქანის მინაზე როგორ მისრიალებდა წვეთები“ (გვ. 99).

ზოგჯერ შეიძლება გრამატიკის კანონებით ყველაფერი სწორი იყოს. მაგრამ მწერლისათვის ენის ცოდნა გრამატიკის მერე უნდა იწყებოდეს. არ ვარგა. ძალიან არ ვარგა ასეთი ქართული:

„ფანჯარაზე მთვარე მოადგა“ (გვ. 73).

„საწოლზე დაეყრდნო“ (გვ. 7).

„სიცივე ერთბაშად იგრძნო და ფიქრებიდან გამოისროლა“ (გვ. 33).

„ისინი სავსებით გაფოთლილიყვნენ“ (გვ. 57).

ხშირად გვხვდება მკვდარი, ალოგიკური ფრაზები:

„თხელი იყო, მაგრამ ლამაზი სახე ჰქონდა“.

---

კობა იმედაშვილი
ჩვეულებრივის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან:

„შუშაბანდი ოთახზე უფრო ვიწრო იყო“ (გვ. 49).

რა შუაშია სითხელე სილამაზესთან, ან შუშაბანდი რომ ოთახზე ვიწროა, რა საჭიროა ამის აღნიშვნა საგანგებოდ?

ზოგი წინადადება გაღიზიანებს თავისი „გაპრანჭულობით“, არაბუნებრივობით, მომენტის შეუსაბამობით:

„ქმარი წიგნებიდან წველიდა იმ საიდუმლოს, რაც უწიგნურისთვის მიუწვდომელია“ (გვ. 48).

„ქმრის ღიმილმა მოიტაცა ცოლის თვალებიდან წელანდელი შიში და სასოწარკვეთა“ (გვ. 50).

მოკლედ, ენობრივი ლაფსუსი ბევრია და მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლებოდა. როგორც ვხედავთ, შეცდომები სხვადასხვა ხასიათისაა, მათი გასწორებისათვის კი მხოლოდ ერთი გზა არსებობს: ახალგაზრდა მწერალმა ბეჯითად და გულმოდგინედ უნდა იმუშაოს სიტყვაზე. ყოველთვის ძნელი იყო კარგად წერა, მითუმეტეს ძნელია იგი დღეს.

სოლომონ დემურხანაშვილი ცდილობს მოთხრობებში დახატოს ქალის სილამაზე. ვთქვათ, ერთ მოთხრობაში ასე თუ ისე აწერხებს ამას, სამაგიეროდ მეორე მოთხრობაში ზუსტად იმეორებს უკვე აღწერილი და დახატული ქალის პორტრეტს.

„ქალს შავი, ოდნავ გამჭვირვალე კაბა მთლიანად ავსო და სამოსელი სარკესავით ირეკლავდა მის ნოყვანილობას“.

„პირისფერი წინდები მჭიდროდ შემოწელოდა ფეხებზე და კაცი ვერ მიხვდებოდა, ეცვა თუ არა წინდები. ფეხებზე არ ეტყობოდა არცერთი ნაკვთი“.

„კანის ეს სითეთრე გულისპირთან თავდებოდა, თავდებოდა მხრებთან, მერე შავი კაბიდან გამოკრთოდა“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„სავსე მხრები ჰქონდა და კაბა ლამის ზედ ასკდებოდა“.

(„როცა დადგება ჟამი“).

„ქალი შავ კაბაში უფრო მიმზიდველი ჩანდა. შავი, სლიპი კაბიდან გამოკრთოდა ქათქათა და მკვრივი სხეული, რომელიც კაბიდან დასხლტომას ლამობდა“.

(„გასეირნება ქალაქგარეთ“)

„წინდები გამჭვირვალე ხორცისფერი იყო და ფეხებში შიშველს ჰგავდნენ“.

(„გამგზავრება“)

როგორც ვხედავთ, ავტორი სახეებს იმეორებს, რაც მასალის ნაკლებობაზე მიუთითებს. გავიხსენოთ კლასიკოსები, და ჩვენი, თანამედროვე მწერლები, რა სხვადასხვა კუთხიდან, რა მრავალ ფერში და მრავალ პლანში ხედავენ ისინი ერთიდაიმავე საგნის თუ მოვლენის სილამაზეს.

„უსიუჟეტო მოთხრობა“ ქართულ მწერლობაში ახლა მეორედ დაიბადა. ჩვენ გვქონდა ასეთი მოთხრობები, ძველი არ უნდა დავივიწყოთ. დღეს მკვეთრად გაიზარდა მისი ხვედრითი წონა. მას უყალიბდება თავისი განუმეორებელი სახე, ფართოვდება მისი მკითხველთა წრე.

ისიც უნდა ითქვას, რომ ყველაზე ძნელი მწერლის შრომაა და ამ შრომის გარეშე ვერცერთი ნიჭი თავს ვერ გაიტანს, რის მაგალითიც კრებული „ჩვეულებრივი დღეა“.

ჩვეულებრივის იქით ბევრი რამ არაჩვეულებრივი დგას და მისი ცოდნის გარეშე მწერლობა მართლაც ჩვეულებრივ ამბად გადაიქცევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კალანდაძე

## ილია ჭავჭავაძე და პეტრე ნაკაშიძე

ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მკითხველს არა ერთგან შეხვდება პეტრე ნაკაშიძის სახელი და სხვა რომ არაფერი გაეგონოს მასზე, ამითაც იგრძნობს, ვინ უნდა ყოფილიყო კაცი, ასე გამორჩეულად რომ ჰყვარებია ილიას, ასე სავსედ რომ გადაუშლია მისთვის დიდბუნებოვანი გული.

პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნით იწყება „დედა და შვილი“ („ქართვლის დედა“), რომელიც 1860 წელს დაიწერა:

„აჰა, იმ დროთგან ერთი სახე
ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია
უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით
გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე
რჯულად, ძმაო, მე და შენ“.

1871 წ. ილია სწერდა: „პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს, შენდამი ნაძღვნევს ჩემს „ქართვლის დედას“. თუ მოგეწონოს, მიეცი ნიკოლაძეს დასაბეჭდად. გთხოვ, შენი პირმოუთნეობელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა, კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზედ უფრო ჯარის სიმღერა მომწონს, გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ მოგეწონოს დასაბეჭდად, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიც დააბეჭდინე ამასთან ერთად“...

პეტრე ნაკაშიძესვე მიუძღვნა ილიამ „მეფე დიმიტრი თავდადებული“, რომელსაც სიყვარულით წააწერა: „თ. პეტრე ნაკაშიძეს. ძმაო პეტრე! შენგან ჩაგონებულს შენვე გიძღვნი. ილია ჭავჭავაძე“.

მათ დიდ ადამიანურ სიყვარულსა და შემოქმედებითს მეგობრობას ჩრდილი არასოდეს გაჰკარებია. 1888 წლის 15 მარტს პეტრე ნაკაშიძე სწერდა: „ილიკო, რვეულს მოველი; ამ დღესასწაულებში იქნება დამრჩეს თავისუფალი დრო, ერთი კარგად გადავხედო ჩემს ნაჩხაბნსა და შევასწორო შეძლებისამებრ, შენი პეტრე ნაკაშიძე“.[1]

ამ მეგობრობას მეტი შუქი ეფინება, როცა ვითვალისწინებთ, რომ პეტრე ნაკაშიძე იყო ზედმიწევნით განსწავლული კაცი, უნიჭიერესი ლიტერატორი, მოწინავე მოაზროვნე და მებრძოლი, იგი ქართველი სამოციანელის მონუმენტური სახეა!..

პეტრე გიორგის ძე ნაკაშიძე დაიბადა 1838 წელს, სოფ. გურიანთას[2]. იგი ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, ხოლო 1855 წელს (ყირიმის ომის დროს ქუთაისში თურქების შემოჭრის საფრთხის გამო) თბილისს გადმოიყვანეს და აქაურ კლასიკურ გიმნაზიაში განაგრძო

---

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ი. ჭავჭავაძის ფონდი, № 182.

[2] ნინო ნაკაშიძე. პეტრე ნაკაშიძის ბიოგრაფია. ლიტერატურული მუზეუმი, № 6705-ხ.

სწავლა. აქვე გაეცნო და დაუმეგობრდა ილია ჭავჭავაძეს.

პ. ნაკაშიძემ 1857 წელს დაამთავრა გიმნაზია და იმავე წელს ილიასთან ერთად პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა.

1860 წელს მან კანდიდატის ხარისხით დაასრულა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტი და მალე მოსკოვის ლაზარევის ინსტიტუტის ქართული სიტყვიერების კათედრაზე დაინიშნა უფროს მასწავლებლად. პარალელურად მოსკოვის უნივერსიტეტშიც ასწავლიდა ქართულ ენას.

„პეტრე ნაკაშიძე იმ ახალგაზრდობას ეკუთვნოდა, რომელმაც 60-იან წლებში დაიწყო ჩვენში მოქმედება" — წერდა გაზეთი „ივერია" 1895 წელს. იგი უნივერსიტეტში სწავლის დროს ჩაება გაძათავისუფლებელ მოძრაობაში და ისე აქტიურად, რომ ი. ჭავჭავაძის წრის მოღვაწეობას როცა ეხებიან, თანამედროვენი და ლიტერატურის ისტორიკოსნი ილიას გვერდით პირველად პეტრე ნაკაშიძეს ასახელებენ. გ. წერეთელი, მაგალითად, წერდა: „1861 წლიდან, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ახალი ლიტერატურული მოძრაობა ატეხა ჯერ კიდევ „ცისკარში" და გარშემოიკრიბა თავისი საკუთარი წრე, ამ წრეში მოქმედ პირებად იყვნენ ი. ჭავჭავაძე, როგორც მეთაური და ლუმანიტარული დროშის ამფრიალებელი, პეტრე ნაკაშიძე" და სხვ. („კვალი", 1897 წ, № 46).

1860-1863 წლებში, როცა საქართველოში ილია ჭავჭავაძის წრე მოქმედებდა, პეტრე ნაკაშიძე მოსკოვში ცხოვრობდა და იშვიათად შეეძლო წრის წევრებთან შეხვედრა; და თუ, მიუხედავად ამისა, პეტრე ნაკაშიძეს ილიას ყველაზე მახლობელ თანამებრძოლად იხსენიებენ, ეტყობა იმიტომ, რომ წრის დავალებით იგი დაკავშირებული იყო რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა საიდუმლო ორგანიზაციებთან და პოლონელ სტუდენტთა წრეებთან. ამ მომენტს ხაზგასმით აღვნიშნავთ, რადგან პეტრე ნაკაშიძის პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობა განუყოფლად შეუკავშირდა პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას.

[stamp]

პოლონეთის აჯანყება რუსეთის იმპერიის ხალხთა საზოგადოებრივი ცხოვრების ფრიად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა. რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს იგი რუსეთის გამათავისუფლებელი მოძრაობის განუყოფელ ნაწილად მიაჩნდათ.

ვ. ი. ლენინი პოლონეთის აჯანყებას 60-იანი წლების რევოლუციური სიტუაციის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად თვლიდა[1]. „როდესაც რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვის გულისთვის, — წერდა ვ. ი. ლენინი, — როდესაც მთელმა „განათლებულმა საზოგადოებამ" ზურგი შეაქცია „კოლოკოლს", გერცენი არ შედრკა. მან განაგრძო პოლონეთის თავისუფლების დაცვა... იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება"[2].

მარქსი და ენგელსი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პოლონეთის გამათავისუფლებელ მოძრაობას და რუსი რევოლუციონერი-დემოკრატებისაგან მოითხოვდნენ მის მხარდაჭერას[3].

მომავალ წელს ასი წელი სრულდება პოლონეთის აჯანყებიდან და ამ თარიღს ღირსეულად აღნიშნავენ საბჭოთა და პოლონელი ხალხები. რუსულ ენაზე უკვე დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო გამოკვლევა.

ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობის გასაგებად, უდავოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ მას, მის წრესა და ჟურნალს („საქართველოს მოამბეს") მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ პოლონელ სტუდენტებთან, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჯანყებაში. 1861 წელს ისინი მხარდამხარ გამოდიოდნენ პეტერბურგის სტუდენტთა არეულობაში, ხოლო შემდეგ ერთად იხდიდნენ სასჯელს. გ. წერეთელმა ქართველ

[1] В. И. Ленин, сочин. т. 5. стр. 26-27.

[2] ლენინი ლიტერატურის შესახებ, 1945, გვ. 68.

[3] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 20, გვ. 403.

და პოლონელ სტუდენტთა ეს საბრძოლო მეგობრობა ვრცლად დაახასიათა „მგზავრის წერილებში“, რომლის მთავარი გმირი ვლადისლავ ხოროშევსკი (ხ-სკი) ი. ჭავჭავაძის წრესთან იყო დაკავშირებული. ხოროშევსკი პოლონელ სტუდენტთა ერთ-ერთი ლიდერი იყო.

ი. ჭავჭავაძის წრის წევრი ბესარიონ ლოლობერიძე სამარინის რევოლუციური ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ყოფილა. ამ წრემ დაბეჭდა და გაავრცელა „№ 15 წრის ცენტრალური რევოლუციური კომიტეტის მოწოდება“. სამარინი და მისი თანამებრძოლები მხურვალე აგიტაციას ეწეოდნენ პოლონეთის აჯანყების სასარგებლოდ, წმიდათაწმიდა საქმეს უწოდებდნენ მას და ყველას მოუწოდებდნენ შეერთებოდნენ ინსურგენტებს. წრემ უშუალო კავშირი დაამყარა აჯანყებულთა ორგანიზაციებთან. წრის წევრთა მიერ შედგენილი რაზმი ვილნოში გაიგზავნა აჯანყებულებთან შესაერთებლად. სამწუხაროდ, რაზმის შემადგენლობა უცნობია და არ შეგვიძლია ვთქვათ, იყვნენ თუ არა მასში ქართველები...[1]

აღსანიშნავია, რომ პოლონელთა დასახმარებლად საქართველოშიც წარმოებდა არალეგალური მუშაობა. ექიმ სოპოლშჩიკოვის მეუღლეს 1863 წლის გაზაფხულზე დიდი თანხა ჩაუტანია თბილისიდან ოდესაში „აჯანყების სასარგებლოდ. პოლონეთის ცენტრალური რევოლუციური კომიტეტისათვის გადასაცემად“[2].

აჯანყების მზადებისა და მიმდინარეობის დროს ილია ჭავჭავაძესთან მოლაპარაკებაში ღამეებს ათენებდა თბილისში მცხოვრები პოლონელი რევოლუციონერი ლეონ პეტრეს ძე ზაგურსკი.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აჯანყების პერიოდში პეტრე ნაკაშიძის სასწრაფო მივლინება პოლონეთს და ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის“ მე-7 ნომერში დაბეჭდილი მისი „სამგზავრო წერილები“. აღნიშნული მოგზაურობის [illegible] გათვალისწინება ცხადყოფს, რომ მას ორგანიზაციული ხასიათი ჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყების დაწყებისთანავე პეტრე ნაკაშიძემ, „ოჯახური მდგომარეობის“, საბაბით, სამსახურიდან განთავისუფლება ითხოვა. მისი დაჟინებული მოთხოვნით გაკვირვებული ინსტიტუტის მზრუნველი „კავკასიის საქმეთა კომიტეტის“ საქმეთა მმართველს ვ. პ. ბუტკოვს ატყობინებდა, პეტრე ნაკაშიძე ფორმალურად აქამდე ვერ წარმოგიდგინეთ დაკავებულ თანამდებობაზე დასამტკიცებლად, რადგან საბუთები ა. წ. იანვარში მოგვიტანა, ახლა კი განთავისუფლებას მოითხოვს, ხოლო სამაგიერო კანდიდატი არა გვყავსო. პეტრე ნაკაშიძეს ზედიზედ რამდენიმე განცხადება შეუტანია და, როგორც იქნა, 12 მარტს განთავისუფლების ბრძანებაც გაუციათ და სათანადო „ატესტატიც“ გამოუწერიათ. „ატესტატში“, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ პეტრე ნაკაშიძე დიდი გატაცებით და გულმოდგინებით ასრულებდა ლაზარევის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლისა და მოსკოვის უნივერსიტეტის ქართული ენის მასწავლებლის თანამდებობას.

მაგრამ პეტრე ნაკაშიძეს ბუტკოვის ბრძანებისა და „ატესტატისათვის“ არ დაუცდია და „ოჯახურ პირობებზე“ ზრუნვის ნაცვლად, მარტის პირველსავე რიცხვებში პოლონეთს გამგზავრებულა[1].

იმ პერიოდის რევოლუციური მოძრაობისადმი ილია ჭავჭავაძისა და პეტრე ნაკაშიძის დამოკიდებულებაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა მათი შემოქმედე-

[1] Восстание 1863 г. и русско-польские революционные связи 60-х годов. 1960 г., стр. 317.

[2] მ. ხუციშვილი. „ქართულ-პოლონური მეგობრობის უცნობი ფაქტი“. „ზარია ვოსტოკა“, 1959, 3/X.

[1] ხელნაწერთა ინსტიტუტი. ი. ნაკაშიძის ფონდი. № 291. მოსკოვის საოლქო არქივი. ლაზარევის ინსტიტუტის ფონდი, საქმე №186.

ბა. ნიშანდობლივია ამ მხრივ პეტრე ნაკაშიძისადმი მიძღვნილი „ქართვლის დედის“ („დედა და შვილი“) ეპიგრაფი:

„გაგვიძელ, ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო.
გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო“.

და კიდევ:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

პეტრე ნაკაშიძის ნარკვევი („სამგზავრო წერილები“) ფართოდ გამიზნული თხზულების დასაწყისია. ავტორს განზრახული ჰქონია მოგზაურის შთაბეჭდილებების საბაბით გადმოეცა ახალი თაობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი. სამწუხაროდ, ჟურნალმა მხოლოდ „პირველი წიგნის“ გამოქვეყნება მოახერხა. პირდაპირი ცნობა თუ რატომ არ დაიბეჭდა მომდევნო ნაწილები („წიგნები“), არ მოგვეპოვება. არ ვიცით, გამოგზავნა თუ არა ავტორმა ეს წერილები თბილისში და, თუ გამოგზავნა, რა ბედი ეწია მათ. მაგრამ ამ კითხვებზე ერთგვარ პასუხს წარმოადგენს თხზულების დაბეჭდილი ნაწილი.

პ. ნაკაშიძის წერილების ადრესატი ილია ჭავჭავაძეა, ეს ფორმა ნარკვევს ინტიმურ ელფერს აძლევს.

პეტრე ნაკაშიძე მაშინდელი ქართველისათვის საკმაოდ შორეულ და შინაარსიან, — როგორც თვითონ ამბობს, — „ტურისტულ მოგზაურობას“ შედგომია. მიზნად დაუსახავს მოენახულებინა პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი, ხმელთაშუა ზღვით ჩასულიყო იტალიაში, სტამბოლზე გამოვლით „მშობლიურ გურიისთვისაც შეევლო თვალი“ და კვლავ თბილისს დაბრუნებოდა.

ეს „ტურისტული მარშრუტი“ დიდად საყურადღებოა, რადგან მასში მთავარი ადგილი უკავია იტალიასა და პოლონეთს, ქვეყნებს, სადაც 60-იან წლებში გაჩაღებული იყო ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობა და საითკენაც გული მიუწევდა ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს.

პეტრე ნაკაშიძე რომ ჟურნალის კონკრეტულ დავალებას ასრულებდა, [illegible] შველია. თვითონვე სწერს [illegible] „მან და ჩემი მოგზაურობა შენს „მო[illegible]“ ვუამბოო“. ქართული პრ[illegible] ში იგი პირველი კორეს[illegible] მელიც ცოცხალ, ორიგინალურ რეპორტაჟს გზავნის უცხოეთიდან.

პ. ნაკაშიძე დასაწყისშივე აგრძნობინებს მკითხველს პოლიტიკური სიტუაციის სიმწვავესა და თავისი მოგზაურობის განსაკუთრებულ მიზანდასახულობას.

ვგრძნობთ, რომ ავტორს მეგობრული ურთიერთობა აქვს პოლონელ სტუდენტებთან, იცნობს მათს ხასიათსა და მისწრაფებებს, თანაუგრძნობს მათ.

გადაკრული კითხვებით, ქარაგმულ ჩაძიებაზე აგებული დიალოგებით მწერალი ახერხებს ნათლად წარმოუდგინოს მკითხველს პოლიტიკური სიტუაციის მთელი სიმწვავე და ამომწურავად უპასუხოს ისეთ პრობლემებს, რომელთა წამოჭრა ლეგალურ პრესაში, ერთი შეხედვით, ყოვლად წარმოუდგენელი იყო. პეტრე ნაკაშიძე ამ გზით განსაკუთრებულ ეფექტსაც აღწევს: პოლიტიკურ საკითხებს მეტ შთამბეჭდაობას, მეტ ემოციურ ძლიერებას ანიჭებს.

მკითხველი რომ სასურველ დასკვნამდე მიიყვანოს, პოლონელ სტუდენტთან დიალოგს პ. ნაკაშიძე ასე წარმართავს:

— „როგორ მოგწონს ჩვენი მამული?“ — მკითხავდა ჩემი კამპანიონი, — თქვენს კავკასს, რასაკვირველია, ვერ შეედრება, მაგრამ ამასაც თავისდაგვარი მშვენიერება აქვს.

— ქვეყანა ძლიერ კარგია, — ვუპასუხე მე, — მაგრამ ხალხი კი საცოდავია, რომ ასეთ უბედურებაში ჩავარდა ამ უკანასკნელ დროს-მეთქი.

— რა უბედურებაშიო?

— ამდენი სისხლისღვრა და კაცისკვლეტა მაშ რაა, თუ არა უბედურება და ღვთის წყრომა?

— ალბათ, ხალხი არა რაცხს მაგას უბედურებად, თუ ასე არ ზოგავს სიცოცხლეს საკუთარის თავისუფლებისათ-

ვის. მომიგო მან... განა არის ქვეყანაზედ იმისთანა ხალხი ან კაცი, რომელსაც არა ჰსურდეს კეთილი ცხოვრება? ყველასა ჰსურს, მაგრამ ხალხიც არის და ხალხიც. ზოგის სურვილი ისეთივე სუსტია და დამჭკნარი, როგორც თვითონ ხალხია გათელილი და წელმოწყვეტილი, ზოგს კი იმდენად შერჩენია კაცობრიული გრძნობა, რომ მისთვის სიცოცხლე და კეთილ ცხოვრება (თავისუფლება) განუყოფელია, ერთი უმეოროდ იმისთვის მითამ არც კი ყოფილა. იმისთანა ხალხი კი სულ მუდამა დღულს, ან გულისწადილს აისრულებს ან არა და იმ წადილს ზედ შეაკვდება. ამისთანა ხალხს ვერაფერი ვერ შეაყენებს! შიშველის ხელით ზარბაზნებს შოულობს, ჯოხით — თოფსა და თოფით ზარბაზანსაო". ისტორია და კაცობრიობა მარტო ამისთანა ხალხს ყურადღებას აძლევს და მკვდარ ხალხს კი უშვებს „დაფვლად თვისათა მკვდართა".

ასე მძლავრად ისმის „სამგზავრო წერილებში" აჯანყებისაკენ მოწოდება. ავტორი ცდილობს გმირული სული შთაბეროს თანამემამულეებს, აამხედროს ისინი „ხალხთა საპყრობილის" ციხის ერიმისათვის. ეს არის შეიარაღებული გამოსვლის პროპაგანდა და ამ შემთხვევაში „საქართველოს მოამბე" რევოლუციის აგიტატორად გვევლინება.

ქართველ მკითხველს პეტრე ნაკაშიძე საოცნებოდ უსახავს პოლონელ პატრიოტთა ბრძოლას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ავტორისა და პოლონელი სტუდენტის ვარშავაში გამომშვიდობების ეპიზოდი.

— „მშვიდობითო, — მითხრა მან, როცა მე კარში გამოველ, — თქვენთვის მსურს კეთილი მგზავრობა და ჩემთვის კი სიცოცხლე კეთილცხოვრებიანი ან სიკვდილი ვაჟკაცური.

— სად მიდიხარ? — ვკითხე მე გაკვირვებით.

— „დო ლიასუ" — წარმოთქვა ყმაწვილმა დაბალის ხმით და მსწრაფლ გაქრა ღამის სიბნელეში.

მერე გავიგე, რომ „დო ლიასუ" ჩვეულებრივად ნიშნავს ტყეში წასვლას, მაგრამ ახლანდელ დროში კი ამრეულობაში გარევის მნიშვნელობა აქვს, თურმე".

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, პ. ნაკაშიძე არ მალავს, რომ მას საიდუმლო [illegible] ჰქონდა აჯანყებულებთან.

პ. ნაკაშიძის ნარკვევის პათოსს წარმოადგენს პოლონელ აჯანყებულთადმი უსაზღვრო თანაგრძნობა. იგი აჯანყების უშუალო მონაწილის მგზნებარებით ლაპარაკობს სახალხო იერიშებზე, ძმური სიყვარულით წერს პოლონელთა გმირობაზე.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ცარიზმისაგან ჩაგრულ ხალხთა საბრძოლო სოლიდარობაზე, ურთიერთ სიმპათიებზე. „ვარშავის მახლობლად, სადგურლაპში, შემთხვევით მატარებელს ჩამოვრჩი და საშინელი მარტოობა ვიგრძენიო, — გადმოგვცემს. — ყველანი პოლშელები იყვნენ... და... როგორღაც ისე გვერდულად მიყურებდნენ, რომ მე თვითონ არ მინდოდა მათთან ლაპარაკი... მაგრამო, — განაგრძობს, — რამდენიმე მინუტში მთელმა საზოგადოებამ გაიგო ჩემი ვინაობა და მაშინ სულ სხვა თვალით დამიწყეს ცქერა. ყურადღებას და პატივისცემას, რაც შეეძლოთ, არ მაკლებდნენ. მიშოვეს ერთი წმინდა ოთახი სუფთა ქვეშაგებითა, რომელიც მაშინ ჩემთვის დაუფასებელი რამ იყო".

„სამგზავრო წერილებში" ხაზგასმულია ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში პოლიტიკური შეგნების, ერთსულოვნების მნიშვნელობა; აჯანყების დასაყრდენად მიჩნეული არიან მშრომელები, მათი სოციალური მისწრაფებები.

წერილიდან ჩანს, რომ პეტრე ნაკაშიძე კარგად იცნობდა პოლონეთის აჯანყების ორგანიზაციას, მის მეთაურებს, ბრძოლის მიმდინარეობას. ცენზურას რომ თავი დააღწიოს და შთაბეჭდილებაც გააძლიეროს, ავტორი კვლავ მეფის მსახურებს ალაპარაკებს: — „ის იყო გადაეხადნათ რამდენიმე ომი პოლშელე-

ბთან. ერთს მათგანს ბევრი ინსურგენტი დაეხოცა, სხვათაშორის. მათი უფროსი რილსკი, რომელიც იყო აღზრდილი პარიჟის საარტილერიო შკოლაში და რომლის ნიჭს და ვაჟკაცობას ძლიერ აქებდნენ. მეორე პარტიის უფროსი — როგოვსკი ტყვედ შეეპყრათ. ეს ყოფილიყო სულ ყმაწვილი, 20 წლის კაცი, მაგრამ ფრიად განვითარებული სამხედრო ხელოვნებაში (გარიბალდის ადიუტანტობის დროს), ნიჭიანი, ვაჟკაცი და ამასთანავე გასაოცარი მშვენიერების პატრონი. „ჩემს დღეში არ მინახავს კაცი ასე სრულად შემკული ყოველივე კეთილის ნიჭითო, — ამბობდა ერთი აფიცერი. — ცოდვა კია, რომ მაგისთანა კაცმა სახრჩობელაში გაჰყოს თავიო“.

ფაქტიური მასალის გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ პ. ნაკაშიძე პირადად ნახულს გადმოგვცემს, თავის ნაცნობ-მეგობრებზე გვესაუბრება.

ნარკვევში მოხსენებული ინსურგენტები — რილსკი და როგოვსკი (როგინსკი) — აჯანყების გამოჩენილი ხელმძღვანელები იყვნენ.

კიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი, თადეუშ რილსკი, ასამდე მოსკოველ და პეტერბურგელ სტუდენტთან ერთად, 1861 წ. ფარულად გადავიდა საზღვარზე და მეროსლავსკის სამხედრო სკოლაში შევიდა. აჯანყების დროს რილსკი ინსურგენტების დიდ რაზმს მეთაურობდა. პოდლიასკის სავოევოდოში ძლიერი შენაერთის მეთაური იყო პ. ნაკაშიძის ნარკვევში მოხსენებული რომან როგინსკი. მისი სახელი მთელს პოლონეთში ჰქუხდა. 1863 წლის მარტის მძაფრი ბრძოლების დროს, იგი, მართლაც, ტყვედ ჩაიგდო დამსჯელმა ექსპედიციამ. მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, რაც შემდეგ მუდმივი კატორღით შეუცვალეს.

როგინსკი ტყვედ ჩავარდა 1863 წლის 19 თებერვალს (3 მარტს), როცა პეტრე ნაკაშიძე ვარშავაში იმყოფებოდა. ასეთ ცინცხალ სარწმუნო ცნობებს აწვდიდა პ .ნაკაშიძე ი. ჭავჭავაძის ჟურნალს.

აჯანყების თვალსაჩინო მეთაურები იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები, ძმები ფელიქს და კონსტანტინე როგოვსკები, რომელთაც პ. ნაკაშიძე ახასიათებს [illegible], როგორც მოსკოვის [illegible] ლექტორი, იგი კარგად იცნობდა.

პეტრე ნაკაშიძის ნარკვევში ზუსტი მიზანდასახულობა აქვს ყოველ ეპიზოდს, ყოველ სიტყვას. ამიტომ საგანგებო ყურადღების ღირსია ის ადგილები, სადაც პარტიზანული ბრძოლების მეთოდებია დახასიათებული.

ამრიგად, პ. ნაკაშიძის ნარკვევს საერთო არაფერი აქვს იმ დროის მოგზაურთა სენტიმენტალურ დღიურებთან; ეს, ასე ვთქვათ, მეომრის რეპორტაჟია ცეცხლის ხაზიდან.

„სამგზავრო წერილები“ გვხიბლავს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის, საყოველთაო-სახალხო აჯანყების რომანტიკით, რეალისტურ სურათებში მკაფიოდ მოჩანს უთანასწორო შეჯახების სიძნელეები.

ავტორი მაგალითად სახავს აჯანყებული ხალხის საბრძოლო მონოლითობას. თავისუფლებისათვის ლაშქრობას ხალხის გული რაღაც წმინდა შუქით გაუსხივოსნებია, დიდისა თუ პატარისთვის პატრიოტული თავგანწირვა ნეტარებად ქცეულა.

„...ამას წინათ ერთი ცხრისა თუ ათი წლის ყმაწვილი იდგა ჩემს წინ ვაგონში და დიდი ყურადღებით ჰშინჯავდა გარშემო ტყეებს.

— ტყეში ხომ არ აპირებ წასვლას? — ვკითხე.

— დედა არ მიშვებს! — მითხრა მან.

— თუნდაც რომ გაგიშვას, განა წახვალ?

— ა იაკჟე! (მაშ, არა?) — წარმოსთქვა ყმაწვილმა ისეთის სახით, რომ აღარ ვიცოდი რა მეფიქრნა“.

„სამგზავრო წერილები“ მკაფიო წარმოდგენას იძლევა თერგდალეულების და მათი ჟურნალის რევოლუციური ბრძოლის პროგრამაზე.

განხილული ნარკვევის დაბეჭდვა უთუოდ სარისკო საქმე იყო იმ დროს,

დილ ტაქტსა და გამბედაობას მოითხოვდა ილია ჭავჭავაძისაგან. ამასთან, ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ოსტატურად ფლობს ცენზურის მოგერიების ტექნიკას, ახერხებს ხელიდან დაუსხლტეს ბეჭდვითი სიტყვის ჟანდარმებს.

გარკვეული იდეის საილუსტრაციო დეტალს პ. ნაკაშიძე მუდამ რევოლუციური მგზნებარებით გადმოსცემს, ხოლო როცა მიზანი მიღწეულია, ოფიციალური რეპორტიორის უდარდელობით შენიშნავს: „ძლიერ მებრალებოდა უგნური ყმაწვილი კაცი, მაგრამ რაღა დრო იყო! საკვირველია, რომ მთავრობა ამისთანა დროს სტუდენტებს პოლშაში წასვლის ნებას აძლევს!“

ქართულ ლიტერატურაში იშვიათია ასე საქმის ცოდნით, ცოცხლად და გემოვნებით დაწერილი ნარკვევი. პუბლიცისტური მგზნებარება მას ჭეშმარიტად შთამაგონებელ ძალას ანიჭებს.

პ. ნაკაშიძეს ეპიზოდის შერჩევის არაჩვეულებრივი ნიჭი აქვს, იგი მწერლის თვალით სჭვრეტს მოვლენებს, პოულობს უნივერსალურ დეტალს, რის შედეგადაც მისი ეპიზოდები იდეურად და მხატვრულად ტევადი და მრავალწახნაგოვანია. ყურადღებას იქცევს დიალოგების ბუნებრივობა, კოლორიტული პერსონაჟები. გარეგნულად პ. ნაკაშიძე გულგრილი მთხრობელია და, სწორედ ამიტომაა, რომ ამბებს კარგად შეუნარჩუნებიათ შინაგანი მღელვარება. იგი არ იზღუდება ბრძოლის საშინელებათა აღწერით, მის თხრობას განუშორებლად ახლავს მსუბუქი იუმორი.

ავტორის მხატვრულ ნიჭზე მეტყველებს აგრეთვე ნაზ ფერებში შესრულებული ლიტვისა და პოლონეთის პეიზაჟები.

ანას დავსძენთ, რომ ილია ჭავჭავაძისა და პეტრე ნაკაშიძის „მგზავრის წერილებს“ იდეური და მხატვრული ნათესაობა აქვს.

ამ არაჩვეულებრივმა ნარკვევმა ქართველი მკითხველის ხსოვნაში სამუდამოდ აღბეჭდა პოლონეთის რევოლუციური ბრძოლის რომანტიკული სურათები, რომლებსაც შემოუნახავთ პირველი უშუალობის სითბო.

1895 წელს ი. ჭავჭავაძე „ივერიაში“ წერდა: „ლიტერატურაში პ. ნაკაშიძემ პირველად მიიღო მონაწილეობა ჟურნალში „საქართველოს მოამბე“. ის ვარშავიდან აგზავნიდა ცოცხალს, კარგის ენით დაწერილ წერილებს, რომელთაც არა თუ მაშინ, ახლაც დიდის სიამოვნებით წაიკითხავთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1864 წლიდან, „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, ჟურნალის თანამშრომლებმა სახელმწიფო სამსახურს მიაშურეს. იმავე ხანებში პეტრე ნაკაშიძეც დაბრუნებულა სამშობლოში, მსგავსად ამხანაგებისა, მომრიგებელ შუამავლად გამწესებულა და „სიმპათიურისა და გულკეთილის ხასიათით ხალხის სიყვარული მოუპოვებია“ (ი. ჭავჭავაძე).

„პეტრე ნაკაშიძე სიკვდილამდე ერთგული დარჩა 60-იანი წლების რევოლუციური მოძრაობის იდეებისა“, იგი „არც ერთს ქართულ საქმეს გზას არ უხვევდა, ყოველგან და ყველას დახმარება სურდა, საზოგადო ასპარეზზედ... ნაყოფიერად მოღვაწეობდა („ივერია“).

პეტრე ნაკაშიძე იმ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ თავის თავს, უნარი შესწევთ ულმობელ თვითმსჯავრს დაუქვემდებარონ საკუთარი ნაწერი, დასაბეჭდად იშვიათად რასმე გაიმეტებენ და, ასე ვთქვათ, თავიანთი სალუქი ლიტერატურული გემოვნების მსხვერპლი ხდებიან. ამასთან, მისი პუბლიცისტურ-პოლიტიკური ტემპერამენტი ორგანულად ვერ ეთვისებოდა ბეჭდვითი სიტყვის არტახებს, ხოლო მიკიბულ-მოკიბულსა და ნახევარ თქმას დუმილს ამჯობინებდა. მისი საწერი მაგიდის უჯრა მკითხველთათვის მხოლოდ ილია ჭავჭავაძის დაბეჯითებული მოთხოვნით თუ გაიღებოდა. 1877 წელს, როცა ილიამ „ივერია“ დააარსა, თანამშრომლად პეტრე ნაკაშიძეც მიიწვია.

---

ალექსანდრე კალანდაძე
ილია ჭავჭავაძე და პეტრე ნაკაშიძე

იმავე წელს დაიბეჭდა მისი წერილე-ბი — „სასაუბრო და საფიქრებელი“, რომლებიც გამოირჩევა იდეური მიზან-დასახულობით, პუბლიცისტური მგზნე-ბარებით, მაღალმხატვრულობითა და პოლიტიკური სიმწვავით. ავტორი ძი-რეულ სამეურნეო და სოციალურ ცვლილებებს მოითხოვს. — მრეწვე-ლობის, ცივილიზაციის მხურვალე დამ-ცველად გვევლინება.

70-იანი წლებიდან პ. ნაკაშიძე ქუ-თაისში ცხოვრობდა და იქაც მრავალ-მხრივ საზოგადოებრივ-სამეურნეო მო-ღვაწეობას ეწეოდა. სხვათა შორის, პირველად იგი დაინტერესებულა გუ-რიის ნავთით და ნარუჯაში ინჟინრებიც მიუწვევია საბადოების გამოსაკვლევად.

პეტრე ნაკაშიძის ოჯახი ეროვნულ-კულტურული თაოსნობის ნამდვილი კერა იყო ქუთაისში. თვით პეტრე ქუ-თაისის ინტელიგენციის ტონის მიმცე-მად ითვლებოდა.

ხელისუფლებამ, ცხადია, იცოდა პეტრე ნაკაშიძის პოლიტიკური მის-წრაფებები და ეჭვით უყურებდა მას. 90-იან წლებში, როცა ქუთაისის გუ-ბერნიის თავადაზნაურობამ ის წინა-მძღოლად აირჩია, მმართველობამ უარი უთხრა დამტკიცებაზე.

პეტრე ნაკაშიძე გარდაიცვალა 1895 წლის 10 ივლისს ბორჯომში; იქვე დაკრ-ძალეს. მადლიერმა ხალხმა გულმდუ-ღარედ დაიტირა სასიქადულო მამულ-შვილი, ვინც კეთილად „[illegible] ქვე-ლი თვისი“ და „დასტოვა კვალი განათ-ლებული“.

ილია ჭავჭავაძე სწერდა ბაბალე ნაკა-შიძეს: „ეს-ეს არის გიახელ სოფლიდამ და შინ დამხვდა დიდად სამწუხარო ამ-ბავი, რომ მე დავკარგე ერთი ჩემი უძ-ვირფასესი ამხანაგი და უკეთესი მეგო-ბარი პეტრე. მწუხარება გამიორკეცდა, რომ ამ უბედურების გვიანად შეტყო-ბის გამო არ მომეცა შეძლება თქვენის სახლობის ცრემლებთან ერთად დამეფ-რქვია ჩემი ცრემლიცა, როცა თქვენ ეთხოვებოდით ძვირფასს გვამს თქვენის მეუღლისას და ჩემის მეგობრისას... მე კი დამრჩენია ნუგეშად ჭეშმარიტის თავმოწონებით ვთქვა, რომ ხელი, რო-მელიცა გწერთ ამ სამძიმარს, ხელთ სჭე-რია მეგობრულად იმისთანა გულუბრ-ყვილოს, საყვარელს და პატიოსანს კაცსა, როგორიც იყო ჩვენი აწ უბედუ-რი პეტრე“.[1]

---

[1] საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი, № 17615-ხ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ ნათაძე

# შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე

ავთანდილის ანდერძის ცნობილ სტროფს, რომელიც თავდება სიტყვებით: „მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“, ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაში მოსდევს ორი სტროფი, რომელიც გამოცემათა უმრავლესობაში შეტანილი არ არის. ეს სტროფებია:

ღმერთს შემვედრებენ მრავალნი გლახაკნი
გულ-მხურვალები,
დამხსნას ხორცსა და სოფელსა, სხვად ნურას
შევიცვალები,
კვლა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწვავს იგივ
ალები,
მომცეს მკვიდრივე მამული მუნ ჩემი
სასურვალები.
დამხსნას ბნელსა და ნათელი შემმოსოს ზესთა
ზენისა,
მუნ დამიუნჯოს, წამალი სადა ძეს სულთა
ლხენისა,
ჩემი არ ჰქონდეს შეძლება სოფლისა მლილთა
კბენისა,
ფრთენი მომესხნეს და ძალი მომეცეს აღმა
ფრენისა.

(კ. ჭიჭინაძის გამოცემით)

იგივე სტროფები გვხვდება H-54, H -2074, Q-1082, H-599, S-2829, S-4988, H-2610, H-3061, P -10, H -740, Q-261, H -461, S-4499, Q-779, K -205, K -215, W -17, S-5006, W -27, H 757[1] ხელნაწერებში. არის სხვაობები, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი
გულმხურვალები,
დამხსნას ხორცთა და სოფელსა, ნუმცა რად
შევიცვალები,

. . . . . . . . . . .

ფრთენი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმა
ფრენისა (H-757).

მუნ დამიუნჯოს წამალი სადა ძეს წყლულთა
ლხენისა (ასლანიშვილი).

აკადემიურ ტექსტში ეს სტროფები შეტანილი არაა. ჩვენი წერილის მიზანია გავარკვიოთ, რამდენად სწორია მათი ამოღება ძირითადი ტექსტიდან.

1. განურჩევლად იმისა, რუსთაველისაა თუ არა ეს სტროფები, ტექსტში ზოგი შესწორების საჭიროება ამთავითვე ნათელია: მაგ., „სულთა ლხენისა“ კი არ უნდა იკითხებოდეს, არამედ „წყლულთა ლხენისა“. „ლხენა“ ანუ „ლხინება“ ძველ ქართულში შემსუბუქებას, ტკივილის და, საზოგადოდ, უსიამოვნების დაამებას ნიშნავს. „ვეფხისტყაოსანშიც“ „ლხენა“ ამ მნიშვნელობით იხმარება: „გულის სახმილთა ლხენანი“ (1475). ამიტომ „წყლულთა ლხენა“ ბუნებრივია. „წყლული“ „სულად“, ალბათ, გადამწერლებმა მას შემდეგ შეცვალეს, რაც „ლხენა“ სიტყვის ძველი მნიშვნელობა დავიწყებას მიეცა. აგრეთვე, მეორე სტროფის უკანასკნელ ტაეპში უნდა იყოს კავშირებითი „ფრთენი მომესხნენ“ და არა თხრობითი „ფრთენი მომესხნეს“.

2. ერთი საბუთი ამ სტროფების კანონიერების წინააღმდეგ გრამატიკული ხასიათისაა და მოყვანილია ბონის უნივერსიტეტის პროფესორის გ. დეეტერსის რეცენზიაში „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ თარგმანზე. ავტორი ემყარება კ. ჭიჭინაძის ტექსტს და აღნიშნავს, რომ „გლახაკნი გულმხურვალები“-ს ტიპის შეთანხმება რიცხვში, სადაც საზღვრული ნ-იან მრავლობითშია დასმული, ხოლო მსაზღვრელი (ზედსართავი) — ებ სუფიქსიან მრავლობითში, ქართულის განვითარების „სრულებით გაველურებული პერიოდის“ (ე. ი. დაცემის ხანის) შემონატანია და არ შეიძლება რუსთაველთან გვხვდებოდეს[1]. მსჯელობა სწორია, მაგრამ არასწორ წინამძღვარს ეყრდნობა. საქმე ისაა, რომ „გულმხურვალები“ მრავლობითი რიცხვი კი არაა, არამედ მხოლობითი. — ებ სუფიქსი ამ

[1] ხელნაწერები დამოწმებულია ს. ყუბანეიშვილის რეგისტრის მიხედვით.

[1] Orientalistische Literaturzeitung 1958, № 1/2, გვ. 56.

სიტყვაში ე. წ. თემატური სუფიქსია, რომელიც ძველ და ახალ ქართულში მრავალ ზმნას აქვს (აკეთ-ებ-ს, წაილ-ებ-ს და ა. შ.). რუსთაველთან ეს სუფიქსი ისეთ ნაზმნარ სახელებშიც გვხვდება, სადაც ის მოსალოდნელი არ იყო. მაგალითად, იმავე №806 (ქიქინაძის მიხედვით) სტროფში და აკადემიური ტექსტის 803 სტროფში:

„მომცეს მკვიდრივე მამული მუნ ჩემი
ს ა ს უ რ ვ ა ლ ე ბ ი"
(806. ქიქინაძის რედაქციით)

„მაქვს საქონელი ურიცხვი ვერვისგან
ა ს ა წ ო ნ ე ბ ი" (803).
„შენ დაამდიდრე ყოველი ლატაკი, არას
მ ქ ო ნ ე ბ ი" (803).

რომ ეს მართლაც ასეა, ამას მოწმობს H-757 ხელნაწერი, სადაც უფრო მკაფიო და, ჩვენი აზრით, უფრო სწორი ტექსტი გვაქვს:

ღმერთსა მვედრებდეს მრავალი გლახაკი
გულმხურვალები (976).

ამ ორი სტროფის ლექსიკის შედარება დანარჩენი ტექსტის ლექსიკასთან ამ სტროფთა სასარგებლოდ მეტყველებს: თითქმის ყველა სიტყვა „ვეფხისტყაოსნის" ნაცნობი სიტყვაა: გლახაკი (1664, 158, 803 და სხვ.), გულმხურვალი (1195, 683), ცვალება (უკუმშველი ფუძით — 1125, 1320), ჯოჯოხეთი (764), მკვიდრი მამული (544), სასურვალი (1311, 158, 1356), დახსნა (910, 1210, 1286), დამხსნი ტირილსა (242), დამხსენ ჩემსა საწუთროსა (571), ზესთა ზენისა (პირი მისი უნათლეა სინათლესა ზესთა ზესა — 685. აგრეთვე 1132), ლხენა (დაამების აზრით: 955, 1612, 1642, 661 და სხვ.), ალმაფრენა (1197, 22, 20), კბენა („გველ-ნაკბენი" — 1261).

ჩვეულებრივია „ვეფხისტყაოსნის" ტექსტისთვის: ღმერთი, ვედრება, მრავალი, გული, ხორცი, სოფელი, სხვად („სხვა მხრივ" აზრით), ნურა, კვლა, ცეცხლი, ნუცა, წვა, იგი, ალი, მოცემა, მუნ, ჩემი, ბნელი, ნათელი, შემოსა, წამალი, ძეს, წყლული, ჰქონდეს, სოფელი, ფრთენი, ძალი.

„ვეფხისტყაოსნის" ტექსტში არაა: „დაუნჯება", „მღილი". ორივე ეს სიტყვა ძვ. ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურაში კარგად ცნობილი სიტყვებია. ...ორივე გვხვდება, მაგალითად ჯრუჭპარხალის სახარებაში, თავი მ. 6, 19. საეჭვოა მხოლოდ ორი გამოთქმა: ერთია—„ჰქონდეს შეძლება". მიუხედავად იმისა, რომ პირიელი ფორმები „შეძლება" ზმნისა ტექსტში ჩვეულებრივია. მეორეა „მღილთაგან კ ბ ე ნ ი ს" მეტაფორა ამქვეყნიურ უსიამოვნებათა აღსანიშნავად. მაგრამ გ ა მ ო ს ა რ ი ც ხ ი ამ გამოთქმათა რუსთველურობა მაინც არ არის.

3. ამგვარად, ენის თვალსაზრისით, მოყვანილი სტროფები გამართულია.

რას წარმოადგენს ეს სტროფები შინაარსობრივად?

გლახაკთა ლოცვა-ვედრება მათი კეთილისმყოფელის სულისათვის ქრისტიანობისთვის მეტად ჩვეულებრივი მოვლენაა (1 სტრიქონი). ჯოჯოხეთის (3 სტრიქონი) და სამოთხის ხსენება (4 სტრიქონი) პოემაში სხვაგანაც არის (133, 764). მეორე სტროფშიც არაფერია ისეთი, რაც საიქიოს ქრისტიანულ წარმოდგენებს ეწინააღმდეგებოდეს ან ქრისტიანული ტრადიციისგან გამოხატვის ფორმით მკვეთრად განსხვავდებოდეს. ახსნას მხოლოდ მეორე სტრიქონი მოითხოვს.

რას ნიშნავს „სხვად ნურას შევიცვალები"? რუსთაველის ენაზე ეს ნიშნავს — „სხვა მხრივ ნუ შევიცვლები", „ამის მეტად ნუ შევიცვლები" (შდრ. „სხვად არას მოუბარია" — ამის მეტად არაფრის მთქმელია. 92. „სხვად პატრონია, მართ ოდენ არა აქვს კეისარობა" — სხვა მხრივ პატრონია, ოღონდ კეისარი არაა). ამასვე ნიშნავს მეორე წაკითხვა: „ნუმცა რად შევიცვალები"; ერთი სიტყვით, ამ ფრაზის აზრი ისაა, რომ გლახაკებმა ღმერთს უნდა სთხოვონ, ავთანდილი ხორცისაგან გაათავისუფლოს, მაგრამ ამის მეტად აღარ შეცვალოს. როგორაა ეს შესაძლებელი?

ქ რ ი ს ტ ი ა ნ უ ლ ი წარმოდგენით ასეთ თხოვნას არავითარი აზრი არა აქვს: თუ კი ადამიანი ხორცისაგან განთავისუფლდა, ე. ი. მოკვდა, ამის შემდეგ მას არავითარი ცვლილება აღარ მოელის, სამოთხეში იქნება იგი თუ ჯოჯოხეთში. მატერიალური სხეულის შენარჩუნებისა და განკითხვის დღეს მისი აღდგომის შესახებ ქრისტიანულ დოგმაში ბევრი დავა ყოფილა, მაგრამ სხეულისგან სრული ან ნაწილობრივი განთავისუფლების გარდა რომ საიქიოში არავითარი ცვლილება არაა მოსალოდნელი, ამაში არც ერთ ქრისტიან ავტორს ეჭვი არ შეჰპარვია. მაშასადამე, მოყვანილი ფრაზის ქრისტიანული ესქატოლოგიის საფუძველზე გააზრიანება არ ხერხდება. ახსნისთვის ანტიკური ხანის ფილოსოფიურ წარმოდგენებს უნდა მივმართოთ.

სულის უკვდავების რწმენა, რაც პრიმიტიულ ხალხურ რწმენებს ემყარებოდა, ადრიდანვე მონაწილეობდა ბერძნულ ფილოსოფიურ სისტემებში, მაგრამ პირველი, ვინც ამ რწმენას მკაფიო მეტაფიზიკური საფუძველი მოუპოვა და საიქიო ნაცვალგების ანუ ცოდვებისთვის იმქვეყნიური სასჯელის პრინციპი ფილოსოფიურად დაასაბუთა, იყო პლატონი. ამ მხრივ რუსთაველის მითითება, რომელიც პრინციპს: „სიცრუვე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" პლატონს მიაწერს, სავსებით ზუსტია. (საყურადღებოა, რომ რუსთაველი იმოწმებს პლატონს და არა ქრისტიანული ან მუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმანური რელიგიის ავტორიტეტს, სადაც საიქიო ნაცვალგება ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია). არისტოტელეს სწამდა სულის უკვდავება საერთოდ, მაგრამ არ სწამდა ინდივიდუალური სულის უკვდავება, ე. ი. ფიქრობდა, რომ სული მარადია, როგორც ზეინდივიდუალური გონიერი საწყისი, მაგრამ მასში ინდივიდის არავითარი ნიშანწყალი სიკვდილის შემდეგ არ რჩება.

ნეოპლატონური კონცეფცია ამ საკითხში უფრო სრულია და უფრო კონკრეტული. პლოტინის აზრით ადამიანის სულს აქვს სამი ნაწილი, უკეთ, სამი ფაზა. ერთია მცენარეული სული, ანუ, მარტივად, სიცოცხლის პრინციპი. ეს სიცოცხლის პრინციპი ჩვენი სიკვდილის შემდეგ არ ისპობა, არამედ ქმნის რაღაც ახალ საგანს ამ ხილულ ქვეყანაში (თუნდაც უსულოს, ქვას ან ხეს). მეორე ფაზაა „სული, სხეულის მომხმარე", სულისა და სხეულის ცოცხალი კავშირი, რომელიც გრძნობათა, სურვილთა, ლოგიკური აზროვნების და სხვა ადამიანური ფუნქციების სუბიექტია, ე. ი. ისაა, რასაც ჩვენ პიროვნებას ვეძახით. ხორცის კვდომისას, ცხადია, ეს კავშირი იშლება და მისგან არაფერი რჩება. მესამეა წმინდა, უხორცო სული ანუ ინტუიტური სული, რომელიც ჩვენშია, მაგრამ ღმერთის, კერძოდ, ნეოპლატონიზმის სამწევროვანი ღვთაების მეორე ნაწილის — გონების ნაწილია. იგი უკვდავია და ჩვენი სიკვდილის შემდეგ რჩება იდეათა სამყაროს მარად ნეტარ ჭვრეტაში, მეხსიერებისაგან განთავისუფლებული, ისე რომ არ ახსოვს არც წარსული ქვეყნიური არსებობა, არც თავისი თავი, არც აწმყო და გაერთიანებულია იდეათა სამყაროსთან. ცხადია, პიროვნების უკვდავებაზე იმ აზრით, როგორც ეს დღეს ჩვენ გვესმის და იმ აზრით, რომლითაც ეს ქრისტიანულ რელიგიას ესმოდა, აქ ლაპარაკი არ შეიძლება. ეს გულგრილობა პიროვნების სუბიექტური ინტერესებისა და სწრაფვებისადმი, ეს უპიროვნობა სულის, აზროვნების, ლოგიკის, ღვთაების და, საზოგადოდ ყველა ცნების გაგებაში, რომელიც კი ბერძნების და მათი ფილოსოფიის პირვანდელ ნატურალიზმს უპირისპირდება, ბერძნული ფილოსოფიის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანია და ერთ-ერთი მთავარი სისუსტე, რომელმაც ქრისტიანობას მასზე გამარჯვება გაუადვილა.

ამგვარად, „სხვად ნურას შევიცვალები" ფრაზის გააზრება შესაძლებელი ყოფილა და ამ შესაძლებლობას ანტიკური ფილოსოფიის წარმოდგენები გვაძლევს: რუსთაველი ქრისტიანია და ქრისტიანული ესქატოლოგია სამოთხის, ჯოჯოხეთის და საიქიო ნაცვალგების სახით ფართოდ მონაწილეობს პოეტის მსოფლმხედველობაში; მაგრამ, ეტყობა, პიროვნებისთვის ისეთ ამაღელვებელ საკითხში, როგორიცაა ჩვენი ბედი მიღმა სამყაროში, რუსთაველი ქრისტიანულ დოგმას ვერ ენდობა და ფილოსოფიის მსჯავრსაც უსმენს. ფილოსოფია კი ეუბნება, რომ სული უკვდავია, მაგრამ პიროვნება, ე. ი. მისი განცდები, გრძნობები, მისი მე მოკვდავია და გასაქრობად განწირული. ამავე დროს [illegible] მსოფლშეგრძნებით რუსთაველი ანტიკურ ხანას არ ეკუთვნის. იგი ახალი, რენესანსის დროის ადამიანია. მე მისთვის სამყარო[illegible] დგას და მის გაქრობაზე ის არა[illegible]ვაში ყაბულს არ არის. პიროვნების უკვდავება რუსთაველისთვის ნდომის საგანიცაა და ეჭვის საგანიც, და ამიტომაა, რომ საიქიოში პიროვნულ გამოვლინებათა შენარჩუნების რწმენა არასოდეს კატეგორიული სახით არაა გამოთქმული პოემაში, არამედ ყოველთვის იმედით, ლოცვით და ნატვრით; ასეთია: „მუნ ერთმანერთი კვლავ ვნახნეთ, კვლა რასმე გავიხარენით" (883); ასეთია ნესტანის იმედი და ლოცვა, რომ ტარიელი „მუნ ნახოს" და „მადვე (მზედ?) სახოს" (1305); ასეთია ბოლოს, ავთანდილის სურვილი, რომ, ხორცისაგან განთავისუფლებული, აღარ შეიცვალოს, ე. ი. თავისი პიროვნება შეინარჩუნოს.

4. რაღას ნიშნავს „დამხსნას ხორცსა და სოფელსა"? ქრისტიანული გაგებით ეს სიკვდილის თხოვნაა. მაგრამ რამდენიმე სტროფით ადრე ნათქვამია, რომ გლახაკებს საჭურჭლე დაურიგონ და ალოცონ იმ შემთხვევაში, თუ ავთანდილი დაიღუპა. მაშასადამე, სიკვდილის ვედრება უკვე საჭირო აღარაა და ძალზე საეჭვოა, რომ ინტერპოლატორს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ასეთი ელემენტარული ლაფსუსი დაეშვა. პლატონს და ნეოპლატონიკოსებს სწამდათ სულთა რეინკარნაცია, სწამდათ, რომ ცოდვილი სული, რომელიც თავის მეხსიერებას ჰკარგავს, სიკვდილის შემდეგ კიდევ ისხამს ხორცს სხვა არსების სახით და შემდგომს ცხოვრებაში წინათ ჩადენილი ცოდვისთვის ისჯება. თუ ამ ცხოვრებაში კაცი მოგიკლავს, შემდეგში შენ მოგკლავენ, თუ ამ ცხოვრებაში ქალზე ძალა იხმარე, მეორეში ქალი იქნები და შენზე ძალას იხმარენ, და ა. შ.; ასე გრძელდება მანამდე, სანამ სული არ განთავისუფლდება უკანასკნელი ცოდვისაგან. მხოლოდ ამის შემდეგ თავისუფლდება ხორცისაგან და, მსოფლიო სულთან შეერთებული, მეხსიერებისაგან განძარცული, განაგრძობს არსებობას იდეათა მარად ჭვრეტაში. ანტიკური ფილოსოფიისთვის სწორედ ესაა „ცხონების" ტოლფასი და თუ ცხონება ღვთის წყალობაზე იქნებოდა დამოკიდებული, წყალობა ამ რეინკარნაციების შეწყვეტაში, ანუ ხორცისაგან განთავისუფლებაში გამოიხატებოდა. ამგვარად, თავისი აზრი ენიჭება ფრაზასაც „დამხსნას ხორცსა და სოფელსა".

ანტიკური ფილოსოფიის ამ წარმოდგენის გამოყენებაც რუსთაველის მიერ რომ ისტორიულად შეუძლებელი არაა, ამის საბუთიც არსებობს, სახელდობრ, ეს არის რუსთაველამდე ერთი სა-

ბიბლიოთეკა

უკუნით ადრე იოანე იტალისადმი ბიზანტიაში წაყენებული ბრალდება, რომელიც მას მეტაფსიქოზის (სულთა გადასახლების) რწმენას მიაწერს. თუ ეს ბრალდება უსამართლოა (მ. გოგიბერიძის სიტყვით, იტალის ნაწერები ამ ბრალდების საფუძველს არ იძლევა [1]), ეს კიდევ უფრო მყარი საბუთია ჩვენი დებულების სასარგებლოდ, ვიდრე ამ ბრალდების სამართლიანობა: ჩანს, ანტიკური ესქატოლოგიისთვის დამახასიათებელი ეს რწმენა ბიზანტიის გონებრივი ცხოვრების ატმოსფეროში გავრცელებული ყოფილა, თუ კი მას ყალბი ბრალდების შესათხზველად იყენებდნენ.

5. ეს ყველაფერი მხოლოდ ხსნის მოყვანილი სტროფის შინაარსს პოემის კონტექსტში. მაგრამ სადაა საბუთი, რომ განსახილველი სტროფი მართლაც რუსთაველს ეკუთვნის? საბუთი ისაა, რომ, როგორც ვთქვით, თუ არ ანტიკური ფილოსოფიის წარმოდგენებით, ამ სტროფების შინაარსი სხვა მხრივ ვერ აიხსნება. ანტიკურ წარმოდგენებს კი გამოიყენებდა მხოლოდ ის ინტერპოლატორი, რომელიც თვითონ რუსთაველის ეპოქაში ცხოვრობდა. მონღოლებმა დიდი ხნით მოუღეს ბოლო საქართველოში ყოველგვარ კულტურულ კერას. ფილოსოფია კი ისე მოსპეს, რომ ანტონ კათალიკოსამდე აღარც აღორძინებულა. ასეთ პირობებში ფილოსოფიური მოტივების შემცველი ინტერპოლაციის დაშვება პოემაში ყოვლად უნიადაგოა.

6. მომდევნო სტროფი („დამხსნას ბნელსა...") კარგად თავსდება საიქიო ცხოვრებაზე ქრისტიანული წარმოდგენის ჩარჩოებში, თუმცა წინა სტროფში მოცემულ ანტიკური ესქატოლოგიის წარმოდგენებსაც არ ეწინააღმდეგება. მხოლოდ ერთადერთი გამოთქმა — „დამხსნას ბ ნ ე ლ ს ა" — შეიძლება ორგვარად გავიგოთ:

ა) როგორც „ბნელისა" და „ნათლის" ქრისტიანული დაპირისპირება;

ბ) როგორც ნეოპლატონური მეტაფორის შემცველი, სადაც „ბნელი" მატერიას ეწოდება.

ამ სტროფის ნამდვილობის მტკიცება მხოლოდ იმ საბუთით შეიძლება, რომ ხელნაწერებში იგი ყოველთვის ახლავს წინამავალ, უდავოდ ნამდვილ სტროფს.

7. ხსენებული ორი სტროფის [illegible] პოემაში კომპოზიციური [illegible] „ავთანდილის ანდერძში" ლაპარაკია მეგობრობის გრძნობაზე, ეთიკური ქცევის აუცილებლობის ფილოსოფიურ საფუძველზე, ბედისწერაზე, ბოლოს სიკვდილზე და მისდამი ადამიანის დამოკიდებულებაზე. თუ განსახილველ სტროფებს ყალბად მივიჩნევთ, მაშინ ამ მსჯელობას მოსდევს 2 სტროფი (803 და 804), რომლებიც მხოლოდ სტანდარტულ, უკანასკნელ (სიკვდილის) თემასთან სრულებით დაუკავშირებელ ქველმოქმედებას ეხება. თუ განსახილველ სტროფებს ტექსტში ჩავრიცხავთ, მაშინ 803 სტროფი ბუნებრივი გადასვლაა ახალ თემაზე (საუკუნო ცხოვრების თემაზე), რომელიც სიკვდილის თემასთან ბუნებრივადაა დაკავშირებული. 804 სტროფი, რომლის წინაც განსახილველი სტროფებია, ამ უკანასკნელ თემასთან დაკავშირებული ღონისძიების — გლახაკთათვის საჭურჭლის დარიგების დამაკონკრეტებელ ინსტრუქციებს შეიცავს.

ამგვარად, განხილული სტროფების კანონიერება ტექსტში საეჭვოდ არ გვეჩვენება. აქ მოცემულ სულთა რეინკარნაციის მოტივს პოემაში დიდი მნიშვნელობა არ უნდა მივანიჭოთ. იგი მხოლოდ პოეტის ფართო განათლების ერთ-ერთი გამოვლინებაა, — პოეტი იცნობს დროის წარმოდგენებს, ხშირად წინააღმდეგობრივს, და სამყაროს თავისებურად სრული სურათის შექმნას ცდილობს. მაგრამ სამაგიეროდ მ ე-ს უწყვეტობის სურვილი თუ რწმენა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, პოეტის მსოფლშეგრძნებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა. თუ ქრისტიანობას რუსთაველი თავისი ამქვეყნიურობით და ხორციელობით უპირისპირდება, ანტიკურ აზროვნებისაგან მას პირველ რიგში ახალი დროისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალიზმი, პიროვნებისა და მ ე-ს ღირებულების რწმენა ასხვავებს. პიროვნული უკვდავების სურვილი ამის ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა.

[1] ი. პეტრიწი, შრომები, ტ. 1, წინასიტყვაობა, გვ. XXXVIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ბრეგვაძე

# საინტერესო მონოგრაფია

ისტორიული პროცესის კანონზომიერებათა სწორად წარმოდგენისა და სოციალისტური საზოგადოების შემდგომი განვითარების გზების განსაზღვრისათვის ჩვენი ცხოვრების დღევანდელ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა მუშათა კლასის ისტორიის შესწავლას.

ჯერ კიდევ 1931 წელს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი პროლეტარული მწერლის მაქსიმ გორკის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება, დაწერილიყო ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის გმირული ბრძოლის ისტორია. ბუნებრივია, რომ ამ საკითხებით პარტიის დაინტერესება არ იყო შემთხვევითი. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდში საბჭოთა ქვეყნის მუშათა კლასმა სწრაფად იწყო ზრდა, შეიცვალა მისი შემადგენლობა, ამაღლდა მისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის დონე. პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები აღნიშნავდნენ, რომ მუშათა კლასის ოდენობის ზრდასთან და მათი მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებასთან ერთად მიმდინარეობდა სოციალისტური მუშათა კლასის ფორმირებისა და მუშათა ფსიქოლოგიის გარდაქმნის პროცესი.

საბჭოთა მუშათა კლასის განვითარება და მისი წამყვანი როლი ჩვენი საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნაში გარკვეულ გამოხატულებას უნდა ჰპოვებდეს საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ეკონომიკურ ლიტერატურაში. ეს ძირითადი მოტივები უკარნახებდა პარტიას, შექმნილიყო სოციალისტური მშენებლობის ამსახველი შრომების სერია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა სერიოზულ ჩამორჩენას, განსაკუთრებით კი ნაციონალური რესპუბლიკების და მათ შორის საქართველოს სსრ მუშათა კლასის განვითარების მეცნიერულად დამუშავების საკითხში.

უკანასკნელ წლებში საქართველოს მუშათა კლასზე დაიწერა მნიშვნელოვანი შრომები, მათ შორის საყურადღებოა ა. ლ. გუნიას ნაშრომი, რომელიც გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ათი თავისაგან, დართული აქვს დასკვნა, ლიტერატურისა და წყაროების სია, სახელთა და გეოგრაფიულ სახელწოდებათა საძიებლები.

შესავალში ავტორი ეხება კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშახელის აღწარმოების ძირითად საკითხებს და მის თავისებურებებს. აქვე გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მუშახელის აღწარმოებას რევოლუციამდელ საქართველოში და მისი განვითარების გზებს. ყველა ეს საკითხი დამუშავებულია მუშახელის აღწარმოების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ძირითადი დებულებების მიხედვით და ემყარება მის სწორ მეთოდოლოგიურ პოზიციებს.

პირველ განყოფილებაში „მუშახელის სოციალისტური აღწარმოება საქართველოს მრეწველობაში კომუნიზმის პირველი ფაზის მშენებლობის პერიოდში" ავტორი აშუქებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გარდამავალ პერიოდში მწარმოებლური ძალების განვითარების გზებს. იქვე ნაჩვენებია გზები, რომლებიც დასახული იქნა მუშახელის სოციალისტური აღწარმოების უზრუნველსაყოფად. მათ შორის აღსანიშნავია: შრომითი რესურსების გამოყენება, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი კულტურულ-ტექნიკური დონისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდა და სხვა.

მენშევიკების მმართველობის პერიოდში საქართველოს სახალხო მეურნეობა ეკონომიურ კატასტროფამდე მივიდა. მენშევიკები თავიანთ პარტიას „მუშურს" უწოდებდნენ, მაგრამ სინამდვილეში იგი ეყრდნობოდა ეროვნულ ბურჟუაზიას. მუშათა სასარგებლოდ მათ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ. მშრომელთა ცხოვრების დონე სისტემატურად ეცემოდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, კვალიფიციური მუშები მასიურად სტოვებდნენ საწარმოებს. მუ-

А. Л. Гуния, „Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР, Тбилиси, 1961 г.

შათა შრომის მწარმოებლურობა ძალზე დაბალი იყო.

ავტორი ციფრობრივი და სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე თანმიმდევრულად არკვევს მუშახელის აღწარმოების საკითხებს საქართველოს მრავალწყობიანი ეკონომიკის ლიკვიდაციისა და სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის გამარჯვების პირობებში. ნაშრომში დამაჯერებლადაა ნაჩვენები ინდუსტრიალიზაციის საბჭოთა მეთოდის უპირატესობა და ამით განპირობებული მუშახელის აღწარმოების თავისებურებები. ამასთან დაკავშირებით ავტორი დიდ ადგილს უთმობს რესპუბლიკის მრეწველობის აღმავლობას დარგების მიხედვით; მოცემულია მატერიალური წარმოების სფეროში მუშახელის ჩაბმისა და მისი ზრდის პროცესები; მათი კონცენტრაცია რესპუბლიკის მსხვილ საწარმოებში, აგრეთვე მუშახელის გაადგილების საკითხი.

ნაშრომში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი მუშახელის მდგომარეობას სოციალური და ნაციონალური ფორმების მიხედვით. ცალკე თავში განხილულია მუშახელით მრეწველობის შევსების სოციალისტური წყაროები, ფორმები და მეთოდები. დახასიათებულია დროებითი უმუშევრობის მიზეზები და თავისებურებანი, აგრეთვე მისი ლიკვიდაციის საშუალებანი, მითითებულია, რომ მუშახელის ორგანიზებულად შევსების წყაროებმა, საირიგაციო მშენებლობამ და ტექნიკური კულტურების განვითარებამ ხელი შეუწყვეს მუშახელის დასაქმების ზრდას.

ნაშრომი გვაცნობს საბჭოთა მუშათა კლასის რევოლუციურ-შემოქმედებითი თაოსნობის ისტორიას. პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში მუშათა კლასი წარმოადგენს არა მარტო საზოგადოების მთავარ მწარმოებლურ ძალას, არამედ ახორციელებს სახელმწიფოს მმართველობას და მიყავს საზოგადოება კომუნიზმის მშენებლობის გზით. ავტორი ამ საკითხების დამუშავებისას მრავალ საინტერესო ფაქტობრივ მასალას ეყრდნობა. მისი მეცნიერული ანალიზი შესაძლებელს ხდის თვალი გავადევნოთ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა კლასის შრომით-შემოქმედებითი თაოსნობის განვითარებას, დაწყებული პირველი კომუნისტური შაბათობიდან წარმოების ნოვატორებისა და რაციონალიზატორების, სოციალისტური შეჯიბრებებისა და დამკვრელობის მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებამდე.

ცალკე თავებში განხილულია მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის, ინჟინერ-ტექნიკოსთა ეროვნული კადრების მომზადების, ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის დაპირისპირებულობის მოსპობის გზები. მოცემულია აგრეთვე მუშების შრომის მწარმოებლურობისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდის ანალიზი. მაგრამ სამამულო ომის დაწყებამ სერიოზული კორექტივი შეიტანა როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს ეკონომიკაში და მასთან ერთად მუშახელის აღწარმოებაში (იხ. გვ. 392).

ნაშრომის მეორე განყოფილება მოცულობით პირველზე ნაკლებია. იგი ეხება მუშახელის აღწარმოების თავისებურებებს საქართველოს მრეწველობაში. ავტორი საფუძვლიანად განიხილავს სამამულო ომის პერიოდის ეკონომიკას და ცვლილებებს მუშახელის სტრუქტურაში, ხაზგასმულია, რომ აღწარმოების თავისებურებების პროცესი მრეწველობაში ძირითადად იმით ხასიათდებოდა, რომ ვითარდებოდა მრეწველობის ის დარგები, რომლებიც ფრონტის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა, რამაც რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები შეიტანა მუშახელის ბალანსში. ნაჩვენებია მუშახელის რიგების შევსების მთავარი წყაროები და განსაზღვრულია მათი რაოდენობა სქესის, ასაკის, პროფესიისა და შრომითი სტაჟის მიხედვით. შემდეგ ავტორი იძლევა საინტერესო მასალას სამამულო ომის პერიოდში მუშახელის ახალი ხარისხობრივი თვისების შექმნაზე, მასიური შრომითი ენთუზიაზმის უმაგალითო ამაღლებაზე, რომელმაც განვითარება ომის შემდგომ ეკონომიკაში ჰპოვა. ამ პერიოდის მუშახელის აღწარმოების ანალიზი ერთგვარად აჯამებს მუშახელის სოციალისტური აღწარმოების მთელ პროცესს საბჭოთა საქართველოს მრეწველობაში სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე. საერთო მონაცემებით განზოგადებულია მუშახელის აღწარმოების პროცესი საქართველოში. იქვე მოტანილია საინტერესო მონაცემები შრომითი რესურსების ბალანსის შესახებ რესპუბლიკაში. ცალკე თავებში განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა შრომის რესურსების განაწილება მატერიალური წარმოების სფეროში და არამწარმოებლურ სფეროში, მრეწველობის ადგილი შრომის რესურსების გამოყენებაში, მუშათა ახალი კადრების მომზადება და მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მუშახელის ბუნებრივი აღწარმოების ზოგიერთი საკითხი.

ნაშრომის უკანასკნელი მეათე თავი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს წარმოადგენს, იგი მიძღვნილია მუშახელის აღწარმოებისადმი საქართველოში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, აქ უწინარეს ყოვლისა ნაჩვენებია მუშახელის აღწარმოების თავისებურება, რაც დამახასიათებელი იქნება ეკონომიკური განვითარების ახალი პერიოდისათვის როგორც საქართველოში, ისე მთლიანად საბჭოთა კავშირში.

ნაშრომი მთლიანად და განუყრელად დაკავშირებულია სკკპ ისტორიასთან, ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური, კულტურული და სამეურნეო ცხოვრების განვითარების ყველა მნიშვნელოვან ეტაპთან.

ნაშრომში ვხვდებით ზოგიერთ ხარვეზსა და უზუსტობას, მაგალითად: 74 გვერდზე ნათქვამია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობა არ იყო დაინტერესებული საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებით, რომ იგი წარმოადგენდა რუსეთის განაპირა მხარეს და კოლონიას. მაგრამ სათანადოდ არაა გაშუქებული, თუ რა გზით და რა ფორმებში განვითარდა სამრეწველო კაპიტალიზმი საქართველოში.

ასევე არასრულყოფილადაა დახასიათებული მენშევიკური მთავრობის პოლიტიკით გამოწვეული საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკური კრახი.

სარეცენზიო შრომა საბჭოთა [illegible] მეცნიერების თვალსაჩინო შენაძენია.

სასურველია წიგნი ქართულ ენაზეც გამოიცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

ალექსანდრე ბრეგვაძე

## საინტერესო მონოგრაფია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი შაყულაშვილი

# მირზა ფათალი ახუნდოვი

მირზა ფათალი ახუნდოვის სახელთან თავს იყრის მე-19 საუკუნის აზერბაიჯანისა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის საზოგადოებრივი, ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების გზა და ბილიკი. მირზა ფათალი ახუნდოვისაგან იღებს სათავეს აზერბაიჯანული და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურის რეალისტური სკოლა, თანამედროვე დრამატურგია, ახალი პროზა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა...

მირზა ფათალი ახუნდოვი აზერბაიჯანული კულტურის სიამაყეა!

*

მ. ფ. ახუნდოვის მამა — მირზა მეჰმედ თაღი 1811 წელს სამხრეთ აზერბაიჯანიდან გადმოსახლებულა ქ. ნუხაში, სადაც ცოლად შეურთავს განთქმული ახუნდის, ჰაჯი ალესქერის ქალი, რომლისგანაც 1812 წელს შეეძინა ვაჟი — ფათალი. ჰაჯი ალესქერი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული კაცი ყოფილა. იგი ბევრს ზრუნავდა ნიჭიერი ბავშვის გონებრივ განვითარებაზე, ჯერ თვითონ ამეცადინებდა, განჯაში გადმოსახლების შემდეგ კი ქალაქის მოლა ჰუსეინს მიაბარა, რათა სასულიერო პირად მოემზადებინა, მაგრამ განჯაში ფათალი დაუახლოვდა მირზა შაფი ვაზეჰს, შემდგომში მთელს ევროპაში სახელგანთქმულ პოეტს. ვაზეჰთან სიახლოვემ ღვთისმოშიში და მორწმუნე ჭაბუკი შეურიგებელ ათეისტად აქცია.

ჰაჯი ალესქერი ბევრს ეცადა მირზა ფათალი ისევ ძველ გზაზე დაებრუნებინა, მაგრამ როცა ნახა, რომ ცდა ამაო იყო, კეთილგონიერება გამოიჩინა და ხელი შეუწყო ჭაბუკის მისწრაფებას — წამოსულიყო თბილისში სამოქალაქო სამსახურში შესასვლელად.

1834 წელს მირზა ფათალი ახუნდოვი კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიაში მოეწყო თარჯიმნად.

თბილისმა, რომელიც იმ დროს მთელი ამიერკავკასიის კულტურული და ეკონომიური ცენტრი იყო, დიდი გავლენა მოახდინა ახუნდოვის ინტელექტის ჩამოყალიბებაზე. რუსული ენის ცოდნამ გაუადვილა ახუნდოვს ევროპული კულტურის შესწავლა. იგი გაეცნო ევროპელ და რუს კლასიკოსთა თხზულებებს, მათს პოეზიას, პროზას, დრამატურგიას. იმ ხანად თბილისში ცხოვრობდნენ გადმოსახლებული დეკაბრისტები — ა. ოდოევსკი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი და სხვა-

ნი, რომელთაც ახალგაზრდა მირზა ფათალი დაუახლოვდა.

აღმოსავლური და რუსული ენების ცოდნის წყალობით ახუნდოვს ზედიზედ აწინაურებენ სამსახურში და 1858 წლიდან უკვე პოლიტიკური სამმართველოს მთავარი თარჯიმნის პოსტზეა პოლკოვნიკის ჩინით.

სამსახურის გარდა ახუნდოვი დიდ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწევა. 50-60 წლებში განსაკუთრებით გატაცებულია ფილოსოფიითა და ეკონომიური მეცნიერებით. სწავლობს ჰერცენის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ჯონ სტიუარტ მილის, მონტესკიეს, ბოკლის, ვოლტერის, დიდროს, ჰოლბახის, სპინოზას შრომებს, რომელთა საფუძველზე შეიქმნა მისი შესანიშნავი ფილოსოფიურ-პოლიტიკური თხზულება „ქემალ უდ-დოვლეს წერილები“ და მთელი რიგი პუბლიცისტურ-კრიტიკული შრომები.

ახუნდოვის თხზულებებმა აღმოსავლეთის საზოგადოებრივ აზროვნებაში დიდი აფორიაქება გამოიწვია. ახუნდოვმა თავისი დემოკრატიულ-რევოლუციური იდეებით აღმოსავლეთის დესპოტიზმსა და მუსლიმური რელიგიის ობმოკიდებულ სიმაგრეს გალავანი შეუნგრია და მისი ძველი კერპები დაამხო. მაგრამ ალეგორიულად ნათქვამ „აღმოსავლეთში“ მეფის მთავრობამ საკუთარი თავიც გამოიცნო და უნდობლობა გამოუცხადა პოლკოვნიკ ახუნდოვს, რომელიც გატაცებით ლაპარაკობდა რევოლუციაზე, რელიგიას ლეგენდად თვლიდა და თავისუფლებას უმღეროდა. 1876 წელს მ. ფ. ახუნდოვი შტატების „შემცირების“ საბაბით სამსახურიდან გაათავისუფლეს.

მ. ფ. ახუნდოვი გარდაიცვალა 1878 წელს.

*

მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან აზერბაიჯანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შეიმჩნევა გარკვეული გარდატეხა, როგორც სოციალ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ, ისე იდეოლოგიურ სფეროშიც. რუსეთის პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცებამ გამოიწვია რუსეთის ახლადფეხადგმული კაპიტალიზმისა და აზერბაიჯანის [illegible] დალური სამყაროს შეჯახებამ [illegible] თარებამ თან მოიტანა ახალი იდეები, ახალი კულტურა. სწორედ ამ პროგრესულის, ამ ახალი იდეების ყველაზე დიდი წარმომადგენელია აზერბაიჯანში მ. ფ. ახუნდოვი. იგი თავისი მხატვრული თუ პუბლიცისტური შემოქმედებით ქადაგებდა ახალი საზოგადოებრივი წყობის პროგრესულობას.

მ. ფ. ახუნდოვმა თავისი მოღვაწეობა მხატვრული ლიტერატურით დაიწყო. ამ პერიოდში აზერბაიჯანისა და ახლო აღმოსავლეთის მხატვრული სიტყვის ცაზე კვლავ „გოლესთანის“ დროის უსაგნურობა, პირობითობა და მისტიკური ჯანლი ჩამოწოლილიყო. ხოლო „თანამედროვეობის სული“, რომელსაც ასე მაღლა აყენებდა ახუნდოვი, ჯერ ისევ მიძინებული იყო — ეს მაშინ, როდესაც ევროპაში ლიტერატურასა და ხელოვნებას დაკისრებული ჰქონდა ცხოვრების წინამძღოლობა, როცა რეალიზმს თან მოჰქონდა თავისი მეთოდი — არსებული ცხოვრების ავ-კარგის ასახვის აუცილებლობა. მ. ფ. ახუნდოვმა კარგად იცოდა რეალიზმის ფასი. ლიტერატურული ჟანრებიდან მან უპირატესობა დრამატურგიას მიანიჭა, რადგან თეატრის სინთეტური ხასიათი მეტ ასპარეზს აძლევდა მწერალსა და დრამატურგს.

მ. ფ. ახუნდოვმა გიორგი ერისთავის მსგავსად დრამატურგია აირჩია შემოქმედებით სარბიელად და 1850-55 წლებში დაწერა ექვსი კომედია, რომლებშიც გადმოცემულია აზერბაიჯანის სოციალური რღვევის სურათი, ძველი, დრომოჭმული ზნე-ჩვეულებები, მისი განწირული, მაგრამ კვლავ წინააღმდეგობით აღსავსე გზა, ახლის გაუბედავი, მაგრამ იმედიანი ნაბიჯები. მ. ფ. ახუნდოვის გმირი იყო სიცილი. სიცილის ხელოვნებას უნდა ეჩვენები-

ნა ადამიანისთვის მისი ტრაგედიის სიღრმე.

„არაფერს არ შეუძლია აღმოფხვრას და გაანადგუროს ადამიანში მისი ნაკლი და სულელური ჩვეულებანი კრიტიკის გარდა, ირონიისა და სიცილის გარდა“ — წერდა დიდი კომედიოგრაფი.

მ. ფ. ახუნდოვის კომედიები — „ლენქორანის სახაროს ვეზირი“ და „ავაზაკზე გამარჯვებული დათვი“ პირველად დაიდგა რუსულ სცენაზე 1852-53 წლებში. კომედიები კი ავტორისვე თარგმანით იბეჭდებოდა გაზეთ „კავკაზში“. ცალკე წიგნად გამოვიდა 1853 წელს, ხოლო ცოტა მოგვიანებით სპარსულ, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზეც ითარგმნა.

განსაკუთრებით ძლიერია კომედია „ძუნწი“, რომელიც ერთერთი საუკეთესოა მთელს აზერბაიჯანულ კლასიკურ დრამატურგიაში თავისი ეპოქალური, კოლორიტული და რეალისტური ხასიათით.

თუმცა ახუნდოვმა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა ლექსების წერით დაიწყო (სულ აღმოჩენილია 25 ლექსი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია პოემა „პუშკინის სიკვდილზე“), მაგრამ პოეზიაში ცოტას მუშაობდა, რადგან მწერლის მხატვრული კონცეფციის მიხედვით ლიტერატურა აქტიურ როლს უნდა ასრულებდეს საზოგადოებრივი გარდაქმნის საქმეში, ხოლო ამ მხრივ, მწერლის აზრით, მეტის გაკეთება შეუძლია დრამასა და პროზას. ახუნდოვის მხატვრული პროზის შედევრად ითვლება მოთხრობა „გაცრუებული ვარსკვლავები“, რომლითაც მწერალი წარმოგვიდგა, როგორც დიდი მხატვარი-რეალისტი და მოწინავე იდეების მატარებელი მოაზროვნე. ეს არის სატირული თხზულება, მიმართული დესპოტიზმისა და რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. მხატვრული სრულყოფითა და სტილით „გაცრუებული ვარსკვლავები“ იყო ის ჯანსაღი ძირი, რომელზედაც დამყნობილია შემდეგი დროის აზერბაიჯანული რეალისტური პროზა.

მირზა ფათალი ახუნდოვის მრავალმხრივი საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან ცალკე უნდა აღინიშნოს მისი დაუცხრომელი ბრძოლა მთელს აღმოსავლეთში ახალი ანბანის შემოღებისათვის. მ. ფ. ახუნდოვი პირველთაგანი იყო, რომელმაც დაინახა ძველი არაბული დამწერლობის ახლით — ლათინურით შეცვლის საჭიროება და ამ მეტად სარისკო და უდიდესი წინააღმდეგობით სავსე გზაზე თითქმის მარტომ გადადგა ნაბიჯი. საქმე ის იყო, რომ არაბული ანბანის ხელყოფა ყურანის, ისლამის ხელყოფას უდრიდა. ეს იყო ის გაუვალი ბარიერი, რომელზედაც შემდგომშიც მრავალი პროგრესულად მოაზროვნის იდეა და ენერგია დაიმსხვრა.

„ნათელია, რომ ძველი ისლამური ანბანი წარმოადგენს ბარიერს ხალხსა და მეცნიერებას შორის და იგი ამუხრუჭებს პროგრესს... და ვიდრე ეს ანბანი არსებობს, ისლამის ხალხი ვერასოდეს დააღწევს თავს სიბნელეს“ — წერდა ახუნდოვი ერთ თავის თანამოაზრეს, სპარსეთის საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს, მალქუმ ხანს. ამ საკითხზე მ. ფ. ახუნდოვი 1863 წელს სტამბოლშიც კი გაემგზავრა და თურქეთის სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინა თავისი პროექტი. დიდი განმანათლებელი საოცარი გაუტეხელობითა და ენერგიით იბრძოდა თავისი იდეის განხორციელებისათვის. არ დარჩენია არცერთი თავისი დროის საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწე, რომელთათვისაც არ გაეცნოს თავისი აზრი და არ ეთხოვოს მხარდაჭერა. ამ საკითხზე ზრუნვის დროსაც დიდი დემოკრატი თავს ესხმის ისლამის რელიგიასა და დესპოტურ მმართველობას, რომელსაც არ ძალუძს გაიგოს პროგრესული ძალა ახალი ანბანისა, რასაც ხალხი განათლების გზაზე უნდა დაეყენებინა.

მხატვრული კრიტიკის ფუძემდებლადაც აზერბაიჯანში სამართლიანად ითვლება მ. ფ. ახუნდოვი. მან დატოვა ლიტერატურული კრიტიკის ბრწყინ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალე ნიმუშები: „პოეზიისა და პროზის შესახებ“, „კრიტიკული შენიშვნები“, „გაზეთ „მილეთის“ რედაქტორს“, „მირზა აღას პიესების კრიტიკა“ და სხვა. მ. ფ. ახუნდოვის შეხედულებანი ლიტერატურული კრიტიკის შესახებ მოკლედ ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: კრიტიკამ უნდა ითამაშოს დიდი როლი რეალისტური ხელოვნების განვითარებისათვის. კრიტიკის დახმარებით მხატვრული ლიტერატურა მხარდამხარ უნდა მიჰყვებოდეს ცხოვრებას. ეს იყო მ. ფ. ახუნდოვის მატერიალისტური ესთეტიკა. თავის წერილებში მ. ფ. ახუნდოვი მკაცრად აკრიტიკებს თავისი დროის ლიტერატურას იმის გამო, რომ იგი მოწყვეტილია რეალურ ცხოვრებას, რომ ფორმა და შინაარსი დაშორებულია ერთმანეთს. ამ მხრივ მ. ფ. ახუნდოვი დიდი ნიზამის, ფუზულის, მირზა შაფი ვაზეჰის ღირსეული მემკვიდრეა. მეორე მხრივ ახუნდოვის ესთეტიკურ შეხედულებათა ფორმირებაზე დიდი გავლენა მოახდინა მე-19 საუკუნის რევოლუციურ-დემოკრატიულმა აზროვნებამ.

მ. ფ. ახუნდოვი იყო მოაზროვნე მატერიალისტი, რევოლუციონერი-დემოკრატი. მისმა ფილოსოფიურმა ტრაქტატმა—„ინდოეთის პრინცის ქემალ უდ-დოვლეს სამი წერილი სპარსეთის პრინც ჯელალ უდ-დოვლესადმი და მისი პასუხი“ ახალი ბრწყინვალე ფურცელი ჩასწერა აზერბაიჯანის სოციალ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-ეკონომიური აზროვნების ისტორიაში. მან მკაცრი მეცნიერული და ფილოსოფიური ლოგიკით ქვა ქვაზე არ დატოვა აღმოსავლეთის დესპოტიზმისა და რელიგიის ხავსიანი შეგნობიდან.

ასეთი დაუნდობელი და მკაცრი კრიტიკა სახელმწიფო დესპოტიზმისა და რელიგიისა აღმოსავლეთს არ ახსოვს...

„არსად არავითარი კანონი, არავითარი წესრიგი, არავითარი განსაზღვრული უფლება ადამიანისა... არ არსებობს თვით კანონების წიგნიც კი“!...

„ქემალ უდ-დოვლეს წერილები“ საკმაოდ დიდტანიანი ნაშრომია, რომელიც ფილოსოფოსის სიცოცხლეში მხოლოდ ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა. გარდა აღნიშნული წერილებისა, მ. ფ. ახუნდოვს აქვს სხვა ფილოსოფიური შრომებიც. მაგალითად, „ფილოსოფოს იუმის პასუხად“, „ჯონ სტიუარტ მილი თავისუფლების შესახებ“ და სხვა.

მირზა ფათალი ახუნდოვი მე-19 საუკუნის აზერბაიჯანის საზოგადოებრივი, ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ისტორიაში შევიდა, როგორც დიდი განმანათლებელი.

მ. ფ. ახუნდოვი აზრისა და გულის სიდიადით სამშობლოს საზღვრებში ვერ ჩაეტია. დღეს იგი მსოფლიო მოქალაქე და კულტურული კაცობრიობის რჩეულთა წევრია.

---

გიორგი შაყულაშვილი
მირზა ფათალი ახუნდოვი

ბიბლიოთეკა

# ხელოვნება

## კინემატოგრაფისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობის წინ

აკაკი ბაქრაძე

### თანამედროვე კინოხელოვნებისათვის

1962 წლის ბოლოს მოსკოვში შედგება კინემატოგრაფისტთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. ამ ამბავთან დაკავშირებით რუსულ პრესაში ცხარე მსჯელობა-კამათია გაჩაღებული. ანალიზდება განვლილი გზა, ისახება მომავლის გეგმები. გამოთქვამენ ბევრ სამართლიან და ბევრ უსამართლო შენიშვნასაყვედურს. მაგრამ ერთი კი ცხადია: რუსი კინემატოგრაფისტები დიდ ინტერესს იჩენენ კინოხელოვნებისადმი და გულმოდგინედ ეძებენ გამარჯვების გზებსა და დამარცხების მიზეზებს. ამ ყრილობაზე ქართულმა კინოხელოვნებამაც უნდა თქვას თავისი სიტყვა. მაგრამ რატომღაც ჯერჯერობით ქართული პრესა სდუმს, თითქოს უკანასკნელ წლებში ჩვენს კინოხელოვნებაში არაფერი გაკეთებულიყოს, თითქოს 1954 წლიდან დღემდე გადაღებული 39 ფილმი აწონდაწონასა და შეფასებას არ საჭიროებდეს. დაკვირვებული შეფასება-ანალიზის შედეგად შეიძლებოდა გვეპოვნა როგორც განვითარების ზოგადი ხაზი, ისე კონკრეტული ხასიათის ხარვეზები, რომელნიც საერთოდ დამახასიათებელია ქართული კინემატოგრაფიისათვის.

ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ე. წ. „ცოტაფილმიანობის ეპოქაში“ საბჭოური კინოხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო პომპეზური, ცრუპათეთიკური, „მასშტაბური“ ფილმები, რომლებშიც ადამიანი ისტორიის პაწია რგოლად იყო ჩათვლილი. ამ რგოლს არც ხასიათი ჰქონდა, არც აზრი, არც ბედი, არც მიზან-სურვილები. იგი გარედან მოქროლილ ძალას ემორჩილებოდა და ისტორიის ჩარხის აბსტრაქტულ ტრიალს მონურად მიჰყვებოდა. თუ საბჭოურ კინემატოგრაფიას შემადგენელ ნაწილებად დავყოფთ, ვნახავთ, რომ ზემოთხსენებული ფილმები უმთავრესად რუსული კინოხელოვნებისათვის იყო დამახასიათებელი. არც „აკაკის აკვანი“ არც „გაზაფხული საკენში“, არც „მწვერვალთა დამპყრობნი“ და არც „ჭირვეული მეზობლები“ არ ეკუთვნოდა „მასშტაბური კინემატოგრაფიის“ მაშინდელ მაგისტრალურ ხაზს. ამ ფილმებს თავისი უბედურება — უკონფლიქტობის ავადმყოფობა — სჭირდა. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ქართული კინოხელოვნება თავად არ ქმნიდა „მასშტაბურ კინემატოგრაფიას“, მის გავლენას მაინც მძიმედ განიცდიდა. და როცა „მასშტაბურობის თეორიის“ დაძლევის აუცილებლობა დადგა. მისი გადალახვა ისევე აუცილებელი შეიქმნა ჩვენში, როგორც „მოსფილმში“, სადაც ამ თეორიის კერა იყო.

40-იანმა წლებმა კინემატოგრაფისტები ადამიანის შინაგანი სამყაროს ანალიზს, მისი ხასიათის გახსნა-ჩვენებას გადააჩვია. ადამიანის სულიერ-ემოციური სამყარო საერთოდ გამოირიცხა და იგი (ადამიანი) დეკორაციის დამატებას დაემსგავსა. ამიტომაც 50-იანი წლების კინოხელოვნების უპირველესი ამოცანა ეკრანისათვის ადამიანის დაბრუნება იყო. პირველი ფილმი, რომელმაც ეკრანზე ადამიანის დაბრუნების სიხარული განგვაცდევინა, „მაგდანას ლურჯა“ იყო. აქვე უნდა ითქვას, რომ ქართულმა კლასიკურმა ლიტერატურამ დღემდე უკვე სამჯერ შეასრულა საეტაპო როლი ჩვენი კინოხელოვნების განვითარების საქმეში. პირველად 1916 წელს, როცა ალ. წუწუნავამ ეგ. ნინოშვილის „ქრისტინეს“ ეკრანიზაცია დაიწყო და ქართული მხატვრული კინემატოგრაფია დაიბადა, მეორედ — 1928 წელს, როცა ალ. ყაზბეგის „ელისოს“ ეკრანიზაციით ჩვენი კინოხელოვნების ეროვნული ხასიათისა და სახის ჩამოყალიბებას ჩაეყარა საფუძველი და მესამედაც — 1955 წელს, როცა ეკ. გაბაშვილის „მაგდანას ლურჯათი“ ქართული საბჭოური კინემატოგრაფიის განვითარების ახალი პერიოდი დაიწყო. ასეთი მჭიდრო და სასიცოცხლო ურთიერთობა ლიტერატურისა და კინოხელოვნებისა ჩვენი კინოს დამახასიათებელი თვისება-თავისებურებაა და ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. მაგრამ ეს სხვათაშორის. მივუბრუნდეთ ისევ 50-იან წლებს. სწორედ 50-იან წლებში დაიწყო ფილმების არამარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი ზრდაც. „მაგდანას ლურჯა“, „ჩრდილი გზაზე“, „ორი ოკეანის საიდუმლო“, „ჩვენი ეზო“, „სხვისი შვილები“, „საბუდარელი ჭაბუკი“, „ფატიმა“ და სხვანი მეტნაკლებად უსათუოდ ლაპარაკობენ ხარისხობრივი ზრდის ფაქტზე. მაგრამ, სამწუხაროდ, 40-იანი წლების კინოსათვის დამახასიათებელი ზერელობის სენი მემკვიდრეობით 50-იანი წლების კინემატოგრაფიასაც გადმოყვა. მისგან საბოლოო განკურნება ალბათ უახლოესი წლების ამოცანაა.

პირველი, რაც ჯერ კიდევ აკლია ქართულ კინოხელოვნებას, ესაა *დროისა და ადამიანის სულიერი სამყაროს ანალიზის სიღრმე და სიზუსტე*. როცა ამ ხასიათის შენიშვნას ვაკეთებ, სრულიად არ ვგულისხმობ ჩვენს სუსტ ფილმებს, რომლებშიც ადამიანის მოქმედება ყოველგვარ შინაგან ლოგიკასაა მოკლებული. პირიქით, მხედველობაში მაქვს შედარებით უკეთესი კინოსურათები, რომელთაც განსაზღვრეს ამ უკანასკნელი წლების ქართული კინოს მხატვრული სახე.

აზრის საილუსტრაციოდ ავიღოთ ერთი ფაქტი: ნიჭიერმა ახალგაზრდა მხატვარმა მლებავად დაიწყო მუშაობა (ფილმის „ერთი ცის ქვეშ“ მესამე ნოველა „ფრესკა“). თავისთავად ასეთი ნაბიჯის გადადგმა რთულ წინაპირობებთანაა დაკავშირებული. მხოლოდ ფაქტის ლოგიკური ანალიზის შედეგად მივიღებთ რამდენიმე რთულ საკითხს, რომელსაც, ცხადია, მხატვრულ ნაწარმოებს მხატვრული დამაჯერებლობა და ბუნებრივობა სჭირდება. ჯერ ერთი, ალბათ მღებავობა დაიწყო იმიტომ, რომ მხატვრობამ არ გაუმართლა. მაინც რა შეიძლება იყოს ამ არ გამართლების მიზეზი? ობიექტური სინამდვილე თუ მხატვრის მძიმე ხასიათი? (ზოგჯერ ხელოვანი მეტისმეტად მომთხოვნია თავისთავის მიმართ და კარგიც ცუდად ეჩვენება). მეორეც, მღებავობა დაიწყო იმიტომ, რომ არსებობის სხვა წყარო არ ჰქონია (ე. ი. მხატვარი ღარიბია, მივუახლოვდით სოციალურ მოტივს). მესა-

მეც, საქმე გვაქვს ნებისყოფიან კაცთან ან განწირულის უკანასკნელ მცდელობასთან, რადგან თავისთავის უარყოფა შეიძლება შედეგი იყოს ან ძლიერი ნებისყოფისა, ან ყველაფრისადმი სულიერთია დამოკიდებულებისა, რაც თავისთავად სულიერ სიკვდილს უდრის. გამოდის, რომ ხელმოცარული კაცის მიერ გადადგმული, ერთი შეხედვით უბრალო ნაბიჯი საკითხთა რთულ კომპლექსს მოიცავს, რაც თავისთავად სათანადო მხატვრული სახის გამოძებნას საჭიროებს, რათა დამაჯერებელი და ემოციური ფსიქოლოგიური სურათი შეიქმნას. გარდა ამისა, ადამიანის საქციელის გამომწვევ მიზეზთა კომპლექსი ზუსტად უნდა განისაზღვროს, რათა მაყურებელს მარჩიელობა არ დასჭირდეს მათ აღმოსაჩენად, რადგან სწორედ ამ მიზეზებშია გაცხადებული ეპოქის სული.

დედამიწაზე სიცოცხლის გაჩენის დღიდან დღემდე ყოველი ადამიანის თვისებაა სიხარული და მწუხარება, სიყვარული და სიძულვილი, აღტაცება და აღშფოთება. მიდიოდა და მიდის დრო... და იცვლება არა ადამიანის გრძნობადი სამყაროს ეს თვისებები, არამედ მათი გამომწვევი მიზეზები. ამიტომაა მიზეზებში არეკლილი ეპოქის სახე. როცა მაყურებელს კონკრეტულად ეცოდინება, თუ რა ძალამ აიძულა „ფრესკის“ გმირი მხატვარი ხელი აეღო მხატვრობაზე და მღებავობა დაეწყო, გასაგები გახდება, რა დროის შემოქმედთან აქვს მაყურებელს საქმე (ამასთანაა, სხვათაშორის, დაკავშირებული დღევანდელობის ასახვაც). რამდენად რთულია ეპოქისა და მხატვრის ურთიერთობა, რამდენად ძლიერია კონფლიქტი, რომელშიც მხატვარია ჩაბმული. როცა ეს საკითხები ნათლად იქნება წარმოდგენილი, ხელოვანს საშუალება ეძლევა სრულყოფილად გახსნას დროის ხასიათი და გმირის სულიერი სამყარო, დაწვრილებით გააანალიზოს ადამიანის მოქმედება-საქციელი, არ დაუმორჩილოს იგი გარეგან და ზერელე, ნაკლებსარწმუნო მოტივებს.

ქართულ ფილმებში უფრო ხშირად ფაქტის კონსტატაციით ვკმაყოფილდებით, ვიდრე ფაქტის მხატვრული ანალიზით. განზოგადება კი მხოლოდ ანალიზის შედეგად შეიძლება [illegible] ამიტომაც ვერ შევქმ[illegible] კინემატოგრაფიული სახეები, რომელნიც თაობებს დაამახსოვრდებოდა და თან გაჰყვებოდა ცხოვრების გზაზე, როგორც ოთარაანთ ქვრივი ან ლუარსაბ თათქარიძე მიჰყვება ქართველ კაცს და ხან ატირებს და ხან აცინებს. სხვათაშორის, ანალიზის სიღრმე და განზოგადების უნარი ყოველთვის აკლდა ქართულ კინოხელოვნებას. ამის ნათელი ფაქტია გვადი ბიგვას (რომანი „გვადი ბიგვა“) და კოსტაიას (ფილმი „ნარინჯის ველი“) სახეები. როგორც ცნობილია, ლეო ქიაჩელმა ჯერ სცენარი „ნარინჯის ველი“ (ნ. შენგელაიასთან ერთად) დასწერა და მერე რომანი „გვადი ბიგვა“. სცენარში შექმნილმა კოსტაიას სახემ აღუძრა სურვილი მწერალს სახე უფრო სრულყოფილი გაეხადა და რომანში გადაეტანა. ლიტერატურულად გადააზრებულმა სახემ აჯობა კინემატოგრაფიულს. აქ შეიძლება გარკვეული როლი ქართული ლიტერატურის დიდმა ტრადიციამაც შეასრულა. როცა ნაკლოვანებათა დაძლევის გზებს ვეძებთ, მშვენიერად ჩვენს ლიტერატურას უნდა მოვუხმოთ. მაგრამ ჯერ ნათლად უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, რა გვიჭირს.

ჩვენი ფილმების მეორე ნაკლი ს ი ტ უ ა ც ი ა თ ა  ხ ე ლ ო ვ ნ უ რ ო ბ ა ა. ცხოვრებისეული მოვლენის ანალიზის შედეგად კი არ მივდივართ გარკვეულ ფილოსოფიურ-მხატვრულ დასკვნამდე, არამედ პირიქით — შემთხვევით წამოჭრილ აზრს გვინდა მივუსადაგოთ და დავუმორჩილოთ ესა თუ ის ამბავი, ვითომდა ცხოვრებაში მომხდარი. ე. ი. ხშირად კინოში მოთხრობილი ამბავი აზრის მშრალი ილუსტრაციაა და არა ცხოვრების მართალი სურათი.

დადის ქალაქად ფოსტალიონი და სიკეთეს სთესავს („დღე პირველი, დღე უკანასკნელი“). ფილმის ავტორმა და ფოსტალიონმა იციან, რომ სიკეთეს დიდი გარდამქმნელი ძალა აქვს. კეთილ-

მობილური აზრია, მაგრამ იგი ხელოვნური სიტუაციებითაა ფილმში გადმოცემული. ოთახში, ფარდის უკან დანაშაულის ჩამდენი იმალება ქურდი, რომელიც ფოსტალიონის გრძელ „ლექციას“ ისმენს ბოროტებისა და სიკეთის შესახებ. „ლექციის“ შემდეგ ქურდი გამოვარდება, დანას გადააგდებს და მორჩილად პატიებას ითხოვს ბოროტი განზრახვისათვის. ამ ამბავს ორი სიმართლე აკლია — ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური, და რადგან ამბავია საეჭვო, აზრმაც მნიშვნელობა, დამაჯერებლობა და ღირებულება დაკარგა.

რუსული ფილმის „ბალადა ჯარისკაცისა“ პერსონაჟი ალექსეი სკვორცოვიც სიკეთის გმირია, მაგრამ კინოსურათში არსად არაა ნაჩვენები, თუ რა შედეგი გამოიღო ალიოშას მიერ გაკეთებულმა კეთილმა საქმემ. მაყურებელმა არ იცის, შეიძულებს თუ არა ქრთამს მექრთამე ჯარისკაცი, ან განიცდის თუ არა სინდისის ქენჯნას ფრონტელი ჯარისკაცის მოღალატე ცოლი. ამის ცოდნა არცაა საჭირო, რადგან სიკეთეს სასწაულის მოხდენა არ შეუძლია. სიკეთეს თავისთავად აქვს დიდი მორალური ღირებულება. ამის დამაჯერებლად ჩვენება უკვე სერიოზული მიღწევაა მხატვრისა. სიყალბე კი იქ ჩნდება, სადაც სიკეთის აუცილებელი გამარჯვების ნაძალადევი მტკიცება იწყება. და როცა ფოსტალიონი ხელის ერთი მოქნევით ქურდს პატიოსან კაცად გახდის, წარსულის მოტრფიალე მხატვარს აწმყოს შეაყვარებს, გაყრილ (ან გასაყრელად გამზადებულ) ცოლ-ქმარს შეარიგებს და ა. შ., ეს არაბული ზღაპრის გმირის ალიბაბას შეძახილს — „სეზამ, გაიღე“ — უფრო გავს, ვიდრე რეალისტურ ნაწარმოებს, რომელმაც ცხოვრებისეული მოვლენების ანალიზი გააკეთა, მისი ნამდვილი სურათი გვიჩვენა და სიკეთისა და ბოროტების ბრძოლაში სიკეთის მხარეს დაგვრაზმა.

ზოგჯერ ჩვენს ფილმებში პარალელურად არსებობს აზრობრივად ერთმანეთის გამომრიცხავი სიუჟეტური ხაზები. უცხოეთიდან ჯაშუშური მიზნებით ჩვენში ჩამოვიდა ახალგაზრდა კაცი (ფილმი „მე ვიტყვი სიმართლეს“). მაგრამ სოციალისტური სინამდვილის ზეგავლენით შენიღბული მტერი მოყვარედ იქცა. როგორც ამ ამბის, ისე მთელი ფილმის აზრი ისაა, რომ დაამტკიცოს ადამიანზე სოციალისტური სინამდვილის დიდი მორალური ზეგავლენის უნარი, რომელსაც შეუძლია ადამიანის მსოფლმხედველობა და ცხოვრების მიზანი რადიკალურად შეცვალოს. მაგრამ იმავე ფილმში არსებობს მეორე სიუჟეტური ხაზი, დაკავშირებული მეორე გმირთან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან საქართველოში ცხოვრობს და მაინც ჩვენი სინამდვილის დაუძინებელი მტერია. ე. ი. ამ კაცზე სოციალისტური ცხოვრების 40 წელმა ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა. მაყურებელი გაორებულ მდგომარეობაშია: არ იცის, პირველი ამბავი დაიჯეროს თუ მეორე! იქნებ ერთიცაა შესაძლებელი და მეორეც (ცხოვრებაში შეიძლება მართლაც ასე იყოს), მაგრამ საქმე ისაა, რომ ფილმის ავტორებმა ფილმი პირველი აზრის დასამტკიცებლად შექმნეს, თუმცა მეორე ამბით თვითონვე გახადეს პირველი საეჭვოდ და არადამაჯერებლად. ეს კი წინასწარ მოფიქრებულ სიუჟეტურ სქემაში ცხოვრებისეული მოვლენების ნაძალადევი ჩატენვის შედეგია.

თანდათანობით უნდა ჩამოირეცხოს ჩვენი ფილმების სხეულიდან სიყალბე და რეალური სინამდვილის მშვენიერება თავისი ავ-კარგით უფრო ნათლად უნდა დავინახოთ. ამ პროცესის განხორციელებისას ქართული კინო მარტო არ იქნება, რადგან მსგავსივე პროცესი ჩვენს მწერლობასა და მხატვრობაში კარგა ხანია დაწყებულია და წარმატებითაც მიმდინარეობს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კინოს სინთეტურობა თხოულობს ხელოვნების მეზობელ დარგებში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებას, რადგან შეუძლებელია ლ. ცუცქირიძისა და დ. ერისთავის მხატვრობის იმ მეთოდით

გადალება, რითაც ამ ათიოდე წლის წინათ ილებდნენ. ასევე შეუძლებელია ა. სულაკაურის ან ნ. დუმბაძის პროზის რეჟისორული ინტერპრეტაცია „ყუბანელი კაზაკების“ პოზიციიდან. კინომ ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად უნდა გამოიმუშავოს დღევანდელობისათვის შესაფერისი ზოგადი მხატვრული პრინციპები, რომელიც გახდება 60-იანი წლების ქართული კინემატოგრაფიის მხატვრული ენა, ენა სიმართლისა და უბრალოებისა.

ახალი გზების ძიებისას ქართულ კინოხელოვნებას არამცდარამც არ უნდა გამორჩეს ერთი უმთავრეს პრობლემათაგანი. ესაა ინტელექტუალურ-ფილოსოფიური კინემატოგრაფიის შექმნა. საერთოდ ყოველ დროში დიდი ხელოვნება დიდ ფილოსოფიასთან წილნაყარი ყოფილა ხოლმე. ასეა დღესაც. ლიტერატურაში მარტო თომას მანის დასახელებაც კმარა. ევროპული კინემატოგრაფია ამ მხრივ ლიტერატურას ამოუდგა გვერდით და ეკრანიდან იმ ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიური პრობლემების შესახებ ალაპარაკდა, რაც დღევანდელმა რთულმა ცხოვრებამ წამოჭრა. ახლა მთელს მსოფლიოში ყურადღების ცენტრშია ანიეს ვარდას, მიქელანჯელო ანტონიონის, ინგმარ ბერგმანისა და სხვათა ფილოსოფიური ფილმები. საბჭოთა კინემატოგრაფია რუსული ფილმით „ერთი წლის 9 დღე“ უკვე გავიდა ფილოსოფიურ-ინტელექტუალური კინემატოგრაფიის დიდ გზატკეცილზე და წარმატებითაც. საბჭოთა ფილმის გამოჩენამ ამ ასპარეზზე პოლემიკური ტონი შეიტანა ამბავთა მსვლელობაში და თუ ფილოსოფიური კინემატოგრაფიის მიერ წამოჭრილ პრობლემებს პარალელურად წარმოვიდგენთ, თვალწინ გადაგვეშლება მხატვრულ- იდეური პაექრობა, რაც ორი იდეოლოგიის ბრძოლის დამადასტურებელი ფაქტია. ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვად არ დარჩეს, მაგალითებად მოვიშველიოთ ფრანგი რეჟისორი ქალის ანიეს ვარდას ფილმი „კლეო ხუთიდან შვიდ საათამდე“ და მ. რომის „ერთი წლის 9 დღე“.

მ. რომის ფილმს ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს, ხო[illegible]ს სურათი ფართო საზ[illegible] უცნობია. ამიტომ ჯერ ამ ფილმს გავეცნოთ.

ფილმის შინაარსი მარტივია. ახალგაზრდა მომღერალს კლეოს რაღაც ავადმყოფობა აწუხებს. საჭიროა სამედიცინო დასკვნა. პასუხს იგი 2 საათის შემდეგ შეიტყობს (ფილმში მოთხრობილი ამბის განვითარების დრო და კინოსურათის დემონსტრაციის დრო ერთმანეთს ემთხვევა. ეს მხატვრული ხერხი გამოყენებულია იმისათვის, რომ ნაამბობი სავსებით რეალურ ამბად წარმოვიდგინოთ). განაჩენის მოლოდინში კლეო ეწევა ჩვეულებრივ ყოველდღიურ ცხოვრებას: შეივლის მეგობარ ქალთან, პიანისტთან ერთად ატარებს რეპეტიციას, ესაუბრება საყვარელს, შედის კინოთეატრში, ეცნობა ჯარისკაცს, რომელიც ალჟირს მიემგზავრება. ჯარისკაცთან ერთად 6 საათზე იგი მიდის საავადმყოფოში, სადაც გაიგებს, რომ დაავადებულია კიბოთი (ე. ი. კლეო განწირულია). ეს მოხდა 5-დან 6 საათამდე, სანამ კლეომ არ იცოდა, რომ დაავადებულია სასიკვდილოდ. შემდეგი ერთი საათი (სიკვდილის მოლოდინი — 6-დან 7 საათამდე არ განსხვავდება პირველი საათისაგან: ცხოვრება ისევ თავისი გზით მიედინება. ამბავი თავდება იმით, რომ ჯარისკაცი მიემგზავრება ალჟირს (ე. ი. ჯარისკაციც განწირულია, მას ალჟირში მოკლავენ). ერთი სიტყვით, სიკვდილი ყველგანაა: ადამიანის შიგნით (კლეო მოკვდება კიბოთი), ადამიანის გარეთ (ჯარისკაცს მოკლავენ ალჟირში).

ამ ფილმის გამო ჟორჟ სადული წერდა, რომ ასე კარგად არც ერთ ფილმში არ ასახულა ჩვენი დრო; დრო, როცა ადამიანს სიკვდილი უდარაჯებს ქუჩის ყველა კუთხეში.

ანიეს ვარდა გვარწმუნებს, რომ სიკვდილის პირისპირ ყოველი კაცი მარტოხელაა. ადამიანი ცალკეა, კოლექტივი ცალკე. ფილმის ყოველი ეპიზოდი

ამ აზრითაა აგებული: კლეო და ბრბო, კლეო და ქუჩა, კლეოს პირადი უბედურება და ალჟირის ომი... კლეო ეკუთვნის საზოგადოებას და არც ეკუთვნის. მათ ყველას სიკვდილი აერთიანებს და თიშავს, რადგან სიკვდილს ყველა ატარებს თავისთავში, მაგრამ ამავე დროს იგი (სიკვდილი) ინდივიდუალურია (კლეოს კიბო ემუქრება, ჯარიკაცს ომი. ისინი ერთმანეთს ვერ უშველიან, თუმცა ბედით თანასწორნი არიან). ამიტომ ერთის ბედის გაანალიზება, მისი ფსიქოლოგიის გახსნა მაინც გვაძლევს ყველას ბედის სურათს. ამიტომაა რომ რეჟისორი დაწვრილებით სწავლობს კლეოს და გვიჩვენებს მას. კლეოს სიარული, სახე, თმები, ბინა რეჟისორს დაწვრილებით აქვს დახატულ-გადმოცემული ფილმში. შინაგანად კლეო არ განიცდის არც შიშს, არც სინანულს. მას სიკვდილის მიმართ „სულერთია“ დამოკიდებულება აქვს, მისი ხვედრი ყველას ხვედრია.

როგორც ვხედავთ, ფილმის გმირი თავისთავში ატარებს სიკვდილს, მაგრამ მის მიმართ სიბრალულის გრძნობა არ ჯებადება, რადგან პირველი, რასაც ფილმის ნახვისას განიცდი, ესაა შეგრძნება იმისა, რომ შენც კლეოსავით განწირული ხარ. შეუცნობლად თუ შეცნობილად საკუთარ სიკვდილს ატარებ და შიშის გრძნობა კლავს ადამიანური სოლიდარობის გრძნობას.

ადამიანის ინდივიდუალურ სიცოცხლეს რომ დასასრული აქვს, ეს ყოველ დროში იცოდნენ, მაგრამ ამ ფაქტის ცოდნა არასოდეს არ ქცეულა უკიდურესი ინდიფერენტიზმისა და „სულერთია“ დამოკიდებულების წყაროდ. პირიქით, ადამიანის არსებობის ხანმოკლეობის შეგნება ძალასა და ენერგიას მატებდა კაცს, რადგან მას საერთოდ სიცოცხლის უკვდავების სჯეროდა. წარმავალ სიცოცხლეს იგი უკვდავების სახელით ხარჯავდა. ვარდას ფილმის გმირი ღრმადაა დაეჭვებული უკვდავების არსებობაში და სიცოცხლე უაზრო გართობად ეჩვენება, დაახლოებით ისევე უაზროდ, როგორც იმ მეფოკუსის საქმიანობა, რომელიც ა. ვარდას სურათში ბაყაყებს ყლაპავს. [illegible] მეფოკუსე და ცოცხალ ბაყაყებს ყლაპავს. პირდაღებული ბრბო კი [illegible] ბული მისჩერებია. კაცმა [illegible] საქმიანობაა ეს? რად სჭირდება იგი ან დოყლაპია მაყურებელს, ან გაწვრთნილ მეფოკუსეს? სიკვდილის წინაშე კი ყველაფერი უაზროა: თუ ხვალ სამყარო აღარ იარსებებს, აღმოჩნდება, რომ აინშტაინიც ფარდობითობის თეორიით ისევე ართობდა ადამიანებს, როგორც მეფოკუსე ბაყაყების ყლაპვით.

პარადოქსული რამ მოხდა: ადამიანური ინტელექტის უდიდესმა გამარჯვებამ იმედის ნაცვლად უიმედობა წარმოშვა. მოეჩვენათ, რომ ატომური ენერგია კაცობრიობის ძალად კი არ იქცა, არამედ უძლურებად. ამ ყოვლისშემძლე უძლურების წინაშე ხელოვნების ადამიანებმა ქედი მოიხარეს და ანალიტიკური თვალი ადამიანის შინაგანი სამყაროსაკენ მიმართეს. იქ დაიწყეს მათ სიკვდილის დამთრგუნველი ძალის ძებნა. მაგრამ ამ ძალის პოვნა შეუძლებელია, თუ არსებობის უკვდავებისა და აზრიანობის არ გჯერა. სწორედ ამ კუთხით აქვს მ. რომს გააზრებული თავისთავში სიკვდილის მატარებელი კაცის პრობლემა.

„ერთი წლის 9 დღის“ გმირი ფიზიკოსი გუსევი კლეოსებრ განწირულია. გუსევის სიკვდილს სხივური ავადმყოფობა ჰქვია. ეს სასიკვდილოდ განწირული კაცი გარეგნულად საოცარ სიმშვიდეს ინარჩუნებს და ჰყოფნის იმდენი სულიერი ენერგია, რომ ცოლსა და მეგობარს რესტორანში ქეიფი შესთავაზოს. საერთოდ ავადმყოფობის აღმოჩენის წუთიდან იგი პირადულს უარყოფს და დარჩენილი სიცოცხლის აზრად წამოწყებული მეცნიერული კვლევის გაგრძელება და მისი წარმატებით დასრულება მიაჩნია. გუსევის სულიერი ვაჟკაცობა გაპირობებულია საერთოდ არსებობის მიზანშეწონილობით. როცა იგი მამას პასუხობს და ეუბნება, აზრის მოძრაობის შეჩერება შეუძლებელიაო,

ქვეტექსტად იგულისხმება, რომ აზრის. სიკვდილიც შეუძლებელია, რადგან, რამდენადაც ბუნების საიდუმლოების შეცნობაში აზრი ღრმად და შორს მიდის, იმდენად მეტი და მეტი შესაცნობელი იშლება ადამიანის გონების წინ. ცოდნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, უსასრულოდ იზრდება, მაგრამ ასეთივე მასშტაბით იზრდება შესამცნებელი სამყაროც. ამიტომ განვითარების ძაფის გაწყვეტა შეუძლებელია და ადამიანის გონებასაც ამოუწურავი სამუშაო აქვს. სიკვდილი კი იქაა მოსალოდნელი, სადაც ადამიანს საფიქრი, სააზროვნო, სამუშაო და შესაცნობი გამოელევა.

ადამიანის მაძიებელი გონება გარანტიაა იმისა, რომ იგი ბუნების ახალ და ახალ საიდუმლოებებს მიაკვლევს. ატომის უზარმაზარი ენერგიაც მას ამ საიდუმლოებათა კვლევა-გამოყენებისათვის დასჭირდება. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ადამიანმა ბოთლიდან არამარტო გამოუშვა ჯინი, არამედ ეს ზღაპრული ძალა საკუთარ სამსახურშიც ჩააყენა. უხეშ ძალას იგი თავისი გონების ნათელს დაუმორჩილებს და მილიონობით კლეოს სულისგამყინავ ინდიფერენტიზმს მილიონობით გუსევების ოპტიმიზმით შეცვლის. რა გუყოთ, რომ გუსევის ოპტიმიზმს ტრაგიკული ნოტები ახლავს. კაცობრიობის [illegible] არ შინებია ტრაგიზმისა. იგი უფრო ქაფშუტულ ოპტიმიზმს უფრთხოდა, რადგან ეს უკანასკნელი ხშირად გონებრივი სიმსუბუქის შედეგი უფროა, ვიდრე დიდი აზრის მოძრაობის ნაყოფი.

ამ ორ ფილმზე ასე დაწვრილებით იმიტომ ვილაპარაკეთ, რომ გვეთქვა შემდეგი: თუ არ გვინდა, რომ „ორლობის კინოხელოვნება“ გვქონდეს, გვერდი არ ავუაროთ რთულ, ზოგადსაკაცობრიო ფილოსოფიურ პრობლემებს. ამ საკითხებთან დაკავშირებით ქართულმა კინომ თავისი სიტყვა უნდა თქვას გაბედულად და ნათლად. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ 60-იანი წლების ქართული კინოს დამახასიათებელი ნიშანი მისი ფილოსოფიურ - ინტელექტუალურობა უნდა გახდეს. თუმცა, ჯერჯერობით, ქართული კინო ამ მიმართულებით დუმს.

საკამათო, სადავო, დასადგენი ბევრი გვაქვს, მაგრამ რატომღაც დუმილს ვარჩევთ. დუმილი კი ყოველთვის არაა ოქრო და არც თანხმობის ნიშანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იების გამყიდველი

ერთი ცნობილი თქმის პარაფრაზს თუ მივმართავთ, დ. ერისთავი უსათუოდ პოეტი იქნებოდა, მხატვრობა რომ არ აერჩია. მისი დამოკიდებულება ნატურისადმი, ნაწარმოების ხასიათი და განწყობილება უაღრესად პოეტურია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ნახატები ტილოზე გადატანილი ლექსებია. მისი მკაფიოდ ლირიკული კომპოზიციები, სხეულთა მტკივნეულად მძაფრი ურთიერთდამოკიდებულება, განწყობილებათა ერთიანი გამა, ფერისა და ხაზის მუსიკალურ ფრაზას მიმსგავსებული ქღერა, ადამიანის ნაზი ოდნავ სევდაგარეული სიყვარული — აი, ის, რაც მისი ნახატების ნახვისას თავიდანვე თვალში გეცემა. ვიცი, რომ ყველაფერ ამის იქით მხატვრის მეტად რთული სამყარო დგას, რომ ხელოვნებას თავისი ზუსტად ჩამოყალიბებული კანონები აქვს, რომ გრაფიკული ნახატიც ისეთივე რთულია, როგორც ლექსი, მაგრამ დ. ერისთავის შემოქმედების დამამშვიდებლად თავმდაბლური ხასიათი მაბედვინებს გამოვთქვა ჩემი შთაბეჭდილება.

დიმიტრი ერისთავი იმ ახალგაზრდა ქართველ მხატვართა ჯგუფს ეკუთვნის, რომელმაც სულ რამდენიმე წელია, რაც ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიქცია და რომელმაც ღირსეულად დაიკავა თავისი ადგილი გამოჩენილ ქართველ მხატვართა შორის. საყურადღებოა, რომ ეს ახალგაზრდა მხატვრები მეგობრებიც არიან და ერთმანეთს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. თვითეული — მეგობრის ნახატის პირველი მსაჯულია და, ჩემი აზრით, მეტად მკაცრი. მეგობარს დაძაბული შრომის შემდეგ ნახატის შეფასებას რომ ელის, ძუნწი ქებით ამშვიდებენ, თითქოს ნარბენ ცხენს ალვირით ასეირნებენ. მიხარია, მათი მეგობარი რომ ვარ და მეც არაერთხელ მიგრძვნია კბილებში გამოცრილი ქების სიხარულიც და დაუნდობელი ძაგების სიმწარეც.



კალათბურთი



იების გამყიდველი

ეროვნული ბიბლიოთეკა



კლასობანა

მგონი, ჩვენს ახალგაზრდა პოეტებსა და მწერლებს ისეთი გულმოდგინე მკითხველები არცა ჰყავთ, როგორიც ახალგაზრდა მხატვრები არიან. მათ ჩვენი ლექსები და მოთხრობები თავიანთ პირად საქმედ მიაჩნიათ და ჩვენც მათ კრიტიკას დაძაბული ვუსმენთ. დ. ერისთავი ნელა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკობს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ყელი ტკივა. ლაპარაკის დროს ჟესტებს იშველიებს და როცა ხუმრობს, ოდნავადაც კი არ იღიმება. თითქოს ჩარლი ჩაპლინს ბაძავს, რომელიც ძალიან უყვარს და მისი სიდიადით გამუდმებით აღტაცებულია.

... ნამდვილი შემოქმედი მაშინა ხარ, როცა ყველა სასაცილო და სასიამოვნო მოვლენის იქით ადამიანის ტკივილის სიდიადეს ხედავ. განა ის სიამოვნება, რომელსაც ჩვენ თანამედროვე საჰაერო ლაინერებით ფრენის დროს განვიცდით იმ პირველი კაცის ტკივილით არ არის მიღწეული, რომელიც მხრებზე მორგებული ფრთებით სამრეკლოდან გადახტა? მახსენდება დიმიტრი ერისთავის ცნობილი სურათი: „იების გამყიდველი“. ეს ნახატი ერთი შეხედვით ისეთივე ლაღი და ხალისიანია, როგორც ბავშვის თოკზე ხტომა. თუ კარგად დავუკვირდებით, დავინახავთ, რომ ხალისიან განწყობილებას იების გამყიდველის სევდიანი და განდგომილი ფიგურა ამძაფრებს. მის ფონზე მოზარდი გოგონების სხეულები, ბავშვურად გრძელი და კუთხოვანი კიდურებით გაზაფხულსა და ჯერ კიდევ შეუცნობელ განცდას ეფექტურად გამოხატავენ. იების გამყიდველის რაღაც მოუხერხებლად აწოწილი ფიგურა კი შორეულსა და ამავე დროს უაღრესად ადამიანურ ნაღველზე მიგვანიშნებს. როცა ამ სურათს ვუყურებ, რატომღაც გალაკტიონ ტაბიძის ლექსი მახსენდება:

ქალაქში, მტვერში წაიქცა ბავშვი
ნუკრის თვალებით, თმით — მიმოზებით.
და მწუხარების მალენიავში
მოფრინდნენ ლურჯი ანგელოზები.

შეშლილი სახით კიოდა ქუჩა:
შორს კი მზე დარჩა და მშობლის კერა,
მზეზე ყვაოდა სოფლად ალუჩა,
და გაისმოდა დების სიმღერა.

ასეთივე განწყობილებას იწვევს ჩემში პიკასოს ნახატზე ბურთზე შემდგარი ბავშვის გადაზნექილი ფიგურა. სიხარული და სევდა ტყუპებივით გვანან ერთმანეთს, მაგრამ სხვადასხვა სისხლისანი არიან.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დიმიტრი ერისთავის შემოქმედებაში მოგვწონს, არის თანამედროვეობის უტყუარი გრძნობა. ის არა ჰგავს ზოგიერთ ჩვენს მხატვარს, რომელსაც თანამედროვეობის ასახვად მხარზე თოხგადებული კაცის ან ქალის ფიგურის დახატვა მიაჩნია. თვითონ, ბუნებით აქტიური მოქალაქე, იმ საქმიანობით ცხოვრობს, რომელსაც ჩვენი მოწინავე ახალგაზრდობა ეწევა. მან იცის, რომ ხალხისათვის ხელოვნების მიერ შექმნილი სიმდიდრე არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მატერიალური დოვლათი და კინოს ეკრანივით ვეება ტილოებზე ზვინების უნიჭო დახვავებას განუზომლად ჯობია ფიროსმანის თუნდაც პატარა [illegible] ტალის მორიდებული კიაფი. დ. ერისთავი ჩვენს ცხოვრებაზე ხმადაბლა გვიამბობს, მაგრამ გაიხსენეთ მისი „შემოდგომა“, „ქვისმთლელები“, „საბავშვო ბაღი“, „კალათბურთელი გოგონები“, და იგრძნობთ იმ ხალისიან, სიცოცხლის დამამკვიდრებელ ძალას, რომელიც ჩვენი თანამედროვეობის ჭეშმარიტი გაგებითაა დაბადებული. მის სურათებზე კასაოცარი სიზუსტით ცოცხლდებიან თბილისის ქუჩებში შეხვედრილი ჭაბუკებისა და გოგონების სახეები, ცოცხლდება მათი მოძრაობის რიტმი და პლასტიკა. მნახველი მათ თითქოს ადვილად ვერ ეჩვევა, რადგან ყოველივე ახალს ღვინოსავით დადუღება ჭირდება, რათა მერე უცებ მოგეკიდოს და დაგათროს. მანეს „ოლიმპია“, შიშველი ქალის ულამაზო ფიგურა რენესანსის დიდოსტატების ვენერების საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენდა, მაგრამ განა თვითონ ბურჟუაზიული საზოგადოების ვენერა არ იყო?

ცხოვრების განვითარება, გემოვნების გაზრდა, ჩაცმულობა და ქუჩის მოძრაობის რიტმიც კი თავის წარუშლელ დაღს აჩენს ჩვენს გარეგნობას. კინოვარსკვლავების ხანმოკლე ბრწყინვა და მათი სწრაფი ცვლა ამის ერთერთი დამამტკიცებელი მაგალითია. მიუხედავად თავიანთი უდავო ნიჭიერებისა, წარმოუდგენელია თანამედროვე მაყურებელმა ისეთივე სიამოვნებით უცქიროს დღეს მერი პიკფორდსა და დინა დურბინას. ის უფრო დიდი სიამოვნებით უყურებს ნაკლებად ლამაზ ტატიანა სამოილოვას დრამატიულ სახეს, ვიდრე ჯანეტა მაკდონალდის დაშაქრულ ღიმილს. დიმიტრი ერისთავის სურათებზე ბალახის ღერებივით სიცოცხლით სავსე და მოქნილი გოგონები, დაძაბული ველოსიპედისტები და შრომაში გართული ქვისმთლელები ჩვენთვის ძალიან ნაცნობნი და მახლობელნი არიან და ლირიკული ლექსების სიცხადით ჩვენს მახსოვრობაში რჩებიან.

გრაფიკის სპეციფიკა გაცილებით უფრო პირობითია, ვიდრე ფერწერის. ეს პირობითობა ზოგჯერ ზღუდავს მას, მაგრამ ზოგჯერ კი გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, რადგან შედარებით ღარიბი საშუალებებით აქ მეტი პოეტურობის მიღწევა შეიძლება. მაზერეელის ურბანისტული გრაფიკა თითქმის ლექსის პრინციპზეა დაყრდნობილი და მისი მკაფიო კომპოზიციები პოეტურ მეტაფორებივით ისმის. რუსი გრაფიკოსების ფავორსკისა და კრავჩენკოს გრავიურების ლირიზმი სწორედ გრაფიკის ამ თავისებურების დიდი ცოდნითაა მიღწეული.

---

თამაზ ჭილაძე
(ი)ების გამყიდველი



ეროვნული ბიბლიოთეკა

დ. ერისთავის პორტრეტების უმრავლესობა ფანქრითაა შესრულებული (მგონი, მხოლოდ ერთი „ინეზაა“ სანგინით). პორტრეტზე მუშაობის დროს ის ფორმის სკულპტურულ გაგებას იძლევა. პორტრეტებს ის პირველი შთაბეჭდილებით ხატავს და მუშაობის დროს არ ცდილობს ნატურის ახლოს გაცნობას, თითქოს პირველი შთაბეჭდილების დაკარგვის ეშინია. პორტრეტის ხატვისას ის ახალ ხასიათსა ჰქმნის, რომელსაც თავისი წარმოდგენებით აპოეტურებს. მის მიერ დახატულ პორტრეტში უფრო მხატვრის დამოკიდებულებაა საინტერესო, ვიდრე ნატურის გადმოცემის სიზუსტე. „გინახავს შენ „მონა ლიზა“? — მკითხა მან ერთხელ. ჩემს პასუხს აღარ დაუცადა და განაგრძო: „მონა ლიზას ცალი თვალი უცინის, ცალი კი სერიოზული აქვს, იმიტომ რომ სახემ იმოძრაოს და გამუდმებით შეიცვალოს. აი, ვინ იყო ნამდვილად დიდი მხატვარი“. მერე თითქოს რაღაც გაახსენდა, დაუმატა: „მონა ლიზას ღიმილი ბოლოსდაბოლოს ხომ ლეონარდოს ღიმილია...“

ის პორტრეტზე **დიდხანს მუშაობს.** ნამდვილი მხატვარი ადვილად ვერ თმობს სურათს, ყოველ დღე ახალსა და ახალს ეძებს, ეძებს და პოვნის შნოცა აქვს. სამაგიეროდ მისი სურათი მარტო პორტრეტული მსგავსება კი არ იქნება, არამედ გააზრებული, დამაფიქრებელი ნაწარმოები. დიმიტრი ერისთავის სურათი „ნათელას პორტრეტი“ ჩვენი ქართული მხატვრობის ერთერთ აშკარა მიღწევად მიმაჩნია. ელექტროდენივით უჩინარი და დაძაბული ძალა, უნდობელი, ოდნავ შემკრთალი და გაოცებული მზერა რაღაც უნებლიე დანაშაულის გრძნობას იწვევს ამ ამაყი გოგოს მიმართ, თითქოს ის გოგო კი არა, საკუთარი სინდისი იყოს. უნებურად იხსენებ ყველა იმ შემთხვევას შენი ცხოვრებიდან, როდესაც რაიმე ცუდს თვალი მოუხუჭე და გულგრილად გვერდი აუარე. ეს სურათი თითქოს გამაღლებს და გიბიძგებს გახდე გაცილებით უკეთესი, ვიდრე დღესა ხარ.

ახალგაზრდა მწერლები დიმიტრი ერისთავს ხუმრობით თავიანთი მოთხრობების თანაავტორს ეძახიან. ეს ხუმრობა ნახევრად მართალია, რადგან დიმიტრი ერისთავის ნახატი მოთხრობას ყოველთვის სიცხადეს აძლევს.

ყველაფერი, რაც ზევით ვთქვი, დიდიხანია მინდოდა დამეწერა. სათაურიც წინასწარ ვიცოდი, რადგან გამოფენაზე „იების გამყიდველი“ პირველად რომ ვნახე, მაშინვე დიმიტრი ერისთავის ფიქრიანი სახე დამიდგა თვალწინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როინ მეტრეველი

# ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი

ფერგადასული კაბადონები მრავალი ისტორიული ფაქტის შესახებ მოგვითხრობენ და ჩვენს მეხსიერებაში აცოცხლებენ წარსულის სურათებს. ჰეროდოტე ჰალიკარნაზელი, როგორც თვითონ აღნიშნავს, თავის ისტორიებს იმისათვის წერდა, რომ მკითხველის მეხსიერებიდან უკვალოდ არ გამქრალიყო ელინთა და ბარბაროსთა დიდი საკვირველი ნაგებობანი და შთამომავლობას სცოდნოდა მიზეზი ბერძენ-ბარბაროსთა ომებისა.

მაგრამ მატერიალური კულტურის ყველა ძეგლს თუ ისტორიულ ფაქტს ერთნაირი ბედი არ ჰქონია და არც ჰეროდოტეს მსგავსი ამსახველი ჰყოლია. მრავალი მათგანი სხვადასხვა მიზეზთა გამო მიწის ქვეშ მოექცა და მათ შესახებ არაფერია ჩვენთვის ცნობილი. აქ უკვე არქეოლოგის ბარი ერევა საქმეში და შეძლებისდაგვარად იწყებს კაცობრიობის ისტორიაში არსებული თეთრი ლაქების გამუქებას.

წარსულის შესწავლა კეთილშობილური საქმეა. ვინც წყაროს წყალს სვამს, მან სათავეზეც უნდა იფიქროს, — ეს ხატოვანი ქართული თქმა განმარტავს ყველა ადამიანის და, კერძოდ, ყველა ისტორიკოსის მოვალეობას. აუცილებელია შეისწავლო წარსული, შეისწავლო სათავე ხალხის ცხოვრებისა, იმ წყაროს სათავე, რომელსაც ეწაფები. ექვთიმე თაყაიშვილმაც თავისი სიცოცხლე ამ მეტად პატრიოტულსა და დიდ საქმეს შესწირა. ამის აშკარა დადასტურებაა მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი და ამ მოგზაურობათა შედეგები.

არქეოლოგია თანამედროვე გაგებით მხოლოდ გათხრითს საქმიანობას გულისხმობს. ექვთიმე თაყაიშვილსა და მის თანამედროვეებს ეს ტერმინი უფრო ფართოდ ესმოდათ. კერძოდ, არქეოლოგიაში გულისხმობდნენ ტაძართა და საეკლესიო წიგნთა აღწერას, წარწერების გადმოღებას, ამოკითხვასა და აღწერას, მიწაში დაფლული ნაშთების გათხრას და სხვ. ამდენად ბუნებრივია, ასეთი ფართო საქმიანობისათვის ხანგრძლივი მოგზაურობები იყო საჭირო ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და მიუხედავად მძიმე ფიზიკური ნაკლისა — ე. თაყაიშვილი ბავშვობიდან კოჭლი იყო, — მას არ დაუტოვებია საქართველოს არც ერთი კუთხე შემოუვლელი. აქ არსებული ყველა ისტორიული ძეგლი მან საფუძვლიანად შეისწავლა და აღწერა. ამიტომაა ასე ფასდაუდებელი მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი.

თავიდან ექვთიმე თაყაიშვილი არქეოლოგიურ მოღვაწეობაზე არ ფიქრობდა. მან პეტერბურგის უნივერსიტეტი დაამთავრა და პედაგოგობა ჰქონდა გადაწყვეტილი. იმ დროს პეტერბურგში სხვა ქართველებიც სწავლობდნენ. მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საქართველოში წამოსულიყვნენ და აქ ემუშავათ. ნიკო მარი ხშირად ამბობდა თურმე: „Чего мы Европу будем обучать, нам нужно своих обучать"[1]. ექვთიმე თაყაიშვილიც გამოემგზავრა საქართველოში პედაგოგიური მუშაობის დასაწყებად. მან ჯერ კიდევ პეტერბურგშივე დაიწყო კავკასიის შესახებ წიგნების შეგროვება.

თბილისში ე. თაყაიშვილი 1887 წელს დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ იგი აირჩიეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრად. სწორედ აღნიშნული საზოგადოების წევრობისთანაა დაკავშირებული ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის დაწყება.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ბევრ სხვა კარგ საქმესთან ერთად ძველ ხელნაწერებსაც აგროვებდა. ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს: „ერთი სიტყვით, საზოგადოების წევრი რომ გავხდი, მივიხედ-მოვიხედე, შევატყე, რომ იმ ძვირფას ხელნაწერებს კაცი პატრონი არა ჰყავდა და ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, დავუწყე პატრონობა. მერე თანდათან გამიტაცა, შემიყვარდა და ვიწყე ზრუნვა დაღუპვისაგან მათ გადარჩენაზე. თან ახალ-ახალსაც ვაგროვებდი. შენაწირულსაც აღარ ვჭერდებოდი, საზოგადოების ხარჯზე შეძენაც დავიწყე"[2].

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდება ითვალისწინებდა ეკლესია-მონასტრებში დაცული ძველი, ახმარად უკვე უვარგისი საეკლესიო წიგნების შეგროვებას. ე. თაყაიშვილმაც სწორედ ამით დაიწყო თავისი საქმიანობა. პირველი არქეოლოგიური მოგზაურობა მოეწყო — 1889 წ. 17 თებერვალს მცხეთაში. აქ ე. თაყაიშვილმა წაიყვანა დიმიტრი ბაქრაძე. მიზნად დასახული ჰქონდათ ხელნაწერი წიგნების ჩამოტანა. კარგი ხელნაწერები მათ მხოლოდ სვეტიცხოველში უნახავთ და წამოუღიათ კიდეც. ამ მოგზაურობის შესახებ სათანადოდ აღინიშნა იმდროინდელ პრესაშიც. შემდგომში ე. თაყაიშვილი უკვე იწყებს ფართო შემოქმედებით საქმიანობას, რომლის ერთგვარ დაგვირგვინებას წარმოადგენდა მის მიერ 1890 წ. გამოცემული „სამი ქრონიკა". ამას მოჰყვა „წმინდა ნინოს ცხოვრება", რაც მის გაგრძელებას წარმოადგენდა. ამ გამოცემამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე და გარკვეული გარდატეხა გამოიწვია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რადგან მან ცხადჰყო, რომ ის სამი ქრონიკა: ქართლის მოქცევა, სუმბატის ქრონიკა და მესხური დავითნი შეადგენდა ქართლის ცხოვრების ძირითად წყაროს. ამასთანავე აქ პირველად იყო დამტკიცებული, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ხელნაწერი IX საუკუნის კი არა, X საუკუნისაა. იგი გადაწერილია იმავე გადამწერის იოანე ბერაჲს მიერ, რომელმაც 973 წ. გადაწერა სახარება და შეწირა პარხლის ახლადაშენებულ მონასტერს.

ე. თაყაიშვილის, როგორც მეცნიერის ფორმირება თანდათან ხდებოდა. მის მუშაობაში ერთი მთავარი მიზანი ისახებოდა: რამდენადაც საშუალება იყო, შეეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; დაღუპვა-დაკარგვისაგან გადაერჩინა ძეგლები და მისაწვდომი გაეხადა მკვლევართათვის. ყოველივე ეს ე. თაყაიშვილს მიაჩნდა უდიდეს საქმედ. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ჩვენში გამოჩნდებოდნენ მკვლევარები, რომელთათ-

[1] ექვთიმე თაყაიშვილი, მოგონებები, „მნათობი", 1959 წ. № 5, გვ. 170.

[2] იქვე, გვ. 171.

ვის სასარგებლო იქნებოდა მისი ნაღვაწი.

ე. თაყაიშვილმა რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სისტემატური კვლევისა და ძებნის შედეგად ბევრი ახალი, სრულიად უცნობი და თან პირველხარისხოვანი ძეგლი აღმოაჩინა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ე. თაყაიშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ძველი ხელნაწერების აღმოჩენას. იგი საერთოდ ეწეოდა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერების შეგროვებას და ამ გზით თავი მოუყარა 17 ხელნაწერს, რომელთა შორის ზოგი მეტად საყურადღებო იყო როგორც ვარიანტებით, ისე მხატვრობით. საერთოდ კი მოკრიბა ცნობა 24 ხელნაწერის შესახებ.

ე. თაყაიშვილის მიერ შეძენილ, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შორის უძველესი იყო 1646 წლის ხელნაწერი, რომელიც საზოგადოებამ ვინმე კორინთელისაგან შეიძინა. საზოგადოების შენაძენთა შორისაა აგრეთვე მეფე გიორგი XI-სათვის 1680 წელს მისი მდივნის ბეგთაბეგის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. ეს ხელნაწერი გამოირჩევა აშიებზე მოხატული სპარსული ყაიდის სამკაულით. „ევროპის რომელსაც გინდა მუზეუმს რომ მიუტანო, უეჭველად მოგცემენ მილიონსო“ — ამბობდა მეცნიერი ამ ხელნაწერის შესახებ.

ე. თაყაიშვილის დამსახურებაა ისიც, რომ დაღუპვას გადაარჩა პელაგია წერეთლისეული „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეგზემპლართაგანი იყო. სიუჟეტური მინიატურებით დასურათებული ამ ხელნაწერის მოკლე ისტორია ასეთია: ერთ საჩხერელ დიდ თავადს ნესტორ წერეთელს ცოლად ჰყავდა გურიელის ქალი პელაგია. ნესტორის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება (მათ შორის „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ხელნაწერი) მის ცოლ-შვილს დარჩა. დედამ შვილებს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ყდის გასაკეთებლად გაატანა. ამ უკანასკნელთ იგი ეტლში დარჩენოდათ. მეეტლეს ხელნაწერი სამ თუმნად მიუყიდია კომერსანტ დავით სარაჯიშვილისათვის. დ. სარაჯიშვილმა კარგად იცოდა ასეთი ძეგლების ყადრი და ამიტომაც შეუძენია. იგი ამ ხელნაწერის გაყიდვას ფიქრობდა იმხანად თბილისში მყოფ ბარონ დე ბაისათვის. როცა ე. თაყაიშვილს აღნიშნული ხელნაწერი უნახავს, უნათხოვრებია იგი დ. სარაჯიშვილისაგან და იმდენ ხანს დაუტოვებია, სანამ ბარონი დე ბაი თბილისიდან არ წასულა. ბოლოს ამ ხელნაწერის მიხედვით ე. თაყაიშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1880-90-იან წლებში არქეოლოგიური კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა ძალიან ჭირდა. ე. წ. კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოება დაიხურა. შემდგომში კავკასიის ისტორია-არქეოლოგიის საზოგადოებამაც შეწყვიტა არსებობა. ორივე ეს საზოგადოება დაიხურა ისე, რომ მათ არც თუ ისე დიდი და სასარგებლო საქმიანობა უწარმოებიათ. დ. ბაქრაძეს სურდა ისევ დაეარსებინა არქეოლოგიური საზოგადოება, მაგრამ მთავრობამ ამის ნება აღარ მისცა. რაკი პირდაპირი საშუალება აღარ იყო, ქართველი მოღვაწეები იძულებულნი იყვნენ შემოვლითი გზით ეწარმოებინათ არქეოლოგიური მუშაობა. ამის საშუალებას ერთგვარად იძლეოდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში.

იმ ხანებში ყოველგვარი არქეოლოგიური მონაპოვარი ინახებოდა „კავკასიის მუზეუმში“, რომელიც რევოლუციამდე არაქართველთა ხელში იყო.

მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისში გამართულ რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობას. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, რაფიელ ერისთავი და სხვ. ამ დროისათვის საქართველოში არქეოლოგ ბაიერნის მიერ მნიშვნელოვანი

გათხრები იყო ჩატარებული (მცხეთაში), მაგრამ რატომღაც V ყრილობაზე არც ბაიერნი გამოსულა და არც მცხეთის ნასალები გამოუტანიათ. ამიტომ იყო, რომ ე. თაყაიშვილი თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს უკვე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების ხალხში ფართოდ გატანისათვის და ახლის აღმოჩენისათვის.

პირველი ქართველი არქეოლოგი, რომელმაც ე. თაყაიშვილზე ადრე ჩაატარა გათხრა საქართველოში, ნიკო ნარი იყო. მან გათხარა ძველი წინაქრისტიანული სასაფლაო დებედის ხეობაში მდებარე სოფ. ვორნაკში და მეტად საინტერესო ნივთები აღმოაჩინა. მაგრამ მალე ნიკო მარმა ანისში დაიწყო გათხრების წარმოება და მთელი ყურადღება იქით გადაიტანა. ვორნაკი რომ უყურადღებოდ არ დარჩენილიყო, იქ გათხრების გაგრძელება საიმპერატორო არქეოლოგიურმა კომისიამ ე. თაყაიშვილს შესთავაზა. ე. თაყაიშვილი დათანხმდა და 1894 წელს შეუდგა საქმეს.

ვორნაკში გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს ხანის სამარხები დამახასიათებელი კომპონენტებით.

ვორნაკის სამარხები მდიდარი აღმოჩნდა. მათზე მუშაობამ ე. თაყაიშვილს გარკვეული გამოცდილება შესძინა. იგი თანდათან წახალისდა და შემდგომში უფრო თამამად მიჰყო ხელი გათხრების წარმოებას.

1917 წლის რევოლუციამდე ე. თაყაიშვილი იყო ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც გათხრებს აწარმოებდა. იგი პარალელურად პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, დიდ ყურადღებას უთმობდა მიწისზედა ძეგლების აღწერა-შეგროვებას.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ე. თაყაიშვილს „ახალგორის განძის“ შესანიშნავი მასალების შეგროვებისა და დაცვის საქმეში. „ახალგორის განძს“ განსაკუთრებით რთული თავგადასავალი აქვს. ე. თაყაიშვილმა კვალდაკვალ სდია ამ განძის შემსყიდველ-გადამყიდველებს, სანამ მათს უმეტესობას თავი არ მოუყარა და საბოლოოდ კავკასიის მუზეუმში არ დააბინავა.

ე. თაყაიშვილს თავის ამ მეტად სერიოზულ საქმიანობაში დამხმარეები და მხარის ამბმელებიცა ჰყავდა. მათ შორის აღსანიშნავია დავით სარაჯიშვილი, რომელიც, მართალია, კომერციულ საქმიანობაში იყო ჩაბმული (მას ქარხანაც ჰქონდა), მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდა თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას და კულტურის ასპარეზზეც სასარგებლო საქმიანობას ეწეოდა.

ერთხელ, როდესაც არქეოლოგიური ექსკურსიები უკვე დაწყებული ჰქონდა, ე. თაყაიშვილს ალ. ცაგარელისათვის წერილის მიწერა გადაუწყვეტია, და მისამართის გასაგებად დ. სარაჯიშვილთან შეუვლია მის ქარხანაში. მისამართის მიცემის შემდეგ დავით სარაჯიშვილს უკითხავს, „ამ ზაფხულს რას აპირებო?“ (1902 წლის გაზაფხულის მიწურული იყო), ექვთიმეს უპასუხია: „ახალციხე-ახალქალაქ-არტაანის მაზრებში მივდივარ არქეოლოგიურ ექსპედიციაშიო“, თანაც აუხსნია, რომ თანხები (200 მანეთი) გრაფინია უვაროვას მეშვეობით მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ გამოჰყოო. მაშინ დავით სარაჯიშვილს ამ საქმის საწარმოებლად 100 მანეთი დაუმატებია. ე. თაყაიშვილი იგონებს, სარაჯიშვილი ხშირად მეპატიჟებოდა სადილზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა გრაფინია უვაროვა ჰყავდა სტუმრადო[1].

ე. თაყაიშვილი გატაცებით ეწეოდა არქეოლოგიურ მოღვაწეობას; იგი იმდენად დაკავებული იყო ამ საქმით, რომ სხვა რამისათვის ველარ იცლიდა. ერთხელ ექვთიმეს ძმა ნიკოლოზი გახდა ავად. იგი ოზურგეთში ცხოვრობდა. მოუცლელობის გამო ექვთიმემ ვერ მო-

[1]გრაფინია პრასკოვია უვაროვა გრაფ ალექსი უვაროვის ქვრივი იყო. ის იყო თაოსანი მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების დაარსებისა. მის სახელთანაა დაკავშირებული ბევრი სასარგებლო საქმე კავკასიაში (კერძოდ საქართველოში) არქეოლოგიის მხრივ. გრაფინია უვაროვასთან უშუალოდ თანამშრომლობდა ექვთიმე თაყაიშვილი.

ახერხა მასთან ჩასვლა, წამლები და ექიმები კი დროულად მიაშველა. ძმა მეტად ნაწყენი დარჩა და გაბრაზებულმა მოსწერა, შენ მხოლოდ მაშინ ჩამოხვიდოდი, რომ მეცნობებინა: „Наидена археологическая жестунька“-ო.

ე. თაყაიშვილის დიდი დაკვირვებულობის შედეგი იყო „ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერის აღმოჩენა. ეს ხელნაწერი ექვთიმემ ქართლში მოგზაურობის დროს გაპარტახებულ სახლში იპოვა, ნაგავში. ე. თაყაიშვილი ყოველთვის ცდილობდა, რომ ყველაფერი, რასაც აღმოაჩენდა, გამოეცა პირველივე სახის ინტერპრეტაციაში. ასევე მოიქცა აღნიშნული ხელნაწერის მიმართაც — 1920 წელს მაისში წინასიტყვაობით თბილისის უნივესიტეტის გამომცემლობამ „ხელმწიფის კარის გარიგება“ გამოსცა[1]. მიუხედავად იმისა, რომ ხელმწიფის კარის გარიგებამ ჩვენამდე მთლიანად ვერ მოაღწია, მისი მნიშვნელობა მეტად დიდია.

შინაარსის მიხედვით ხელნაწერი ორ ნაწილად იყოფა. პირველში გადმოცემულია მეფე გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) სამართლის შესახებ ე. წ. ძეგლისდება მთიულთადმი, დანარჩენი ნაწილი კი შეიცავს ხელმწიფის კარის გარიგებას. გიორგი ბრწყინვალის სამართალი (ძეგლისდება) აქ პირველად გვხვდება ცალკე ხელნაწერში. ადრე ეს ძეგლი ცნობილი იყო მხოლოდ ვახტანგ მეფის ქართულ სამართალთა კრებულიდან.

ხელნაწერის ქაღალდის ფილიგრანზე დაკვირვების შედეგად ე. თაყაიშვილი ასკვნის, რომ იგი XVII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს გადაწერილი.

ცნობა იმის შესახებ, თუ როდისაა შედგენილი „გარიგება ხელმწიფის კარისა“, არ არსებობს. ამის გამორკვევის საშუალებას ე. თაყაიშვილი შინაარსში ეძებდა. ამგვარად დადგენა დროისა თავისებური მეთოდით: საჭიროა განისაზღვროს მოხსენებული ისტორიული პირების მოღვაწეობის დრო. ამით შეიძლება გამოირკვეს, რომელ საუკუნეებზე ადრე იქნებოდა შეუძლებელი ამ ძეგლის შექმნა და რომელი საუკუნის შემდეგ ვერ წარმოიშობოდა იგი.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ბევრი ისტორიული პირია მოხსენიებული. ასე მაგალითად, ტექსტში ვკითხულობთ:

„ამიერი ბედიელი მოსაფლავეა და ქუთათელი მოსაფლავე არის“ (მეფისა), „დიდი გიორგი, რომელმან ბასილი ბერძენთა მეფე გააქცია, მისსა (ქუთათელის) საყდარსა შიგან არის“.

იბადება კითხვა: „ვინ არის ეს გიორგი მეფე?“ აქ საჭიროა გადავხედოთ საქართველოს ისტორიას. ბერძნების მეფეს ბასილ მეორეს ეომებოდა ბაგრატ IV მამა გიორგი I, რომელიც მეფობდა 1014-1027 წლებში. იგი მართლაც ქუთაისის ტაძარშია დაკრძალული. ბედიაში, როგორც ვიცით, დაკრძალულია ბაგრატ III, გიორგი I მამა, რომელიც გარდაიცვალა 1014 წელს ე. ი. რაკი ასეთი ფაქტებია მოხსენიებული „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, იგი არ შეიძლებოდა შედგენილი ყოფილიყო XI საუკუნეზე ადრე.

„ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენებულია ცნობილი მოღვაწე და მეცნიერი არსენ იყალთოელი, რომელიც ცხოვრობდა XII საუკუნის პირველ ნახევარში; თამარის მამა გიორგი III, რომელიც გარდაიცვალა 1184 წელს. მოხსენიებულია, თუ ვის რა თანამდებობა უბოძა თამარ მეფემ. როგორც ცნობილია, თამარი 1212 წელს გარდაიცვალა. მაშასადამე, აღნიშნული ძეგლი XIII საუკუნის დამდეგამდე ვერ შეიქმნებოდა.

ე. თაყაიშვილმა მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინების შემდეგ დაადგინა, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ შედგენილია არა უადრეს მეცამეტე საუკუნის დასასრულისა და

[1] პროფ. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, თბილისი, 1920 წ.

არა უგვიანეს მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისა[1].

ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია საკითხს, თუ სად არის შედგენილი „გარიგება ხელმწიფის კარისა“ და გვაქვს თუ არა ცნობა ამ ძეგლის შესახებ ლიტერატურაში. იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც აღნიშნულ ძეგლშია, შეიძლება ითქვას, რომ იგი შექმნილია დასავლეთ საქართველოში, იმერეთში. ძეგლის ავტორის სიტყვით ა მ ე რ ი მაჩვენებელია იმერეთისა, დასავლეთ საქართველოსი, ხოლო იმერი — აღმოსავლეთ საქართველოსი და ზემო ქართლისა.

„ამიერი ბედიელი — ნათქვამია „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ — მოსაფლავეა და ქუთათელი მოსაფლავეც არის“.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ რომ აღმოსავლეთ საქართველოში იყოს დაწერილი, ავტორი იტყოდა, „იმიერი ბედიელი“ და სხვ. აღნიშნულს თვით ტექსტი ადასტურებს: „რა სწორად ეპისკოპოსნი მოვიდნენ იმერით იშხნელი, მაწყვერელი, ანჩელი, მტბევარი და ვოლგოთელი, მათ რაჲ ეთაყვანენ; ხელნი მეფემან ნოხთა ზედა დასხნეს“. ყველა აქ ჩამოთვლილი ეპისკოპოზნი აღმოსავლეთ საქართველოდან არიან, როგორც ავტორი ამბობს, ი მ ი ე რ ი დ ა ნ. ეს მაგალითები ცხადჰყოფენ, რომ „ხელმწიფის კარის გარიგება“ იმერეთშია დაწერილი. ე. თაყაიშვილი დაკვირვებების შემდეგ იმასაც კი ასკვნის, რომ იგი გელათში ან გელათის მახლობლად უნდა იყოს შედგენილი.

ვახუშტი ბაგრატიონი თავისი თხზულების რამდენიმე ადგილას იხსენიებს იმერულ „ძველ გარიგების წიგნს“. ეს უსათუოდ „ხელმწიფის კარის გარიგება“ უნდა იყოს; საერთოდ, როგორც მეცნიერები ფიქრობენ, ეს ძეგლი ვახუშტი ბაგრატიონს წყაროდ გამოუყენებია.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ იშვიათი ძეგლია. მისი მსგავსი ძეგლი ჩვენ მხოლოდ ერთი მოგვეპოვება. ეს არის დ ა ს ტ უ რ ლ ა მ ა ლ ი, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარშია შედგენილი და გამოცემული ვახტანგ მეფის მიერ. [illegible] არის კანონმდებლობა [illegible] ნგება სამეფოსა დარბაზობისა“. ამ კანონმდებლობის გამოცემის მიზანი იყო, „რათა ყოველნი ხელისუფალნი და მოქმედნი დარბაზის რიგისანი ესრეთ (როგორც დასტურლამალშია) იქცეოდნენ და განაგებდნენ თავს თვსნი მოხელენი სახელოთა თვსთა და წესითა შემსგავსებითა იქცეოდენ“. აკად. ე. თაყაიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვახტანგ VI არ იცნობდა „ხელმწიფის კარის გარიგებას“. ეს იქიდან ჩანს, რომ იგი არსად არ მოიხსენიებს მას.

ამასთანავე არსად არ მოჰყავს შედარება, ძველად ასე და ასე იყო, ახლა კი ასე არისო. ვახტანგ მეექვსე აკანონებს იმას, რაც ჯერ კიდევ როსტომ მეფის დროს იყო შემოღებული XVII საუკუნეში და ზოგ რაიმეს თავისას უმატებს.

„ხელმწიფის კარის გარიგება“ განსხვავდება „დასტურლამალისაგან“. იგი ოფიციალურ აქტს არ წარმოადგენს. ეს ძეგლი მეფეთა მიერ კი არაა გამოცემული, არამედ შედგენილია რომელიმე კარისკაცის მიერ პრაქტიკული საჭიროებისათვის. „ხელმწიფის კარის გარიგება“ არის სახელმძღვანელო კარისკაცებისათვის, ხელისუფალთათვის და საერთოდ ყველა მოხელისათვის. ესაა სახელმწიფოს მართვა-გაწგეობის კრებული, რომელიც სხვადასხვა მეფის მიერ იყო დაკანონებული.

ე. თაყაიშვილი ტექსტის გაანალიზების საფუძველზე ასკვნის, რომ „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი კარისკაცია, რომელსაც სხვადასხვა წყაროები გამოუყენებია[1].

აღნიშნულ ძეგლს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს წესწყობილების, სახელმწიფო ყოფა-ცხოვრებისა და შინაგანი ორგანიზაციის შესასწავლად.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ აღ-

[1] „ხელმწიფის კარის გარიგება“, ე. თაყაიშვილის წინასიტყვაობა, გვ. VIII.

[1] იქვე, გვ. XV.

მოჩენა ე. თაყაიშვილის მიერ უთუოდ დიდი საქმე იყო.

უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ე. თაყაიშვილის მოგზაურობებს სამხრეთ საქართველოში ე. წ. „თურქეთის საქართველოში“. ეს არის საქართველოს სამხრეთი ნაწილი, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ოქტომბრის რევოლუციამდელი რუსეთის ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად, ეს იყო ყარსის ოლქის ორი „ოკრუგი“, არტაანისა და ოლთისისა და აგრეთვე ბათომის ოლქის მცირე ნაწილი“[1].

ე. თაყაიშვილმა საქართველოს სამხრეთ ნაწილში (თურქეთის საქართველოში) სამჯერ იმოგზაურა.

პირველი ექსპედიცია მოეწყო 1902 წელს. ექსპედიციაში ე. თაყაიშვილთან ერთად მონაწილეობდნენ ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი და ფოტოგრაფი ალექსანდრე მამუჩაიშვილი. ახალციხის და ახალქალაქის ზოგ ძეგლებთან ერთად მაშინ მათ გამოიკვლიეს არტაანის ოლქის ძეგლებიც და ოლთისის ოლქის ნაწილი.

მეორე ექსპედიცია 1907 წელს მოეწყო. ექსპედიციის შემადგენლობაში იყვნენ ხუროთმოძღვარი ანატოლი კალგინი და მოხალისე ფოტოგრაფი ედუარდ ლიოზენი. გამოკვლეულ იქნა არტაანის ოლქის კოლას რაიონის ძეგლები და დამთავრდა ოლთისის ოლქის შესწავლა.

მესამე ექსპედიცია 1917 წელს მოეწყო.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ისტორიული ძეგლები შესწავლას და გამომზეურებას ელოდნენ და ექვთიმეც დიდი მონდომებით ეწეოდა ამ საქმეს. იგი იგონებს: „საქართველო დავიარე და დავინახე, თუ რა უზარმაზარი მასალაა განწირული [illegible] წყებისა და ხშირად დალუპვისთვის[illegible] პირდაპირ ამიტანა ფანატიკურმა მისწრაფებამ, რაც შეიძლება მე[illegible] რო, მით უმეტეს, რომ ჩემ[illegible] ვეებთაგან არავინ მისდევდა ამ საქმეს“.

ე. თაყაიშვილმა საკუთარი თვალით იხილა საქართველოს თითქმის ყველა მიწისზედა ძეგლი, თავად განიცადა ბევრი მათგანის სიდიადე. სამწუხაროდ. ბევრი მათგანის სახელი არ იცის ისტორიამ, ისინი უკვალოდაა გამქრალი.

სვეტიცხოვლის ერთ კედელზე გამოკვეთილი არსაკიძის მარჯვენა მნახველს მოაგონებს ხუროთმოძღვრის უკუღმართ ბედს.

საქართველოში ხშირად მიუვალ ადგილას აგებდნენ ტაძრებს, რათა მტრების თავდასხმები აეცილებინათ თავიდან. ე. თაყაიშვილი ცდილობდა ასეთი ტაძრებიც არ გამორჩენოდა მხედველობიდან. კოლა-ოლთისში მოგზაურობისას სოლომონისის მღვიმე-ეკლესიაზე მოუსურვებია ექვთიმეს ასვლა. ასასვლელი მეტად ძნელი იყო. მის თანმხლებ ფოტოგრაფს უარი უთქვამს ასვლაზე. ექვთიმე კოჭლი იყო, და, რა თქმა უნდა. ასვლა გაუჭირდებოდა. მაშინ მცხოვრებლები (მესხები) მიხმარებიან მას და ხელით აუყვანიათ, ამის შემდეგ ფოტოგრაფს შერცხვენია და დიდი წვალებით თავადაც ასულა. ექვთიმე შემდგომში ხუმრობით იგონებდა: „იქაურ მაზრის უფროსს რომ ჩემი გაჭირვება შეუტყვია, საფეხურები ამოუჭრევინებია კლდეზე და მიუვალი ეკლესია მისადგომი გაუხდიათ“.

ე. თაყაიშვილი დიდად ზრუნავდა ჩვენი მატერიალური კულტურის ძეგლების შენახვაზე, მათ მოვლა-პატრონობაზე; ამიტომ იყო, რომ იგი გაცხარებით მიმართავდა საქართველოს მთავრობას: „სამკაულნი, ჯვარ-ხატები, ნაქსოვ-ნაკერნი, ქანდაკებანი და მხატვრობანი, ფრესკები და მინიატურები, ყვე-

[1] რუსეთის იმპერიამ 1878 წლის ბერლინის ხელშეკრულებით ეს მხარე მიიღო. მაგრამ 1921 წელს არტაანისა და ოლთისის ოკრუგები, ბათუმის ოლქის მომეტებული ნაწილი ისევ მიიტაცეს თურქებმა. თურქების მიერ საქართველოსაგან მიტაცებული მიწაწყლის საერთო სივრცე 13072 კვ კილომეტრს უდრიდა, ხოლო მოსახლეობის რიცხვი 250 000-ს აღემატებოდა.

ლაფერი ეს უმეტესად ეკლესია-მონასტრებშია დაცული და მათი უყურადღებოდ დატოვება, განადგურება და მოუვლელობა არა თუ არ ეპატიება, არამედ დანაშაულად და ბარბაროსობად ჩაეთვლება ყველა მის მთავრობას, მთელს სახელმწიფოს, ერს და ხალხს“[1].

ე. თაყაიშვილმა მოასწრო ბევრი თავისი აღწერილი ძეგლის გამოცემა. ამასთან იგი ცდილობდა ისტორიული ცნობებითაც გაემდიდრებინა ეს გამოცემები.

აი ზოგიერთი ამ ისტორიულ ძეგლთაგანი, რომელიც ე. თაყაიშილმა აღწერა:

ზარზმის მონასტერი ახალციხიდან 35 ვერსის მოშორებით მდებარეობს ქვაბლიანის წყლის ხეობაში. გარშემო მთები არტყამს მონასტერს. ძნელია გაარჩიო, რა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს, გარემო თუ ეს შესანიშნავი ნაგებობა.

ზარზმის მონასტრის შესახებ ცნობებს გვაწვდის ცნობილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. ეს მონასტერი ვახუშტიზე უფრო ადრე არსებობდა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა XVI საუკუნის II ნახევარში სამცხე-საათაბაგოში თურქებმა ძალად დაიწყეს მოსახლეობის გამაჰმადიანება, ზარზმის მონასტრის მთელი ქონება გადაიტანეს გურიაში შემოქმედის ეკლესიაში. ზარზმა კი დატოვებულ იქნა. ვახტანგ გურიელმა 1572 წელს შემოქმედის მონასტრის მახლობლად ააგებინა ახალი მონასტერი. მას დაარქვა ზარზმა.

გურიაში ცხოვრობენ მგალობლიშვილები, რომელთაც მიაწერენ ახალციხის ზარზმის დაარსებას. ისინი პირველად ბალაძეები ყოფილან. მათი წინაპარი გურიაში მოუწვევიათ, როგორც მგალობელი და გამომდინარე აქედან მისი შთამომავლობა ცნობილია მგალობლიშვილის გვარით. იმის შესახებ, რომ ბალაძეებმა ჩაუყარეს საფუძველი ზარზმის მონასტერს, გადმოცემა არის:

„სამმა ძმამა ბალაძემა
ზარზმას დადვა ზალავერი ...“

ზარზმის მონასტრის აღწერის საქმეში გარკვეული დამსახურება მიუძღვით აკადემიკოს მ. ბროსესა და დ. ბაქრაძეს.

ე. თაყაიშვილმა ეს მონასტერი საფუძვლიანად შეისწავლა თავისი წარწერებითა და ფრესკებით.

დღემდე გვაქვს შემორჩენილი გუმბათოვანი ტაძარი და დიდი სამრეკლო. იგი აშენებულია XIV საუკუნეში ბექა ჯაყელის მიერ. ზარზმის ტაძარს მეტად მიმზიდველს ხდის სამხრეთის კარიბჭე, რომელსაც სამი ღია თაღი აქვს. XVI საუკუნეში მიტოვებული ტაძარი ჟამთასვლამ გაცრიცა. ტაძრის მხატვრობა XX საუკუნის დასაწყისში იქნა განახლებული, ამჟამად ყველა ის ძვირფასეულობა, რომელიც ზარზმიდან შემოქმედში იქნა წაღებული, ინახება თბილისში, ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

ს ა ფ ა რ ი ს მონასტერი მდებარეობს ქ. ახალციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით 7 კილომეტრის მოშორებით. იგი სამცხის მფლობელ ჯაყელთა რეზიდენციას წარმოადგენდა.

საფარის შენობათაგან უძველესია მიძინების ეკლესია, რომელიც X საუკუნეშია აგებული. სხვა ნაგებობები უფრო გვიანდელი დროისაა (XVI-XVII საუკუნეები). თურქების შემოსევის შემდეგ საფარა დაცარიელდა. იგი თურქების ხელში იყო 1828 წლამდე, სანამ ახალციხე კვლავ არ შემოუერთდა საქართველოს. XIX საუკუნეში საფარაში რუსის ბერები დამკვიდრდნენ და განაახლეს სამლოცველოები.

დღეს საფარა დაცულია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი ქართული კულტურისა.

მონასტრის ნაგებობანი მთებშია შეფარებული. დასავლეთის მხრივ მათ ცოხე დაჰყურებს მონასტრის შესასვლელ-

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი. ე. თაყაიშვილის პირადი ფონდი, საქმე № 1014.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან მარცხნივ შემორჩენილია წმინდა სტეფანეს სამლოცველო.

შევიწროებული კლდის ნაპირზე საგანგებოდ ამოშენებულ ბაქანზე დგას გუმბათოვანი ტაძარი ე. წ. წმინდა საბა. ტაძარი მდიდრულადაა მოჩუქურთმებული. ტაძრის წარწერებს შორის ერთ-ერთი გვამცნობს, რომ ამშენებელი ხუროთმოძღვარია ფარეზასძე.

შიძინების ეკლესიის შიგნით მეტად საინტერესოა სვეტისთავების მორთულობა. ამ ეკლესიაში იდგა XI საუკუნის კანკელი შესანიშნავი ჩუქურთმებითა და რელიეფური ქანდაკებებით. ამ ნაკეთობის ზოგიერთი შემორჩენილი ნაწილი დღემდის ინახება ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისში.

საფარის ნაგებობანი ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

1907 წელს კოლა-ოლთისსა და ჩანგლში თავისი არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ე. თაყაიშვილმა აღწერა ბ ა ნ ა ს დიდი მრგვალი ტაძარი. ბანას ტაძრის ნანგრევები დაცულია ბანას წყლის მარჯვენა ნაპირზე. „ამ წყალზედ — ამბობს ვახუშტი ბაგრატიონი, არს ბანა... აქ არს ეკლესია გუნბათიანი, დიდი, მშვენივრად ნაგები, კეთილ-შვენიერ ადგილს“.

ბანას ეკლესიის აშენების დრო გარკვევით აქვს აღნიშნული ბაგრატიონთა ისტორიკოსს სუმბატ დავითის ძეს. იგი წერს: „ადარნასე, ძე დავით კუროპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ... და ამან ადარნასე... (881-923), აღაშენა ბანა“...

ბანას ტაძარი აშენებულია ზემოთ დავაკებულ მრგვალ ბორცვზე. ესაა უზარმაზარი ნაგებობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან ჰარმონიულად შეერთებული ნაწილისაგან, ერთია თავად ეკლესია, ხოლო მეორე — შემოსასვლელი.

შინაგანი ეკლესია ჯვარის გამოსახულებისაა. ჯვრის კუთხეებში ამოყვანილია სამსართულიანი ოთახები, რომლებიც თავიანთი სქელი კედლებით ეკლესიის ბურჯებსაც შეადგენენ.

1843 წელს ბოტანიკოსმა კარლ კოხმა ინახულა ბანას ტაძარი. [illegible] ცებაში მოსულა ნაგებობების სიმშვენიერით და აღფრთოვანებულს [illegible] „ეს, ეჭვს გარეშე, ყველაზე [illegible] მაზი, ყველაზე უფრო მშვენიერია მათ შორის, რაც მე ამგვარი რამე მინახავს მთელ აღმოსავლეთში, კონსტანტინეპოლის გამოკლებითო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბანას ტაძარი დროთა განმავლობაში მოუვლელობის გამო ინგრეოდა. 1881 წელს, როდესაც დ. ბაქრაძემ ნახა ბანას ტაძარი, მას მხოლოდ გუმბათი ჰქონდა ჩაქცეული. ე. თაყაიშვილმა ეს ტაძარი 1902 წელს ნახა. მაშინაც ძალზე დანგრეული იყო, ხოლო 1907 წელს კი სურათი უფრო სამწუხარო იყო. ისიც კი, რაც 1902 წელს ფოტოგრაფირებული იყო (ორნამენტები) უკვე ჩამონგრეული იყო.

ბანას ტაძარი შიგნით ფრესკებით ყოფილა შემკული. ფრესკები ძალზე ცუდად შემოინახა.

ბანას დიდი ტაძრის გვერდით მოიპოვება პატარა ეკლესიის ნანგრევები ჩრდილოეთის მხრით. ამ ეკლესიის გეგმა მეტად ლამაზია და საინტერესო, კედლები მხოლოდ სანახევროდაა დაცული. ნაშენებია თლილი ქვით.

ბანას სამხრეთ-აღმოსავლეთით უმართავს მაღალი კლდოვანი მთა, რომლის ნაპრალებში მღვიმეები ჩანს. მღვიმეების წინაპირი ქვითკირის კედლითაა ამოშენებული, კედლებში დატანებულია სარკმელები, მღვიმეთა დარბაზები ერთმანეთთან კამარებითაა შეერთებული. ერთ-ერთ ნათგანში პატარა ბაზილიკური ტიპის ეკლესიაა, ერთფანჯრიანი. ბანას მიდამოებში სხვაც ბევრია ასეთი ნაგებობა, რაც უსათუოდ საინტერესოს ხდის ამ მხარეს.

ე. თაყაიშვილის მიერ პარიზში 1938 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისსა და ჩანგლში 1907 წელს“ სხვა

---

რონ მეტრეველი
ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი

ისტორიულ ძეგლებს გარდა მოთხრობილია ქალაქ ოლთისისა და მისი ღირსშესანიშნაობების შესახებაც.

ქალაქი ოლთისი გაშენებულია მდინარე ოლთისის წყლის ორივე ნაპირზე. ძველი ქალაქი, ციხე და შენობათა უმეტესი ნაწილი მარჯვენა ნაპირზეა მოთავსებული. ნაპირები ერთმანეთთან ხის დიდი ხიდითაა შეერთებული. ოლთისის ციხე გაშენებულია მაღალ კლდოვან გორაკზე ოთხკუთხედად და მიმართულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. შუა ციხეში არის მოედანი სხვადასხვა შენობათა ნაშთებით. ერთი მათგანი შეიცავს ძველ თაღებიან დარბაზს, საიდანაც მიწაში მიდის სამალავი გვირაბი, რომელიც ქალაქთან იყო დაკავშირებული. როდესაც მტერი შემოესეოდათ, მოსახლეობა ქალაქიდან სამალავ გვირაბში მიემართებოდა. აქედან ციხეშიც შეიძლებოდა მოხვედრა და თავის დაცვა.

ოლთისის ციხის მოედნის ჩრდილოაღმოსავლეთით დარჩენილია ძველი ეკლესიის ნანგრევები. ეკლესიის კედლებზე ნათლად ჩანს ფრესკების კვალი. აღნიშნული ადგილები ე. თაყაიშვილზე ადრე შეისწავლა დ. ბაქრაძემ. როგორც ირკვევა, ამ უკანასკნელის მოგზაურობის დროს უფრო მეტი იყო დაცული, ვიდრე შემდგომ...

ოლთისის ციხეს დასავლეთის მხრით გარს ეკვრის კიდევ ერთი მოედანი, რომელზედაც ამ მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დაცულია ერთნავიანი ბაზილიკური ნაგებობის ეკლესია. შიგნით ეკლესია სხვადასხვაგვარი ქართული ორნამენტებითაა შემკული. კედლებში ჩატანებულია ქვები, რომლებზედაც ჯვრებია გამოკვეთილი. ამ ეკლესიაში ინახება სომხური ხელნაწერი სახარება, ბომბიცინაზე დაწერილი ორ სვეტად. ეს ხელნაწერი 1605 წელსაა გადაწერილი, მის ხის ყდაზე შავი ტყავია გადაკრული. სახარება შემკულია სხვადასხვა სახის ფერადი მინიატურებით.

ოლთისში არის ე. წ. მიზგითა ანუ ჯამე, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მთელს ყარსის ოლქში. ესაა ქართული ჩუქურთმებით შემკული ლამაზი გუმბათიანი შენობა. ჯამეს ხუროთმოძღვარს სავსებით გამოუყენებია ყველა ის ორნამენტი, რომლებიც ამშვენებენ ქართული ხუროთმოძღვრების საუკეთესო ძეგლებს და მათ შორის ბანას. ჯამეს ირგვლივ არსებული ასომთავრული წარწერები მოგვითხრობენ, რომ ჯამე აშენებულა ასლან ფაშას მიერ მე-17-ე საუკუნეში. ასლან ფაშა ტომით ქართველი იყო, ათაბაგთა ჩამომავალი. აღმოსავლეთით ჯამეს ასლან მეფის სასახლე ეკვროდა. ეს სასახლე ე. თაყაიშვილს არქეოლოგიური მოგზაურობის პერიოდში აღარ დახვედრია.

სამხრეთი საქართველო ძველად ტაოს სახელით იყო ცნობილი. ასე უწოდებს მას ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მწერალი ქსენოფონტე. ეს სახელი დღეს აღარ ეწოდება ამ მხარეს, მაგრამ არსებობს დაბა, რომელსაც ტ ა ო ს კ ა რ ი ეწოდება.

ტაოსკარი მდებარეობს იქ, სადაც ტაოსკარის წყალი ერთვის სულუჩურის წყალს. ეს ქვაბური ყოველმხრივ შემოზღუდულია მაღალი კლდოვანი მთებით. ტაოსკარის მოსახლეობას, როგორც ე. თაყაიშვილი გვიამბობს, გამაჰმადიანებული ქართველები შეადგენდნენ. ტაოსკარში დაცულია ორი ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევი. უმთავრესი მათ შორის ეკუთვნის მრგვალი რიგის ეკლესიათა რიცხვს. მისი გეგმა მეტად ორიგინალურია—გარედან შემკულია ლამაზად ნათალი ქვებით, გუმბათის ყელიდან აღმოსავლეთი ნაწილის დარჩენილი ერთი ფანჯრით. ექვთიმე განუცვიფრებია ამ უნიკალურ ნაგებობას. დ. ბაქრაძემ ეს ძეგლები ინახულა 1881 წელს. მის დროს ფრესკები დაცული ყოფილა.

ტაოსკარიდან ექვთიმე ოლორში ჩავიდა. გზად გამოუვლია სოფელი კიახი, სადაც 12 გამაჰმადიანებული ქართველი გლეხი უნახავს. აქედან სოფლების არკუნისისა და კალადიბის გავლით მან ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ს მიაღწია. ეს იყო ფანასკერტელი ერისთავების სამყოფი. ე. თაყაიშვილი ელოდა, რომ აქ უამრავ

სიძველეებს ნახავდა, მაგრამ იმედები გაუცრუვდა. მან არა თუ ეკლესიები ვერ ნახა, საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილი ფანასკერტელთა ციხეც დანგრეული დაუხვდა. ფანასკერტში მხოლოდ ძველი ეკლესიებისა და ციხის ქვებია შემორჩენილი. აქედან ე. თაყაიშვილი მოგზაურობს ხოშევანქში, კარნავაზში, ულამში, ხოსორში, ანზავში. შემდგომ ბრუნდება ყარსში და მიემგზავრება ქალაქ ყალიმანის მახლობლად მდებარე სოფელ ჩანგლში.

ექვთიმემ აღწერა ჩანგლის ჯვარის ტიპის ეკლესია, განსაკუთრებული მნიშვნელობა მისცა მის ქართულ წარწერებს.

ე. თაყაიშვილის 1907 წ. არქეოლოგიური მოგზაურობა კოლა-ოლთისსა და ჩანგლში მეტად დიდი მნიშვნელობისა იყო. შესწავლილ იქნა მეტად დიდი ისტორიული მასალა. მართალია, ბევრი ისტორიული ძეგლის არქეოლოგიური აღწერა პირველად არ ხდებოდა, მაგრამ ექვთიმეს მაინც შეჰქონდა კორექტივები ძველში, ბევრს ახალს ნახულობდა ისეთს, რამაც დიდი როლი ითამაშა შემდგომში ჩვენი ისტორიის რიგი საკითხების გაშუქების საქმეში.

ე. თაყაიშვილმა იმოგზაურა და აღწერა:

1. კახეთში: ალავერდი, შუამთა, ბოდბე, თელავი, გრემი, იყალთო, ახმეტა და სხვ.

2. იმერეთში: საჩხერე, ჯრუჭი, კაცხი, ქუთაისი, გელათი და სხვ.

3. სამეგრელოში: მარტვილი, ცაიში, ზუგდიდი, წალენჯიხა, ბანძა, აბაშა, სუჯუნა და სხვ.

4. რაჭაში: გლოლა, ჭიორა, ღები, ონი, წესი, მრავალძალი, სხვავა, ბუგეული, ნიკორწმინდა და სხვ.

5. ლეჩხუმ-სვანეთში: ლაბეჭინა, საირმე, ლაჯანა, ორბელი, ლენტეხი, ჩოლური, ლაშხეთი, უშგული და სხვ.

ე. თაყაიშვილმა 1937 წელს საფრანგეთში, პარიზში გამოსცა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი (400 გვერდზე მეტი) „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს". მან ლეჩხუმ-სვანეთის კულტურის ძეგლების აღწერასთან ერთად მნიშვნელოვანი დასკვნებიც გააკეთა, აღნიშნულ წიგნში ე. თაყაიშვილმა ძირითადად განიხილა ქრისტიანული დროის კულ[illegible]ლები. მას მიაჩნია, რომ [illegible] სვანებმა მიიღეს ბიზანტიიდან. როდესაც აფხაზები და საქართველო გაერთიანდა ბაგრატ III უფლების ქვეშ 980 წელს, სვანეთი საქართველოს ნაწილი გახდა (მანამდე აფხაზთა სამეფოში შედიოდა). ამის შემდგომ საქართველოს მეფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ სვანეთს. იფარის ეკლესია დავით აღმაშენებლის მხატვრის მიერ არის ფრესკებით მოხატული. ამავე ეკლესიაში ხვთისმშობლის ხატზე წარმოდგენილია დავით V და იხსენიება მისი მეუღლე გვანცა. მუხერის მთავარ ანგელოზის ხატის წარწერაზე ვკითხულობთ: „ადიდენ მეფენი ბაგრატოანნი, დადიანნი და დიდებულნი და ერთობილი საქართველო და ერთობილნი სანნი".

წინათ ფიქრობდნენ, რომ სიმრავლე ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა სვანეთში აიხსნებოდა იმით, რომ აქ ეზიდებოდნენ სხვადასხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად მტერთა შემოსევის დროს. ე. თაყაიშვილმა დაამტკიცა, რომ ცხრა მეათედი ჯვარ-ხატებისა თვით სვანეთშია დამზადებული. ამას ნათლად მოწმობენ სვანიზმები წარწერებში. საერთოდ ოქრომჭედლობა სვანეთში დიდად განვითარებული ყოფილა. ე. თაყაიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა სვანეთში არქეოლოგიური გათხრების აუცილებლობაზე და იწინასწარმეტყველებდა... 

ე. თაყაიშვილის არქეოლოგიურ მოგზაურობებს საქართველოს მოსახლეობა ფართოდ უჭერდა მხარს და შეძლე-

[1] ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937 წ. გვ. 435

ბისდაგვარად ხელსაც უწყობდა. განსაკუთრებით სამღვდელოება იყო ამით დაინტერესებული. გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდეს მიერ 1913 წლის 9 აგვისტოს გამოცემულ ცნობაში ვკითხულობთ: „ამით ვაცნობებ ჩემდამი რწმუნებულ გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებას, რომ ხსენებულ ეპარქიაში მოგზაურობს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბ. ექვთიმე თაყაიშვილი საეკლესიო სიძველეთა შესასწავლად, ამიტომ ვთხოვ ეკლესიების წინამძღვრებს და ბლაყოჩინებს აღმოუჩინონ დასახელებულ თაყაიშვილს ყოველგვარი დახმარება და უსათუოდ უჩვენონ რაც კი შესანიშნავი რამ არის ეკლესიებში“[1].

ე. თაყაიშვილის არქეოლოგიურ მოგზაურობათა შორის უმნიშვნელოვანესია 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. ეს ექსპედიცია საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ მოაწყო. მოწვეულ იქნენ სამოქალაქო ინჟინერი ა. კ ა ლ გ ი ნ ი, მხატვარი დ. შ ე ვ ა რ დ ნ ა ძ ე, მოხალისე ხუროთმოძღვარი ი. ზ დ ა ნ ე ვ ი ჩ ი, მხატვარი ლ. გ უ დ ი ა შ ვ ი ლ ი და კინორეჟისორი მიხეილ ჭ ი ა უ რ ე ლ ი, რომელიც იმ ხანად მხატვრობას ეწეოდა. ექსპედიციაში საქართველოს სამღვდელოების რჩევით შეყვანილ იქნა ვარძიის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი ი პ ო ლ ი ტ ე. ამ უკანასკნელს სურდა ექსპედიციის სხვა წევრებთან ერთად გასცნობოდა ხახულის, ოშკისა და იშხნის მონასტერთა ნაშრომებს. თბილისში მობრუნების შემდეგ იგი ისევ უნდა გამგზავრებულიყო თორთუმის ხეობაში, რათა მიეღო ზომები ამ ძეგლების დასაცავად და შესაკეთებლად[2].

1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის დიდი ნაკლი იყო ის, რომ არ ჰყავდათ სპეციალისტი ფოტოგრაფი. კავკასიაში განთქმული ფოტოგრაფი დ. ერმაკოვი, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა ე. თაყაიშვილთან ერთად ემოგზაურა „თურქეთის საქართველოში“, უკვე ცოცხალი აღარ იყო. ექსპედიციამ წაუყვანა სამხედრო უწყებას (ომი იყო და სამხედრო უწყების ნებართვის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლებოდა) ფოტოგრაფის რამდენიმე კანდიდატურა, მაგრამ თანხმობა ვერც ერთზე ვერ მიიღო. მაშინ ფოტოგრაფობა თვითონ ექსპედიციის წევრებმა იკისრეს.

ექსპედიციას ფულადი დახმარება გაუწია თავადაზნაურობამ და სამღვდელოებამ, მაგრამ მარტო ფულით ამ დროს სამხრეთ საქართველოში ვერაფერს გახდებოდნენ. უშუალოდ დახმარების გასაწევად გამოყოფილ იქნა სამხედრო მოხელე ალექსანდრე დავითის ძე ც ი ც ი შ ვ ი ლ ი, რომელიც ე. თაყაიშვილის ნამოწაფარი იყო. ციციშვილს დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეუსრულებია.

1917 წლის 8 ივლისს არქეოლოგიური ექსპედიცია მატარებლით ყარსისაკენ გაემგზავრა. ყარსიდან ავტომობილით იმოგზაურეს, ჩავიდნენ მერდენკში, აქედან, ოლთისში, ხოლო ოლთისიდან ახპუსორის მაღალი უღელტეხილით გადავიდნენ თორთუმის ხეობაში და ხახულს მიაღწიეს.

ექსპედიციამ ხახულის მონასტრიდან დაიწყო მუშაობა. შემდგომ ინახულეს თორთუმი თავისი ციხით („თორთუმყალა“). ეს დიდი ციხე აშენებულია მაღალ მოგრძო კლდოვან კუნძულზე, რომელიც მდინარე თორთუმის წყალში მდებარეობს. ამ ციხეს ე. თაყაიშვილი ძალზე ამსგავსებდა ქალაქ გორის ციხეს. თემურ ლენგმა თავისი VI ლაშქრობა საქართველოში თორთუმის ციხიდან დაიწყო 1401 წ. აქ იყო გამაგრებული 200 ქართველი. ისინი თათრებს არბევდნენ და ხარკს არ იხდიდნენ. თემურის უზარმაზარმა ჯარმა დასცა ქართველთა სიმტკიცე. თორთუმის ციხეში 200-ვე ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

[1] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივი, ე. თაყაიშვილის პირადი ფონდი, საქმე № 1042.

[2] ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 3.

თველი ანჩოხოცეს[1]. თორთუმიდან ექსპედიცია ექეჭში გადავიდა ეკლესიის გასაზომავად. შემდეგ კვლავ დაბრუნდნენ ხახულში და აქედან ოშკისაკენ წავიდნენ. ოშკში მუშაობის დამთავრების შემდეგ იშხანი ინახულეს.

ექსპედიციამ მეტად დიდი საქმე გააკეთა: გაამზადა გეგმები ყველა ნანახი ეკლესიისა, მულაჟით გადმოიღო მრავალი ბარელიეფი და ასე ჩამოიტანა თბილისში. ამ ექსპედიციამ პირველად მოახდინა აღნიშნული ხერხით ქართული ძეგლების შესწავლა (სხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებს მულაჟით გადმოღება არ უწარმოებიათ). აღმოჩენილი და გადმოღებული იქნა მრავალი ძვირფასი წარწერა, გარკვეულ იქნა ზოგი მონასტრის სახელი, რომელიც ლიტერატურაში არ იყო ცნობილი.

დღეისათვის ეს ძეგლები, რომელიც ე. თაყაიშვილმა ამ მოგზაურობის დროს აღწერა, სანახავად ფართო საზოგადოებრიობისათვის მიუწვდომელია. აშკარაა, რომ ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ექვთიმეს ნაღვაწს.

იშხნის ტაძარი ანუ საყდარი ტაოში მდებარეობს, სოფელ იშხანში. სოფელი იშხანი მეტად ლამაზი მდებარეობისაა. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს იშხნის ციხე. ტაძარი მდებარეობს სოფლის დასავლეთით. იგი შორიდან მეტად კარგად მოსჩანს, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის მის მიმზიდველობას.

იშხნის ტაძარი IX საუკუნიდან ქართველი ეპისკოპოსების იშხნელების საჯდომი იყო. აქ წინათაც არსებობდა საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც აუგია მართლმადიდებელ ნერსე ეპისკოპოსს[2] VII საუკუნის პირველ ნახევარში.

იშხნის ტაძრის აშენების ისტორია ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა გამოაქვეყნა გიორგი მერჩულის თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. გრიგოლ ხანძთელი VIII—IX საუკუნეების მოღვაწე იყო. მან მონასტრები ააშენა კლარჯეთში. ამ მხარის თორმეტი მონასტრიდან ხუთი გრიგოლ ხანძთელმა და მისმა მოწაფეებმა ააშენეს. მათ ტაოში ერთადერთი ეკლესია აუგიათ — ესაა იშხნის ტაძარი. გრიგოლს ტაძრის მშენებლობის უშუალო ხელმძღვანელობა თავისი მოწაფისათვის საბასთვის (ს ა ბ ა ნ ი ს ა თ ვ ი ს) დაუვალებია. ტაძრის აგებაში ნივთიერი დახმარება გაუწევია აშოტ I შვილებს, ბაგრატ I კურაპალატსა და მის ძმებს.

საქართველოში, გარდა იშხნისა, სხვა საეპისკოპოსო საყდრებიც იყო. ანჩის, ტბეთის, ბანის, აწყურის. მათ შორის ყველაზე დიდი პატივი მეფის კარზე, როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ჩანს, იშხნელ ეპისკოპოსსა ჰქონდა.

იშხნის საეპისკოპოსო XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებობდა.

იშხნის ტაძრის გეგმა წარმოადგენს ცენტრალური გუმბათიანი ტაძრისა და ერთნავიანი ბაზილიკის გაერთიანებას. იშხნის ტაძრის გუმბათი და მისი ყელი დამყარებულია ოთხ დიდ, მაღალ და მძლავრ სვეტზე. ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია VII საუკუნის საეკლესიო ნაგებობის ნაშთს, რაც ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი და კარგად შეიმჩნეოდა. ეს ნაშთი დეტალურად იქნა ახაზული.

იშხნის ტაძარი, როცა ე. თაყაიშვილმა ინახულა იგი, ისეთი არ ყოფილა, როგორც თავდაპირველად. ის ძალზედ დაზიანებული იყო, ბევრი რამ აკლდა, ბევრიც სხვადასხვა დროს შეუკეთებიათ და შეუცვლიათ. თავდაპირველად იშხნის ტაძარი ნაშენი ყოფილა ცალკეული ქვის ნაჭრებით. 1032 წელს მეფე

[1] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. ნაწილი 1, ს. ჯანაშიას რედაქციით. თბილისი. 1946 წ., გვ. 232.

[2] ნერსე ეპისკოპოსი გახდა სომეხთა კათალიკოსი ნერსეს II. მან გაითქვა აღმაშენებლის სახელი. მის მიერაა აშენებული VII საუკუნის მეორე ნახევარში „მალვიძართა“ ტაძარი („ზვართნოცი“) ეჩმიაძინის მახლობლად;

ბაგრატ IV დროს (1027— 1072) ის განაახლეს. ძირითადად ტაძრის გარე მხარე გაულამაზებიათ. ე. თაყაიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ისტორიული წარწერის აღმოჩენა (ეს წარწერა ტაძრის მანამდე მნახველებმა ვერ შეამჩნიეს).

წარწერა მრავალმხრივაა საინტერესო. ეს იშხნის უძველესი წარწერაა. მასში მოხსენებულია ადარნერსე ანუ ადარნასე, რომელიც იყო ადარნასე II ტაოს ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელი და პირველი ქართველთა მეფე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის (889—923). წარწერაში ჩამოთვლილია ოთხივე შვილი ადარნასე II ქართველთა მეფისა, რომელნიც კარგად არიან ცნობილი სუმბატის ქრონიკიდან. წარწერიდან ირკვევა, რომ საჭირო ყოფილა ყველა ძმის ნებართვა იშხნის მთავარეპისკოპოსად სტეფანეს განწესებისათვის. აქედან ჩანს, რომ ბაგრატიონები ერთობლივ განაგებდნენ და ფლობდნენ ტაო-კლარჯეთს; ზნეობრივად უპირატესობა ეკუთვნოდა იმას, ვინც კუროპალატის ტიტულს ატარებდა.

ე. თაყაიშვილი აღტაცებაში მოიყვანა თექვსმეტწახნაგოვანი გუმბათის ყელის გარეგნულმა შემკულობამ. 1032 წელს ტაძრის განახლების დროს პროპორციები იგივე დარჩა, დამშვენებულ იქნა ფრესკებით. ამავე განახლების დროს ეკუთვნის გუმბათის ყელის ლამაზი მხატვრული შემკულობა. ეს თავის მხრივ მიუთითებდა იმაზე, თუ როგორ ყოფილა განვითარებული ქართული ჩუქურთმა XI საუკუნის პირველ ნახევარში.

იშხნის დიდ ტაძართან ე. თაყაიშვილმა ყურადღება მიაქცია პატარა ერთნავიან ეკლესიას, რომელიც აგებულია 1006 წელს გურგენ მეფეთა მეფის მიერ. ეკლესია ნაშენია მოვარდისფრო ყვითელი ქვებით, რომლებიც მოზაიკურადაა განლაგებული. ეს ეკლესია, როგორც ჩანს, სამგალობლო ყოფილა: ექვთიმე აღნიშნავდა: „ამ ტიპის ეკლესიებს დიდი სიმრავლით მოუღწევიათ ჩვენამდის, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება გურგენის ნაგებობა-სათ"[1].

ექსპედიციამ იშხნის ტაძარში [illegible] მნიშვნელოვან მასალე[illegible] შეისწავლა. საჭირო იყო ჩვენი ისტორიის სხვა ძეგლების უფრო დაწვრილებითი შესწავლა. ექსპედიციამ გეზი ოშკის მონასტრისაკენ აიღო.

ოშკის მონასტერი მდებარეობს მაღალი მთის ფერდობზე თორთუმის წყლის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც ეს მდინარე თორთუმის ტბას ერთვის. შემოსეული მტერი ხშირად კულტურის ძეგლებსაც ანადგურებდა. ასე დაიღუპა ბევრი არქიტექტურული ნაგებობა. ზოგი კი სხვადასხვა შემთხვევების გამო გადარჩა. გადარჩენილთა შორისაა ოშკის ტაძარიც. მაჰმადიანებს მისი სამხრეთი ნაწილი მიზგითად გადაუქცევიათ და ამის გამო იძულებული იყვნენ შენობაც მთლიანად დაეცვათ. შენობის დაცვა მხოლოდ გარეგნული მხრიდან მოხდა, ხოლო შიგ ბოსლად და საჯინიბოდ იყო გამოყენებული.

ექსპედიცია მონდომებით შეუდგა საქმიანობას. სანამ აზომვა-აგეგმვას დაიწყებდნენ, ტაძარი მთლიანად გაასუფთავეს. კარგად იყო დაცული ტაძრის შუა ნაწილი გუმბათებით და გუმბათის ყელით. ოშკის ტაძარი თავისი გეგმით ემსგავსება იშხანის ტაძარს, მაგრამ ოშკი უფრო გრანდიოზულია. სიგრძე 38,5 მეტრია, სიგანე 36 მეტრი. სიმაღლით ტაძარი 40 მეტრამდე აღწევს. ოშკის ტაძარი თავიდანვე აშენდა ლამაზად თლილი მოყვითალო-წითელი ფერის ქვით.

ტაძარს ოთხი კარი ჰქონდა. იგი უხვად იყო განათებული მრავალრიცხოვანი სარკმელების საშუალებით. გუმბათის ყელში 12 სარკმელი იყო, საკურთხეველში სამი და ა. შ.

ოშკის ტაძარი თავიდანვე ფრესკებისათვის იყო განკუთვნილი. ეს იქიდან დასტურდება, რომ შიდა კედლები თა-

[1] ე. თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960 წ., გვ. 31.

ლებამდე არ არის თლილი ქვებით აშენებული. ე. თაყაიშვილმა ოშკის ტაძარში წაკითხული თარიღიანი წარწერის გაანალიზებით დაასკვნა, რომ ტაძარი მოიხატა აშენებიდან 75 წლის შემდეგ, 1036 წელს[1].

როგორც ზემოთ ვნახეთ, საქართველოში ყოველ დიდ მონასტერს თან ახლდა პატარა ეკლესიები. ასეთი ეკლესიები დაცულია ოშკშიც.

ოშკის მონასტერს თავისი სიდიადით გვერდით უდგას ხ ა ხ უ ლ ი ს მონასტერი, რომელიც მდებარეობს თორთუმის მარცხენა შენაკადის, ხახულის წყლის ხეობაში. მონასტერს დიდი ეზო აკრავს. მაჰმადიანებს მთავარი ტაძარი ჯამედ გადაუქცევიათ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მის დაცვა-შენახვას.

ხახულის მონასტრის ნაგებობათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორს: პირველია დავით დიდი კუროპალატის მიერ X საუკუნის მეორე ნახევარში აგებული დიდი გუმბათიანი ტაძარი, ხოლო მეორე — მთავარი ტაძრის სამხრეთით მდებარე ერთნავიანი ბაზილიკა.

ოშკის ტაძრის მსგავსად ხახულის ტაძარიც შემკულია ჩუქურთმიანი ქვებით. თაყაიშვილის დროისათვის შემორჩენილი იყო ზოგი ფრესკული ნახატები. აქ, ზემოთგანხილული ტაძრებისაგან განსხვავებით, წარწერები ცოტაა.

ხახულის მონასტერი ძველი საქართველოს განათლების ერთ-ერთი კერა იყო. აქედან გამოდიოდნენ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი. საღმრთო წერილის მთარგმნელს, სახელგანთქმულ ქართველ მოღვაწეს გიორგი მთაწმინდელს აქ მიუღია პირველდაწყებითი სწავლა-განათლება და აქვე აღკვეცილა ბერად.

1917 წლის არქეოლოგიური მოგზაურობის დროს ე. თაყაიშვი[illegible]ლა და აღწერა თორთუმის[illegible]მო წელში მდებარე ექექის ტაძარი, ამ ტაძრის სამხრეთით მდებარე სოფელ სოხთორთის ტაძარი, ჩვენს ისტორიაში კარგად ცნობილი ოთხთა ეკლესია, ასევე ცნობილი პარხლის ეკლესია და სხვა.

ე. თაყაიშვილი უდიდესი სიყვარულითა და ენერგიით ეკიდებოდა ამ საქმეს. იგი არ ერიდებოდა არავითარ დაბრკოლებას და იმ მიზანს, რომელიც ერთხელ დაისახა, პირნათლად ახორციელებდა.

ე. თაყაიშვილის არქეოლოგიურმა მოგზაურობებმა მეტად დიდი როლი შეასრულა ჩვენი კულტურის ძეგლების აღწერისა და შესწავლის საქმეში. ექვთიმე ყოველივე არქეოლოგიურ მონაპოვარს დიდი გულისყურითა და მზრუნველობით ეპყრობოდა. იგი თავს ევლებოდა იმ დიდ განძეულობას, რომელიც საქართველოდან იყო გატანილი საფრანგეთში და სწორედ მანვე ჩამოიტანა მთელი სისრულით უკან ეს სწორუპოვარი ძეგლები ქართული კულტურისა.

ე. თაყაიშვილის ღვაწლი საქართველოს არქეოლოგიაში მეტად დიდია. იგი იყო ერთადერთი პირველი ქართველი არქეოლოგი, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზული მუშაობა ჩაატარა საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში.

ე. თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი, ეს პატრიოტი ქართველი მეცნიერის საქმიანობაა, შთაგონებული სამშობლოსა და მისი კულტურის უსაზღვრო სიყვარულით.

როინ მეტრეველი
ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური მოგზაურობანი

[1] ე. თაყაიშვილი 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960 წ. გვ. 58.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვახტანგ მდივანი

### მანქანა-ენათმეცნიერი

ამ ოცი წლის უკან გამოთქმა „მათემატიკური ლინგვისტიკა" უცნაურობად ითვლებოდა; მაგრამ უკვე ორმოციანი წლების მიწურულში სპეციალურ ენათმეცნიერულ ჟურნალებში ვხვდებით წერილებს, რომლებშიც ლაპარაკია „მათემატიკურ ლინგვისტიკაზე" და მის შემეცნებით ღირებულებაზე. ახლა მდგომარეობა შეიცვალა: ორი უძველესი მეცნიერების სინთეზმა წარმოშვა ახალი მეცნიერება, რომელმაც უკვე მოიპოვა არსებობის უფლება. მიუხედავად იმისა, რომ მათემატიკური ლინგვისტიკა წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთერთ განხრას, ენობრივი ფაქტებისადმი ახლებური მიდგომის ინიციატივა ეკუთვნის არა ენათმეცნიერებს, არამედ რადიოინჟინრებს, ფსიქოლოგებსა და სტატისტიკოსებს. ისინი დაინტერესდნენ ისეთი კითხვებით, რომლებზედაც ენათმეცნიერები ვერ პასუხობდნენ. უფრო სწორად, მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ასეთი კითხვები შეიძლებოდა დასმულიყო ენათმეცნიერებაში და მით უფრო ვერ წარმოედგინათ თუ რა მათემატიკური მეთოდები არსებობდა ენის შესასწავლად. მაგალითად, რადიოინჟინრები დაინტერესდნენ კოდის ეკონომიურობის პრობლემით. თუ ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა ენაზე შეიძლება გადმოვცეთ ბგერათა სხვადასხვა კომბინაციების საშუალებით, ყოველი ენა შეიძლება განვიხილოთ როგორც გარკვეული სახის კოდი, რომლითაც ჩაწერილია აზრი. ამ გზით ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რამდენად ეკონომიურია ესა თუ ის ენა აზრის გადმოსაცემად ე. ი. რომელი ენა იყენებს ნაკლებ ერთეულს: ასოს, სიტყვას ერთი და იგივე ინფორმაციის გადმოსაცემად. რა თქმა უნდა, შოთა რუსთაველი შორს იდგა ასეთი შედარებისაგან. მაგრამ მან შეამჩნია ამისი მსგავსი რამ ქართული პოეტური მეტრიკის სფეროში და აღნიშნა შაირის ინფორმაციული ეკონომიურობა ლექსის სხვა ფორმებთან შედარებით.

უნდა ითქვას, რომ მათემატიკოსების არასაკმარისი ენათმეცნიერული მომზადება აშკარად ცხადჰყო მათმა გამოკვლევებმა. მაგრამ მათემატიკოსების და კიბერნეტიკოსების შედეგებმა და კიბერნეტიკული მანქანების ფართო შესაძლებლობამ თარგმნას სფეროში საბოლოოდ გამოიწვია ენათმეცნიერთა დიდი ინტერესი. მათემატიკოსთა და ენათმეცნიერთა ერთობლივმა მუშაობამ და ამ უკანასკნელთა მიერ მათემატიკის საფუძვლების შესწავლამ განსაზღვრა ენათმეცნიერების ახალი დარგის შექმნა.

„მათემატიკურ ლინგვისტიკაში" ჩვეულებრივ აერთიანებენ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ დარგს. ესაა „გამოყენებითი ლინგვისტიკა", რომელიც შეისწავლის ავტომატური თარგმნის პრობლემებს, ინფორმაციის დამუშავებას, შენახვას და ა. შ. აქვე შემოდის სა-

კუთრივ მათემატიკური ენათმეცნიერება.

ადამიანის აზროვნება იმდენად სწრაფად ვითარდება, რომ ყოველი ახალი აღმოჩენა ცოტა ხნის შემდეგ მოწაფესაც აღარ აკვირვებს. 1947 წელს „კიბერნეტიკის მამამ“ პროფესორმა ნორბერტ ვინერმა განაცხადა, რომ მანქანური თარგმნის საკითხის დასმაც კი შეუძლებელიაო. მაგრამ ვინერის სკეპტიციზმის მიუხედავად ორმოციანი წლების დასასრულს ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო და ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს. ამ ამოცანის დადებითი გადაწყვეტა დამოკიდებულია არა მარტო კიბერნეტიკულ მანქანათა განვითარებაზე, არამედ ენათმეცნიერებზეც, რომლებსაც მანქანური თარგმნა მრავალ რთულ პრობლემას უყენებს.

ამჟამად კიბერნეტიკული მანქანები დიდი სიზუსტით შედგენილი პროგრამით მუშაობენ. ეს პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ყველა შემთხვევას, რომელიც შესაძლებელია შევხვდეს სათარგმნ ტექსტში. წინააღმდეგ შემთხვევაში თარგმანი სწორი არ იქნება. ამ პატარა წერილში იმის გადმოცემა, თუ როგორ ხდება ეს ტექნიკურად, შეუძლებელია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ გარდა „სიტყვარისა“, სადაც მოცემულია მნიშვნელობათა თარგმანი, არსებობს აგრეთვე გრამატიკული მნიშვნელობის ელემენტთა სია, რომელშიაც მოცემულია, თუ რა სინტაქსური მიმართებანი, წინსართები, ბოლოსართები და ა. შ. გვხვდება ერთ ენაში და რა გრამატიკული ელემენტები შეესატყვისება მათ მეორეში. საქმე იმაშია, რომ სიტყვა არ არსებობს „თავისთავად“, უგრამატიკოდ. სიტყვა კონტექსტშია, სხვა სიტყვათა გარემოცვაში, რომელიც ერთგვარად განაპირობებს სიტყვის მნიშვნელობისა და ფორმის დაზუსტებას თარგმნის დროს.

მაგალითისათვის განვიხილოთ, რა გამოვა, თუ წინადადებას „მოვიდა ხუთი კაცი“ ვთარგმნით რუსულად ცალკეული სიტყვების მიხედვით და არ გავითვალისწინებთ სიტყვებს შორის მიმართებებს: „მოვიდა“ — „пришел“; „ხუთი“ — „пять“: „კაცი“ — „мужчина“ — („пришел пять мужчина“). მაშასადამე, ამ ფრაზის სწორი თარგმნისათვის პროგრამაში უნდა მივუთითოთ, რომ რიცხვითი სახელის (გარდა „ერთისა“) არსებით სახელთან შეთანხმებისას არსებითი სახელი უნდა ჩაიწეროთ არა სახელობითი ბრუნვის მხოლობით რიცხვში, როგორც ეს ქართულშია, არამედ ნათესაობითი ბრუნვის მრავლობით რიცხვში. გარდა ამისა, უნდა შესაბამისად შეიცვალოს ზმნის ფორმა. მაშინ მივიღებთ სწორ რუსულ ფრაზას („пришли пять мужчин“). ასე რომ სიტყვა „ხუთის“ ინფორმაცია უნდა გავზარდოთ და გავითვალისწინოთ მთელი წინადადების ჩაწერისას. ფაქტიურად, თარგმნის დროს პროგრამაში სიტყვათა შორის ითვალისწინებენ გაცილებით უფრო რთულ კავშირებს. რასაკვირველია, ჩვენ ჯერჯერობით დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ თარგმნის პროგრამაში (ე. წ. ალგორითმში) შევძლებთ ყოველი ცალკეული სიტყვის ყველა სტილისტური ნიუანსისა და მრავალფეროვანი მნიშვნელობის გათვალისწინებას, ამიტომ ჯერ კიდევ ადრეა ლიტერატურული ტექსტის ხარისხოვან თარგმნაზე ლაპარაკი. მთარგმნელებს შეუძლიათ მშვიდად იძინონ, რადგან ეს მანქანა კიდევ დიდხანს ვერ გაუწევს მათ კონკურენციას. მაგრამ მეცნიერული ლიტერატურის თარგმნის სფეროში, სადაც ყოველ სიტყვას მტკიცედ განსაზღვრული ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს, მანქანას დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს და ადამიანების, დროის და ხარჯის ეკონომია მოგვცეს. გარდა ამისა, ყველასათვის ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებისათვის დროულად თარგმნილ ინფორმაციას.

გარდა თარგმნისა, მეცნიერულ ინფორმაციას აქვს სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი, მჭიდროდ დაკავშირებული მრავალ ენობრივ პრობლემასთან. ესაა ე. წ. დოკუმენტალისტიკა,

ვახტანგ მღივანი
მანქანა-ენათმეცნიერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სწავლობს მეცნიერული ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის მეთოდებს.

მეცნიერული ინფორმაციის ძებნა ამჟამად ისე პრიმიტიულად ხდება, რომ მას შეიძლება შუასაუკუნეობრივი ვუწოდოთ. მიუხედავად აუარებელი კატალოგის არსებობისა, საჭირო ცნობის მიღება მეტად გაძნელდა. ამიტომ მრავალი მეცნიერი და მათ შორის მრავალი ლინგვისტი ეძებს ამ საკითხის გადაწყვეტის გზებს. უკვე დამტკიცებულია, რომ შესაძლებელია „მაკონსპექტებელი“ მანქანის პროგრამის შექმნა მეცნიერულ ტექსტებში სიტყვათა ინფორმაციული დატვირთვისა და სიხშირის შესწავლის საფუძველზე.

კავშირი სიტყვის ხმარების სიხშირესა და ინფორმაციას შორის შეიძლება დაახლოებით ასე დავახასიათოთ: რაც უფრო იშვიათად გვხვდება სიტყვა, მით უფრო მეტ სასარგებლო ინფორმაციას გვაწვდის და პირიქით. ქუჩაში ყოველ დღე ვხედავთ ავტომანქანებს, მაგრამ თითქოს ვერც კი ვამჩნევთ თუ რა მარკის მანქანები გვხვდება, რადგან ხშირად ვხედავთ მათ და თვალი შევაჩვიეთ. მაგრამ საკმარისია შეგვხვდეს უცნობი მანქანის მოდელი, რომ ჩვენს ყურადღებას უმალ მიიპყრობს. მაგრამ თუ ასეთი მანქანებიც მომრავლდა და „თვალი შევაჩვიეთ“, ყურადღებას აღარც მათ მივაქცევთ. ეს „თვალის შეჩვევა“ იმას ნიშნავს, რომ მანქანის ეს ახალი მარკა ჩვენთვის უკვე აღარ არის ახალი ე. ი. ახალ ინფორმაციას აღარ გვაწვდის.

ასეთი ზოგადი დამოკიდებულება მოვლენის სიხშირესა და მოვლენის ინფორმაციას შორის გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ამ თვალსაზრისით შევისწავლოთ რომელიმე დარგის მეცნიერული ლიტერატურის, ვთქვათ, ქიმიის „სტილის“ თავისებურება და დავავალოთ მანქანას უკუაგდოს ამ მეცნიერებისათვის უცხო ყოველი ფრაზა. ასე გაირიცხება „მცოდნე ქიმიკოსისათვის“ შაბლონური, ტრივიალური ფრაზები, არ იქნება „წყალი“, რომელიც, სამწუხაროდ, გვხვდება მეცნიერულ შრომებშიც კი. დაიწყება თავისებური კონსპექტი, რომელშიც გარკვეული რედაქციის შემდეგ მოცემული იქნება მეცნიერული სტატიის ძირითადი დებულებები და ამისა, მანქანის მეხსიერებაში იქმნება ინფორმაციის შემნახავი ეკონომიური ხელოვნური ენები. ამიტომ მომავალში ბიბლიოთეკის საგნობრივი კატალოგი მექანიზირებული იქნება და მეცნიერი შესძლებს რამდენიმე წუთში მიიღოს ცნობა მისთვის საინტერესო საკითხზე. ეს საგრძნობლად გაზრდის მეცნიერის შრომის ნაყოფიერებას, რადგან ახლა მეცნიერს მუშაობის 30%-ზე მეტი ინფორმაციის ძებნასა და დამუშავებაზე ეხარჯება.

თანამედროვე კიბერნეტიკულ მანქანებს დიდი შესაძლებლობები აქვთ.

უდიდესი სარგებლობა მოაქვთ მათ უძველესი ტექსტების გაშიფრვის საქმეში. პრესაში უკვე გამოქვეყნდა ცნობები თუ რა წარმატებას მიაღწია მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ მაიას ენაზე ხელნაწერთა გაშიფრვაში.

ყოველივე ზემოთქმული დაკავშირებულია უტილიტარული ხასიათის საკითხებთან და ითვალისწინებს კონკრეტულ ამოცანებს, რომლებსაც ანხორციელებენ ენათმეცნიერები და კიბერნეტიკოსები მანქანათა შესაძლებლობის საფუძველზე.

ამგვარი ამოცანების გადაწყვეტა შეუძლებელი იქნებოდა ენათმეცნიერებაში, რომ არ გამოგვეყენებინა კვლევის მათემატიკური მეთოდები. გარდა ამისა, ენათმეცნიერების და მათემატიკის დაახლოებას აქვს, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ხასიათი.

რა აქვს საერთო მრავალფეროვან, ემოციებით მდიდარ ენას და ფორმულების მშრალ სიმბოლოებს? რამ დააახლოვა მეცნიერების ეს ორი, ერთის შეხედვით სხვადასხვა დარგი? უპირველეს ყოვლისა, მეცნიერების „ლოგიკურობის“ მოთხოვნამ და იმ გარემოებამ, რომ ენა არანაკლებ ობიექტური მოვლენაა, ვიდრე, ვთქვათ, ელექტრონის განმუხტვა.

ჩვეულებრივ, ფიქრობენ, რომ მათემატიკაში მთავარია რიცხვები და ფორმულები. ასეთი გაგება მცდარია. ის ფაქტი, რომ მათემატიკა რიცხვებსა და ფორმულებს იყენებს, სრულებით არ განსაზღვრავს მათემატიკის არსს.

მათემატიკის მთავარი თვისებაა ნებისმიერ შემთხვევაში უზოგადესი სტრუქტურული მიმართების მონახვა, თუ მისი აღწერა შესაძლებელია. მათემატიკური სიმბოლოები კი წარმოადგენს თავისებურ სტენოგრაფიას. მათემატიკური სიმბოლიკა ისევე არ განსაზღვრავს მათემატიკის არსს, როგორც ანბანი არ განსაზღვრავს ენას. მათემატიკური სიმბოლიკა საგრძნობლად აადვილებს მსჯელობას, და ჩვეულებრივი „სიტყვიერი" ენა ყოველთვის ვერ აჯობებს მას ამ თვალსაზრისით. მათემატიკა — ესაა აზროვნების ხერხი, მძლავრი სისტემა, გამოყენებული მსჯელობის პროცესების შესასრულებლად და დასკვნების მისაღებად. ამ გაგებით მათემატიკა და ლოგიკა თითქმის ემთხვევა ერთმანეთს, რადგან ჯერჯერობით მათემატიკა ერთერთი ყველაზე ლოგიკური მეცნიერებაა.

ლინგვისტიკისა და მათემატიკის თეორიული დაახლოება მდგომარეობს ცდაში, ავაგოთ ისეთი არაწინააღმდეგობრივი ენათმეცნიერული თეორია, რომელშიც მოცემული იქნება აქსიომათა და ძირითადი წესების სისტემა, და ყოველი სხვა დებულება ან თეორემა მკაცრად იქნება დამტკიცებული ამ სისტემის საშუალებით. ცხადია, რომ აქსიომები და წესები უნდა დავადგინოთ ენობრივი ფაქტების ენათმეცნიერული ანალიზის საფუძველზე. თეორიის ამგვარი აგება ისევ წმინდა ლინგვისტური იქნება, რადგან ყველა მისი მტკიცება ეხება ენობრივ ფაქტებს, ხოლო მათემატიკასთან ანალოგია მხოლოდ იმ საშუალებაზე მიგვითითებს, რომლითაც მათემატიკური ლოგიკის კანონების თანახმად უნდა ავაგოთ მკაცრი თეორია.

რაც შეეხება ენათმეცნიერების „მათემატიზაციის" მეორე წინაპირობას, უნდა ითქვას, რომ ამ თვალსაზრისით მათემატიკური ენათმეცნიერება უახლოვდება თეორიულ ფიზიკას, რომელიც სწავლობს ობიექტურ, რეალურ მოვლენას მათემატიკური აპარატის საშუალებით. როგორც ცნობილია, ბუნების მოვლენების ასაწერად ფიზიკოსები ქმნიან მათემატიკურ მოდელებს, ფორმულებს. ასეთი ფორმულა, მოდელი არის რეალური მოვლენის ფორმალური ანალოგია და ასახავს იმას, რაც ვიცით ამ ობიექტზე. ამ მოდელზე მათემატიკურ მსჯელობას შეუძლია გვიჩვენოს ობიექტის ახალი, აქამდე შეუმჩნეველი თვისებანი.

ასეთივე ვითარებას ვხედავთ მათემატიკურ ენათმეცნიერებაშიც. გარკვეული თვალსაზრისით ენა წარმოადგენს უსასრულო ტექსტს, სადაც მოქცეულია ყველაფერი, რაც კი დაწერილა, ანდა შეიძლება დაიწეროს ან ითქვას ამ ენაზე. მთელი ამ მასალის გარჩევა შეუძლებელია, ამიტომ მკვლევარი მიმართავს მოდელებს. იღებენ ტექსტის რომელიმე მონაკვეთს, გამოჰყოფენ რაღაც ცალკეულ ელემენტებს და აღწერენ მათ შორის მიმართებებს. ამ აღწერის საფუძველზე მკვლევარს დასკვნები გამოაქვს მთელი ენის ბუნებაზე. ეს იქნება ე. წ. ენის ანალიტური მოდელი. შეიძლება სხვანაირადაც მოვიქცეთ: ზოგი მეცნიერი ცდილობს ააგოს მოდელი, რომელიც ენისაგან დამოკიდებული ფორმალური კონსტრუქცია იქნება, შემდეგ კი შეამოწმოს თუ რამდენად შეესატყვისება ამგვარი სინთეტიკური მოდელი რეალურ ენას.

თუკი შევისწავლით ტექსტში რომელიმე ენობრივი ფაქტის რაოდენობრივ განაწილებას, მაშინ მივიღებთ ტექსტის სტატისტიკურ მოდელს. ეს შეიძლება იყოს წინადადებაში სიტყვათა საშუალო რიცხვი ან არქაიზმების ან რაიმე სინტაქსური კონსტრუქციის სიხშირე. შეიძლება შევისწავლოთ მეტრიკული თავისებურებანიც, ვთქვათ, „იამბიკური" სიტყვების სიხშირე პროზაში. გამოირკვა, რომ ყოველ ავტორს ახასიათებს გარკვე-

ული კანონზომიერება, თავისებურება, რომელიც რაოდენობრივად ახასიათებს მის ნაწარმოებს, ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ ლიტერატურული ნაწარმოების სტილის სტატისტიკაზე, ანუ „სტილოსტატისტიკაზე". უფრო მეტიც: ექსპერიმენტებმა დაამტკიცეს, რომ ყოველ ავტორს ახასიათებს სტილის განვითარების გარკვეული ტენდენციები. მაგალითად, უფრო ხშირი ან იშვიათი ხმარება რომელიმე სინტაქსური კონსტრუქციისა, არქაიზმებისა და სხვა. ეს გარემოება შეიძლება გამოვიყენოთ სადავო ავტორობის საკითხის გადასაწყვეტად. ავტორის ნაწარმოებების მიხედვით დავადგენთ მისი სტილის რაოდენობრივ მახასიათებლებს და შევადარებთ მათ სადავო ნაწარმოების რაოდენობრივ მონაცემებს. თუ ამ რაოდენობრივი მახასიათებლების მიხედვით სადავო ნაწარმოები ძალიან განსხვავდება ამ ავტორის სტილისაგან, გარკვეული ალბათობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს ნაწარმოები ამ ავტორს არ ეკუთვნის. ამ დებულებას აძლიერებს ისიც, რომ სტილის დამახასიათებლად იღებენ სტილის წმინდა ფორმალურ, შინაარსისაგან დამოუკიდებელ თვისებებს.

ამ მეთოდით ათარიღებენ აგრეთვე ნაწარმოებებსაც. თუ სტილის რომელიმე მათემატიკური მახასიათებელი ნაწარმოებების მიხედვით თანამიმდევრულად კლებულობს ან მატულობს, მაშინ ადვილი გამოსარკვევია, თუ შემოქმედების რომელ პერიოდს ეკუთვნის თავისი მახასიათებლებით ის ნაწარმოები, რომლის დაწერის თარიღიც უცნობია.

ამგვარი ცდა ჩაატარეს საზღვარგარეთ რომაული და ფრანგული ლიტერატურის ძეგლების მიმართ. ჩვენც გამოვიყენეთ ეს მეთოდი. სადავო ავტორობის დაზუსტების მიზნით შევისწავლეთ ვახტანგ მე-6-ის „სამართლის წიგნის" ერთერთი ნუსხა, რომლის ნაწილი, როგორც გამოირკვა, თეიმურაზ პირველს ეკუთვნის.

ახლა ყველასათვის ნათელია, რა პერსპექტივა აქვს მათემატიკურ ენათმეცნიერებას. მაგრამ ამას მხოლოდ მათემატიკას არ უნდა ვუმადლოდეთ. მათემატიკური ენათმეცნიერების შექმნა განაპირობა ენათმეცნიერების განვითარებამ. კვლევის ახალი მეთოდები მათემატიკის ცოდნის გარდა ეყრდნობა საფუძვლიან წმინდა ენათმეცნიერულ მომზადებას. მათემატიკა უნივერსალურია, მისთვის სულერთია, რას გამოიანგარიშებს: ელექტრონის სიჩქარეს, შავგვრემანთა რაოდენობას საქართველოში თუ ბგერათა საშუალო რაოდენობას სიტყვაში. მათემატიკა გვიჩვენებს შესწავლის გზას, მეთოდს, ხოლო გამოკვლევის საგანი და მიზანი ენათმეცნიერულია.

მათემატიკური ლინგვისტიკა ახალი დარგია და ამდენად იგი „ზრდის სიძნელეს" განიცდის. მაგრამ ახლავე შეიძლება ვილაპარაკოთ გარკვეულ მიღწევებზე ამ სფეროში. ჩვენს რესპუბლიკაში ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულებაში. ერთერთ ინსტიტუტში უკვე ამთავრებენ პროგრამის შედგენას რუსულ-ქართულისა და ქართულ-რუსულის მანქანური თარგმნისათვის; გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა მათემატიკური ენათმეცნიერების განყოფილება; სამი წლის წინათ აკადემიკოს არნ. ჩიქობავას ინიციატივით ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დაიწყო ახალგაზრდა სპეციალისტების სისტემატური მომზადება ამ დარგში.

მიუხედავად ამისა, ფართო საზოგადოებამ ცოტა რამ იცის მათემატიკურ ენათმეცნიერებაზე. და ეს მეცნიერება ჰგავს იმ პოეტს, რომელიც მშვენიერ ლექსებს წერს უცხო ენაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ კიკნაძე

# ოცდათოთხმეტი საათი ბაგრატიონის უსკრულში

ჩვენს წინ ბაგრატიონის უფსკრულს დაელო ხახა. თოვლის თეთრი ენა დახრილ გვირაბში ჩადიოდა და სიბნელეში იკარგებოდა. უფსკრულის პირას დეკა იზრდებოდა, ქვევით კი, მშრალი ხეობის ძირზე, მოჩანდა ლოდების სასაფლაო, ათასნაირი ფორმის პატარა და უზარმაზარი, მოთეთრო და ნაცრისფერი ლოდების გროვა. ისინი იწვნენ ურჩხულებივით, ზოგი კიდევ გაქვავებულ ტალღას მოგვაგონებდა.

1962 წლის 30 სექტემბერი იდგა. ცა იყო წყნარი და ლურჯად ლივლივებდა. გაგრის მთებზე ცხელოდა და მზე ბერჭილის ქედის დაკბილულ ზურგს ედებოდა.

არაბიკის კირქვული მასივის თხემზე ვიდექით. ეს მასივი საქართველოს კირქვიან მასივებს შორის ყველაზე მაღალია და საინტერესო, ზღვის დონიდან სამი ათას მეტრამდეა აზიდული. მთელი მასივი დასერილია მდინარეთა ღრმა კანიონებით. მდინარეები არ არის წყალუხვი, გვალვის დროს ბევრი მიწაში იკარგება. წყლის ნაკლებობას განიცდიან გაგრის რაიონის კურორტები, სოფლები, ალპური საძოვრები. მიწის ქვეშ კი ტბები, მდინარეები და ჩანჩქერებია. მასივის თხემი დასერილია ღრმა ნაპრალებით, შახტებით, მღვიმეებით, უფსკრულებით, რომლებშიაც ატმოსფერული წყალი ჩაედინება, მიწისქვეშა მდინარეებად იქცევა და ზღვისკენ მიემართება. ასეთია გაგრასთან ეპროა, ვეებერთელა წყარო-მდინარე. მაგრამ ძალზე საინტერესოა სუბმარული წყაროები, ანუ გრიფონები, რომლებიც გაგრისა და განთიადის მიდამოებში ზღვის ფსკერიდან ამოდიან. წყნარ ამინდში ნაპირიდან ოციოდე მეტრის დაშორებით შეამჩნევთ, როგორ „დუღს“ ზღვა. თუ საყვინთავ ნიღაბს გაიკეთებთ და დაყვინთავთ, დაინახავთ წყლის ლურჯ სვეტს, რომელიც ზღვის წყალზე მუქია და ფსკერიდან ზედაპირისკენ მიემართება. წყალი ცივია, მტკნარი და სასმელად კარგი. ეს ის წყალია, რომელიც არაბიკის თხემის შახტებსა და უფსკრულებში ჩადის. მსოფლიოში სულ ორ-სამგან არის გრიფონები.

სასმელი წყალი ბევრია, მაგრამ მიწის ქვეშ არის „დამალული“. საჭიროა არაბიკის მასივის კარსტული წყლების ათვისება. მაშინ საძოვრებიც უფრო ბარაქიანი იქნება და კურორტებსაც არ მოაკლდება წყალი.

არაბიკის მასივს კარგა ხანია იკვლევენ გეოლოგები, ბიოლოგები, გეოგრაფები. უკანასკნელ ხანებში ინტენსიური კვლევა გააჩაღეს ქართველმა სპელეოლოგებმა, რომლებმაც მრავალი უფსკრული და მღვიმე გამოიკვლიეს.

ორი წლის წინათ საქართველოს ალპური კლუბის სპელეოლოგიური ექსპედიციის შემადგენლობაში ვიყავი არაბიკის მასივზე და ერთ-ერთი დაზ-

ვერვითი მარშრუტის დროს, ორ ამხანაგთან ერთად, კარსტულ უფსკრულს წავაწყდი. მეორე დღეს თორმეტმა სპელეოლოგმა შევუტიეთ ამ უფსკრულს და ვახუშტი ბაგრატიონის სახელი ვუწოდეთ.

პირველი დარბაზი თოვლიანია. ვინ იცის, რამდენი წლისაა თოვლი. ზაფხულში გადნობას ვერ ასწრებს და ზამთარში ძველ თოვლს ახალი თოვლის ფენა ემატება.

1960 წლის შემდეგ კიდევ სამჯერ ვეწვიე ბაგრატიონის უფსკრულს. შარშან, ივლისში, თოვლიანი დარბაზის იატაკი ყინულის კეგლისებური სტალაგმიტებით იყო მოფენილი, ჭერიდან და კედლებიდან კი ყინულის ვეებერთელა სტალაქტიტები ეშვებოდა. ერთ-ერთ კედელთან, იატაკიდან ჭერამდე, 3 მ სიმაღლის ყინულის სვეტი იყო აღმართული. ფარნის შუქზე კედლები თითქოს ალმასის კრისტალებით იყო მოჭედილი. ყინული ელვარებდა. შემდეგ ზაფხულს კიდევ ვინახულე დარბაზი და ყინულის ნასახიც კი აღარ დამხვდა. სახსოვრად მხოლოდ ყინულოვანი დარბაზის ფოტოსურათები შემრჩა.

ამ ორი თვის წინ არაბიკის მასივზე მეორე, უფრო მრავალრიცხოვანი სპელეოსპორტული ექსპედიცია მოეწყო. ექსპედიციაში 24 კაცი შედიოდა. ცამეტკაციანმა მოიერიშე ჯგუფმა აგვისტოში, ვახუშტი ბაგრატიონის უფსკრულში 307 მეტრის სიღრმემდე ჩააღწია.

გავიდა ერთი თვე და ისევ ბაგრატიონის უფსკრულთან ვიდექით. ჩვენ მიზნად არ გვქონდა მრავალრიცხოვანი ექსპედიციის შედეგების განმეორება. უბრალოდ, შეძლებისდაგვარად, ისე რომ ზედმეტ ხიფათს არ გადავყროდით, ჩვენი ოთხეული შეუდგა უფსკრულის იერიშს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის არაბიკის ჯგუფში შევდიოდით: ტრისტან ანთიძე, [illegible] რაქვიაშვილი, კოტე ტაბატაძე და მე.

დღის პირველი საათი იყო [illegible]

დროებით დავემშვიდობეთ [illegible]ლის ქედზე წამოწოლილ მზეს, თოკი ლოდს გამოვაბით და ჩასვლა დავიწყეთ. თოვლი შემდნარი იყო, ვფრთხილობდით და დინჯად ჩავდიოდით.

მილიონი წლები მოანდომა ატმოსფერულმა წყალმა, რომ ბაგრატიონის მსგავსი უფსკრულები, ბუნებრივი შახტები და მიწისქვეშა ლაბირინთები გაეჩინა იქ, სადაც თაბაშირი, ქვამარილი, კირქვა და წყალში ადვილად ხსნადი სხვა ქანებია გავრცელებული. ასეთი ქანების ბზარებში, ნაპრალებსა და ხვრელებში ჩანაჟონი, ზოგჯერ ღვარებად ჩამსკდარი წყალი ნელა, ძალიან ნელა ხსნის და აფართოებს ნაპრალთა კედლებს; ამას ჩანგრევაც მოჰყვება ხოლმე და ჩნდება ისეთი გრანდიოზული, საოცარი და ლამაზი მიწისქვეშა ლაბირინთები, როგორიცაა 200-კილომეტრიანი მამონტის მღვიმე ამერიკაში, აისრიზენველტი ავსტრიაში, წითელი მღვიმეები—ყირიმში, აბრსკილა—ოჩამჩირესთან და მრავალი სხვა...

რიდი და გაოცება გიპყრობს, როცა ბაგრატიონის უფსკრულის პირველ დარბაზში მოხვდები. თოვლი გაყინული ჩანჩქერივით ეშვება დედამიწის ზედაპირიდან ამ დარბაზში და სადღაც, ქვევით, სიბნელეში იკარგება. გარედან მკრთალად აღწევდა დღის სინათლე.

თოვლს მივყვებოდით. ზურგით ჩაგვქონდა თოკები, თოკის კიბეები, პროდუქტითა და სანთლის მარაგით სავსე ზურგჩანთები, ტელეფონები...

თოვლი ჩავიარეთ და ვიწრო ნაპრალს მივადექით. მივხოხავდით, მივდიოდით, ერთმანეთს ვაწოდებდით საჭურველს. მერე ათიოდე მეტრის სიღრმის ორ ჭაში ჩავეშვით.

საღამოს ექვს საათზე ოთხივემ 70 მეტრის სიღრმეზე მოვიყარეთ თავი და პირველი მიწისქვეშა ბანაკის მო-

წყობას შევუდექით. აქედან დაიწყო 5-მეტრიანი სიღრმის შახტი, რომლის თავზეც შავად ლაპლაპებს შარშანწინ ჩვენი დადგმული ლითონის ჭალი.

ჭალზე ძირითად თოკს და კიბეს ვამაგრებთ. ტელეფონის მავთულები ჩაშვებულია. საღამოს 7 საათზე ყველაფერი მზადაა იერიშის გასაგრძელებლად. დაშვების გეგმა ასეთია: ჯერ მე უნდა ჩავიდე, მომყვება კიაზო, მერე ტრისტანი. კოტე აქ უნდა დარჩეს, ტელეფონთან, და თუ დაგვჭირდება, დაგვეხმარება.

თოკზე ვეშვები. თან მიმაქვს ტელეფონი და ფოტოაპარატი. გზადაგზა სურათებს ვიღებ. იძულებული ვარ შევჩერდე: თოკი და კიბე ერთმანეთშია გადახლართული. ნახევარი საათი თოკის გამოხსნაზე მეკარგება.

ისევ ვეშვები. მუზარადზე დამაგრებული მეშახტის ნათურა ანათებს თეთრად, ზოგჯერ მოყვითალოდ ჩბზინავ კედლებს და დახუჭუჭებულ, სწორ და დაგრეხილ სტალაქტიტებს.

ასმეთექვსმეტე მეტრზე შახტი ფართოვდება და ბაქნით მთავრდება. აქ ხუთი კარავი დაეტევა, იმხელა მოედანია.

ზევიდან ჩამოშვებულ მავთულებს ტელეფონს ვუერთებ:

— ალო, ალო!

— კიაზო გისმენს!

— დაიწყე დაშვება, პირდაპირ თოკზე, კიბე არ გინდა. ნუ იჩქარებ!

— მოვდივარ.

მალე კიაზო და მე ერთად ვართ.

თოკი ისევ გადაეხლართა კიბეს. ასეთი უაზრო წინააღმდეგობები ბევრ დროს გვართმევს.

კიაზო თოკსა და კიბეს ანცალკევებს. მე დრო ვიხელთე და იმ ხვრელში ავდივარ, სამი მეტრის სიმაღლეზე რომ ჩანს კედელში. ფართო ნაპრალში ფეხი მისრიალებს. იატაკს ფარნით ვანათებ. შუქი თეთრ, რბილ მასას ეცემა. ეს კალციტის სახესხვაობაა, რომელსაც ლათინურად მთვარის რძე ეწოდება.

— თამაზ! — ქვევით გადავიხედე. კიაზო ტელეფონით ლაპარაკობს, თან მე მიყურებს. — 713 და[illegible] ხოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიაზოსთან ჩავდივარ.

— ალო! — ვეძახი ტრისტანს — აეროდრომი მზადაა 713-ის მისაღებად.

— მოვდივარ!

ზევიდან ხმაური ისმის, თოკი ქანაობს, კიბის დურალუმინის საფეხურები კედლებს ეხლება და ქსილოფონის ხმას გამოსცემს. სადღაც, ზევით, სიბნელეს ტრისტანის ფანარი კვეთს. ფოსფორწასმულივით მკრთალად ციმციმებენ კედლები.

ღამის ათ საათზე სამივენი ასთექვსმეტი მეტრის სიღრმეზე ვართ და მეორე ბანაკს ვაწყობთ. მერე ვისვენებთ და თან კოტეს ვესაუბრებით რიგრიგობით.

— ალო, რომელი ხარ!

— კოტე ვარ, კოტე!

— რომელი კოტე! — იცინის კიაზო.

— კოტე ტაბატაძე.

— თბილქალაქპროექტის ინჟინერი?

— ჰო, ახლა ჩვენები კონცერტებს ესწრებიან, კინოს უყურებენ.

— დაუკარი, კოტე.

უფსკრულში შორეული გამოძახილივით ისმის გიტარის აკორდები და კოტეს სიმღერა. აქ, მიწის ქვეშ, უფრო სხვანაირად ჟღერს გიტარა, აქ სულ სხვა ფასი აქვს სიმღერას...

კოტემ სიმღერა დაამთავრა და მაშინვე სიცივე გვაგრძნობინა უფსკრულმა. მისი საშუალო ტემპერატურა სამ გრადუსს არ აღემატება. ამას ემატება ნესტი და განუწყვეტელი ნიავი, რომელიც ქვევიდან უბერავს და ძვალრბილში ატანს.

თუ ყურს მიუგდებ, გაიგონებ, როგორ წვეთავს ჩამონაჟონი წყალი, გესმის როგორ იმსხვრევა კირქვის ნატეხები კედლებზე და ძალაუნებურად

თამაზ კიკნაძე
ოცდათოთხმეტი საათი ბაგრატიონის უფსკრულში

მხრებში იწურები და კედელს გინდა შეეზარდო...

ბაქნის იმ კუთხეში, სადაც ჩვენ ვიდექით, ვიწრო ხვრელი ჩანდა, ხვრელი თავდებოდა და მეორე შახტი იწყებოდა. ჩინური ფანრის სინათლემ ვერ ჩააღწია ფსკერამდე. ამასწინანდელი ესპედიციის მოწინავე ჯგუფს ამ შახტის ფსკერზე ყოფნისას ლოდების წვიმა დაატყდა თავს, ძლივს მოასწრეს და აეკვრნენ კედელს, თორემ ჩაიქოლებოდნენ. ეს ამბავი ვიცოდით და ფრთხილად დავათვალიერეთ ჩასასვლელი. ბაქნის ერთი მესამედი ჰაერში იყო გამოკიდებული. ზევიდან ჩამოცვივნული ლოდები ერთმანეთში ჩაჭედილიყო. ხვრელისპირს მოზრდილი ლოდი გამოვაცალე და მაშინვე გრიალი ატყდა. ლოდები რახრახითა და თავპირის მტვრევით მიექანებოდნენ უფსკრულის სიღრმეში, იქ იკარგებოდნენ და ჩვენ გვესმოდა, რა გრიალით იმსხვრეოდნენ ფსკერზე.

ჩასასვლელის გაწმენდას ორი საათს მოვუნდით.

ხვრელის პირა სტალაგმიტზე მეორე, მოკლე კიბე დავამაგრე და ჩასასვლელად მოვემზადე.

— მოდი, ნუ ჩახვალ, სახიფათოა, — მირჩევს ტრისტანი.

— ნუ ჩახვალ, — მეუბნება კიაზოც.

ორივენი რჩებიან. სამივენი რომ ჩავიდეთ, ამომყვანი აღარავინ იქნება. იქნებ ისინი მართლებიც არიან. საკმაოდ მოქანცულები ვართ. უკვე თერთმეტი საათია, რაც უფსკრულში ვიმყოფებით. გვცივა.

გადაწყვეტილების შეცვლა გზის გაგრძელებაზე უფრო უაზრობა იქნებოდა, ამიტომ მშრალი სპირტის რამდენიმე აბს ცეცხლს ვუკიდებ, სველ ხელთათმანებს ვაშრობ.

ამ ხელთათმანებს ექსპედიციაში გამომგზავრების წინ თბილისის ერთ-ერთ სპორტულ მაღაზიაში წავაწყდი. ფეხბურთის მეკარის ხელთათმანებს ხელისგული ხორკლიანი რეზინით აქვს დაფარული. ხორკლიანი რეზინი თოკზე მოძრაობისას ხახუნს აძლიერებს და ჩვენ დავრწმუნდით, რომ [illegible] სახის ხელთათმანები მომავალში კარგ სამსახურს გაუწევს სპე[illegible]

ხელთათმანები მოვი[illegible] შევადარეთ. საკონტროლო დროდ დილის 7 საათი დავნიშნეთ. ახლა ღამის პირველის ნახევარია, ვეშვები. ამხანაგები მაფრთხილებენ, რომ ზედმეტი რისკი არ გავწიო. შუა გზაზე კიბე თავდება და თოკს მივყვები. შახტის ფსკერზე ვიხდი მუზარადს. მუზარადი და მეშახტის ფანარი ხელს შემიშლის, რადგან აქ ვიწრო ხვრელები იწყება. მივხოხავ. პატარა ჭაში ვეშვები. ჩემს წინამორბედებს ტელეფონის მავთული დაუტოვებიათ. ჭის ძირი ოდნავ ფართოვდება და აქედან ძალიან ვიწრო და გაუთავებელი ხვრელი მიემართება. ყველაფერი სხეულზე მეჭიდება, ტანსაცმელს მახევს, ხშირად მოძრაობა შეუძლებელია, რაღაც მიჭერს, უკან ვიხევ და სტალაქტიტზე გამოდებულ ტანსაცმელს ძლივს ვინთავისუფლებ.

არა, გზას ასე ვერ გავაგრძელებ, სახიფათოა, და თან ძალზე მომქანცველიც. ეს ვიწრო ხვრელი მძარცველივით მექცევა: ტანსაცმელს მხდის. ვემორჩილები და წვალებით ვიხდი ტანსაცმელს. ცნობილი ფრანგი სპელეოლოგი ნორბერ კასტერე ამბობს: „სავსებით გაუვალი ხვრელები ცოტაა, თუ ხოხვა გემარჯვება (ეს კი დიდი ხელოვნებაა) და წინსვლისა არ გეშინია. ადამიანი უფრო მოქნილია, ვიდრე სხვა, ზომით მისი შესაბამისი ცხოველი. მას შეუძლია უფრო მეტად გაიწელოს ან მოიკუნტოს. ამბავი იმ ადამიანებისა, რომლებიც ვიწრო ხვრელებში მოექცნენ და უსახელო სიკვდილით დაიღუპნენ, სამწუხაროდ, მართალია, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა ასეთი უბედური შემთხვევის მიზეზი ისაა, რომ ადამიანს ეუფლება უკანდაბრუნების შეუძლებლობის შიში. შიში აკარგვინებს მოქნილობას, აძაბვინებს ძალღონეს და ადამიანი თავს ძალას ატანს, რაც ძალების მალე გამოფიტვას იწვევს“.

მივხოხავდი და თან მიმქონდა ფოტოაპარატი. ამან ძალიან გამაწვალა. ზოგან გველივით უნდა დაიკლაკნო, პაერი მთლიანად უნდა გამოუშვა ფილტვებიდან და ეს საშუალებას მოგცემს ოდნავ წინ გახოხდე, ჩაისუნთქავ და თითქოს ხვრელი კიდევ უფრო ვიწროვდება, ცივი და ძლიერი კედლებით გაწვება და ცდილობს გაგსრისოს. ისევ ამოისუნთქავ და ისევ წაიწევი ოდნავ წინ.

ამ ხვრელს ორმოცდაათი მეტრი სიგრძე აქვს და საკმაოდ დახრილია, ისე, რომ ზოგჯერ თავდაყირა მიხოხავ.

როგორც იქნა, ხვრელი გათავდა და პატარა დარბაზში აღმოვჩნდი. ჩემმა ფანარმა წარმოუდგენელი და საოცარი სილამაზე გამოსტაცა სიბნელეს. ამ დარბაზში არ არის დიდი ზომის სტალაქტიტები. მათ უმთავრესად მუხრანული კიტრის სიდიდე, ათასნაირი ფორმა და საოცარი ფერები აქვთ. ასეთი სტალაქტიტებით და სტალაგმიტებითაა მოჭედილი დარბაზის ჭერი, იატაკი, კედლები... ერთის მოტეხვა ვცადე, და კიდევ უფრო დავინტერესდი: სტალაქტიტები მუსიკალური აღმოჩნდნენ. მცირე შეხებაზე სხვადასხვა ხმას გამოსცემდნენ და კარგი მუსიკოსი სტალაქტიტების „კლავიშებზე“ რაიმე მელოდიას შეასრულებდა. კასტერე ერთგან წერს: „სად შეიძლება განიცადო ასეთი მღელვარე წუთები, დაინახო ასეთი საკვირველი სანახაობა, მიიღო ასეთი ღრმა ინტელექტუალური კმაყოფილება, თუ არა მიწის ქვეშ“. მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი ფრანგი სპელეოლოგის ამ სიტყვების სრულ ჭეშმარიტებაში.

სტალაქტიტები და სტალაგმიტები მიწისქვეშა დარბაზების მშვენებაა. ზევიდან ჩამონაჟონი წყალი ხსნის კირქვას და კალციტით გაჯერებული წვეთი დარბაზის ჭერს ეკიდება, კედლებს ნელა მიყვება, იატაკზე ეცემა. თითოეული ასეთი წვეთი ჭერზე მცირეოდენ კალციტს სტოვებს, კრისტალდება და პატარა კოპებად გარდაიქმნება. წვეთი წვეთს მისდევს. გარბიან ათასეული და მილიონი წლები და კო[illegible]პი იზრდება, კალციტის ლოლუა[illegible] იქცევა. სწორედ ესაა სტა[illegible] იატაკზე დაცემული წვ[illegible] სტალაქტიტის შესახვედრად სტალაგმიტი აღიმართება. ზოგჯერ ერთმანეთს შეეზრდებიან და ლამაზ სვეტებად გადაიქცევიან. დარბაზის თვალიერების დროს პატარა ნიშში შევამჩნიე მინის პატარა ქილა, რომელშიაც შარშანწინ ჩვენმა პირველმა ექსპედიციამ წერილი დატოვა. არსებული წესის თანახმად წერილი წამოვიღე და მის ნაცვლად ჩვენი დავტოვე. იგი თექვსმეტალიტრიანი ვაზნის მასრაში მოვათავსე. დარბაზის ერთ კუთხეში პატარა ხვრელია, იგი ოცმეტრიან შახტს უერთდება. ვამაგრებ თოკს და ვეშვები, მაგრამ სამწუხაროდ თოკი მოკლეა და ბოლომდე დასაშვებად არ კმარა. ვათვალიერებ შახტს და გულდაწყვეტილი უკან ამოვდივარ. ზედმეტი დაჭიმულობისაგან კუნთები მიცახცახებს. სულს ვითქვამ, ვისვენებ და ფოტოსურათებს ვიღებ. უკან რომ დავბრუნდე, დამატებითი თოკი წამოვიღო და გზა განვაგრძო, შეიძლება, მაგრამ დაშვების ძლიერი სურვილით შეპყრობილს მახსენდება, რომ ზევით ამხანაგები მელიან. ისინი უკვე 7 საათია უმოძრაოდ იმყოფებიან უსიამოვნო გარემოში. მე არ მცივა, განუწყვეტელმა მოძრაობამ გამახურა.

საათი დილის შვიდს უჩვენებს. საკონტროლო დრო დადგა. სწრაფად უნდა დავბრუნდე უკან, რომ ამხანაგები არ შეშფოთდნენ.

ისევ დავადექი ვიწრო ხვრელს, იგი ამჯერად უფრო ადვილად დასაძლევია, რადგან ტანსაცმელი ხელს არ მიშლის. ორმოცდაათი წუთის შემდეგ იმ შახტის ძირზე ვარ, სადაც მუზარა-

დი დავტოვე, და ამხანაგებს ხმას ვაწვდენ. მუზარადს ვიხურავ, თოკს ვიბამ:

— ამწიეთ!

ძალიან ნელა ავდივარ. შეძლებისდაგვარად ვეხმარები ამხანაგებს, ვეჭიდები შვერილებს, ზევით ვიწევ. ცოტა კიდევ და კიბემდე ავდივარ. აქ უკვე შეუმსუბუქდათ შრომა ამხანაგებს.

დილის ცხრის ნახევარზე კიაზო და ტრისტანი გადამეხვივნენ. ისინი უკვე ღელავდნენ. კიაზომ კოტეს აცნობა ჩემი დაბრუნების ამბავი. ყურმილი ავიღე. გიტარის აკორდებს კოტეს ხმა შეუერთდა.

სიცივემ გამოგვაფხიზლა. ორივეს ხელები სტკიოდათ. ისინი იმ თოკს, რომელზედაც ვეკიდე, ზევით ეწეოდნენ, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. ასეთი სიღრმიდან ადამიანის ამოწევა ადვილი საქმე არ არის, და საკმაო ძალასა და გამძლეობას მოითხოვს.

სიცივისაგან ვკანკალებდი. კიაზომ და ტრისტანმა საძილე ტომარაზე წამოწოლილს თავიანთი ტანსაცმელი მომახურეს. სხეულს დაჟინებით სურდა დასვენება.

სანამ მე ვისვენებდი, ორივე მზადებას შეუდგა ზევით ასასვლელად. ქვედა შახტიდან კიბე ამოკრიფეს, დაახვიეს. მე მშრალი სპირტის ალზე ვთბებოდი.

ათის ნახევარზე ასვლა დავიწყე. მხრებზე მეკიდა ტელეფონი და ფოტოაპარატი. მხოლოდ ჩვენი მკლავების იმედი უნდა გვქონოდა. მკლავები კი მალე მეღლებოდა. გზა არ ილეოდა. ხშირად ვისვენებდი. ჩვენს წინამორბედებს ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ ბევრნი იყვნენ და წელზე თოკშებმულებს ზევიდან ეწეოდნენ, თან კიბეზეც ადიოდნენ, ჩვენ კი, რადგან ამწევი არავინ იყო, მხოლოდ ჩვენს მკლავებს ვეყრდნობოდით. კოტე კიბესა და თოკს ადევნებდა თვალს. ერთმანეთს ხშირად ვეხმიანებოდით.

უფსკრულში ჩასვლა გაცილებით ადვილია, ვიდრე ამოსვლა. კუნთებში ძალა მელევა. შახტის კედელზე, მოშორებით, დიდი ლოდია გამოშვერილი. უკანასკნელ ძალას ვიკრებ, თოკს საქანელასავით ვაქანებ და [illegible] შემდეგ ვაღწევ ლოდამდე. [illegible] კუნთებს ვადუნებ. ლოდი ცივია, სველი. სადღაც, ქვევით, ტრისტანისა და კიაზოს ფანრები ბჟუტავენ. მათაც ჩემსავით ძალა ელევათ.

ცოტა ხნის შემდეგ კოტე ხელს მართმევს და ცხელ ყავას მაწვდის. იქვე, კედელთან, წყალი წვეთავს. კოტეს ტოლჩა შეუდგამს, წყალი მოუგროვებია და ყავა აუდუღებია. ეტყობა, ბევრი რამე უნდა მკითხოს, მაგრამ თავს იკავებს: ამის დრო არ არის. ამხანაგები ქვევით არიან.

ყავა სხეულს მითბობს, სანთლის ალი — ხელებს, და უფსკრულს ჩავძახით:

— რომელი მოდიხართ!

— კიაზო!

— დაიწყე!

თოკიც დაიჭიმა და კიბეც. კოტე და მე ნელა ვეწევით ძირითად თოკს. ეს კიაზოს ამოსვლას შეუმსუბუქებს.

კიაზო შუა გზაზეა და ლავგარდანზე ისვენებს. ამასობაში მისთვის ყავას ვადუღებთ.

— თავი თბილისის კაფეში მგონია, — ამბობს ამოსული კიაზო და ტოლჩა ცხვირთან მიაქვს.

მალე ტრისტანიც გვიერთდება და, როცა ცხელ ყავას ვაწვდით, ილიმება.

თოკი ამოვკრიფეთ, ცივი და სველი კიბეც დავახვიეთ.

კოტე ქვესკნელიდან ამოსულ სტუმრებს გვიმასპინძლდება: სპირტქურაზე ხორცის კონსერვს ათბობს, მერე მეღვინეთა კონგრესის მარკის ქართულ კონიაკს ხსნის. ეს ერთადერთი ბოთლი სასოებით შევინახეთ ამ წუთისათვის. ცოტ-ცოტა შეგვხვდება თვითეულს, მაგრამ გასათბობად ესეც საკმარისია. 70 მეტრის სიღრმეზე სასმელი სახიფათოცაა.

კიაზო სადღეგრძელოს ნაცვლად შელის ლექსს კითხულობს:

„И в потоке, бурлящем
По коралловым чащам,
Мимо гор из безценных камней
И пещер потаенных,
Где в жемчужных коронах
Восседают владыки морей...“

„...Пусть голубые небеса,
Земля и светлая роса
И все, что вечно не мертво,
Увидят это торжество..“

დარწმუნებული ვარ, რომ მიწის ქვეშ, უფსკრულში, ეს პირველი დეკლამაცია იყო შელის ლექსებისა.

კიდევ ასხამს კოტე კონიაკს, იგი ტოლჩების ძირს ძლივს ფარავს.

— თქვი რამე, — მეუბნება კოტე.

— ბიჭებო, სწორედ ერთი თვის წინ შესრულდა ათი წელი უფსკრულში მარსელ ლუბენის დაღუპვიდან. მისი ხსოვნის სადღეგრძელო შევსვათ. მარსელ ლუბენი გამოჩენილი ფრანგი სპელეოლოგი და კასტერეს მეგობარი იყო.

სიჩუმე ჩამოვარდა. ფეხზე ავდექით და მომეჩვენა, თითქოს ერთ წამს უფსკრულიც გაყუჩდა, მერე ისევ ღრმად ამოისუნთქა და კედელს მოწყვეტილი ეული ლოდი რახრახით ჩაექანა ქვესკნელში.

კოტემ გიტარა აიღო და გათოშილი თითებით ააჟღერა. ვმღეროდით.

შევისვენეთ და ასვლა განვაგრძეთ. ისევ ხვრელები, ვიწრო გასაძრომები, კედლებზე ცოცვა, მაგრამ ეს უკვე არაფერი იყო იმასთან, რაც ქვევით განვიცადეთ.

თოვლიან დარბაზში ბნელოდა, აღარ ჩამოდიოდა მკრთალი სინათლე. ავედით. დედამიწის ზედაპირზე თხუთმეტი გრადუსი სითბო სი[illegible] ვეჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამუქებული იწვა ბერჭილის ქედი. ქარი ძლიერდებოდა. ღრუბლები სწრაფად იპყრობდნენ ცას, ვარსკვლავებს ყლაპავდნენ. ცის ერთ კუთხეში ქარმა ღრუბლები გაგლიჯა და წამით ასპიროზი გამოაჩინა. მალე ერთადერთი მანათობელი ტრისტანის ფანარიღა იყო, და ისიც ბჟუტავდა. სანთლებისა და ელემენტების მარაგი ბაგრატიონის უფსკრულის მარადიულმა ღამემ შეიწირა.

საათი ღამის თერთმეტს უჩვენებდა. ბაგრატიონის უფსკრულში ოცდათოთხმეტი საათი დავყავით.

ჩვენი ცხენები მოვძებნეთ, ბარგი ავკიდეთ და ბილიკს დავადექით. ბილიკი ხშირად იკარგებოდა მტრულად განწყობილი ლოდების გროვაში და ძალიან ნელა მივდიოდით. ჩვენი პატარა ქარავანი ქვის უდაბნოში მიიზლაზნებოდა.

ცხენებს ფლოქვები უსხლტებოდათ ლოდებზე და სიბნელეში ხშირად ციმციმებდა ნაპერწკალი.

ღამის პირველი იყო დაწყებული, როცა გელგელუკის მწყემსთა ბინებს მივუახლოვდით. მწყემსები კარგა ხნის აყრილები იყვნენ.

ბინაში ცეცხლი დავანთეთ.

მშრალი ტანსაცმელი ჩავიცვით და საძილე ტომრებში ჩავძვერით.

ახლა ყველაზე კარგი და აუცილებელი ძილი იყო...

---

თამაზ კიკნაძე

ოცდათოთხმეტი საათი ბაგრატიონის უფსკრულში

# სპორტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ალა კუშნირი

საერთაშორისო ოსტატი

## საჭადრაკო გვირგვინი საქართველოს დედაქალაქშია

სულ თერთმეტი პარტიის თამაში დასჭირდა ნონა გაფრინდაშვილს, რომ მოსკოველი ელისაბედ ბიკოვა დაემარცხებინა და მსოფლიო ჩემპიონის დაფნის გვირგვინს დაუფლებოდა. მატჩის ანგარიში — 9 : 2 უპრეცედენტოა მოჭადრაკის უმაღლესი წოდებისათვის ბრძოლათა მთელს ისტორიაში და მრავალნაცად მეტოქეზე თბილისელი სტუდენტი ქალიშვილის აშკარა უპირატესობაზე მეტყველებს. მაინც რა ხდებოდა მოსკოვში 17 სექტემბრიდან 17 ოქტომბრამდე?

მახსოვს, პრეტენდენტთა იუგოსლავიის ტურნირში ნონას ბობოქარი სტარტის შემდეგ ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაცხარებული დავა იყო: შეძლებს თუ ვერა ნონა გაფრინდაშვილი აღებული ტემპის შენარჩუნებას? უმეტესობა იმ აზრისა იყო, რომ ოცი წლის მოჭადრაკე გრძელ დისტანციაზე ვერ გაუძლებდა მეთოდურ და თეორიულად ყველაზე უკეთ მომზადებულ ბორისენკოს, ფინიშზე შესანიშნავად მოთამაშე ზატულოვსკაიას და უცხოელ ნიჭიერ მოჭადრაკეებს — „მასპინძლებს" ნედელკოვიჩსა და ლაზარევიჩს. მაგრამ ტურნირი გრძელდებოდა და აზრიც იცვლებოდა. მარტო ახალგაზრდებისა კი არა, „მოხუცების" სიმპათიაც გადაიხარა ამ კადნიერი ახალგაზრდისაკენ, მით უფრო რომ ეს კადნიერება მხოლოდ საკუთარი ძალების რწმენას ემყარებოდა. გაფრინდაშვილს, რომლისთვისაც ეს იყო პირველი ტურნირი საზღვარგარეთ. ვრნიაჩკა-ბანიაში დიდებული გამარჯვების შემდეგ შეეძლო გაემეორებინა იულიუს კეისრის ცნობილი გამოთქმა: „მოვედ, ვნახე, დავამარცხე". მაგრამ თუმცა ნონამ უდავო გამარჯვებით და, რაც მთავარია, იუგოსლავიაში თამაშით აიძულა საბოლოოდ დარწმუნებულიყვნენ, რომ მას უფლება ჰქონდა საჭადრაკო გვირგვინისათვის ებრძოლა. ძალზე ბევრნი, და, განსაკუთრებით, უფროსი თაობის ფრთხილი წარმომადგენლები, ფიქრობდნენ, რომ ბიკოვას ამჯერადაც ვერ გადმოაგდებდნენ უნაგირიდან. ცხადია, არსებობდა სავსებით საპირისპირო აზრიც, რომლის [illegible] მეც გახლდით, მაგრამ გულშემატკივართა ორივე არმია იმაში კი დარწმუნებული იყო, რომ ბრძოლა ხანგრძლივი და დაძაბული იქნებოდა. ნონას ტალანტის ყველაზე თავგამოდებული თაყვანისმცემლებიც კი ფიქრობდნენ, რომ ის მხოლოდ 2-3 ქულის განსხვავებით თუ მოიგებდა. მატჩის მსვლელობისას მივიღე საერთაშორისო ოსტატის ლაზარევიჩის წერილი (ის წელს იუგოსლავიის ჩემპიონი გახდა); წერილის ბოლოს მწერდა: „აქ ბევრს ლაპარაკობენ ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩზე. საერთო აზრი ისაა, რომ გაიმარჯვებს ნონა, თუმცა, რა თქმა უნდა, იოლი ბრძოლა არ ექნება". თვითონ ნონამ მატჩის დამთავრების შემდეგ მითხრა, რომ გამარჯვებაში დარწმუნებული არ იყო მაშინაც კი, როცა ანგარიში იყო 6½ : 1½ მის სასარგებლოდ. ეს გასაგებიცაა. ბიკოვას ხომ მანამდე იშვიათად თუ წაუგია, ხოლო წინა მატჩი ზვორიკინასთან მოიგო დიდი ანგარიშით — 8½ : 4½. სპორტში ყველაფერი ხდება. გამოცდილ მოჭადრაკეს უცებ უღალატებს ძალები, ნონა კი უამრავ ძალას დახარჯავს სტარტზე, დაიღლება ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც.... მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს არ მომხდარა და დასასრული ნამდვილი ტყუპის ცალი იყო დასაწყისისა. თუმცა, მოდით თანმიყოლებით ვილაპარაკოთ...

## ჟინული და ალი

ყველასათვის ცნობილია, რომ ბიკოვა და გაფრინდაშვილი საბჭოთა საჭადრაკო სკოლის ორი საწინააღმდეგო მიმართულების წარმომადგენლები არიან. პირველი ყოველთვის ესწრაფოდა მშვიდ სამანევრო თამაშს, მეორის სტიქია კი მუდამ იერიში იყო. ისინი, ვისი აზრითაც ბიკოვა კვლავ შეინარჩუნებდა თავის წოდებას, მიუთითებდნენ სხვადასხვა ფაქტორზე.

---

ალა კუშნირი

საჭადრაკო გვირგვინი საქართველოს დედაქალაქშია

უწინარეს ყოვლისა, იმაზე, რომ ნონა უფრო ძლიერია ტაქტიკაში, ხოლო ბიკოვა — სტრატეგიაში. მეორეც, გაფრინდაშვილისთვის ესაა პირველი ოფიციალური მატჩი, ხოლო ბიკოვასათვის—მეოთხე. რაკი უკეთ იცის სპეციფიკა სამატჩო ორთაბრძოლისა, რომელშიც ბრძოლის საერთო მსვლელობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სატურნიროსაგან, მსოფლიო ჩემპიონი არ დაანებებს მეტოქეს პოზიციის გამწვავებას და შეეცდება მშვიდი თამაშით მოერიოს. ამგვარი მსჯელობანი სავსებით სწორი იქნებოდა, მათ რომ არ დაევიწყებინათ ერთი რამ: პრეტენდენტთა ტურნირიდან [illegible] მატჩამდე თითქმის ერთი წელიწადი იყო დარჩენილი, თანაც ნონამ ჯერ კიდევ იუგოსლავიაში დაგვანახა, რომ ის მეტოქეების გასანადგურებლად როდი მიმართავს მხოლოდ სწორხაზოვან იერიშებს, რაც ასე ახასიათებდა მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონის ანდერსენის ეპოქის სტილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საწვრთნელი ბრძოლები

გაფრინდაშვილის მომზადების დასაწყისად ეჭვმიუტანლად შეიძლება ჩაითვალოს თბილისის საერთაშორისო ტურნირი. ამ ტურნირს, ჩემი აზრით, ორი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, ფსიქოლოგიური. ნონას ერთხელ კიდევ უნდა დაემტკიცებინა საკუთარი თავისათვის, რომ ის არის მსოფლიოს მეორე ან, იქნებ (ამას მატჩი გვიჩვენებდა) პირველი მოჭადრაკე ქალი. ამ თვალსაზრისით ტურნირმა თავისი მისია შეასრულა: 11 ქულა 13 შესაძლებლობიდან და არც ერთი წაგებული პარტია — დამაჯერებელი შედეგი იყო. თბილისისა და სოხუმის ტურნირებმა ისიც დაგვანახა, რომ ნონამ წარმატებით გადაჭრა მწვრთნელის მიერ დასახული ამოცანა და ისწავლა პოზიციური ბრძოლა. ეს ისე აშკარად მოხვდა თვალში ყველას, რომ რუმინეთის ჩემპიონმა ქალმა ა. ნიკოლაუმ ერთხელ იკითხა კიდევაც: „ნონამ სტილი შეიცვალა თუ ბიკოვას სტილს უნდა მიესადაგოსო?“

საერთაშორისო ტურნირის შემდეგ ნონამ მხოლოდ მცირე ხნით დაისვენა. მისი წარმატებანი საქართველოს მამაკაცთა ჩემპიონატში მალე შეიტყვეს მოსკოვში, და არა მარტო მოსკოვში. როცა მე ერთდროული სეანსი ჩავატარე უფაში, ყველანი ამ ამბავს მეკითხებოდნენ. მაგრამ არც სპორტული შედეგი იყო მთავარი; მთავარი იყო ის, რომ, როგორც შემდეგ გვიამბო ნონამ, მამაკაცთა შეჯიბრებაში პარტიები უფრო მომქანცველია, თუ შეიძლება ასე ითქვას, და დიდ ფიზიკურ ძალასა და განუწყვეტელ დაძაბულობას მოითხოვს. იქ მოდუნებას ვინ დაგანებებს!

ტურნირი ტურნირია, მაგრამ მატჩ-ტურნირს თავისი სპეციფიკა აქვს. ამიტომ გადაწყდა, რომ ნონა ჩაატარებდა ორ მატჩს, თანაც ისევ მამაკაცებთან. პრეტენდენტის წინააღმდეგ გამოვიდნენ ოსტატი გურგენიძე და ოსტატობის კანდიდატი ლომაია. მათგან პირველმა არცთუ ისე იოლად გაიმარჯვა, ხოლო მეორემ ვერ იქნა და ვერ მიაღწია წარმატებას. შეხვედრის ანგარიშია 3 : 3, ამასთან ამ მატჩში ნონამ გამოიჩინა გამარჯვების დიდი ნებისყოფა, ვინაიდან თავდაპირველად აგებდა ანგარიშით 1 : 3. უინტერესო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ როცა ნონა ლესელიძეში ემზადებოდა მატჩისთვის, მიხეილ შიშოვთან ერთად მისი კონსულტანტი იყო დიდოსტატი დ. ბრონშტეინი.

## 4 შესაძლებლობიდან 3½ — ბრწყინვალე შედეგია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩის პირველმა პარტიამ ბევრი საგონებელში ჩააგდო. უფრო ზუსტად — პარტიამ კი არა, ენდშპილში ბრძოლამ. ჯერ ეგონათ, რომ ბიკოვას გულშემატკივრები არ შემცდარან პროგნოზში. მსოფლიო ჩემპიონმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა, მალე აიძულა ნონა გაეცვალა მრავალი ფიგურა და რამდენადმე უკეთესი დაბოლოება მიიღო. რამდენი ასეთი ენდშპილი მოუგია მას თავის სიცოცხლეში! დიდოსტატმა კოტოვმა, თითქოს „ხედელიას" ფურცლებზე ჩემთან დაწყებულ პოლემიკას აგრძელებსო, გვერდით რომ ჩამიარა, ღიმილით მითხრა: „როგორც ხედავთ, ელიზავეტა ივანოვნას ასე იოლად ვერ მოერევა კაცი". მაგრამ ისინი, ვინც ამ დროს თუნდაც ერთი საათით ტოვებს სატურნირო დარბაზი, დაბრუნებისას ვეღარაფერს მიხვდნენ. ნონა დაბოლოებაში თამაშობდა მსუბუქად და თავდაჯერებით, ხოლო ბიკოვამ კი, თუმცა პარტია მის საყვარელ სტადიაში იყო გადაყვანილი, აღარ იცოდა რა ექნა. საბოლოოდ ჩემპიონი მხოლოდ იმით გადარჩა, რომ ნონამ პარტიის გადადებისას არაზუსტი სვლა ჩაწერა, და ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, დასაწყისმა ყველა გააოცა. შემთხვევითი იყო პრეტენდენტის ზუსტი მოქმედებანი იმ მდგომარეობაში, როცა გამორიცხულია ყოველგვარი ტაქტიკური შესაძლებლობა, თუ ეს დიდი მუშაობის შედეგი იყო? ამ კითხვის პასუხი იყო მეორე პარტია. გაფრინდაშვილმა სტრატეგიულად აჯობა მეტოქეს და წინ გაიჭრა.

მესამე შეხვედრისას ბიკოვას შურისძიების წყურვილი აღაგზნებდა. მისმა ფიგურებმა დაიპყრეს დაფაზე ძირითადი პოზიციები და შავების მეფეს სუნთქვა გაუჭირდა. იფიქრებდით, აი საცაა დარბაზში მჯდომი ვადიმ სინიავსკი, თავისებურად, სხაპასხუპით იტყოდა: „დარტყმა, კიდევ დარტყმა!". მაგრამ არავითარი დარტყმა არ ყოფილა. ყველასათვის მოულოდნელად ბიკოვამ შეწყვიტა იერიში და დაიწყო ფრთხილი მანევრირება. მაგრამ ნონასთან ასე თამაში არ შეიძლება. მსოფლიო ჩემპიონმა მიიღო გაფრინდაშვილის ზუსტი და ულმობელი დარტყმა. ანგარიში გახდა 2½ : ½. ხოლო მეოთხე პარტიაში ნონამ ისევ გვაჩვენა თავისი სტრატეგიის უპირატესობა და მსოფლიო ჩემპიონმა მესამედ აღიარა თავი დამარცხებულად. საინტერესოა, რომ მეორე და მეოთხე პარტიებში ბიკოვა ფსიქოლოგიური იარაღით შეებრძოლა ნონას და მანაც გაუძლო. ორივეჯერ მსოფლიო ჩემპიონი ყოვლად უიმედო მდგომარეობაში თითქმის თითო საათი ფიქრობდა, მერე სდებდა პარტიას, და ნებდებოდა მეორე დღეს, თამაშის გაუნახლებლად. „მაგრამ მე ამისათვის მზად ვიყავი, — ამბობდა ნონა მატჩის დამთავრების შემდეგ, — რადგან გამაფრთხილეს, ბიკოვამ შეიძლება ნერვიული გასავათების ტაქტიკა გამოიყენოსო. მოკლედ, მე სიმშვიდე სრულებით არ დამიკარგავს".

## ტექნიკა ებრძვის ტექნიკა + ფანტაზიას

პირველი ოთხი პარტიის შემდეგ „ხედელიაში" დაიბეჭდა დიდოსტატ კოტოვის მორიგი სტატია მატჩ-ტურნირზე. სტატიის სათაური იყო: „ტექნიკა ებრძვის ტექნიკა+ფანტაზიას". მე მგონია, ეს არაა მთლად ზუსტი განსაზღვრა. მსოფლიო პირველობისათვის მატჩში ბიკოვა ცდილობდა შიშველი ტექნიკის მეშვეობით შებმოდა ნონას ტექნიკა პლიუს ფანტა-

ზიას (ხოლო საჭადრაკო ტექნიკა უფანტაზიოდ წარმოუდგენელია).

მაგრამ მეოთხე პარტიის შემდეგ ჯერ კიდევ გაუგებარი იყო მსოფლიო ჩემპიონის წარუმატებლობის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, მისი მწვრთნელი — ოდესელი ოსტატობის კანდიდატი ეფიმ კოგანი ამბობდა, რომ პირველი დამარცხებანი ბიკოვას „აინუნშიაც არ ჩაუგდია" — მან ხომ ზვორიკინასა და რუბცოვასთანაც წააგო დასაწყისში.

მეხუთე პარტიამ თითქოს გაამართლა ოდესელის ოპტიმისტური შეხედულება — ბიკოვა ძნელ მდგომარეობაში მოხვდა, მაგრამ ცაიტნოტშიც კი გასაოცრად ზუსტად ითამაშა და ამ პარტიის ყაიმმა სპორტის მიმომხილველებს დააწერინა, ბიკოვას „თოფის წამალი ჯერაც არ გამოლევიაო". ყველას დაავიწყდა, რომ მსოფლიო პირველობის მატჩში ზედიზედ ყველა პარტიას ვერ მოიგებ. როგორც ჩანს, ნონამ გაანებივრა მაყურებლები სამი პარტიის მოგებით და ის იყო.

საინტერესოა, რომ მეხუთე პარტიის შემდეგ ყოველი თამაში დაბალ მაგიდასთან მიმდინარეობდა. მსოფლიო ჩემპიონი ირწმუნებოდა, არ შემიძლია ასეთ მაღალ მაგიდასთან თამაშიო, და მისი თხოვ[illegible] 5 სმ-ით გადახერხეს ფეხ[illegible] რთული და მძიმე პროცესი გამოდგა. არავის არ შეეძლო ამის ნება დაერთო გარდა ცენტრალური საჭადრაკო კლუბის გამგეობის თავმჯდომარისა. დიდოსტატი კოტოვი კი მთელი დღე აგარაკზე იყო. რაკი კოტოვს ვერსად მიაგნეს, მსაჯებმა გრუშკოვა-ბელსკამ და ჩუდოვამ გაბედეს და ტურის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე საკუთარი რისკით ჩაატარეს ეს „ოპერაცია". მაგრამ დაბალი მაგიდა მხოლოდ ერთ საღამოს გამოდგა „იღბლიანი" მსოფლიო ჩემპიონისათვის. მეექვსე პარტიაში პრეტენდენტმა სტრატეგიულად საბოლოოდ აჯობა ბიკოვას და მე-15-ე სვლაზე უკვე მოსაგები პოზიცია ჰქონდა. მოსკოველი კიდევ კარგა ხანს ცდილობდა თავის გადარჩენას, მაგრამ ამაოდ. ახალგაზრდა მეტოქის რკინის მარწუხები სულ უფრო და უფრო უჭერდნენ მის მეფეს, და 38-ე სვლაზე ბიკოვამ ფარხმალი დაყარა.

## ახალ ადგილას

მეექვსე პარტიის შემდეგ მატჩის მონაწილეებმა და მსაჯებმა ძერჟინსკის სახელობის სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდის სახლიდან ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გადაინაცვლეს. მაგიდაც იქ გადაიტანეს. ამ „გადაადგილების" მიზეზი ის იყო, რომ ორგანიზატორები შიშობდნენ, დარბაზი მატჩის დასასრულამდე რომ ვიქირავოთ, ვაი თუ ხალხი არ დაესწროს და ცარიელი იყოსო. ჰქონდათ კიდეც ასეთი შიშის საფუძველი. კარგად მახსოვს 1956 წელი, როცა ბიკოვა-რუბცოვა-რუდენკოს სამმაგი მატჩის დროს საბჭოთა არმიის თეატრის ზედა დიდი დარბაზი სულ გამოცარიელებული იყო. ორი მწვრთნელის გარდა კაცი არ ჭაჭანებდა. ქვედა დარბაზში მსოფლიო ოლიმპიადა მიმდინარეობდა და ჩემი ამხანაგი, პირველთანრიგოსანი ლიუსია ბელავენეცი — ამჟამად მოსკოვის ჩემპიონი — ხანდახან მეტყოდა ხოლმე: „მოდი გულშემატკივართა რიცხვი ორჯერ გავზარდოთო". ჩვენც ავდიოდით ხოლმე ზევით და მაშინ დარბაზში უკვე ოთხი ადამიანი ვიყავით.

ამჯერად ორგკომიტეტი მაშინვე მიხვდა, რომ შეცდა. თანამედროვე საჭადრაკო ხელოვნების ორი ლიდერის ყოველ პარტიას ისეთი ინტერესით მოელოდნენ, რომ 500-ადგილიანი დარბაზი მუდამ გაჭედილი იყო. „სიბერემდე სწავლაო", თქვა მატჩის ერთ-ერთმა ადმინისტრატორმა. მაგრამ სწავლა გვიანღა იყო. დარბაზი მხოლოდ 6 პარტიისათვის იქირავეს. ახალი შენობის ძებნას კარგა ხანი

დასჭირდა. თუმცა ორგკომიტეტი ენერგიულად მოქმედებდა, მაგრამ გავუსწრებ ამბებს და წინასწარ გეტყვით, რომ მატჩის მესამე ადგილსამყოფელში მხოლოდ ორი დასკვნითი პარტია გათამაშდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ კლუბში მიმდინარე ბრძოლას. მეშვიდე პარტია, რომელიც თვითონ ნონას, მეექვსესთან ერთად, საუკეთესოდ მიაჩნია, ეჭვი არ არის, მართლაც ულამაზესი იყო მატჩში. ამ დღეს პრეტენდენტის თამაშში ბრწყინვალედ იყო [illegible]ლი მტკიცე სტრატეგია [illegible] ოსტატობა. მან პოზიციურად დაახრჩო მოწინააღმდეგე, ჯერ პაიკი შესწირა, შემდეგ კუ, ხოლო ბოლოს მხედარიც. გაფრინდაშვილის უპირატესობა ანგარიშში ასტრონომიული გახდა—6:1.

## საფეხბურთო-საჭადრაკო მღელვარებანი

კლუბში კიდევ ორი პარტია გათამაშდა. ორივე ყაიმით დამთავრდა, მაგრამ თუ მერვე პარტიაში ბიკოვა თავის გადარჩენაზე ზრუნავდა, მეცხრე პარტიამ ბევრი უსიამოვნო წუთი განაცდევინა ნონას გულშემატკივრებს. საერთოდ ეს საღამო არაჩვეულებრივად მღელვარე იყო. დიდ დარბაზში ერთმანეთს შებმოდნენ მოჭადრაკეები, ხოლო ერთ-ერთ ოთახში ტელეხედვით გადასცემდნენ თბილისის „დინამოსა“ და კიევის „დინამოს“ მატჩს. კარგა ხანს უტევდნენ ბიკოვა და კიეველები, ბიკოვამ პაიკი მოიგო, ხოლო კიეველებმა გოლი გაიტანეს. მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კარგად დასრულდა: ჯერ თბილისელებმა გაქვითეს ანგარიში კიევში, ხოლო შემდეგ ნონამ პარტიის გადადების წინ, უკანასკნელ წუთში მარჯვედ გამოიყენა მეტოქის შეცდომა და თავისი ჩვეული გამჭრიახობით გაართულა თამაში. ამ გადადებული პარტიის დამთავრებისას მან შესწირა ფიგურა და მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია. „ამ პარტიის მერე საბოლოოდ დავრწმუნდი გამარჯვებაშიო“—გვითხრა ნონამ.

## ფინიში არ ჩამოუვარდება სტარტს

მერვე და მეცხრე პარტიის ყაიმის დამთავრების შემდეგ ზოგიერთები ფიქრობდნენ, რომ ნონა ახლა აღარ „მოიკლავს თავს“ გართულებებისათვის და შეეცდება მშვიდად დააგროვოს ნახევარ-ნახევარი ქულა. მაგრამ ნონას ბუნება ვერ ეგუება უფერულ ყაიმებს და უკვე მეათე პარტიაში სტამბა „წითელი პროლეტარის“ კულტურის სასახლის დარბაზი ტაშით ულოცავდა მას ლამაზი იერიშით მოპოვებულ გამარჯვებას. თბილისელ მოჭადრაკეს ახლა მხოლოდ ნახევარი ქულაღა აშორებდა დედოფლის ტიტულს.

როცა დაიწყო მე-11 პარტია, რომელშიც გაფრინდაშვილი შავებით თამაშობდა, ყველა მოელოდა, მეტოქეები მალე შეთანხმდებიან ყაიმზეო. ამ გრძნობას აძლიერებდა ბიკოვას პასიური თამაში. მან ნონას შესაძლებლობა მისცა არა მხოლოდ გაეთანაბრებინა პოზიცია, არამედ მიეღო იერიშის შანსებიც. „ახლა გაფრინდაშვილი ყაიმს შესთავაზებს“, მითხრა ერთმა ნაცნობმა ჟურნალისტმა. მე არაფერი მიპასუხია, თუმცა ვიცოდი, რომ ეს არ მოხდებოდა; საქმე ის იყო, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ნონამ რამდენჯერმე შესთავაზა ყაიმი „ნალდ საყაიმო პოზიციაში“, როგორც მოჭადრაკეები იტყვიან ხოლმე, და ვერც

ერთხელ ვერ მიიღო თანხმობა, თუმცა 2—3 სვლის შემდეგ პარტია მაინც მშვიდობიანად მთავრდებოდა. მსოფლიო ჩემპიონის ასეთმა უჩვეულო მოქმედებამ, ბუნებრივია, გაფრინდაშვილს გადააწყვეტინა აღარ შეეთავაზებინა „საზავო მოლაპარაკება“. და ამით ბიკოვამ მხოლოდ წააგო, ვინაიდან მეთერთმეტე პარტია მისთვის უიმედო პოზიციაში გადასროლა იმ წუთში, როცა ნონა, რომელიც ფაქტიურად უკვე მსოფლიო ჩემპიონი იყო, სვლას იწერდა, მას მიანათეს იუპიტერის მძლავრი სხივები და დარბაზში ამუშავდა გადამღები აპარატები.

მეორე დღეს ნონას ბიკოვა ტელეფონით დანებდა.

## პირველი საათები ჩემპიონის ამპლუაში

დიდების ტვირთის ზიდვა ყოველთვის სამძიმოა. ნონამ ეს იგრძნო 17 ოქტომბრის დღეს, როცა ბიკოვას ტელეფონის ზარმა აუწყა, რომ ის მსოფლიოს პირველი მოჭადრაკეა. ხოლო საღამოთი მოსალოცი დეპეშებით აივსო მაგიდა სასტუმრო „მოსკოვის“ № 861 ოთახში, სადაც მდებარეობდა გაფრინდაშვილის „რეზიდენცია“ მატჩის განმავლობაში. გაუთავებლად რეკდა ტელეფონი. ნონაც იღებდა ყურმილს და პასუხობდა მისალმებებსა და მილოცვებზე. ხოლო უფრო მოგვიანებით დაიწყო ინტერვიუ: რადიო, ტელეხედვა, ჟურნალები, გაზეთები. ამ მხრივ ბევრად უკეთესი ბედი მხვდა მე — ყველას დავასწარი და პირველი ინტერვიუ მე ჩამოვართვი ჯერ კიდევ დასკვნითი პარტიის წინ.

როგორც ცნობილია, გაცხოველებული კამათია იმის თაობაზე, თუ რა არის ჭადრაკი: ერთნი ამბობენ, სპორტიაო, მეორენი — ხელოვნებააო, მესამენი — მეცნიერებააო. ბუნებრივია, რომ შეუძლებელი იყო არ მიმეცა ნონასთვის შეკითხვა ამ თემაზე. მისი აზრი ასეთია: ჭადრაკი, უწინარეს ყოვლისა, არის ბრძოლა, ორი ხასიათის შეჯახება, ორი გონების შეტოქება, რაც მოითხოვს უდიდეს ფიზიკურ დატვირთვას და, მაშასადამე, ჭადრაკი, უწინარეს ყოვლისა — სპორტია. ამგვარი განსაზღვრების შემდეგ ნათელი ხდება თუ რატომ ანდომებს ნონა ამდენ დროს მაგიდის ჩოგბურთსაც და ნაოსნობასაც, და რატომ არ ეტყობა დაღლა მატჩის ბოლოსაც კი: იტყოდით, მას შეუძლია ყველაფერი თავიდან დაიწყოსო. ყოველ შემთხვევაში, ნონამ ისიც კი მითხრა, ამ დაუსრულებელ კითხვაზე პასუხის გაცემას კიდევ ერთი პარტიის თამაში მერჩიაო. კითხვები კი უამრავი იყო.

მატჩის უკანასკნელი პარტიის დროს მიხეილ შიშოვმა მითხრა, რომ ამიერიდან ნონას ძირითადი ამოცანაა კიდევ უფრო აიმაღლოს თამაშის კლასი, რომ მამაკაცებს შეებრძოლოსო. იმედია შორს აღარაა ის დღე, როცა ნონა დაგვიბრუნებს ვერა მენჩიკის დროს: იმ დროს, როცა მსოფლიო ჩემპიონი ხშირად და წარმატებითაც იბრძოდა დიდოსტატთა ტურნირებში. მე მჯერა ეს, რადგან კარგად ვიცი გაფრინდაშვილის შრომისუნარიანობის ამბავი. ჩემის აზრით, უწინარეს ყოვლისა, ნონამ ენდშპილზე უნდა იმუშაოს. ამ სტადიაში ის ზოგჯერ მაინც ჯერ კიდევ არცთუ მთლად საუკეთესოდ თამაშობს. და, გარდა ამისა, ის, როგორც კაროკანის დაცვის ძველი მოყვარული, მე მგონია, ჯერ არასაკმაოდ კარგად გრძნობს „კაროკანისეულ“ პოზიციებს. ამის მაგალითია მესამე პარტია. თუმცა დებიუტი სხვაგვარი იყო, მაგრამ დაფაზე შეიქმნა ამ დაცვის მსგავსი მდგომარეობა. ნონა არცთუ ისე დარწმუნებით თამაშობდა და კარგა ხანს მტკიცედ ვერ იდგა ფეხზე. მაგრამ ყველა ეს ნაკლი ადვილი გამოსასწორებელია, მით უფრო, რომ ეს ნაკლი ცნობილია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს თასი თბილისის საჭადრაკო კლუბში მიემგზავრება

ამდენი ფოტოკორესპონდენტი მე მხოლოდ საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამართულ გადამწყვეტ საფეხბურთო მატჩებზე თუ მინახავს. რეპორტიორების ბლიტცები განუწყვეტლად ტკაცუნებდა. როცა ნონა სცენაზე გამოჩნდა, დარბაზი ოვაციით შეხვდა. ტრადიციის მიხედვით პირველი სიტყვა მიეცა მთავარ არბიტრს ნინა გრუშკოვა-ბელსკას, რომელმაც აწერა ბრძოლის მსვლელობა, და აღნიშნა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის ბრწყინვალე თამაში. რამდენიმე გამოსვლის მერე ტრიბუნაზე ავიდა სსრკ საჭადრაკო ფედერაციის თავჯდომარე, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ბორის როდიონოვი. მან მონაწილეებს მიულოცა მატჩის დამთავრება, საერთაშორისო ფედერაციის სახელით ნონა გაფრინდაშვილი გამოაცხადა მსოფლიო ჩემპიონად მოჭადრაკე ქალთა შორის და გრუშკოვა-ბელსკასთან ერთად, შეამკო ის დაფნის გვირგვინით, რომელიც სხვათა შორის, სოხუმიდან გამოაგზავნეს. ძალზე ძნელია ჩვეულებრივი სიტყვებით გადმოიცეს ის, რაც ხდებოდა იმ დროს დარბაზში. ის იყო შეწყდა ოვაცია, რომ კვლავ ფეთქა ტაშმა: ნონას ოქროს თასი გადასცეს. შემდეგ როდიონოვმა მადლობა გადაუხადა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციას ასეთი შესანიშნავი მოჭადრაკის გამოზრდისათვის.

ყველაზე მოკლედ გამოვიდნენ მატჩის მონაწილეები. ნონამ მადლობა გადაუხადა მსაჯებს, შეჯიბრების ორგანიზატორებსა და მაყურებლებს; თავისი გამოსვლა მან დაასრულა იმით, რომ თქვა: არა ვარ შეჩვეული სიტყვების წარმოთქმას და, თანაც, ისე აღსავსე ვარ სიხარუ[illegible]კი მიჭირსო. ხოლო მსოფლიო ექსჩემპიონმა აღიარა, ძალზე მძიმეა საპატიო ტიტულის დაკარგვა, მაგრამ შეგნება იმისა, რომ გვირგვინი გადავიდა ნამდვილად უძლიერესის და, თანაც საბჭოთა მოჭადრაკის ხელში, მიადვილებს ამ დანაკარგსო.

ქალთა საჭადრაკო მოძრაობის ისტორიაში კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა. ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონი გახდა. მინდა კვლავ გავავლო პარალელი მსოფლიოს პირველ ჩემპიონ — ფენომენალურ ვერა მენჩიკსა და მეექვსე ჩემპიონ — ნონა გაფრინდაშვილს შორის და ვთქვა, რომ არც ერთი მოჭადრაკე ქალი არ ყოფილა თავის სახელგანთქმულ წინამორბედთან ისე ახლოს, როგორც გაფრინდაშვილი. მაგრამ ნონას როლი უფრო მნიშვნელოვანია. მენჩიკის წარმატებებს ხომ არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქალთა თამაშის კლასზე. ნონას სტილმა კი უკვე აამაღლა ქალთა საჭადრაკო კულტურის დონე და შემდეგშიც, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო მეტს გააკეთებს ამ მხრივ.

და თუმცა მეც ელიზავეტა ბიკოვასავით მოსკოველი ვარ, მაგრამ ნონა — ჩემი ტოლია, და ერთხელ კიდევ გულწრფელად და სულითა და გულით ვულოცავ მას ამ შესანიშნავ გამარჯვებას.

---

ალა კუშნირი
საჭადრაკო გვირგვინი საქართველოს დედაქალაქშია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ფანჯიკიძე

## გასული ჩემპიონატის გაკვეთილები

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატი. ჩემპიონის საპატიო ტიტული ერთი წლის შესვენების შემდეგ კვლავ მოსკოვს დაუბრუნდა. „სპარტაკელებმა" მერვედ მოიპოვეს ოქროს მედლები. მეორე ადგილზე მოსკოვის დინამოელები გამოვიდნენ, ხოლო ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ ქართველ ფეხბურთელებს. ეს ცუდი შედეგი არ არის, თუ გავიხსენებთ, რომ დინამოელები შარშან მხოლოდ მეშვიდე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

მიუხედავად ასეთი წარმატებისა, თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ, რადგან წელს ძალიან ახლოს ვიყავით სანუკვარ მიზანთან და მხოლოდ უკანასკნელ მატჩებში წავიბორძიკეთ და დავკარგეთ რამდენიმე ისეთი ქულა, რომელსაც შეეძლო ქართველი გულშემატკივრებისათვის უდიდესი სიხარული მოეტანა...

თავი იმით უნდა დავიმშვიდოთ, რომ მხოლოდ თბილისის „დინამოს" არ დაუკარგავს გეგმით გაუთვალისწინებელი ქულები. განა მოსკოვის „დინამომ" დონეცკის „შახტიორთან" ორთაბრძოლაში უკანასკნელ სეკუნდში არ დაკარგა ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლის შანსი?

მაგრამ ჩვენ ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრები ვართ და მხოლოდ თბილისის „დინამოს" წარმატება გვახსოვს. ასეა თუ ისე, შედეგით საბოლოოდ მაინც კმაყოფილნი ვართ, თუნდაც იმიტომ, რომ გასული წლის ჩემპიონი კიევის „დინამო" და მოსკოვის „ტორპედო" გაცილებით მოკრძალებული შედეგებით დაკმაყოფილდნენ, ხოლო წლევანდელი ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი" ორჯერ დავამარცხეთ.

ამ წერილში არ ვაპირებთ შევაჯამოთ წლევანდელი ჩემპიონატის შედეგები. გვინდა მხოლოდ ვილაპარაკოთ თბილისის დინამოს დღევანდელ მდგომარეობაზე და თუ ეს მდგომარეობა რამდენად შეეფარდება თანამედროვე ფეხბურთის მოთხოვნილებებს, თანამედროვე სტრატეგიასა და ტაქტიკას.

წლევანდელ სპორტულ ასპარეზობაში ცენტრალურ მოვლენას წარმოადგენდა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც ჩვენი პლანეტის 16 უძლიერესი გუნდი ოქროს ქალღმერთის მოწყალებას ელოდა.

ჯერ კიდევ 4 წლის წინ, როცა ამაზონელმა ჟონგლიორებმა ოქროს ქალღმერთის მოსასხამზე ამოკვეთეს სიტყვა — „ბრაზილია", საფეხბურთო სამყარო მოწმე გახდა ახალი საფეხბურთო სტრატეგიისა, რომელსაც შემდგომში სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა „ბრაზილიურ სისტემად" მონათლეს, ხოლო სისტემას ასეთი ციფრობრივი ფორმულირება მისცეს 1-4-2-4. ამის შემდეგ

საფეხბურთო კანონმდებლობა ბრაზილიელთა ხელში გადავიდა. ამაზონის ცხელმა ნიავმა ევროპაშიც დაბერა და დაიწყო საყოველთაო ბრაზილიური აკლიმატიზაცია.

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატზე ევროპის გუნდები ბრაზილიურ განწყობილებით ჩავიდნენ, მხოლოდ ერთადერთი გუნდი — ბულგარეთის ეროვნული ნაკრები დარჩა ძველი სისტემის (1-3-5) ერთგული და ჩემპიონატში მხოლოდ ბულგარეთი იყო ერთადერთი გუნდი, რომელმაც ერთ მატჩში 6 ბურთი გაუშვა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დაკომპლექტებული იყო გაცილებით უფრო ძლიერი ფეხბურთელებით, ვიდრე ბევრი ქვეყნის ეროვნული ნაკრები. შვეციის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნათელი გახდა, რომ იმარჯვებს მხოლოდ შემტევი ფეხბურთი. ეს ჭეშმარიტება აღიარა ყველამ, ვინც კი ბრაზილიელთა გამარჯვება იწამა. მაგრამ დაიწყო ჩილის მსოფლიო ჩემპიონატი და პირველი მატჩებიდანვე ცხადი გახდა, რომ გუნდები უმთავრესად დაცვით ვარიანტს იყენებდნენ. დაცვა გაძლიერებული იყო თავდამსხმელთა შემცირების ხარჯზე.

რაშია საქმე? ნუთუ ბრაზილიური სისტემა, რომელიც შვეციაში შემტევ სისტემად აღიარეს, დაცვითი ვარიანტი გამოდგა? იმავე ბრაზილიელების ხელში (თუმცა ისინი თამაშობდნენ ოდნავ შეცვლილი სქემით — 1-4-3-3) ეს სისტემა ხომ კვლავ შემტევი და მრისხანე იყო? ამ საკითხებში რომ უფრო კარგად გავერკვეთ, ჯერ განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს ბრაზილიური სქემა.

ჩემპიონატის მონაწილე თითქმის ყველა გუნდმა მცველთა რაოდენობას მეოთხე კაციც მიუმატა. განსხვავება მხოლოდ განლაგებაში იყო. ზოგ გუნდში მეოთხე — თავისუფალი მცველი სამი მცველის უკან იდგა, ზოგში კი წინ. ზოგიერთებმა კი ოთხივე მცველი ერთ ხაზზე განალაგეს. გარდა ამისა, ზოგი გუნდის დაცვა ზონალურ დაცვას იყენებდა (ბრაზილია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, არგენტინა, ურუგვაი), ზოგიერთი კი პერსონალურ დაცვას (სსრკ, გფრ, იტალია, იუგოსლავია). მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საქმე მარტო განლაგებაში და მცველთა რაოდენობაში როდია, საქმე თამაშის სისტემაშია.

ჯერ კიდევ შვეციაში აღმოჩნდა, რომ სქემა 1-4-2-4 იძლევა თავდასხმისა და დაცვის თანაბარ შესაძლებლობებს (იგი არ ასუსტებს არც დაცვას და არც თავდასხმას) და ტაქტიკური ვარიანტების მრავალფეროვნებას.

მაგრამ საქმეს - მარტო სქემა არ შველის. ბრაზილიურმა სისტემამ ფეხბურთელთა წინაშე დასახა გაზრდილი მოთხოვნილებები. ამ სისტემამ აღკვეთა ფეხბურთელთა ვიწრო სპეციალიზაცია (გარემარბი არ არის მხოლოდ გარემარბი. მარჯვენა მცველი — მხოლოდ მარჯვენა მცველი და ა. შ.). ამ სისტემისათვის დამახასიათებელია აგრეთვე გაორებული ცენტრალური მცველი და გაორებული ცენტრალური თავდამსხმელი. ბრაზილიელთა ცენტრალური მცველები არასოდეს არ ტოვებენ თავის ზონას, ხოლო მარჯვენა და მარცხენა მცველები კი ძალზე ხშირად ებმებიან იერიშში. საკმარისია გავიხსენოთ შვეციაში ნილტონ სანტოსის გატანილი გოლი ბრაზილია-ავსტრიის მატჩში, ხოლო მესამე გოლი ჩეხოსლოვაკიის კარში ვავამ ჯალმა სანტოსის რეიდისა და ჩაწოდების შემდეგ გაიტანა. თანამედროვე ფეხბურთში მცველი მხოლოდ მოწინააღმდეგის იერიშებს არ შლის. იგი ამავე დროს იერიშის წამომწყებიცაა.

როგორც ჩილის მსოფლიო ჩემპიონატის პრესბიურომ გამოაცხადა, 5 მატჩის განმავლობაში ჯალმა სანტოსს არ დაუკარგავს არცერთი გადაცემა, იგი შლიდა მოწინააღმდეგის იერიშს და იწყებდა საკუთარი გუნდის შეტევას.

ბრაზილიურმა სისტემამ წარმოშვა ახალი ტიპის ნახევარმცველი, ნახევარმცველი — დაცვითი ტიპისა, ნახე-

გარმცველი—შემტევი სტილისა, თავისუფალი ნახევარმცველი, რომელიც გუნდში ასრულებს დისპეტჩერის მოვალეობას და სხვა.

ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიამ ოდნავ შეცვალა სქემა. ეს სქემა ციფრებით ასე გამოიხატება 1-4-3-3, რომელიც ფაქტიურად ძველი სქემის მარტივი სახესხვაობაა.

მესამე ნახევარმცველი იყო უკანდახეული მარცხენა გარემარბი ზაგალო, იგი ზიტოსა და დიდისთან ერთად ქმნიდა თავდამსხმელთა მეორე ეშელონს (პირველი ეშელონი იყო გარინჩა, ვავა, ამარილდო).

როგორც ვხედავთ ბრაზილიური სქემა ფეხბურთელებისაგან მოითხოვს თამაშის დიდ მრავალფეროვნებას და თუ თანამედროვე ფეხბურთის ეს შემტევი სისტემა ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში უფრო დაცვითი ხასიათისა გამოჩნდა, ეს იმიტომ, რომ სხვა გუნდებში არ იყო ისეთი გარემარბი, რომელიც ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებას შესძლებდა, ნახევარმცველი—მცველისას ან გარემარბისას და ა. შ. (მხედველობაში არ ვიღებთ გამონაკლისებს). იგივე ურუგვაის ეროვნული ნაკრები ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში იყენებდა ბრაზილიურ სქემას, შესანიშნავმა ურუგვაელმა მარცხენა გარემარბმა ლუის კუბილამ ბრაზილიელ კოლეგა ზაგალოსავით ბრწყინვალედ ითამაშა, როგორც გარემარბმა, მაგრამ ზაგალოსავით ვერ ითამაშა, როგორც ნახევარმცველმა.

ასე რომ გუნდებმა ვერ მოასწრეს სრული აკლიმატიზაცია. მხოლოდ ამაზონელი ქონვლიორები აკმაყოფილებდნენ ამ სისტემის ყველა მოთხოვნილებას და ოქროს ქალღმერთმაც თავისი მოწყალე კალთა ისევ ბრაზილიას გადააფარა.

და მაშინ, როცა ბრაზილიურმა სისტემამ მთელს მსოფლიოში ჰპოვა აღიარება, და როცა ბევრი ქვეყნის ფეხბურთელები ახლა გადადიან ბრაზილიურ რელსებზე, ფეხბურთის ზოგიერთმა სპეციალისტმა განაცხადა, რომ ეს სისტემა თითქოს უკვე მოძველდა და რომ სქემამ 1-4-2-4 თავისი დრო მოჭამა. ამ სისტემის ერთერთი უარმყოფელია ფეხბურთის ცნობილი სპეციალისტი ელენიო ერერა. თუმცა ვინ იცის, მისი ასეთი დამოკიდებულება შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მარცხით, რომელიც განიცადა ესპანეთის ნაკრებმა. ამ ნაკრებს კი იგი წვრთნიდა.

ასე თუ ისე, სისტემა 1-4-2-4 მთელს პლანეტაზე განაგრძობს ტრიუმფალურ სვლას. და მისი მოქმედების ზონაში მოექცნენ ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდებიც. ჯერ კიდევ შარშანდელ ჩემპიონატში რამდენიმე გუნდმა (მათ შორის მოსკოველმა არმიელებმა) დაიწყეს ამ სისტემით თამაში. წელს კი ეს მოვლენა მასიური გახდა. და ის გუნდები, რომლებიც წლევანდელ ჩემპიონატში საპრიზო ადგილები მოიპოვეს, გამოკვეთილი ბრაზილიური სისტემით თამაშობდნენ.

ქართულ ფეხბურთში ბრაზილიური სისტემა პირველად მ. იაკუშინმა გამოსცადა. მ. იაკუშინის მოსვლა გუნდში ძალზე დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო. მან მოახდინა თბილისელთა შესაძლებლობების ცენტრალიზაცია და დაამყარა მკაცრი საფეხბურთო დისციპლინა. შემდეგ კი გუნდში დანერგა თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე პოპულარული სქემა 1-4-2-4.

და წელს, როცა თბილისელმა წამყვანმა თავდამსხმელებმა სხვადასხვა მიზეზების გამო გაცილებით სუსტად ითამაშეს, ვიდრე შარშან, ჩვენი გუნდის წარმატება სწორედ თამაშის ტაქტიკის სიახლეში უნდა ვეძებოთ.

თბილისის „დინამოს" მცველებს მიემატა მეოთხე მცველი ჯემალ ზეინკლიშვილი. მივიღეთ დაცვის გაორმაგებული ცენტრი მ. ხურცილავა — გ. ჩოხელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრაზილიური სისტემა სწორედ გაორმაგებულ ცენტრს მოითხოვს. თავისუფალი ნახევარმცველის ე. ი. დისპეტჩერის ფუნქციები მოედნის ცენტრში დაევალა

შ. იამანიძეს. დაცვის ეს სისტემა გამართლებული აღმოჩნდა და წელს თბილისის დინამოელთა დაცვა მოწოდების სიმაღლეზე იდგა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზ. სიჭინავამ და ჯ. ზეინკლიშვილმა საგრძნობლად აიმაღლეს თამაშის კლასი. თბილისის დინამოელთა მცველებმა გამოკვეთილი ბრაზილიური სქემით ითამაშეს. უკანასკნელ მატჩებში იგრძნობოდა, რომ მათ კარგად გაიგეს ამ სქემის ყველა ნიუანსი. როგორც ცნობილია, 1-4-2-4 სისტემით თამაშის დროს მარჯვენა და მარცხენა მცველები სისტემატურად ებმებიან იერიშში. ამის საუკეთესო ნიმუშები იყო ზ. სიჭინავასა და ჯ. ზეინკლიშვილის შეტევები მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. ასე რომ ბრაზილიური სქემის მოთხოვნილებათა პირველი ნაწილი დაკმაყოფილებული იქნა. დავაკვირდეთ იმასაც, რომ მოსკოვის „დინამომ", „სპარტაკმა" და „ცსკამაც", რომლებიც ამავე სისტემით თამაშობენ, შესძლეს ამ მოთხოვნილების პირველი ნაწილის დაკმაყოფილება. დაცვა გაცილებით უკეთესად თამაშობდა, ვიდრე თავდასხმა. ეს იმის ბრალია, რომ ამ გუნდების თავდასხმაში არ იყვნენ ისეთი ფეხბურთელები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ბრაზილიური სქემის მოთხოვნილების მეორე ნახევარსაც.

ბევრჯერ აღგვინიშნავს და ახალ ამბავს არ წარმოადგენს, რომ თუ გუნდი 1-4-2-4 სისტემით თამაშობს, თავდასხმა დაკომპლექტებული უნდა იყოს ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელებით, თორემ შემტევი ბრაზილიური სისტემა დაცვით სისტემად გადაიქცევა.

ერთხელ ჩვენთან საუბარში თბილისელთა მარჯვენა შუამარბმა ვ. ბარქაიამ აღნიშნა, რომ საერთოდ 1-4-2-4 სისტემით თამაში ძალზე ძნელია და თავდამსხმელის მაქსიმალურ დატვირთვას მოითხოვს და ფეხბურთელი ფიზიკურად უკიდურესობამდე იღლებაო.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ წელს ჩვენმა თავდამსხმელებმა გაცილებით სუსტად ითამაშეს, ვიდრე შარშან. ამის მიზეზი ორია: პირველი — წამყვანი ფორვარდების ხშირი ავადმყოფობა და მეორე... სწორედ მეორეა მთავარი—ფორვარდებმა ვერ გაართვეს თავი 4 თავდამსხმელის სისტემას. გუნდს არ ყავდა გაორებული ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც უაღრესად საჭიროა ამ სისტემისათვის (ვავა-პელე, ვავა-ამარილდო) და თავდამსხმელები ერთნაირად ვერ ფლობენ ბურთის დაჭერისა და ტარების ხელოვნებას.

თბილისის „დინამომ" ჩაატარა რამდენიმე მატჩი, სადაც ისინი ბრწყინავდნენ თამაშის საუკეთესო გაგებითა და მაღალტექნიკურად შესრულებული ილეთებით (მინსკის „ბელორუსთან", ტაშკენტის „პახტაკორთან", მოსკოვის „სპარტაკთან" — მოსკოვში). მაგრამ ბრაზილიური სისტემა ისეთ მაქსიმალურ მოთხოვნილებებს უყენებს ფეხბურთელებს, რომ საკმარისია ერთი კაცი ვერ აეწყოს ანსამბლს და ეს სისტემა კარგავს თავის შემტევ ძალასა და ხასიათს. ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს, როგორც ჟურნალისტებმა აღნიშნეს, აქვს „სიჩქარეთა კოლოფი". მათ შეუძლიათ თამაში „გადართონ" იმ სიჩქარეში, რომელსაც მოითხოვს თამაშის სიტუაცია. ასეთი „სიჩქარეთა კოლოფი" კი იმ გუნდსა აქვს, რომელიც ძალზე მაღალტექნიკური ფეხბურთელებისაგან შედგება.

და თუ წელს თბილისის დინამოელთა თამაში უფრო დაცვით ხასიათს ატარებდა, ეს სწორედ იმის ბრალი იყო, რომ ჩვენი თავდამსხმელების ტექნიკა ვერ აკმაყოფილებდა ბრაზილიური სქემის მოთხოვნილებებს.

აი, სწორედ ეს უნდა გაითვალისწინონ ქართველმა ფეხბურთელებმა მომავალი სეზონისათვის მზადებისას.

ჩვენ დასასრულს გვინდა კიდევ ერთ სერიოზულ საკითხზე შევჩერდეთ. გარდა იმისა, რომ თბილისის „დინამოს" თავდამსხმელები ხშირად ვერ ართმევდნენ თავს მოწინააღმდეგეებთან ბრძო-

ლას, გუნდის ნახევარდაცვა აშკარად დაცვით ვარიანტს თამაშობდა. ერთი ნახევარმცველი (ხშირად გ. პეტრიაშვილი) თითქმის დამცველის როლში გამოდიოდა. გავიხსენოთ მატჩი კიევის „დინამოსთან“ ან დონეცკის „შახტიორთან“. ამ უკანასკნელთან მაშინ, როცა ანგარიში 2:0 იყო თბილისელთა სასარგებლოდ გ. პეტრიაშვილი და შ. იამანიძე მაინც უკან დახეულნი თამაშობდნენ, რაც უკვე ტერიტორიალურ უპირატესობას დონეცკელ ფეხბურთელებს ანიჭებდა. ჩვენის აზრით, როცა გუნდი თამაშს იგებს ორი ბურთის განსხვავებით, ფეხბურთელებს უნდა მიეცეს მეტი თავისუფალი მოქმედების საშუალება.

აქ ბუნებრივად წამოიჭრა კითხვა — ასეთი თამაში შეესაბამება ქართული ფეხბურთის შემტევ ხასიათს? ქართველ ფეხბურთელთა დიდი ფანტაზიის და იმპროვიზაციის უნარს ზედმეტად ფრთებს ხომ არ ვაჭრით წინასწარ დასახული „გეგმით“? ხანდახან თამაშის დროს შეინიშნება, რომ მოედანზე არის მწვრთნელი, მაგრამ არ არის ფეხბურთელი, მოედანზე არის გეგმა, მაგრამ არ არის თამაშის სიტუაციით ნაკარნახევი შემოქმედება.

ეს მარტო ქართველმა გულშემატკივრებმა როდი შენიშნეს. მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახ. ცენტრალური სტადიონის პრესბიუროში ქართველი ფეხბურთელების თამაშზე „ცსკასთან“ მატჩის პროგრამაში ასეთი შენიშვნა გამოქვეყნდა: „თბილისის დინამოს თავდამსხმელები ძველებურად საუკეთე[illegible]დებად რჩებიან. მაგრამ ჩვენ [illegible] უფრო იშვიათად ვხედავთ ნამდვილ ქარიშხალს მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. თბილისელთა შეტევები მოულოდნელობითა და მრისხანებით ჩამოუვარდება წარსულს.

ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. მთავარი კი ის არის, რომ გუნდი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დაცვას. ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ თუ დაცვას თავდასხმის შესუსტების ხარჯზე გააძლიერებენ და ეს გუნდის გენერალურ „ხაზად იქცევა — უკვე ცუდია“.

ფეხბურთის მოსკოველი სპეციალისტების აზრი ნამდვილად ყურადღების ღირსია.

თბილისის „დინამოს“ ყავს მწვრთნელი, რომელსაც მთელი სიღრმით ესმის ფეხბურთი და მაქსიმალურად შეუძლია გამოიყენოს გუნდის შესაძლებლობანი. და მან კარგად იცის, რომ დაცვის საკითხი მოგვარებულია და რიგი თავდამსხმელებზე მიდგა...

ქართულ ფეხბურთს უყვარს შეტევა... დე, მომავალ წელს მრავალი ბრწყინვალედ გატანილი ბურთი გვენახოს მოწინააღმდეგეთა კარის ბადეში!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური რედაქტორი გიორგი ქავთარაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. 3-07-02.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/XI-62 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვეთა № 413. უე 10052. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 5.500.

გამ-ბა „საბჭოთა მწერლის“ სტამბა, თბილისი, პლეხანოვის, 181.

Типография изд-ва „Сабчота Мцерали“, Тбилиси, Плехановский, 181.

# სატირა და იუმორი

ნახატი-ხუმრობები დიმიტრი ერისთავისა



— კიდევ იტყვიან, სასწრაფო დახმარება იგვიანებსო?!



უტექსტო ხუმრობა

ნახატი-ხუმრობები ჯემალ ლოლუასი



გამოფენის გახსნა



აბსტრაქციონისტი



საპარიკმახეროში

# წაიკითხეთ შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ აბაშიძის
რომანი
«დიდი ღამე»

ბესარიონ ჟღენტის
წერილი რევაზ ინანიშვილის
მოთხრობებზე

**მკითხველთა საყურადღებოდ!**

მომავალი წლიდან ჟურნალი „ცისკარი" გამოაქვეყნებს სათავგადასავლო და მეცნიერულ-ფანტასტიკურ ნაწარმოებებს.

ფასი 60 კაპ.

6 8/39ა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„САБЧОТА МЦЕРАЛИ“